

1924

Handwritten text at the top right, possibly a library or archival stamp.

# მეცნიერება და მისი მნიშვნელობა

5

Handwritten mark or signature.

გაერთიანებულ ქართულ მწერლობას, რომლის ხელმძღვანელი ორბანოა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, ამ ჟამად აქვს მხოლოდ ერთი გეგმვითი ორბანო — ყოველთვიური ჟურნალი „ქართული მწერლობა“.

ჟურნალი იძლევა მთლიან სურათს თანამედროვე ქართული ლიტერატურისას. ჟურნალში მოწოდებულია ლეგულობს ყველა ქართველი მწერალი და პოეტი განურჩევლად ლიტერატურული მიმართულებიდან, ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი. ამ მხრივ ჟურნალი „ქართულ მწერლობის“ გარშემო გაერთიანებულია დიდი კულტურული ძალა ქართული მწერლების, მეცნიერების და ფართო ინტელიგენციის სახით.

ჟურნალი ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება და ყოველი კულტურული ქართველი უნდა კითხულობდეს „ქართულ მწერლობას“, უნდა იწერდეს „ქართულ მწერლობას“, უნდა ეხმარებოდეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს თავისი ინიციატივით და უუკადლებით.



# ქართული მწერლობა

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის  
ყოველთვიური შუბნალი.

წელიწადი მეორე

რედაქტორი  
ნიკოლოზ მიწიშვილი



მანისი  
თბილისი — 1927

F 669

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პ რ ო ჯ ა:

ჭუმბაძე არისტო — შმო.

სტენდალი — წმინდა ფრანჩესკო კლდესა ზედა (თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა).

ქუთათელი ალ. — მურზა.

მელიქიშვილი ბასილ — ჯილაგი.

### პ რ ე ჯ ი ა:

გაფრინდაშვილი ვალ. — სიცხის საზომით.

ლეონიძე გიორგი — ღამე ივერიისა.

მოსაშვილი ილა. — ბარათი.

ნადირაძე კოლაუ — ჯერ მზე არ არის ამოსული.

პუშკინ ალექსანდრ — ნაწყვეტი (თარგმანი პაოლო იაშვილისა).

ტაბიძე ტიციან — კახეთი.

შანშიაშვილი ალ. — ბატონი ცილინდროსანი.

ჯანბერიძე შ. — ტყვისფერ ციდან ნასაკირალი.

### წ ე რ ი ლ ე ბ ი:

ტიციან ტაბიძე — ახალი მცხეთა.

ვასილ ბარნოვი — ალ. ჭავჭავაძე.

ლევან ასათიანი — მანანა.

### ს ა ლ ი ს კ უ ს ი ო ს ა კ ი თ ხ ე ბ ი:

ბენო გორდეზიანი — მემარცხენეობა ქართ. ლიტერატურაში.

### დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი:

პროფ. პ. მელიქიშვილი — ჩემი ცხოვრება.

მხატვარი ალ. ბერიძე — წერილი რომიდან ილია ოქრომჭედლის შვილს.

### ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა ჟ ი ა:

ს — ნი — ი. რუბინი. ეკონომიური აზროვნების ისტორია.

ვ. რუხაძე — მცირე განმარტება.

3 6 7 8 9

არისტო ჭუმბაძე.

უ მ ლ

## ანუ გიგუცას სამუზაო დღე.

გარედ ნისლი და გადაუღებელი წვიმა, ცივი და ნაცერ-  
რით ხშირი. ქუჩებში — წათხი და ნალექი.

N-ის ტრესტის სამმართველოში კი მხიარულად ღუ-  
ღუნებდნენ ჰოლანდიური კარდია ღუმელები. ტკაცანებს  
კოპიტის ხმელი შეშა და კურცხალა ნაკვერჩხალიც ბრო-  
წეულივით იმარცვლება.

სითბო და სიწყნარე...

მხოლოდ თამბაქოს ბოლი მიიპარება ლურჯ ზოლე-  
ბად პირდია ღუმელებისაკენ.

— ჰააა... მმ...

გრძლად დაამთქნარა საცალო განყოფილების გამგის  
მოადგილემ გიგუცამ და, სათაურიდან ტირაჟის ციფრამდე  
წაკითხული, გაზეთი განზე მიაგდო.

მერე კეხიან ცხვირზე კრაზანასავით დასკუპებული  
პენსნე გაისწორა, ახლადგაპარსულს ნიკაპზე ხელი შეისვა  
და, ფანჯარაში რომ გაიხედა, ნამთქნარევი პირი ღია  
დარჩა:

სოველს ქვაფენილზე ქურციკივით მიწკაპუნებს ახალ-  
გაზრდა ქალი:

მუხლაძე — გამჭვირვალე ვიქტორია; ტანზე — მაი-  
მუნიანი მანტო პატარა თავზე — პაწია ქუდი, ელექტრი-  
ბრიზე; ხელში — წითელი ტყავის საკ-დემიმონდენ.

შნო და სურვილი.

ტრამვაის რონოდას მიეშურება.

— ჰა, მიუსწროს თუ ვერა!..

ჰფიქრობს გიგუცა და, პირნერწყვიანი, თვალს ვერ  
აშორებს ქალის შიშველ კუნთებს.

ვატმანი, ფეხით, გაბზარულ ზარს აჩხაკუნებს, კონდუქტორს უჯავრდება: ნუ მაგვიანებო, გიგუცა კი — ვატმანს: რა მაინცა და მაინც აგრე გეჩქარებაო.

კონდუქტორი რონოდის სახელურს დაჰკიდებია, პირში ბავშვის საწოვარსავით გაუჩრია ყვითელი საყვირი და ელოდება...

ქალი კი არ მიდის: ელავენ ლაკირონის ტუფლები. ელავენ და... გიგუცას გულიც განიერდება.

რონოდა დაიძრა. ქალმა ხელი გაიწოდა. კონდუქტორა — სწვდეს თუ ვერა.

— ატატატააა!.. მიუსწ...

ჩურჩულებს გიგუცა და საწერ მაგიდას ეჯაჯგურება. ქალმა ფეხი ასწია და... გიგუცამაც მოჭარბებული ნერწყვი გადაჰყლაპა: მოკლე კაბის ქვეშ გამოჩნდა შიშველი კუნთი და მქრქალი არშია...

როცა რონოდა მოსახვევში მიიმალა, გიგუცას გულში ითქოს ფარდა ჩამოუშვეს, სქელი და ნაცრისფერი: ერთის წუთით თვალს წყალი დააღვეინა, მაგრამ ეს ინტერესაც გამოილია. ეხლა?

ერთი კიდევ დაამთქნარა და ოთახი ჩამოათვალიერა. მას პირდაპირ, ოთხადმოკეცილი ზის ნახუცარა — საქმისმწარმოებელი და მშიერ თაგვივით ფხაკუნებს.

მის დანახვაზე თითქოს რაღაც მოაგონდა. უნებურად ხელი დასტად დაგროვილს ქალღლებში აურია, გადააბრუნ-გადმოაბრუნა. არაფრად ეჭაშნიკა, ტუჩი აიმზუა და მოწყენილი თვალი შავნაბადას ტიტველ ზურგს მიაპყრო: ეაზროდ, უმიზნოდ...

მსახურმა კაბინეტის კარს ფეხი ჰკრა: ჯერ ხონჩა შემოჰყო, მერე საკუთარი მელოტი თავი. გან-გამის მოადს მოწიწებით მიართვა თბილი ჩაი და ერთი კვირის გამოფიტული რქები.

გიგუცამ ერთიც გასინჯა და მეორეც. და როცა მსახურმა ზურგი უჩვენა, კინალამ ძველებურად არ შეუკურთხა, მაგრამ გაახსენდა, რომ ამავე ნიკიფორემ ამას წინედ ადგილკომის საერთო ყრილობაზე მედიდურობისათვის სულ კუდიტ ქვა ასროლინა გამგეობას; ამიტომ ენა წაი-



კვნიტა და დიდის სიამით მიირთვა ნაყინი ჩაიცა და გაძვალეებული რქებიც.

საუზმის შემდეგ — ავია თუ კარგი — მოგეხსენებათ, რომ პაპიროსი ურიგო რამ არ არის. გიგუცამ ჯერ შარვლის ჯიბეები დაისრისა, მერე გულჯიბეები, მაგრამ...

მაშინ სასწრაფოდ წამოდგა საქმისმწარმოებელი და საკუთარის ხელით მოართვა საწევი მოწყობილება: პაპიროსი და ასანთი.

მოსწია ერთი და დაასლოკინა. მოსწია მეორე და გულში გაიფიქრა: „ნამდვილად „პროლეტარია“.

განაწყენებული თვალი ისევ ქალაქის გარე უბანს დაარჭო.

ნისლოვანს ჰორიზონტზე ყორანთა გუნდი მიფრატუნებს. გიგუცაც მათს ყიალს აედევნა შორს, შორს...

უცნაურია იდეათა ასოციაცია!

უეცრად, თავი ჯავახეთის ერთ-ერთს დაბაში ამოჰყო. თვალ წინ დაეხატა თვისი კომისრობის წარსული... დიდი ხანია მას აქეთ, მაგრამ თითქოს გუშინდელი ამბავი ყოფილიყოს:

ყრუ, ბნელი და ლატაკი მოსახლეობა. ცივი და მშიერი ზამთარი. ორი ფრონტი: ერთი ოსმალთა, მეორე — სომეხთა წინააღმდეგ. უილაჯო ცოდვილობა და უნაყოფო გაწამაწია.

სამაგიეროდ:

იორლა ლურჯა, აფხაზური მათრახი (ცხენისთვის კი არა )და, ჰერი, ბიჭო გიგუცა: ხან აღმა და ხან დაღმა. , განა, მართლაც, აგრე ღარიბია ძველის-ძველი ჯავახეთი?

რა გინდა, სულო და გულო:

ცხვრის დუმა და ჭრელი კალმახი, კარაქი თუ თეთრი თაფლუჯი? ქერისა თუ მსხლის არაყი? მერე?

მერე კიდევ შალვრიანი, ბაჯბაჯა გოგონები, რომელთაც, მართალია, ყველის გუდის სუნი უდისთ... და ურის ფართალივით ნაჩქარევად ნაკეცი ათასიანები, ბევრი, ბევრი, თითქმის უთვალავი...

— უუ... ჰჰ! კაი დრო იყო, კაი!..

წამოიძახა ნაკომისრალმა და, ინსტიქტიურად, ჯიბეზე ხელი წაისვა.

თავისნავე ხმამ გამოარკვია. მიმოიხედა:

კუთხეში ნახუცარა—საქმის-მწარმოებელი წრიპინებს:

— ერთი მითხარი, თუ ღმერთი გრწამს, ეს რა ჯანდაბის კოლოფია:

„Присылая на ваше усмотрение заключение, последовавшее по поводу обеспечения, погибшему во время катастрофического падения, согласно закона о страхованиях, с строительных лесов рабочего, резолюция должна быть приведена в исполнение“...

— რაო, რაო?

ნახუცარა კვლავ კითხულობს, მაგრამ გიგუცას ერთს ყურში შეუდის და მეორეში გაუდის:

— რალაც დიდი ფილოსოფია უნდა იყოს!.. საქმეში! ვერ გაიგეს, რომ ნაციონალიზაციაა?..

ძველ მოძღვარს მისი რჩევა ჭკუაში არ მოსდის: ქალღმერთს „ფრიად სასწრაფო“ აწერია. თვალებს აფახურებს, ხელისგულებში ოფლი ეძალება. ფრჩხილებით ორი წინა კბილი დაუჭერია და მეასედ იმეორებს:

...Катастрофического падения с лесов“...

— ტყიდან რა დოზანამ ჩამოაგდო ი ოჯახდასაქცევი?! გიგუცამ ეხლა მარჯვენა გვერდი იბრუნა. იდაყვი საწერ მაგიდას დააყრდნო, თავი — გაშლილ ხელს და სურს ერთმანეთს გადააბას მოგონებათა ჯაჭვის ნაწყვეტები...

ცხვირმა უეცრად პარფიუმერიის სუნი იცა. მიმოიხედა. ღია სარკმელში მიღეულ მთვარესავით გამოჩნდა მემანქანე — მარუსას ყვითლად შეღებილი თავი...

„ვნებათა მორევს ვით გადურჩები,

როს გიღუტუნებს მარჯნის ტუჩები“...

წყნარად ჩაილიღინა შეღებილმა და ირიბული თვალი შეავლო გარინდებულ გიგუცას.

განგამის მოადს რალაცამ უჩხვლიტა. სკამის ზურგს გადაეყრდნო, ფეხები მაგიდას ქვეშ გასჭიმა, ერთმანეთს გა-

დაჭდობილი ხელები კისერზე შემოიღო და, გაზმორებისას, რაღაც წაიჭყვიტინა, ლობეში გაჩრილ გოჭსავით.

ნამოდვრალმა პორფილემ მორცხვად მილულა ეშმაკური თვალები. ეს კი გაიფიქრა:

„ჰაი, დედასა! ვის კაკალი აქვს და ვის ქვა. ამ გოგოს თვეში რაღაც 39 მანეთი აქვს, კოტი და პომადა კი — „სახმედვაჭრობისოდენა“..

მეზობლის მკვდარი მეზობელს მძინარი ეგონაო, ნათქვამია: აბა რა იცის პატივცემულმა ნახუცარმა, რომ დღათ პატივცემულ ნაკომისრალს ავეტიკასა და ზახარ ზახარიჩის „რიადაგეზე“ ველარ გაუვლია ნახარჯის გამო, \*) ხოლო ჯამაგირის მიღებისას, მისი გვარის პირდაპირ, უწყისში კატის ჭანგებია ხოლმე გამოხატული...

კედლის საათმა რეკვა ასტეხა. გიგუცა თავს აყოლებს და გულში ითვლის: ერთი, ორი, სამი... ჰაამმუუ... თორმეტია!..

— საკვირველია, როგორ გაგრძელდა ეს დღე!

მაგიდაზე მხარ-თედოს წამოწოლილ კალენდარს დახედა. გადაფურცლა, მინაწერებს დააკვირდა: სასწრაფო, ე. ი. ისეთი ხომ არაფერია შიგ ჩანიშნული, რასაც „ფიატის“ დახმარება დასჭირდესო. არაფერი!

ფათურა ხელი ტელეფონის ზონარს გამოსდო, მაშინაღორად ხვეულებს დაუწყო სწორება.

— ეს დასამტვრევი მაინც რა ჯანაბამ დააყრუა?!.

უეცრად მასში ძველმა კომისარმა გაიღვიძა, განკარგულება რომ განკარგულებას მისდევდა ხოლმე კუდში, დაუსრულებლად. კომენდანტს დაუძახა. გასიებული გულის ბუხარი მაზე ამოიყარა:

— ეს რა არის?

ეკითხება კომენდანტს და ტელეფონზე უთითებს.

— ტელეფონი გახლავსო, ბატონო...

— ტელეფონი კი არა, თურქული ყალიონია! დიახ... რამდენჯერ მითქვამს, გაასწორებინე-მეთქი?..

1) საწყალი ზახარ ზახარიჩი სწორედ ასეთებმა გააკოტრეს მცხეთაში.

გულში იაშა საკუთარი მოსწრებული თქმა, მაგრამ უმაღლვე წარბი შეიკრა: ხელქვეითთან ასე უნდა.

— არაფერი ეშველება, ბატონო, მაგის გაცოცხლებას... ახლაც ცენტრალიდან მოვდივარ...

იცრუა კომენდანტმა.

განყ. გამგის მოადგილემ პენსზე გაისწორა. მოკლე თითები პრესპაპიეზე აათამაშა, რაც ნიშანი იყო მეტი-მეტი ნერვიულობისა :

— დიახ!.. თქვენ იქით-აქით აზატად დასეირნობთ, აქ კი... სახელმწიფო საქმეები ოხრდება!.. ციგნ... ხმ... ხმ.. მე თქვენ გიბრ... გთხოვთ, ეხლავე გაასწორებინოთ!

კომენდანტი კუდამოძუებული გავიდა.

გიგუცამ მედიდური თვალი გადაავლო თვისი ადმინისტრაციული ნიჭის ერთად-ერთ მოწმეს — ნახუცარა საქმისმწარმოებელს: როგორიაო?

მერე ადგა. სკამს ფეხი ჰკრა, განზე მიაგდო. გაიარ-გამოიარა. ერთი-ც უნებურად ჩაიღულუნა:

За веселый гул, за кирпичики,

Полюбил я этот завод...

და, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, საქმისმწარმოებლის წინ აეყუდა. პორფილე მიხვდა, რალაც უცნაურად შეხვანხვალდა, როგორც დედალი მამლის ალერსის მოლოდინში. მერე საჩქაროდ ამოიღო შავი ლითონის საპაპიროსე, გახსნა და უსიტყვოდ მიაწოდა. თანაც უიმედოდ ახიწინდა:

— არა, ერთი მითხარით, ხეზე რა კისრისტეხას აკეთებდა ი ოჯახქორი?!

გიგუცამ მადიანად ააბოლა და კვამლის ხვეულებში ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროლა:

— კაცო, რას ჩააცივდი!.. წითელი მელანი და...

ველარ დაასრულა, რადგან საბუხჰალტეროს ოდნავ-ღია კარებიდან მკაფიოდ მოისმა:

— წაიქცა-მეთქი, გეუბნები!

ნახუცარამ ყურები სცქვიტა. მაგრამ ისევ მალე ჩამოჰყარა: საბუხჰალტეროში აღძრული საკითხი „ტყიდან

ჩამოვარდნილს“ როდი ეხებოდა — იქ უფრო საჭირბორო-  
ტო ამბავი ირკვეოდა.

— რაო, რაო? — უპასუხებს მინასას ჩია მოლარე — ახ-  
ლა შენ გინდა დამაჯერო, რომ... შულცი წაიქცა და...  
ისიც ხიდის ჩატეხით?.. სისულელეა, ჩემო კარგო!..

მინასა ცნობილი სპორტსმენია, ფეხბურთელი. მისი გა-  
მტყუნება არც აგრე ადვილია. ორთაყვირით ამოძრავებს  
გარგანტუას ხელებს და ამტკიცებს... „წითელი ნილაბის“  
უპირატესობას. მის გაშლილს მკლავს ქვეშ სევასტი-მო-  
ლარე ისე მოსჩანს, როგორც უღელში კენტად გაჩრილი  
ტაბიკი.

მოლარე თუმცა სპორტსმენი არ არის, მაგრამ ადამია-  
ნურ ვნებათა შორის არც ერთი მას ისე ძალუმად არ აღელ-  
ვებს, როგორც ფიზკულტურა.

სანახაობით რომ ნახევარ ქათამს ჰგავს, სამაგიეროდ,  
ციცქნა სხეულში ისეთი ჭარბი სული უდგას, რომ ერთ  
წუვილს გამოჩენილ მოჭიდავესაც კი შეეხარბებოდა.

უცნაურია განა?

მე კი იგონია, რომ აქ გასაკვირელი არა არის რა:

ამქვეყნად, ყოველს პროფესიას, თუ საქმეს, თავთავი-  
სი „მოყვარული“ ჰყავს.

ასე, მაგალითად, „მონადირეს ხშირად აედევნება ხოლ-  
მე ვინმე უთოფო: ცხენოსანს — ქვეითი; მოჭადრაკეს —  
არამკითხე მრჩეველი და სხვ.

ქონდარა-მოლარეც ამ მოდგმის ხალხს ეკოთვნის.  
ნუროც აქმევ, ნუროც ასმევ — ოღონდ სანახაობას ნუ მო-  
აკლავ: ფეხბურთი, კალათბურთი, გატანია, ჭიდაობა, დო-  
ლი ჭენება.

ერთხელ, როგორ-ღაც ისე მოხდა, რომ ცირკში სა-  
მსაჯულოს წევრად აღარ აირჩიეს, შემთხვევით მოხდა —  
წინასწარ განუზრახველად.

მერე, იცით რა ამბავი დაატრიალა?

ჯერ ხომ მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ფეხ-  
ზე დადგა და კათეგორიული პროტესტი განაცხადა:

აქაო და, ეს ჩვენი პირადი შეურაცხყოფააო.

განსაკუთრებით თავი გამოიდგეს იშკილძახიებმა. ისეთი

ზარი და ზანზარი ასტყდა, რომ ცირკის დირექცია იძულებული გახდა, დეპუტაციით წარსდგომოდა ჩვენს მოლარეს და ებოდიშნა:

— მივქარეთ... გვაპატიეთ... მობრძანდით და თქვენი საპატიო ადგილი დაიკავეთო.  
მაგრამ...

განა სევასტიმ კი თავისი ფასი არ იცის?! იგი არც კი დაიძრა ადგილიდან (ყოველ სანახაობაზე მას „საპატიო“, ე. ი. უფასო ბილეთი აქვს). ორატორივით აღმართა ხელი და, როცა მოზრიალე დარბაზი ოდნავ დაშოშმინდა, დინჯის, მკაფიო კილოთი განუცხადა მის წინაშე თავდახრილ დეპუტაციას:

— არა მსურს!..

მქუხარე ტაშისცემამ დაჰფარა მისი ღირსეული პასუხი.

ჰო და, აბა როგორ შეეძლო ახმახ მინასას, მიუხედავად თავისი სპეცობისა, ასეთი ავტორიტეტის გამკლავება. დიდხანს გაგრძელდა ეს სიტყვიერი ჭიდილი.  
საათმა ორი დაჰკრა.

გიგუცას ეს გასართობიც მოზეზრდა. კვლავ მოქნარება აუტყდა. თავში რალაც აუშიშინდა, მწვავე და ცალიერი. გულის სიღრმიდან ნისლის ხვეულებად დაიძრენ უნიადაგო, ფუქსავატი ნდომანი:

ოჰ, ეს დაუსრულებელი, ნაცრისფერი დღეები!

მოდუნებული ხელი უნებურად მთავარ ბუხპალტერის მაგიდაზე აბოჩინდა, უნებურადვე წააწყდა „სოვეტსკის“ კოლოფს, იქიდან ორი ცალი ამოიღო: ერთი გულჯიბეში ჩაიღო, მეორე პირში გაიჩარა, და წელმოწყვეტილივით დაეყრდნო ფანჯრის გამირს.

ცივსა და გაშიშვლებულ გარემოს პირველი თოვლი ეფინებოდა. მფრინავი თეთრი ვარსკვლავები ქურდულის ფეხაკრეფით ეპარებოდნენ ქალაქის ქაჩალა ქუჩებს, ზევით კი — მძინარა მთაწმინდას — უკვე ნაპენტის ბამბით ავსებოდა ხრიოკი უბეები...

გიგუცამ ნაღვლიანი თვალი მიაპყრო იმ უსასოოთა სავანეს და თავისთვის, უხმოდ ჩაილაპარაკა:

— ეეჰ, ამ ტიალ ქესატობას რა ვუთხრა, თორემ... ეხ-  
ლა ერთი კაი ბუხარი... წითელი ხვანჭკარა და... შიშხინა  
ლორის მწვადები...

მოძალებული ნერწყვის გადაყლაპვა ვერ მოასწრო,  
რომ:

— გიგა-ჯან, დღეს რაღაც საჩვენოში ვერა ხარ... რა  
ამბავია?

გაეხმაურა ფინგანყოფილების გამგე.

გიგუცას თითქოს ძილში ჩაესმაო, უნებურად აღ-  
მოხდა:

— ცხვარს ვეძებ, ალა, ცხვარს!

ფინგამგემ ცხვირს დააცემინა — ერთი, რაც ცუდის ნი-  
შანი იყო. მერე, მომშეულ მოზვერივით, ცხვირშივე გა-  
მოუშვა:

— ააა... მმმ...

ე. ი. „მაგ მხრით იმედი ნურათრისა გაქვს — ჩემი  
ცხვრები კარგა ხანია ძვლამდე არიან დაკრეჭილნიო.

გიგუცამ, რასაკვირველია, კარგად იცოდა, რომ რი-  
ყის ქვას უფრო ადვილად გაადენდა ზეთს, ვიდრე ამ კამ-  
ბეჩოანს რასმე დასცინცლავდა, მაგრამ თან ხალხური  
ბრძნული ანდაზაც როდი ავიწყდებოდა:

ცლა ბედის მონახვერეაო.

ამიტომ თოკი აუთრია და შორიდან მოუარა:

— პაპა-ჯან, ისეთს გუნებაზე ვარ, თითქოს ჭირისპუ-  
რიდან დავბრუნებულიყო...

ფინგამგემ ციფრების კუდს ხელი უშვა, ფანქარი კბი-  
ლებს მიაბჯინა და ცალყბა ღიმილით გაუუჩდა, როგორც  
მოულოდნელს მოგებაში შესული ვაჭარი.

გიგუცას გულში, სადღაც, რაღაც შორეული იმედის  
ოდნავი ნაპერწკალი გაკრთა. განგებ თავი გაისაწყლა,  
მხრები ჩამოჰყარა და ბანგივით შეაპარა:

— არა... განა არ ვიცი, რომ ავანსები აკრძალულია...  
მე მხოლოდ აი... ზედმეტი ნამუშევრისა რომ მერგება...  
რაღაც 67 მანეთია კაჭიკებო... აგერ ორ კვირაზე მეტია...  
მე კი სული კბილით მიჭირავს... აუ, პაპა-ჯან, ეს 67 მანე-  
თი რომ...



ფინგამგემ გროსბუხი მოითრია; უზარმაზარ ყდას ასწია. ერთ ხანს ასე ეჭირა, კაკანათივით დაკაზმული. მერე უეცრადვე ხელი შეუშვა; ყდა ფლატუნით დაემხო და განგამის მოადგილეს შიგ სახეში შეამთქნარა უთვალავ ციფრების ნასუნთქი.

— ხმ... ხმ...

უცნაურად ამოიხროტინა ფინგამმა და ეხლა საპირადო ანგარიშების წიგნი გადაფურცლა.

გიგუცას გონების თვალ-წინ აშკარად გაისრიალა თეთრი ჩერვონცების პატარა გუნდმა. გულისწვეროსთან რაღაც აუფანცქალდა, თბილი და ტკბილადმჩხვლეტავი...

ფინგამმა წვეტიანი ფანქარი გაადევნა სოკოსავით ჩაღიხულ ციფრებს. მერე ერთს დაერჭო და ჩანაგიანივით გაშტერდა.

სანამ გიგუცა ასეთი პოზის საიდუმლოების გამოცნობას მოასწრებდა, ფინგამმა ულმობელი ფანქრის ბოლო მარჯვენა ყურის სწორა აიტანა, გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტისკენ მიაბრუნა და რამდენჯერმე რიტმიულად გააქან-გამოაქანა, თითქოს ბრმა არის და არეს საზრავსო.

გიგუცა მიხვდა.

მიხვდა, მაგრამ იგი გამასწორებელ სახლში უფრო მეტის ხალისითა და გამბედაობით შევიდოდა, ვიდრე იქ სადაც ფინგანის გამგე უჩვენებდა.

ფერდელა ჩერვონცების ისედაც მცირე გუნდი ელვის სისწრაფით გათხელდა, გასდნა და სადღაც — შავნაბადას სერს იქით გადაიკარგა დაუბრუნებლად.

გამგუნებულმა უეცრად ჯიბეში ხელი იტაცა და რგოლზე აცმული კლიტეები ააჩხარუნა. მერე გულჯიბეში საგზლად შენახული პაპიროსი მოსაზრა. ის-იყო, ორი თითი ჩააპარა ამოსაღებად, მაგრამ, ალბად, ფინგამგის პაპიროსებსა და საკუთარ გულჯიბეს შორის არსებული მანძილი უფრო მოკლე ან საიოლო ეჩვენა, რადგან მოწყვეტსწვდა საწერ მაგიდაზე საცთუნებლად პირდაღებულ „მწარას“ და კვლავ ერთი წყვილი დაითრია. დაითრია და ორივეს სათადარიგო საწყობში უკრა თავი.



საათმა სამჯერ დარეკა. ;

ეხლა უკვე დრო იყო, რომ „დარაბები“ ჩამოევლო და დღის სენსაცია გაეგო. დარაბას ტრესტის სხვადასხვა განყოფილებას ეძახდნენ: საცალოს, საბითუმოს, საკონტროლოს, სატარიფოს, საფინანსოს, საკონფლიქტოს, საბრაკოს, საბარგოს და სხვ., რომელთა სახელი თუ სათვალავი, მგონი, თვით გამგეობის თავმჯდომარეებაც კი არ იცოდნენ დაწვრილებით.

როცა „ბირჟის“ (ე. ი. მბეჭდავთა ქალების ოთახი, სადაც ჩვეულებრივად საკომბინაციო და სასენსაციო ელექტენტები იყრიდნენ ხოლმე თავს) სადგომს გაუსწორდა, სარკმელში კვლავ გამოჩნდა მემანქანე-მარუსას თავი:

— Григорий Кацунович! на минутку!..

და ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

გიგუცას ბურუსიან სულში ერთხელ კიდევ იელვა იმედის შუქმა.

„დიდი მსახიობი კი არის ე შეჩვენებული“,

გაივლო მან გულში და „ბირჟის“ კარი შეაღო.

შესვლისთანავე, მის პირდაპირ მორიდებით წამოდგა ჯენტლმენი ვინმე: წელში-ჩამჯდარი, წავიანი ქურქი; ინგლისური ტრიკოს კოსტიუმი და ლაკირონის ფეხსაცმელი: ხელში—სპილოს ძვლიანი ჯოხი და უზადო რუხი ფეტრი. ახლადგაპარსული ლევანტიური სახე, რომელსაც ლითონის სიმუქე დაჰკრავს ოდნავ, როგორც ახლადდაკრეფილს შავ-ქლიავს. შუაგაყოფილი, გალოკილი თმა, ფართო, მაყვალა თვალები და შიგ შემპარავი ღიმილი, —

საერთოდ კი თითქოს ეს არის, ეხლა გამოუღიათ უთოს ქვეშაი.

ჯენტლმენმა თავაზიანი დაბალი სალამი მისცა განგამის მოადგილეს და, სამაგიეროს მოლოდინში, დაჭიმულ თოკივით გაიძაბა.

გიგუცამ, რასაკვირველია, იცის, ვინც არის ან რაც ესაქმება, მაგრამ თავს ისე უჩვენებს, თითქოს პირველად ჰხედავს: ეს, ჯერ კიდევ, კომისრობის დროს შეუსწავლია.

ხოლო უწვრთნელი არც დამხვდური უნდა ყოფილიყო, რადგან მისი მხვრეტავი თვალი ჯერ მარუსას ვიწრო

წარბებს დაერჭო, შემდეგ კი გიგუცას ბუშტუკუნა ცხვირს.

მარუსამ საფლირტო ხელსაწყო მოიშველა და, ვითომ, იბოდიშნა:

— Excuzé le M. Naïtaki! ბ. ტახიძე ცოტა ბეცია...

— ოო...

მოკლედ ამოიგმინა უცხოელმა.

— ააა... ბ. ნაიტაკი...

თითქოს ეხლა მოაგონდაო — ბობოლა მოხელეს გულ-  
მავიწყურის კილოთი წაიბუდუნა გიგუცამ და ერთი მო-  
კლე ნაბიჯი წარსდგა სტუმრისკენ.

ჯენტლმენმა კი, ამასობაში, ორი ნაბიჯის გადადგმა  
მოასწრო და თავის ფუნჩულა ხელში მოამწყვდია განგამ-  
მოადის გამხმარი კვანჩხი.

საკვირველია: ამ მაგრადმოჭერილი ხელიდან უეცრად  
რალაც ნელთბილი გამოსდინდა, გიგუცას სისხლის მილებს  
შეერთო და ელექტროს ნაკადივით დაუარა მთელს ტანში.

ამიტომ, თვალის ერთს დახმამხამებაში, უკვალოდ გაჰ-  
ქრა: უიმედობა, ქესატობა და, მგონი, ახლადდაფენილი  
თოვლიც, რადგან გიგუცას გულში უზარმაზარ ვარდივით  
გაიშალა სადღაც მიჩქმალული ხალისი სიცოცხლისა.

— დიალ, თქვენი წინადადება... — ამბობს განგამის  
მოადგილე და სცდილობს, რაც შეიძლება, უფრო დინჯი,  
საქმიანი იერი მისცეს ნათქვამს — პრინციპიალურად...  
მისაღებადაა მიჩნეული... მხოლოდ, საჭიროა... გამოირ-  
კვეს საქონლის... ერთი სიტყვით, რამდენიმე დეტალი საქ-  
მისა...

ჯენტლმენი კრინტსაც არა სძრავს, მხოლოდ ხელს  
უჭერს უფრო და უფრო. მაგრამ, ეს შემპარავი თვალები  
და, განსაკუთრებით კი, ცხელი ფუნთუშა ხელი, მგონი,  
თვით ციცერონზე უფრო მჭევრმეტყველია.

„საოცარი ხალხია... საოცარი... ეს ევროპიელები“,  
ჰფიქრობს ნაკომისრალი და თვალს ვერ აშორებს „ევრო-  
პიელის“ გაპობილ ნიკაპს.

— სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, —  
მკაფიოდ ამბობს ბრილიანტის ბეჭდებით შერგოლილი ხე-

ლი — რომ დღითი-დღე უფრო და უფრო მტკიცდება სა-  
ქმიანი კავშირი საბჭოთა საქართველოსა და ჩემს ქვეყანას  
შორის...

და განა გიგუცაც ამასვე არა გრძნობს! მაშ, რათ აექავა  
ასე მწარედ მარცხენა ხელი?!

„ევროპიელი“ წავიდა და ოთახში უცხო კოსმეტიკის  
სუნნელება დაანარჩუნა...

— სად გიპოვნია ეს დუმიანი?

— ჯაზბანდზე...

ამპარტავნებით უპასუხებს ყვითელი მარუსა.

ორჭოფულის ღიმილით გადანასკვეს სურვილიანი თვა-  
ლები, მერე ხელები...

— ნამდვილი ანდამანტის ჩარხი ხარ, ჩემო თრითინავ!  
ეუბნება და თავისკენ იზიდავს. ქალი განგებ უძა-  
ლიანდება.

— კიდევ რა?..

— კიდევ... „სიცოცხლის წყარო“, სადაც ბ. ნაიტაკის  
ფიატი მიგვიყვანს!..

საათი 3 ნახევარს რეკავს.

## ისტორიკრიტიკა

### 1. წმინდა ფრანკისკო კლდესა ზედა

თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა.

მე ვსთარგმნი იტალიურ ქრონიკას, სადაც მოთხრობილია რომაელი თავადის მეუღლისა და ფრანგის რაინდის სიყვარულის ამბავი.

ეს იყო მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ 1726 წელს. ამ დროს რომში ადამიანის წარმატებანათესაობაზე იყო დამოკიდებული. არასოდეს პაპის სასახლე არ ყოფილა ესოდენ ბრწყინვალე. მეფობდა ბენედიქტ XIII (ორსინი), ან უკეთ რომ ვსთქვათ, მისი დისწული თავადი კამპობასო მისი სახელით განაგებდა ყველა მის დიდ და პატარა საქმეს. უცხოელები ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ რომში: აქ თავს იყრიდნენ იტალიელი თავადები, ესპანელი დიდებულები, რომელთაც ჯერ კიდევ ბლომათ ჰქონდათ ამერიკაში შეძენილი ოქრო. ყოველ მდიდარ, ქედმაღალ კაცს შეეძლო რომში ეცხოვრა, ისე რომ კანონს არ დამორჩილებოდა. როგორც იტალიელებს ისე უცხოელებს თითქო სხვა საქმე არ ჰქონდათ, გარდა სიყვარულის ქსელის გაბმისა და ფუფუნებაში ცხოვრებისა.

პაპის ძმის წულის გრაფ ორსინის მეუღლე და დის წულის თავად კამპობასოს მეუღლე სარგებლობდნენ მისი უწმინდესობის სიძლიერითა და სასახლის პატივისცემით. მაგრამ სილამაზე აამაღლებდა ამ მანდილოსნებს, თუნდაც ისინი საზოგადოებაში უფრო დაბალ საფეხურზე მდგარიყვნენ. ორსინის მეუღლე მხიარული და გაბედული იყო, კამპობასოს მეუღლე განირჩეოდა სინაზითა და

ღვთის მოსაგობით; მაგრამ ეს ნაზი გული ადვილათ ექვემდებარებოდა ვნებათა ქარიშხალს.

არ ვიტყვი რომ ისინი აშკარა მტრები ყოფილიყვნენ, ყოველდღე ერთმანეთს ხვდებოდნენ პაპის სასახლეში, ხშირათ ერთი მეორესაც ესტუმრებოდნენ, მაგრამ ქიშპობდნენ სილამაზეში, სიმდიდრეში, გავლენაში.

გრავთ ორსინის მეუღლე ნაკლებ ლამაზი იყო, მაგრამ ბრწყინვალე, მოძრავი, დახელოვნებული, თვალთმაქცი; სატრფოები ჰყავდა, მაგრამ თავს არ იწუხებდა მათთვის, ისინი თითო დღეს მეფობდნენ მორიგეობით. ბედნიერებას მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როცა ორასიოდე სტუმარს შეჰკრებდა დარბაზში და მათ შორის გამოჩნდებოდა დედოფლის მსგავსათ. ბევრს დასცინოდა თავის რძალს, თავადი კამპობასოს მეუღლეს, რომელიც გულმოდგინეთ სამი წლის განმავლობაში ყოველგან ერთს ესპანელ დუკას ატარებდა თან და ბოლოს ერთს მშვენიერს დღეს მას უბრძანა რომი დაეტოვებინა ოცდაოთხს საათში თუ სურდა, რომ სიცოცხლე შეენარჩუნებია.

— ამ დიდი შემთხვევის შემდეგ ჩემს კეთილშობილს დას აღარ გაუცინიაო, ამბობდა ორსინის მეუღლე. აი უკვე რამდენიმე თვეა, რაც ეს უბედური ქალი დნება ჩვენ თვალწინ მოწყენილობისა თუ სიყვარულის გამო, ხოლო მისი ქმარი იმდენათ თვალთმაქცია, რომ მის უწმინდესობას არწმუნებს, ეს ყოველივე უაღრესი სათნოებისა და ღვთის მოსაგობის შედეგიაო. მაგრამ ჩქარა ეს სათნოება ამ მანდილოსანს ესპანიაში გაჰგზავნის სალოცავათ.

კამპობასოს მეუღლეს სრულიადაც არ ენატრებოდა ესპანელი რაინდი, რომელმაც მას საშინლათ თავი მოაწყინა თავისი ბატონობის დროს. რომ მონატრებოდა უმაღლესე უკან მოიხმობდა, მიტომ რომ გულწრფელი და პირდაპირი ხასიათის ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც არ მალავენ არც გულგრილობასა და არც ვნებათა ღელვას; ასეთი ქალები ხშირათ გვხვდებიან რომში. ის ღრმათ მორწმუნე იყო, თუმცა ოცდასამი წლისა ძლივს იქნებოდა, მისი მშვენიერება სავსებით გაშლილი იყო. ის ხანდახან ფერხთ უვარდებოდა თავის ბიძას და ემუდარებოდა ლო-

ცვა-კურთხევა მიენიჭებია მისთვის. (შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ პაპის კურთხევა ცოდვათა განტევებას ანიჭებს თვით აღსარების უთქმელადაც, გარდა ორი სამი უსაშინელესი ცოდვისა). ლმობიერი ბენედიქტ XIII ცრემლებს აფრქვევდა გულაჩუყებული.

— წამოდექ, ძვირფასო რძალო, შენ ჩემი ლოცვა-კურთხევა როდი გჭირდება, ჩემზე მეტად ღირსი ხარ ღვთის მოწყალებისა.

ამ შემთხვევაში მისი უწმინდესობა, თავისი უცოდვილობის მიუხედავად, სცდებოდა ისევე როგორც მთელი რომი. ბალბინე კამპობასო დაბნედილი იყო სიყვარულით, მისი მიჯნური თანაუგრძნობდა მას, მაგრამ ქალი მაინც დიდათ უბედური იყო. უკვე რამდენიმე თვე ის ყოველდღე ძალუღლათ ხვდებოდა კავალერ სენესეს, ლუი მეთხუთმეტის ელჩის დუკა სენტ-ენიანის დისწულს.

ახალგაზრდა სენესე იყო შვილი ფილიპე ორლენელის ერთი სატროფო ქალისა; მას იმ თავითვე ბედი სწყალობდა. უკვე დიდათ დაჯილდოებული იყო როგორც სამხედრო აირი, აუტმა ჯერ კიდევ არ მიეღწია ოცდაორ წლისთვის, მას ბედნიერი აშიკის ჩვეულებები ჰქონდა, მაგრამ გულწვიალობას როდი იჩენდა. ყველგან და ყველაფერში მხარულებას და გართობას ეძებდა, თავქარიანი, მამაცი და გულკეთილი იყო; მის საჭებრათ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ის სრულქმნილი ნიმუში იყო გარკვეული კეთილშობილი ჯიშისა. ამ მამაკაცმა პირველ წთუშივე სავსებით მოხიბლა ბალბინე კამპობასო.

— მე თქვენ არ გენდობით, უთხრა ქალმა რაინდს: თქვენ ხომ ფრანგი ხართ. მაგრამ გაფრთხილებთ, რა დღესაც რომში გაიგებენ რომ თქვენ ფარულათ გვხდებით და ჩემთვის ცხადი გახდება, რომ ეს თქვენი ნათქვამია, მე თქვენ შეგიძლებთ.

თავადის მეუღლე ჯერ ეთამაშებოდა სიყვარულს, მაგრამ ჩქარა ის გაშმაგებულმა გულისთქმამ გაიტაცა. სენესესაც უყვარდა, მაგრამ მათი სიყვარული უკვე რვა თვე გრძელდებოდა, დრო კი იტალიელი ქალის ვნებას აღვივებს, ხოლო ფრანგის გრძნობას ჰკლავს. დაკმაყოფილე-

ბული თავმოყვარეობა რამდენადმე ანუგეშებდა გულმომ-  
სუყებულ რაინდს, მან პარიზში უკვე თავად კამპობასოს  
მეუღლის ორი თუ სამი სურათი გაჭკნა; მაგრამ რადგან  
ის აკვანშივე უხვათ დაჯილდოებული იყო ბედნიერებითა  
და ღირსებით, უზრუნველობას იჩენდა თვით თავმოყვა-  
რეობის დაკმაყოფილებაში.

სენესეს სრულიად არ ესმოდა თავისი სატრფოს ხასია-  
თი, ამიტომ ხშირათ ართობდა მისი ახირებული თვისე-  
ბები. ხშირათ, ძალიან ხშირათ, მაგალითათ წმინდა ბალ-  
ბინეს დღეს რაინდს უხდებოდა ქალის აღგზნებული და  
წმინდა სარწმუნოებრივი სინიდისის დაშოშმინება. სენესემ  
მას ვერ დაავიწყა რელიგია; რაინდი ქალს სძლევდა ცოც-  
ხალი ძალით, მაგრამ ბრძოლა ხშირათ ახლდებოდა.

ეს პირველი დაბრკოლება იყო, რომელიც ცხოვრებაში  
შეხვდა ბედის მიერ უხვათ დაჯილდოებულ ყმაწვილ კაცს  
და ის თავის თავს ვალდებულათ სთვლიდა ნაზი და ყუ-  
რადღებიანი ყოფილიყო თავად კამპობასოს მეუღლის მი-  
პართ. სენესეს რომში მხოლოდ ერთად ერთი სანდო პირი  
ჰყავდა, საფრანგეთის ელჩი, დუკა სენტენიანი; მას სამ-  
სახურსაც უწევდა თავისი სატრფოს შემწეობით, რომელ-  
მაც ყველაფერი იცოდა; ამ გარემოებამ ელჩის თვალში  
ფასი შეჰმატა ახალგაზრდა კავალერს, ეს კი ამ უკანას-  
კნელის თავმოყვარეობას დიდათ აკმაყოფილებდა. ბალ-  
ბინე კამპობასო ამ მხრივ სრულიად განსხვავდებოდა. ბალ-  
სესაგან, ის ოდნავათაც ყურადღებას არ აქცევდა თავისი  
მიჯნურის საზოგადოებრივ მდგომარეობას; მისთვის შე-  
ყვარება და შეძლება ყველაფერი იყო. „მე ამ კაცს მსხვერ-  
პლათ ვსწირავ ჩემს საუკუნო ცხოვრებას“, ამბობდა თავის  
გულში ქალი: „ის კი ფრანგია და მწვალებელი; განა მას  
შეუძლია სამაგიერო მომიზნოს?“ მაგრამ გაჩნდებოდა სე-  
ნესე და მისი ძალდაუტანებელი, საუცხოვო მხიარულება  
აკვირებდა ბალბინე კამპობასოს და აღტაცებას იწვევდა  
მის სულში. მის დანახვისთანავე დამზადებული სიტყვე-  
ბი ჰქრებოდნენ, ბნელი აზრები იფანტებოდნენ. ასეთი  
მდგომარეობა, ესოდენ უჩვეულო ამ ამაყი სულისთვის,

გრძელდებოდა სენესეს წასვლის შემდეგაც. ბოლოს ქალმა უცებ დაინახა, რომ არ შეეძლო არც ფიქრი, არც ცხოვრება ვაჟის მოშორებით.

რომაელები, რომელნიც ორი საუკუნის განმავლობაში ყველაფერში ესპანელებს ჰბაძავდნენ, ბოლოს ნელნელა ხელახლად ფრანგებისკენ იხრებოდნენ. თანდათან შეიგნეს ამ ერის ხასიათი, რომელსაც ყველგან ბედნიერების დიმილი მიაქვს, სადაც კი შეიჭრება. ეს ხასიათი მაშინ მხოლოდ საფრანგეთში გვხვდებოდა, 1789 წლის რევოლუციის შემდეგ კი აღარსათ აღარ გვხვდება. ეს იმით აიხსნება, რომ შეუშფოთებელ მხიარულებას უზრუნველობა სჭირია, საფრანგეთში კი აღარავისთვის არ არსებობს მტკიცე სარბიელი, თვით გენიოსისთვისაც, თუ კი ის მართლაც დაიბადა. გამოცხადებულია ომი იმ კლასსა, რომელსაც სენესე ეკუთვნოდა და ერის დანარჩენ ნაწილს შორის.

ბალბინე კამპობასომ პირველათ კავალერ სენესეს გულისთვის დაჰკარგა კეთილგონიერება და თავს ხან ზეცაზე გრძნობდა, ხან საშინელი უბედურების უფსკრულში. რაკი სენესე ამ თავდაჭერილ და გულწრფელ ხასიათში ერთხელ დასძლია სარწმუნოებრივი გრძნობა, რომელიც ამ ქალისთვის გონებაზე უფრო ძვირფასი იყო, სიყვარული შეუჩერებელი სიჩქარით გაიშალა და ვნების სიგიჟეში გადავიდა.

თავად კამპობასოს მეუღლე ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა მის ყოვლად უსამღვდელოესობას ფერატერას; თავისი მზრუნველობით ხელი შეუწყო მის კეთილდღეობას და წარმატებას. და წარმოიდგინეთ რა უნდა მოსვლოდა ამ ქალს, როცა ფერატერამ აცნობა, რომ კავალერი სენესე ჩვეულებრივზე უფრო ხშირათ დადიოდა გრაფ ორსინის მეუღლესთან და ამ უკანასკნელმა მისი გულისთვის გააძევა სახელოვანი საჭურისი, რომელიც მისი მიჯნურის ხარისს ატარებდა რამდენიმე კვირის განმავლობაში!

ჩვენი მატეანე იმ საღამოდან იწყება, როცა ბალბინე კამპობასომ ეს საბედისწერო ცნობა მიიღო.



ქალი უმოძრაოთ იჯდა მოვარაყულ ტყავის დიდს სა-  
ვარძელში. მის გვერდით შავი მარმალლოს პატარა მა-  
გიდაზე ორი დიდი მალაღფეხიანი ვერცხლის ლამპა იდგა,  
სახელოვანი ბენვენუტო ჩელინის ქმნილებანი, რომელნიც  
ანათებდნენ ან, უკეთ ვსთქვათ, კიდევ უფრო ცხადპყოფ-  
დნენ სასახლის ქვედა სართულში მოთავსებული დარბაზის  
სიბნელეს; კედლები შემკული იყო სურათებით, რომელ-  
თაც მკრთალი ფერი გადაჰკროდათ ჟამთა ვითარების გა-  
მო, მიტომ რომ ამ დროს დიდი მხატვრების მეფობა უკვე  
შორეულ წარსულათ ითვლებოდა.

თავადის მეუღლის პირისპირ, თითქმის მის ფერხთა  
ქვეშ, შავი ხის დაბალ სკამზე, რომელსაც გვერდებზე მძი-  
მე ოქროს სამკაულები ჰქონდა, მოხდენილათ იჯდა კა-  
ვალერი სენესე. ქალი მას უცქეროდა იმ წუთიდან, როცა  
ის ამ დარბაზში შემოვიდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს  
მისთვის და როგორც ეტყობოდა სრულიადაც არ ჰფიქ-  
რობდა მას გადაჰხვევოდა.

1726 წელს პარიზი უკვე გემოვნებისა და გარეგნული  
სილაზათის მსოფლიო სატახტო ქალაქი იყო. სენესე იქი-  
დან იწერდა თავისი შიკრიკების შემწეობით ყველაფერს,  
რაც საჭირო იყო ულამაზესი ფრანგის გარეგნობის გამო-  
საჩენათ. თუმცა ამ ყმაწვილს მტკიცე თვითრწმენა ჰქონდა,  
მიტომ რომ თავისი ბიძის, ცნობილი აშვიკის კანილიაკის  
ხელმძღვანელობით, უკვე პარიზში რამდენიმე გამარჯვება  
მოიპოვა სასახლის მშვენიერ მანდილოსნებს შორის, მაგ-  
რამ ამ წუთში სახეზე მაინც ცოტა არ იყოს შეშფოთება  
ეტყობოდა. ბალბინე კამპობასოს საუცხოვო ოქროსფერი  
თმა ოდნავ გაწეწილი იყო; მისი დიდი ცისფერი თვალები  
ვაჟს უცქეროდნენ; მათი გამომეტყველება ძნელი გამოსა-  
ცნობი იყო. რა იყო ეს — შურისძიება და სიძულვილი თუ  
უძირო სიღრმე ვნებიანი სიყვარულისა?

— მაშასადამე თქვენ აღარ გიყვარვართ? — წარმოს-  
თქვა ქალმა ბოლოს მთრთოლარე ხმით.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა ამ ომის გამოცხადე-  
ბის შემდეგ.

ქალს ძვირათ უჯდებოდა სენესეს დაკარგვა, ყმაწვილი კაციც მზად იყო ათასი გიჟური სიტყვა ეთქვა, ოღონდ თავიდან აეცილებინა მძიმე სცენა; მაგრამ თავად კამპობასოს მეუღლე მეტათ ამაყი იყო, რომ სამერმისოთ გადაედო ახსნა-განმარტება. კეკლუცი ქალისთვის ეჭვიანობა თავმოყვარეობის საქმეა, საზოგადოების ქალისთვის ჩვეულებისა; ხოლო ქალი, რომელსაც ვინმე ვნებიანათ და გულწრფელათ უყვარს მეშურნეობას განიცდის თავის უფლებების შეგნების გამო. ასეთი მძაფრი გულისთქმა, რომელიც ადვილად ჩნდება რომის ნიადაგზე, ერთგვარათ ართობდა კიდევ სენესეს; ფრანგი რაინდი მასში გრძნობდა უცნობი სიღრმის მომხიბვლელობას, აქ სული თითქო უკანასკნელ გატიტვლებას განიცდიდა. გრაფ ორსინის მეუღლეს სრულიად არ ჰქონდა ეს თავისებურება.

მაგრამ ამ შემთხვევაში დუმილი დიდხანს გაგრძელდა და ახალგაზრდა ფრანგმა, რომელიც დახელოვნებული არ იყო იტალიელი ქალის გულში დაფარული გრძნობათა განსჭვრეტაში, ჩქარა დაიბრუნა გულგრილობა და გონიერება. ამ წუთში ის ნაწყენიც იყო: ის ამ დაბალ დარბაზში შემოვიდა მიწის ქვეშ გაყვანილი ტალანით და მის საუცხოვო ახალ-ახალ ტანისამოსს, რომელიც წინადლით პარიზიდან მიიღო, ობობას ქსელი მოედო. ამ გარემოებამ სენესე ცუდს გუნებაზე დააყენა, ამას გარდა მას ეზიზღებოდა ობობები.

სენესემ გაიფიქრა, რომ ქალი დამშვიდდა, მას უნდოდა საყვედურის თავიდან აცილება, უმძიმდა პასუხის გაცემა, მაგრამ თავს უხერხულათ გრძნობდა და ამის გამო სერიოზულად იყო განწყობილი.

„უმჯობესი არ არის ამ შემთხვევით ვისარგებლო, რომ სიმართლე გაუმჟღავნო? მან კითხვა მომცა, ეს მოსაწყენი საუბარი სანახევროთ გათავებულია. როგორც სჩანს მე არ ვარ გაჩენილი სიყვარულისთვის... მე არასოდეს არაფერი მინახავს ასეთი მშვენიერი, როგორც ეს ქალია თავისი უცნაური თვალებით... ეს კია, რომ მას ცუდი თვისებები აქვს: მაიძულებს აქ მოსასვლელად რაღაც საზიზღარი

ხვრელები გამოვიარო; მაგრამ ის იმ ხელმწიფის რძალია, რომელთანაც ჩემმა მეფემ გამოგზავნა. კიდევ მეტი: ის ქერაა, ამ ქვეყანაში კი ყოველ ქალს შავი თმა აქვს. ეს საუცხოვო თავისებურობაა. ყოველ დღე მესმის, როგორ შესხმას უძღვნიან მის სილამაზეს ადამიანები, რომელნიც სანდონი არიან გემოვნების მხრივ: მათ არც კი იციან, რომ მე ვარ ამ მშვენიერების ბედნიერი მფლობელი. რაც შეეხება ხელმწიფებას, რომელიც მამაკაცს უნდა ჰქონდეს თავისი საყვარელი ქალის მიმართ, მე სრულიად დამშვიდებული ვარ ამ მხრივ. საკმაო ერთი სიტყვის თქმა და ის მიატოვებს ამ სასახლეს, ამ ოქროს ავეჯეულობას, დაივიწყებს ბიძის მეუფებას, თან გამოყვება საფრანგეთში, მივარდნილ პროვინციაში და ჩემს მამულში იცხოვრებს უფერულად... უნდა გამოვტყდე რომ ასეთი დასასრული სრულიადაც სახარბიელოთ არ მიმაჩნია. ორსინის მეუღლე ნაკლებ ლამაზია, ის ცოტათი უფრო მეტათ მათვასებს, ვიდრე იმ საჭურისს, რომელიც გუშინ გავაძევებინე. მაგრამ მან იცის ცხოვრება: მასთან შეიძლება ეტლით მისვლა. და დარწმუნებული ვარ, არასოდეს სცენას არ გამიმართავს, არც ისე ძლიერ ვუყვარვარ“.

ამ ხანგრძლივი დუმის დროს ქალის თვალები არ ძოწორებიან ყმაწვილი კაცის სახეს.

„მე მას კვლავ ველარ ვიხილავ“, გაიფიქრა ქალმა გულში. უცებ წამოდგა, ვაჟს გადაეხვია, დაუკოცნა თვალები და სახე, რომელიც ახლა აღარ ინთებოდა ბედნიერების აღმუროთ.

კავალერი სენესე თავის თავისვე პატივსცემას დაჰკარგავდა, რომ მაშინვე ყოველივე არ დავისწყოდა, რაც ეს იყო დაწორების შესახებ იფიქრა; მაგრამ ქალი იმდენათ აღელვებული იყო, რომ თავის მეშურნეობას ვერ დაივიწყებდა.

ერთი წუთის შემდეგ სენესემ გაკვირვებით შეხედა მას: სიბრაზის ცრემლები ღაბა-ღუბით სცვივოდნენ მის ლოყებზე.— „ეს როგორ მოხდა! — ბუტბუტებდა ქალი: — მე თავი დავიმდაბლე იმდენათ რომ მას ღალატზე ველაპარა-

კები, საყვედურს ვეუბნები, თუმცა თავის თავს შევფიცე, რომ არასოდეს არაფერს ვაგრძნობინებ მეტქი! ეს სიმდაბლევ არ ვიკმარე! თავი ვერ შევიკავე და გულის თქმას დავნებდი! ეჰ, უმსგავსო, სულმდაბალო დედაკაცო!.. არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს.“

ცრემლები მოიწმინდა და თითქო დამშვიდდა. „კავალერო, უნდა გავათავოთ“, — სთქვა მან წყნარათ: — „თქვენ ხშირათ გხედავენ გრაფის მეუღლესთან“... ქალი საშინლად გაფითრდა. — „თუ შენ ის გიყვარს, იარე ყოველდღე, მაგრამ აქ აღარ დაბრუნდე არასოდეს“... ის შეჩერდა თითქო თავისდაუნებურათ. ის ელოდა, რომ სენესე იტყოდა რასმე. შემდეგ განაგრძო ოდნავ შესამჩნევი თრთოლითა და ყრუ ხმით: „ეს სიკვდილის განაჩენი იქნება ჩემთვის და თქვენთვის“.

ამ მუქარამ იმოქმედა კავალერის მერყევ სულზე; ის გაკვირვებული იყო სინაზისა და გულისწყრომის ცვალებადობით. მან გაიცინა. ქალის ტუჩები უცებ საშიშმა სიწითლემ დაჰფარა. „სიბრაზე სულს შეუხუთავს“ — გაიფიქრა სენესემ: „ახლავე დამბლა დაეცემა“. ის ქალს მივარდა, უნდოდა, ტანისამოსი შეეხსნა; ქალმა ხელი ჰკრა მოულოდნელი სიძლიერით. სენესემ შეამჩნია რომ ის თითქო რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. ოდნავ უკან დაიხია: ეს ზედმეტი იყო, მიტომ რომ ქალი მას ვერც კი ამჩნევდა. ის ლაპარაკობდა წყნარი და მიმქრალი ხმით: „ის შეურაცყოფას მაყენებს, ამითვალისწინა, უეჭველია რომ ორსინის უამბობს, რა რიგ დავიმცირე თავი მის წინაშე... მე კი თავის თავის რწმენა არ მაქვს: არ შემიძლია დაბეჯითებით ვსთქვა, რომ თავს შევიკავე ამ მომხიბლავი სახის დანახვაზე“... ხელახლა დუმილი ჩამოვარდა, რომელიც მეტად უცნაურათ ეჩვენა კავალერს. ბოლოს თავადის მეუღლე ადგა და კიდევ უფრო ყრუ ხმით გაიმეორა: „ეს უნდა გათავდეს“. სენესემ, რომელსაც მოხვევნამ სერიოზული ახსნა-განმარტება დაავიწყა, ხუმრობა დაიწყო რომის საზოგადოების უკანასკნელ კორებზე.

— მარტო დამტოვეთ, კავალერო, — ლაპარაკი შეაწყვეტინა თავადის მეუღლემ: — მე ძლიერ ცუდათ ვგრძნობ თავს...

„ეს ქალი მოწყენილია, — გაიფიქრა სეხესემ: — ხოლო არაფერია ისე გადამდები, როგორც მოწყენილობა“. თავადის მეუღლემ ის თვალებით გააცილა ღარბაზის ბოლომდე.

— მე მინდოდა ჩემი ბედი ამ თავქარიანი ადამიანისთვის მიმენდო, ჩაილაპარაკა ქალმა მწარე ღიწილით. საბედნიეროდ მისმა უადგილო ხუმრობამ გაშოშაფხიზლა. რამდენი სისულელეა ამ მამაკაცში. საკვირველია, როგორ მიყვარდა ეს არსება, რომელსაც ასე ნაკლებ ესმის ჩემი? მას სურს ჩემი გართობა გონებაშევიღობით, როცა საქმე მისსა და ჩემს სიცოცხლეს ეხება. აი, რა საბედისწერო და ბნელ მდგომარეობაში ჩავვარდი. აი სად იწყება ჩემი უბედურება. — ქალი სავარძლიდან წამოდგა საშინლად გაბრაზებული. — უცებ მისმა ფიქრებმა სხვა მიმართულება მიიღეს: — რა რიგ მშვენიერი იყო მისი თვალები, როცა ის იღიმებოდა!.. უნდა მართალი ვთქვა, რაინდის განზრახვა სრულიადაც არ იყო დასაძრახისი: მან გაიცნო ჩემი უბედური ხასიათი, უნდოდა ჩემთვის დაევიწყებია ის მწუხარება, რომელიც ასე მალეღვებდა და არ მოისურვა მიზეზის გაგება. ეჰ, ჩემო ძვირფასო, განა მე ვიცნობდი ბედნიერებას სანამ შენ შეგიყვარე?

ქალმა აღტაცებით მოიგონა თავისი სატრფოს ღირსებანი. ნელნელა გრაფ ორსინის მეუღლის მშვენიერება წარმოუდგა თვალწინ. მისმა სულმა ხელახლა ყოველივე თალხ ფერში დაინახა. მისი გული უმძაფრესი მეშურნეობის ტანჯვამ მოიცვა. მართლაც საბედისწერო წინათგრძნობა აღელვებდა უკანასკნელ ორ თვეში. ის შეღავათს გრძნობდა მხოლოდ იმ წუთებში, როცა შასთან სენესე იყო, მაგრამ მაშინაც კი გული სტკიოდა.

ქალმა საშინელი საღამო გაატარა. მწუხარებამ არაქათი გამოაცალა და თითქო დააწყნარა კიდევ; გადასწყვიტა რომ საჭირო იყო სენესესთან მოლაპარაკება: „მან ხომ გაბრაზებული მნახა, მაგრამ არ იცის რას ვუ-

ჩივი. შეიძლება ორსინისას მხოლოდ იმიტომ დადის, რომ როგორც მოგზაურს სურს გაიცნოს იმ ქვეყნის საზოგადოება, სადაც იმყოფება, განსაკუთრებით ხელმწიფის ოჯახი. შეიძლება თუ კავალერ სენესეს მე წარმომიდგენენ, თუ ის აშკარათ ივლის ჩემს სასახლეში, აქაც მთელ საათებს გაატარებს ისევე როგორც დღეს ორსინისას ატარებს“!.. „არა!“ წამოიძახა მან გულისწყრომით: „მე მხოლოდ სულმდაბლობას ჩავიდენ თუ მას მოველაპარაკე: მივალწევ მხოლოდ იმას, რომ სრულიად შევეზიზღები. კაცმა მართალი რომ სთქვას, ორსინის დაუდგომელი ხასიათი, რომელსაც ხშირად ასეთი ზიზღით ვკიცხავდი, უფრო სასიამოვნოა ვიდრე ჩემი, განსაკუთრებით ფრანგის თვალში. მე შექმნილი ვარ იმისთვის, რომ მოწყენილად ვიცხოვრო ესპანელთან. რა არის მუდმივ პირქუშობაზე მეტად სულელური, თითქო ცხოვრება თავის თავათ საკმაო პირქუში არ იყოს!... რა მეშველება თუ ჩემი რაინდი დავკარგე, რომელმაც სიცოცხლის ძალა შემმატა და გულში ცეცხლი გამიღვივა, რომელიც ბუნებით მაკლდა.

\* \* \*

ბალბინე კამპობასომ აკრძალა სტუმრების მიღება: მაგრამ ეს ბრძანება არ ეხებოდა ბატონ ფერატერას, რომელიც მასთან მოვიდა ანგარიშის ჩასაბარებლად იმის შესახებ თუ რა ხდებოდა ორსინისას დილის პირველ საათამდე. მისი უსამღვდელოესობა კეთილსინდისიერათ ემსახურებოდა თავადის შიშოლოეს სიყვარულის საქმეებში; მაგრამ წუხანდელი ღამის შემდეგ ის დარწმუნებული იყო, რომ სეხესე დაუახლოვდებოდა გრაფ ორსინის მეუღლეს, თუ დაახლოებული არ იყო კიდევ...

„ღვთის მლოცველი ქალი უფრო გამომადგება, ფიქრობდა ის, ვიდრე საზოგადოების ქალი. ეს უკანასკნელი ყოველთვის თავის საყვარელს მისცემს უპირატესობას, ხოლო თუ ეს საყვარელი ერთ მშვენიერ დღეს რომელი ალმოჩნდა, მას შეიძლება ისეთი ბიძა ეყოლოს, რომელიც

კარდინალობას მოინდომებს. თუ მე თავადის მეუღლე მოვაქციე, ის უწინარეს ყოვლისა თავისი მოძღვარისთვის იზრუნებს. მას ისეთი მგზნებარე ხასიათი აქვს რომ ყველაფერს გამიკეთებს თავის ბიძასთან“ და პატივმოყვარე პრელატი სასიამოვნო მომავლის წარმოდგენაში იფლებოდა; ის ხედავდა თავადის მეუღლეს, რომელიც თავისი ბიძის წინაშე იჩოქებს, რათა მისთვის საკარდინალო ქუდი გამოითხოვოს. პაპიც მეტათ კმაყოფილი იქნებოდა მისი საქციელისა. იმ წუთშივე როგორც კი თავადის მეუღლეს მოაქცევს, ის ბენედიქტ XIII უტყუარი საბუთებით დაუმტკიცებს, რომ მას ახალგაზრდა სენესე უყვარდა. პაპი, როგორც სათნო, გულწრფელი და ფრანგების მოძულე ადამიანი მუდმივ მადლიერი დარჩება დამბეზლებელისა, რომელმაც დაარღვია სიყვარულის კავშირი, ესოდენ არასასიამოვნო მისი უწმინდესობისთვის. — ფერატერა ეკუთვნოდა ფერარის უმაღლეს არისტოკრატias, დიდი შეძლება ჰქონდა და ორმოცდაათს წელს გადაცილებული იყო... ის აღფრთოვანებული იყო საკარდინალო ქუდის სიახლოვით და პირდაპირ სასწაულებს ახდენდა.

მკითხველს მოსაწყენათ ეჩვენებოდა საუბარი ახალგაზრდა მანდილოსნისა, რომელიც გაგიჟებული იყო სიყვარულითა და მეშურნეობით. პატივმოყვარე პრელატთან. ფერატერამ ქალს გულახდილათ და დაწვრილებით გააცნო სამწუხარო სინამდვილე. ასეთი შემაშფოთებელი დასაწყისის შემდეგ მას აღარ გასძნელებელია იმ სარწმუნოებრივი გრძნობისა და ვნებიანი ღვთის მოსაგობის გაღვიძება, რომელიც ახალგაზრდა რომაელი ქალის გულში სთვლემდა; მას მართლაც წრფელი რწმენა ჰქონდა.

„ყოველი ბიწიერი გულისთქმა უბედურობითა და გაწბილებით უნდა დამთავრდეს“, ეუბნებოდა ქალს პრელატი.

უკვე კარგა ხანია გათენებული იყო, როცა ის კამპობასოს სასახლიდან გამოვიდა. მან ახლად მოქცეულს აღთქმა დაადებინა რომ ამ დღეს აღარ მიიღებდა სენესეს. ეს აღთქმა ძვირათ არ დაჯდომია თავადის მეუღლეს: ის თავის თავს ღვთისმოსავათ სთვლიდა, ნამდვილათ კი ეში-

ნოდა, რომ თავისი სისუსტით რაინდის ზიზღი არ გამოეწვია.

ეს გადაწყვეტილება მტკიცეთ სრულდებოდა ოთხ საათამდე; სენესე ჩვეულებრივ ამ დროს მოდიოდა: მან გაისეირნა ქუჩაში, კამპობასოს კოშკის უკან, დაინახა ნიშანი, რომელიც აუწყებდა რომ შეხვედრა შეუძლებელიაო და სრულიათ კმაყოფილი გაემგზავრა გრაფ ორსინის მეუღლესთან.

ბალბინე კამპობასომ იგრძნო რომ ის თითქო გიჟდებოდა. უცნაური აზრები და გადაწყვეტილებანი ერთმანეთს სცვლიდნენ თავბრუდამხვევი სიჩქარით. უცებ ის სასახლის დიდ კიბეზე დაეშვა მთვარეულივით, ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს შესძახა: „ორსინის სასახლე!“

აუტანელი ტანჯვა მისდაუნებურათ მოქიშპე ქალისკენ მიაქანებდა. მან ის ნახა მისაღებ დარბაზში, სადაც ორმოცდაათამდე სტუმარს მოეყარა თავი. გამოჩენილი რომაელები. ცოდნისა და ხელისუფლების ადამიანები, რომელთაც დახშული ჰქონდათ კამპობასოს სასახლის კარი, თავს იყრიდნენ ორსინის სასახლეში. თავადის მეუღლის მოსვლამ იიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ყველანი მოწიწებით ფეხზე წამოდგნენ; მან ეს ხალხი ყურადღების ღირსათაც არ გახადა, ის მხოლოდ თავის მოქიშპეს უცქეროდა, თითქო აღტაცებული და მოჯადოებული იყო. მისი რძლის თვითეული მშვენიერი ნაკვთი მახვილივით სერავდა მის გულს. პირველი ქათინაურების შემდეგ, ორსინის მეუღლემ იგრძნო, რომ ის დაფიქრებული და ნაღვლიანი იყო, სტუმრებს მიუბრუნდა და განაგრძო თავისი ბრწყინვალე და ძალდაუტანებელი საუბარი.

„რამდენათ უფრო შეეფერება მისი მხიარულება კავალერ სენესეს ვიდრე ჩემი შმაგი და მოსაწყენი ვნებათა ღელვა!“ ფიქრობდა კამპობასო.

რადაც შეუცნობელი თაყვანისცემისა და სიძულვილის გრძნობით გატაცებული ის ყელზე მოეხვია გრაფის მეუღლეს. ის მხოლოდ მის მომხიბლავ სხეულს ხედავდა, რომელიც შორიდანაც და ახლოდანაც ერთნაირათ სათაყვანებლათ მიაჩნდა. ის ადარებდა თავის საკუთარს თმას,



თვალეხს, კანისფერს მის თმასა, თვალეხსა, კანისფერს. ამ უცნაურმა გამოცდამ თავისი თავი შეაზიზლა. ეჩვენა რომ ყველაფერში მისი მეტოქე სჯობნიდა.

ამ მოძრავ და აჩოჩოლებულ ბრბოში უმოძრაო და პირქუში ბალბინე კამპობასო ბაზალტის ქანდაკებას ჰგავდა. სტუმრები შემოდინდნენ და გადიოდნენ; ეს ხმაურობა აწუხებდა და შეურაცხყოფდა მას. მაგრამ ძნელი სათქმელია, რა მოუვიდოდა, როცა მოულოდნელათ მსახურმა ბატონ სენესეს მოსვლა აუწყა. მათი კავშირის დაწყების დღიდანვე შეთანხმებული იყვნენ, რომ სენესე იშვიათად დაელაპარაკებოდა საზოგადოებაში და თავდაჭერილი იქნებოდა, როგორც ეს უცხოელ დიპლომატს შეეფერება. რომელიც თვეში ორჯერ თუ სამჯერ ხვდება ხელმწიფის უახლოეს ნათესავ ქალს.

სენესე მას მიესალმა ჩვეულებრივი მოწიწებით; შემდეგ ის მიუბრუნდა გრაფი ორსინის მეუღლეს და საუბარი გააბა მხიარული, თითქმის მეგობრული ტონით, რომელიც მყარდება ჭკვიან ქალებთან, როცა ისინი მამაკაცს კარგათლებულობენ და ხშირადაც ხედავენ. კამპობასო განადგურებული იყო. „ორსინის მეუღლემ მე დამანახა როგორი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვიქნები“, გაიფიქრა მან. ის შინ წავიდა უაღრესათ სასოწარკვეთილი, როგორიც უნდა იყოს ადამიანი, რომელმაც თითქმის საწამლავის მიღება გადასწყვიტა. ის სიამოვნება, რომელიც მას სენესეს სიყვარულმა მიანიჭა, ვერ აიწონიდა აუტანელ ტანჯვას, რომელიც იმ ღამით განიცადა. ამბობენ, რომ რომაელი ქალის სულს ტანჯვისთვის აქვს ენერგიის საღაროები, სრულიად უცნობი სხვა ქვეყნის ქალებისთვის.

მეორე დღეს სენესემ ხელახლა გაიარა კოშკის გვერდით და უარყოფითი ნიშანი დაინახა; ის გზას გაუდგამხიარულათ; მისი თავმოყვარეობა მაინც ცოტათი შელახული იყო: „ცხადია იმ დღეს ჩემთვის დათხოვნის ბრძანება მოუცია; კარგია მაინც ერთი მისი ცრემლები ვნახო“, ფიქრობდა კავალერი. მან განიცადა სიყვარულის მაგვარი გრძნობა, როცა გაიფიქრა რომ სამუდამოთ ჰკარგავდა

ასეთ მშვენიერ ქალს, პაპის რძალს. მან გაიარა მიწაში გათხრილი უსუფთაო ტალანი, რომელიც ყოველთვის ეჯავრებოდა და შეალო კარი ქვედა სართულის დიდ დარბაზში, სადაც მას თავადის მეუღლე ღებულობდა.

„ეს რას ნიშნავს? როგორ ბედავთ აქ შემოსვლას?“ წარმოსთქვა ქალმა გაკვირვებით.

„ამ გაკვირვებას გულწრფელობა აკლია“, გაიფიქრა ახალგაზრდა ფრანგმა: „ის ამ დარბაზშია მხოლოდ მაშინ, როცა მე მიცდის“.

კავალერმა სენესემ ხელი მოჰკიდა; ქალი შეცბა. მისი თვალები ცრემლებით აივსო. ის კავალერს ისე მშვენიერი ეჩვენა, რომ ერთი წუთით ხელახლა იგრძნო სიყვარული. ქალსაც თავის მხრივ დაავიწყდა აღთქმა, რომელიც ორი დღის განმავლობაში ღმერთს მისცა, და ვაჟს გადაეხვია: „და აი ამ ბედნიერებას მომავალში ჩემი მეტოქე იგემებს!..“ სენესემ ჩვეულებისამებრ ახლაც ცუდათ გაიგო რომაელი ქალის სული და გაიფიქრა რომ მას სურდა განშორება მეგობრული ყოფილიყო, კავშირი გაეწყვიტა ისე რომ წესიერება არ დარღვეულიყო. „ჩემთვის, როგორც მეფის საელჩოს წევრისთვის შეუფერებელია მტრათ გადავიკიდო იმ ხელმწიფის რძალი, რომელთანაც მივლინებული ვარ“ — გაიფიქრა მან. — კავალერმა ერთგვარი სიამაყე იგრძნო რომ ბედნიერი გამოსავალი იპოვა და გონივრული საუბარი დაიწყო: — ისინი იცხოვრებენ სასიამოვნოთ შეკავშირებულნი; რა შეუშლის ბედნიერებას? ვის შეეძლება მათი გაკიცხვა? სიყვარულის ადგილს კეთილგანწყობილი და ნაზი მეგობრობა დაიჭერს. ის მხოლოდ ერთ უპირატესობას მოითხოვს: დროგამოშვებით შეეძლოს ამ ადგილას მოსვლა, სადაც ახლა იმყოფებიან. მათი ურთიერთობა სასიამოვნო დარჩება.

თავადის მეუღლემ ჯერ ვერ გაიგო მისი ლაპარაკი. როცა გაიგო გაქვავდა ისე რომ თვალები მისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ბოლოს უკანასკნელმა ხაზმა — სასიამოვნო ურთიერთობის შეთავაზებამ — ის აიძულა სენესეს ლაპარაკი შეეწყვიტა. მან ყრუ და ნელი ხმით სთქვა:

„ესე იგი თქვენ საკმაოთ ლამაზ ქალათ მთვლით, რომ საქმეში გამომიყენოთ!“

— მაგრამ ძვირფასო და კეთილო მეგობარო, განა თქვენი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული არ არის? უპასუხა სენესემ, რომელიც თავის მხრით მართლაც გაკვირვებული იყო: — როგორ შეიძლება რომ თავში რაიმე საჩივარი დაგებადოს? საბედნიეროთ ჩვენს სიახლოვეზე არავის ჰქონია ეჭვი. მე პატიოსანი კაცი ვარ: ერთხელ კიდევ გაძლევ სიტყვას, რომ ვერასოდეს ცოცხალი არსება ვერ გაიგებს რა ბედნიერება მხვდა წილათ.

— ვერც ორსინის მეუღლე? იკითხა ქალმა გულგრილი ტონით, რომელმაც ხელახლა შეაცდინა კავალერი სენესე.

— განა თქვენთვის ოდესმე დამისახელებია ქალები, რომელნიც მიყვარდა, სანამ თქვენი მონა გავხდებოდი?

— მიუხედავად იმისა რომ თქვენი პატიოსანი სიტყვისადმი, მე არ მინდა შემთხვევის ანაბა დავრჩე, სთქვა კამპობასომ მტკიცე ტონით, რომელმაც ბოლოს გაკვირვება გამოიწვია ახალგაზრდა ფრანგში: — მშვიდობით, კავალერო სენესე!..

რადგან ყმაწვილი ცოტათი ყოყმანობდა და წასვლას არ აპირებდა, მან დაუმატა: — მოდი, მაკოცე.

როგორც ეტყობოდა ქალმა სინაზე იგრძნო; შემდეგ ხელახლა მტკიცეთ განუმეორა: „მშვიდობით, კავალერო სენესე!..“

ქალმა მაშინვე კაცი გაგზავნა ფერატერას მოსახმობათ. „მე მოგიხმეთ, მიტომ რომ შური უნდა ვიძიო“, პრელატი აღტაცებული დარჩა. „ეს მანდილოსანი სახელს იტებს, ის ჩემი მსხვერპლი იქნება სამუდამოთ“, გაიფიქრა მან.

ორი დღის შემდეგ, როცა აუტანელი სიცხე დაიჭირა, სენესე შუალამისას კორსოში წავიდა ჰაერის ჩასაყლაპავათ. მთელი რომის საზოგადოებას იქ მოეყარა თავი. როცა შინ დასაბრუნებლად ეტლში ჩაჯდომას აპირებდა, შეამჩნია რომ მსახური იმდენათ მთვრალი იყო — ძლივს

ლაპარაკობდა; მეეტლე კი არსად ჩნდა. მსახურმა წაი-  
ლულლულა, რომ მეეტლე მტერს წაეჩხუბაო.

— ეჰ, ჩემს მეეტლესაც მტრები ჰყოლია! სთქვა სენე-  
სემ სიცილით.

შინ ფეხით დაბრუნდა; მაგრამ მეორე თუ მესამე ქუ-  
ჩაზე შეამჩნია, რომ ვილაცანი ფეხდაფეხ მისდევდნენ.  
ოთხი თუ ხუთი კაცი ჩერდებოდნენ, როცა ის შეჩერდე-  
ბოდა, ფეხს უჩქარებდნენ, როცა ის აჩქარდებოდა. „მე  
შემიძლია მოვუხვიო და კორსოში დავბრუნდე, მაგრამ  
ეს არამზადები ამათ არ ღირან: საკმაოთ კარგათ ვარ შე-  
იარაღებული“, გაიფიქრა სენესემ. ხელში შიშველი მახ-  
ვილი დაიჭირა.

ამრიგათ სენესემ გაიარა ორი თუ სამი განმარტოე-  
ბული ქუჩა, რომელიც სრულიად უკაცური იყო. მას ესმო-  
და, რომ მღევრები ნაბიჯს აჩქარებდნენ. უცებ ზევით  
აიხედა და დაინახა პატარა ეკლესია, რომელიც წმინდა  
ფრანჩესკოს ორდენის ბერებს ეკუთვნოდა; ფანჯრები  
უცნაურათ იყო განათებული. ის ბჭეს ეცა და ძლიე-  
რათ დააკაკუნა მახვილის ვადით. მღევრები ორმოციოდე  
ნაბიჯის მანძილზე იყვნენ. ბერმა კარი გააღო, სენესე ეკ-  
ლესიაში შევარდა, ბერმა კარი დახურა საჩქაროთ. იმ წუთ-  
შივე მკვლევებმა კარი დააბრაზუნეს ფეხებით. „წაწყმენ-  
დილები!“ ჩაილაპარაკა ბერმა. სენესემ მას ერთი ცეხინი  
მისცა: „ცხადია ისინი მე მომდევენ!“ სთქვა მან.

ეკლესიაში ათასი სანთელი მაინც იქნებოდა ანთე-  
ბული.

„ეს რას ნიშნავს! მღვდელ მსახურება ამ დროს?“ ჰკით-  
ხა მან ბერს.

— თქვენო ბრწყინვალეზავ, განკარგულება მოგვივიდა  
მის მეუფებისა — თანამოსაყდრე კარდინალისაგან.

მთელი ვიწრო სტოვა წმინდა ფრანჩესკოს ბორცვის  
ეკლესიისა დაკავებული იყო დიდებულათ გაწყობი-  
ლი მავზოლეთი; გალობდნენ სულთათანას.

„ვინ არის ეს მიცვალებული? ვინმე თავადიშვილია?“  
იკითხა სენესემ.

— ალბათ. უპასუხა მღვდელ-მონაზონმა: მიტომ რომ არაფერი არ დაუზოგავთ; მაგრამ დაკარგულია ფულიცა და სანთელიც: უფალმა წინამძღვარმა გვითხრა რომ განსვენებული გარდაიცვალა ცოდვების მოუნანიებლათ.

სენესე კუბოს მიუახლოვდა. მან შეამჩნია ფრანგული ფორმის საღერბო ფარი; მისი ცნობისმოყვარეობა გაორკეცდა; სულ ახლო მივიდა და თავისი საკუთარი ღერბი იცნო. ლათინური წარწერა ჰქონდა:

Nobilis homo Johannes Norbertus Senece eques decessit Romae.

კეთილშობილი იოანე ნორბერტ სენესე, კავალერი, გარდაიცვალა რომში.

„მე პირველი ადამიანი ვარ, გაიფიქრა სენესემ, რომელსაც პატივი აქვს თავის საკუთარ დასაფლავებას დაესწროს... თუ არ ვსცდები იმპერატორ კარლ მეხუთეს გარდა ეს სიამოვნება არავის განუცდია... მაგრამ ცოტა არ იყოს გული დამიმძიმდა ამ ეკკლესიაში“.

მან მეორე ცეხინი მისცა კანდელაკს. „მამაო, გამიყვანე ამ მონასტრიდან უკანა კარებით“.

— დიდი სიამოვნებით, უპასუხა ბერმა.

ქუჩაში გასვლისთანავე მარჯვენა და მარცხენა ხელში დამბაჩები დაიჭირა და გაიქცა დიდი სიჩქარით. მოესმა რომ მღვდრები ფეხდაფეხ მისდევდნენ. როცა თავის სასახლეს მიაღწია, შეამჩნია რომ კარი მოხურულია და შესავალთან ვიღაც სდგას. „აი ერთი მკვლელთაგანი“ — გაიფიქრა მან. ის მოემზადა დამბაჩა დაეხალა მისთვის, მაგრამ თავისი მსახური იცნო. „კარი გააღე“ დაუყვირა მან.

კარი ღია იყო; საჩქაროთ შევიდნენ და ჩაკეტეს.

— ეჰ, ბატონო, ბევრი გეძებეთ; სამწუხარო ამბები მივიღეთ: თქვენი საბრალო მეეტლე ხანჯლებით მოუკლავთ. ადამიანები, რომელნიც მას თავს დასხმიან, თურმე მუქარას გითვლიდნენ თქვენ. ბატონო, ვიღაცას თქვენი მოკვლა უნდა...

სანამ მსახური ლაპარაკობდა შაშხანიდან გასროლილმა ტყვიებმა სენესე და მისი მსახური ერთად დააწვინეს ფანჯ-

რის მახლობლად, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა; თვი-  
თეული მათგანი ოც-ოცი ტყვიით მაინც იყო განგმირული.

ორი წლის შემდეგ თავად კამპობასოს მეუღლე მთელს  
რომში პატივცემული იყო როგორც უმაღლესი ღვთის-  
მოსავეობის ნიმუში, ხოლო მისი მეუფეა ფერატერა უკვე  
კარგა ხანია კარდინალი იყო...

აპატიეთ ავტორს მისი შეცდომები.

## მ უ რ ზ ა

— აბა, ერთი კაცი ქუთაისში! — ყვირის დილიუნების პატრონი მურზა და მუდამ ერთი კაცი აკლია სათვალავს.

— აბა, ხონი! — იძახის იგივე მურზა ქუთაისის ბირჟაზე და მის გაგონებისას ყოველთვის გაიფიქრებ ღიმილით:

— უკვე იწყება ხონის სამეფო!

ზაფხულის სიციხეა და მურზას ღვარღვარად ჩამოსდის სახეზე ოფლი. შეუხსნია გაქონილი საყელო ლურჯი ხალათისა. მოსჩანს: ნასუქ ტახვიტ კეცკეცად დამჯდარი ქინდრი; იგი დაფარულია ზურგიდან ამოწვერილის, ჯაგარივით მაგარი, გრძელი და ხშირი ბალანით; თავის კეფა ჩამოთლილია ტაფასავით; ფართო ყბის ძვლებზე ქონით აცურებული კუნთი და ხორცი ამობურთვია თურაშაულ ვაშლივით. გაპარსული, ტიტველა, დიდი ნიკაპი, დილაბიანი; ცხვირი — რუსულად მალლა აწეული, ჟანდარმული ქერა უღვაში ყურის ბიბილომდე გადახრილი; ასეთს უღვაშს ატარებდა, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო არტილერიაში სამსახურის დროს. ჯიშთან გოგრის ოდენა თავი; ხშირი წარბები გადმოკეცილან წამწამებამდე; იქიდან იცქირებიან პურის მარცვალის ოდენა შვრიისფერი თვალები. ქამარი მუცლის ქვემოთ შამოუკრავს; ქამარს ღიპი გადმოუგდია. სიარულის დროს ბარძაყთა სიძსუქნის გამო, მოკლე ფეხებს განზე აბიჯებს უშნოდ, სასაცილოდ. წინდებში ჩატანებული ბანდურა, ხონჯრიანი შარვალი. ოფლის საშრობლად წინდასვრეტილი სანდლები ველარ შველიან მუდამ ოფლიანსა და აყროლებულ ფეხებს, რომლის ტერფები ძლივს იმაგრებენ მურზა ხვადაძის რვა-ფუთიან ტანს.

მისი ღონის, თანაც ხეპრე ხასიათის და მურტალი ენის გამო მურზას ყველა ერიდება. მალე გახდა მთელი ბირჟის ბატონ-პატრონი. მხოლოდ ის მგზავრები, რომლებიც გადურჩებოდნენ მსუნაგ მურზას, ეკუთვნოდნენ დანარჩენ მეეტლეებს და მედილიუნეებს, რომელნიც იდგნენ დაჩაგრულნი და ენაჩავარდნილნი, თან ბრაზმორევით მათრახს იქნევდნენ:

— რას გახეირებს ეს მართლა ხვადაგი, ეგი?!

\*

\* \*

მურზა რუსეთში ნაცხოვრები, ჯარში ნამსახური და სავაჭროებში გამოქნილი კაცია. რუსული ემარჯვება, საქმის დროს დალაგებული ლაპარაკი შეუძლიან. ქვეყანა უნახავს. სიტყვა-პასუხში ვერვინ მოუგებს. მისი პტყელი და გაძყივანი ხმა ლითონივით გაისმის ქუჩით ქუჩამდე და გადარბის მოქალაქეთა თავებზე.

მაგრამ ამ ბოლო ხანებში მას როგორღაც უფრო შეეჩვივნენ, გაიტოლეს. აღარც იმრიგად ეშინიათ მისი; დამცინავი ოხუნჯობა შეაპარეს და ღიპიან მუცელზე ხელსაც კი უბარტყუნებდნენ.

მიზეზი ის არის, რომ ბათომიდან ჩამოსულმა, თავზე-ხელაღებულმა მეეტლემ პავლიამ და მიხაკიამ ერთ დღეს მურზას ლაგამი ამოსდეს: — რას ყმედობ? რას აგიმყრალებია აქაურობა? შენისთანა ბიჭებიც გვინახავს, შე ხვადაგო მართლა, შენ! — შეუტია პავლიამ. მიხაკიამ უარესი შეჰკადრა:

— თავი რო გადაგჭრას კაცმა, შენი მუცელი, ხომ იცი, რათ გამოგვადგება? — ვაჭრებმა და მიკიტნებმა გადახარხარეს:

— უხ, რა უთხრა ამ ყოფაგაცივებულმა ეგი?!

პავლიამ იდროვა და მათრახი სახეზე გადაჰკრა, ცხენები გააჭენა, მაგრამ მურზა ბურთივით გავარდა და დაეწია. ეტლის ბორბლების უკანა ღერძს ხელი ჩასჭიდა, მარჯვენა ფეხი წინ დაიბჯინა და დაოთხფეხებულ ცხენები გააჩერა. ცხენები ადგილიდან ველარ დაიძრენ, მურზა



მისწვდა პავლიას, ეტლიდან გადმოიღო და ტყავს აართმევდა, მაგრამ ამ დროს დაესივნენ ყველა მეეტლე-მედილიყნეები, ბირჟის ავარები და საშინლად დაბეგვეს ხელით, მათრახით, სახრით და ბიგებით.

\*

\* \*

მურზას პირველად სცემეს მაშინ ბირჟაზე.

ახლა თავის უკანასკნელ დილიჯანს ისტუმრებდა ხონის ბირჟიდან ქუთაისში. მგზავრები სწუხდენ — ერთი მეორეს მუხლებზე უსხდენ და უსაყვედურებდენ სივიწროვეს. დილიჯანის მარჯვენა და მარცხენა სკამზე ოთხ-ოთხი კაცის ადგილია; მურზა კი ექვს მგზავრს ათავსებდა. ვიღაც გადმოსვლას აპირებდა, მაგრამ მურზამ დილიჯანს უხეშად მიახურა კარი, მეეტლეს გასძახა „მიდი“-ო და დაიწყო ყაყანი:

--- თავისუფლება თუ გინდოდა, შე დალოცვილო, დილიჯანში კი არა, ვგერ დავჯდებოდი ბულვარდში! — უკანა კართან საფეხურზე დადგა. რესორები გაიხარა და ერთი-მეორეზე დავიდა.

ზალი სემინარიის და ყოფილ სამოქალაქო სასწავლებელს შორის არის გაშენებული.

ძალიან უყვართ ხონელ და ახლომახლო სოფლებიდან მოსულ ვაჟებსა და ქალებს იქ სეირნობა, „გულაობა“, ხონისათვის ცნობილს დღეს — პარასკევს, ბაზრობაზე. პარასკეობით ხვდებიან ხოლმე ბაზარზე და ბაღში ერთმანეთს ყველა ჯურის ხალხი... ისმის მაღალ ქუსლებზე შემდგარ ფერუმარლით შეთხუპნილ და „ჩაპადრუჩკებულ“ ქალთა და ვაჟთა სიცილი, კურსისტკების ლაპარაკი: — ანგელისა, ბოშო, კაგდა ტი პრიეხალა ზდეს?

— ია პრიეხალა, გენაცვალე, ვჩერა!

— რაფერ მოხდა მაგი?

— ია ი კატო გისტალოგიაში ვემზადებით...

თუმცა ეს ბულვარზე მოსეირნე ხალხი არ არის ამ დღის — პარასკევის მთავარი ნიშანდობლივობა...

\*

\* \*

დილიუანი მიდიოდა რახრახით მოკირწყლულ ქუჩაზე. ყაფანი სავსე იყო ხალხით, დღეს ხუთშაბათია და აქედანვე ემზადებიან ხვალინდელ ბაზრობისათვის... სოფლები აჩერებენ ფქვილით, სიმინდითა და ლობიოთი დატვირთულ ურმებს. ყაფანისაკენ ეშურებიან ლეჩხუმელებიც ცხენებზე აკიდულ პურითა და ვაშლით სავსე ძარბით, მეგრელები-კი — კოთხოვებით და სულუგუნებით. დედაკაცები ვაჭრობენ საჩოხე შალით, ნაბდის ქუდებით, ყაჭის ძაფით, კვერცხით, ყველით და ქათმებით; კოკა პირმოკრული სველი ჩვარით, სავსეა წურბლებით, მოტანილი იანეთიდან. ადგილობრივი, ხონელი ქალები მორთული არიან მსგავსად მუსულმან ქალებისა, ჩადრებით. ეს ჩვეულება — პირის ახვევა — უმთავრესად იმერული, გაუმართლებელი ამპარტავენობისა და თაკილობის ბრალია და არა მუსულმანობის გავლენის ნაშთი. ამ დღეს ეს ქალები არ გამოეცნაურებიან ერთმანეთს, შესაძლოა სხვა დროს პრანჭია ქალისაგანაც კი იყიდოთ რაიმე;

დილიუანმა გაიარა ჯალალანის „ბაკალიონის“ დუქანი, მეფართლე ბახტაძე, საგალანტერიო საღარაძისა, მემაროლე და მეტყავე ჭავჭანიძე, მეხილეები... გაუწყაპიათ ფარდულიანი ურმები (ჩელტებით). ურმები სავსეა მალლაკიდან მოტანილ ნესვებით, საზამთროებით, პამიდორით, ბადრიჯანით, სხვადასხვა ხილით, ბოსტნეულობით. მოდიან სოფლებიდან ურმები დატვირთული შეშით, ყავრით, ლარდაყინებით, ფინებით, ქვის სვეტებით ჭიშკრისა და სასიმიდესათვის, წისქვილის ქვითა, კირითა და ვინ იცის კიდევ რით.

„ჰაბარდა“ — გასძახის მათ მეეტლე.

აფთიაქის წინ იყო შეკრებილი ხონის ინტელიგენცია; შლიაპით, გალსტუკით, ქოლგით და გალოშებით. გაუშლიათ გაზეთი, კამათობენ; იყო ლაპარაკი და ლაპარაკები პოლიტიკაზე. მგზავრებმა დილიუანის ფარდა ასწიეს და თავები გამოჰყვეს. ამათ უცქერდენ აფთიაქის წინ მდგარნი და ერთმანეთს ედავებოდენ:

— ის ვანიჩქა არ არის, თომა ბახულას შვილი?

— ვანიჩქა კი არა, ერისტო პაწაიას შვილია, მასტავ-  
ლებელი.

— არა, ბატონო!

— კი! ბახულას შვილია! — ამბობდა, უზარმაზარი  
ტანის, წელში მოხრილი, გრძელი და ხშირს წვერულვა-  
შიანი უკვე გაჭალარებული ექიმი სათვალეებით:

— რა გააკეთა მერე? სულელია! ვეჩნი სტუდენტ!  
ქვეყნის საქმის მოგვარებას კი აპირობს.

— რას შობა მართლა? — უპასუხა ექიმს ვილამაც —  
სამსახურში მაგი არ არის და არასფერ საქმეს ხელს არ  
კიდებს?!

დაიწყეს გამოძიება...

— დაწოწიალობს! — მოუჭრა ექიმმა.

ხონელთა ვაჭრული განწყობილება, სხვათა შორის,  
გავლენას ახდენს აქაურ ინტელიგენციაზეც. ყოველივე აქ  
უმთავრესად ქონებით, შეძლებით, ფულის შოვნის უნა-  
რით გაიზომება. თუ ჯიბეში ფული არა გაქვს, ან რაიმე  
მოსაგებ საქმეს, სამსახურს, ვაჭრობას არ ადგიხარ, ყველა-  
საგან აბუჩად გდებულნი იქნები.

სამაგიეროდ თუ პარასკეობით ცოტაოდენი ფრინველი  
იყიდე, სურსათ-სანოვაგით სავსე კალათი ან და, კიდევ  
უკეთესი, — რამოდენიმე ურემი შეშა ან მესერი ეზოში  
შემოაჭრიალე, მაშინ ღობეზე მომდგარ მეზობელთა  
თვალში პატივისცემას მოიხვეჭ, მეზობელს თვალი დაუ-  
ბრმავდება, დაეცემა, და ჩაილაპარაკებს გესლიანად:

— მაგას რა უჭირს რა? კარქათ ნაქონა საქმე!

ასეთი სულიერი განწყობილების, ქონების შეძენისა,  
მისი სიყვარულის და მომჭირნეობის გამოც უნდა იყოს,  
რომ ჩამწკრივებულან ეს მალაზიები ბაზარზე; აგურისა  
და ხის კოხტა სახლები, ეზოზე შემოვლებული ქვითკირის  
ყორე: უთუოდ ღარიბსაც ქონის პატრონსაც კი ყორე  
აქვს გაშენებული და რკინის ჭიშკარი უდგას, როგორც  
მაჩვენებელი კერძო საკუთრების სიყვარულისა და ვიწ-  
რო ბურჟუაზიულ განწყობილებისა...

ხონის მატარებელი — დილიჯანი შეჩერდა ქუთაისის ქუჩის დასაწყისთან, ბაზრის თავში. აქ მგზავრები შეაფარდებოდნენ ქალებმა. დილიჯანში ქალებიცაა.

— ნეტა მეც მივდიოდე ქუთაისში!

— გავისივარნებდი ერთს ბულვარდში, ჩილინგაროვის კანდიტერთან...

— რამდენი ხანია არ მინახავს პრაქტიკორი? „რადიუმი“ მიყვარდა ყველაზე უფრო.

— „რადიუმს“ „მონპლეზირი“ ჯობია. — ეტყოდენ ერთმანეთს ხელმკლავით მიმავალი გულნატკენი ქალიშვილები.

მურზა განკარგულებებს აძლევდა მეეტლეს, აბარებდა საყიდლებს — ალვირს, შირას; გაისტუმრა. მგზავრებისაგან აკრეფილი ფული დასთვალა, ერთი-მეორეზე დააწყობა გადაკეცა და ვეება ჯიბეში ჩაუშვა. ბირჟისაკენ მოდიოდა. როდესაც სერაფიონ ფუჩეჩას სამიკიტნო-რესტორანს გაუსწორდა, მისი ყურადღება მიიპყრო ფანჯარაზე მიდგმულმა საჭმელებმა: შემწვარმა ქათმებმა, გოჭმა, სულუგუნებმა, შეკმაზულმა წითელმა ფხალმა. კარი შეაღო. მისი ჩვეულებრივი ულუფაა: ერთი ოყა პური (განსაკუთრებით თუ ის ტაბიძის ფურნეშია გამომცხვარი, ტაბიძე განთქმულია ხაჭაპურებითაც). სამი სულუგუნი და მთელი ინდაური, ან ერთი გოჭი თავის გუჯაბითურთ...

გამაძლარი და შეზარხოშებული, ეხლა ევაჭრება ფარდულიან ურემზე მალლაკიდან მოტანილს უზარმაზარ საზამთროს. ილიაში ამოიღო და მიდიოდა ყაყანიტ, ხან ამას გადასძახებდა და ხან კიდევ ვის! დილიდანვე ნაომარი და ნაშფოთარი, ბირჟის წინ გრძელ სკამზე დაჯდა, საზამთრო გვერდზე შემოიღო და კისერ-პირსახიდან ოფლი მოიწმინდა ბაღდადურის ცხვირსახოცით.

\*

\* \*

მურზასთან შეჩერდა ხონსა და ქუთაისში ყველასაგან აბუჩად აგდებული, ვილაც გაქართველებული რუსი მხა-

ტვარი. მოხრილი იყო ზურგში და ოდნავ კუჭიანი; მუ-  
დამ მოლიმარი და გამხდარი. მხატვარის გვარია — პაპ-  
უშშინი.

ჩია-ტანის კაცუნა აცმაცუნებდა ულვაშიან ტუჩებს  
და მისი ჩურჩულის მსგავსი ლაპარაკი არ ესმოდა ვეშაპ  
მურზა ხვადადეს. პასუხი კარგა ხანს არ აკადრა:

— ჩეგო ტი ბორმოჩეშ? რაშია საქმე, ხუდოჟნიკო? —  
შაეკითხა ბოლოს.

„ხუდოჟნიკს“ ქუთაისში გამგზავრება სურდა.

— ერთ საათში წავა, ბიძია, ჩემი ლინეიკა და თუ  
გინდა იმას გაყევი. გინდა? თუ გინდა, აბა, ჩამოდი, მალე  
ქენი ფული! — მურზა მგზავრს არც კი უცქერდა და ისე  
ნაბავდა თვალებს და სთვლემდა...

მხატვარი პაპუშინი უწყინარი და საცოდავი კაცუნა  
იყო. უტვინო ბავშვის პატარა და მოლიმარის შავი თვალე-  
ბით მისჩერებოდა მურზა ხვადადის ბანჯგვლიან გულ-  
მკერდს, შემდგომ დაიხედა თავის საკუთარს ტანზე ბირ-  
ჟის მინებში და დარცხვენით უკან დაიხია, წელში კიდევ  
უფრო მოიხარა, ფეხები დააბაკუნა, თითქოს ეხლა, აი  
აქ მურზას წინაშე იგრძნო თავისი ტანის, სხეულის სასო-  
წამრკვეთი სიპატარავეო... პაპუშინს ზედმეტ სახელად  
ეძახდენ კურკას.

ქვრივმა დედა-მისმა სამჯერ გააძვრინა კურკა მოწამე-  
თას სასწაულმომქმედ ძმათა ნეშტის ქვეშ ლოცვებით, მა-  
გრამ სასწაული არ მოხდა და ქვრივ ქართველ ქალს ისევ  
შერჩა თავისი ლოთი ქმარისაგან ნაანდერძევი ჭკუათხე-  
ლი, სუსტჩონხიანი და ნახევრად იდიოტი შვილი დავი-  
თი, რომელიც მხატვრობას იჩემებდა. კურკა ამ ათი და  
ხუთმეტე წლის განმავლობაშიც მინახავს ერთსა და იმავე  
კორტრეტთან ფანქრით გადმოხატულ შოთას, ბარათა-  
შვილის და იშვიათად სხვა მოქალაქეთა დამახინჯებულ  
სურათით ხელში, რომელსაც დიდის გაფაციცებით გაშ-  
ლიდა საჩვენებლად და თანაც დაგაცქერდებოდა თავის  
ნახევრად გიჟის, მოლიმარე ბავშვის თვალებით — აბა, რას  
იტყვისო. მინახავს იგი ბნედამოსული აგრეთვე ხშირად  
ქუჩაში ბაგეზე დუჟით და დორბლით.

\*

\* \*

უეცრად მურზამ თვალები აახილა, შეჰხედა კურკას, გასწორდა, მკლავში ხელი ჩასჭიდა:

— შენ მართლა, ხუდოჟნიკო, გადამიღე ერთი კარტიჩკა, თუ კარქათ გამომიყვან, უფულოდ წაგიყვან ქუთაისში.

— ახლა არ შემიძლია.

— აპა, ტყვილა გამოგზარდეთ, შე უპატრონო, ხუდოჟნიკათ? მოდი დამხატე ერთი მართლა, კურკა — არ ეშვებოდა მურზა. კურკა დასთანხმდა.

მოიტანეს სკამი. მხატვარმა გახსნა თავისი „პაპკა“, ამოიღო ქალაღი, ფანქარი და საშალი, დაიღო მუხლზე და ხატვა დაიწყო. ხალხი გარს ეხვევოდა, ლაზღანდარობდნენ. ისმოდა შენიშვნები.

— ულვაშები ყურზენ გოდოულაგე.

— მაგის ულაში...

— ცხვირი მაშკა ლორივით ოუწიე.

გულგაღელილი, სკამზე გადადღარჩული მურზა თვალებს ნაბავდა. შენიშვნები ისევ დაიწყო:

— მუცელი რა გიქნია ეს, კურკა? ვერ უყურებ რა ტანადია? — იოხუნჯა მიხაკიამ.

— შენ კი დიდი საქონელი მყავხარ?! რალა დადეშკელიანი და რალა შენ? ვის ეცინი შე მაიმუნო, მასხარა? — იწყინა მურზამ.

— შენ ეი, მაგენს ნუ უყურებ, კარგათ გამომიყვანე...

— კარგათ გამოგიყვან. — გაიცინა კურკამ.

— მართლა გეუნები! რავა იკრიჭები, შე უპატრონო? ხომ არ გინდა გადაგიშვა თავით წყალში?

წყალი იქვე დუქნის წინ და საერთოდ მთელს ბაზარს და ჩუქებს უვლის ცხენისწყალიდან გამოყვანილს არხებით.

— მაცალე, კარგათ დაგხატავ — გაუმეორა კურკამ და სახეზე დააჩერდა მურზას.

მურზამ გაიღიმა, ჩაახველა და გასწორდა.

— აბა, შენ იცი, ჩემო კურკა, ჰო! — გვერდით მოედო საზამთრო. საზამთრო იყო მისი თავის ოდენა. უზარმაზარი ერთ საპალნიანი მუცელი ირხეოდა სუნთქვის დროს. მიკიტანის ბიჭი იცინოდა და გაბერილი ტიკი, რომელიც „ხაზეინის“ დუქანში უნდა შეეტანა, მუცელზე შემოჰკრა. მურზამ გამოსტაცა და ტიკი მუხლზე გაიჩერა:

— შენ, ეი, ხუდოჟნიკო, ეს პუზიროკიც გამეიყვანე, გესმის?

მის მუცელთან შედარებით ეს პატარა ტიკი-ტიკჭორა, მართლაც, „პუზიროკი“ იყო.

კურკას გაეცინა:

— კარგი, მაგ პუზიროკსაც დაეხატავ! — სთქვა და ქალღმერთზე ოთხი წრე შემოჰხაზა:

1) თავი —

2) მუცელი — ყველაზე დიდი, ცენტრალური, გუდასაპალნიანი. აქეთ-იქით-კი:

3) საზამთრო — და

4) ტიკი — რომელსაც მურზა ეძახდა „პუზიროკს“... ცნობისმოყვარე გამვლელნი და მეეტლეები ხარხარებდნენ. სურათი დამთავრდა, როგორც იყო, დიდის ცოდვილობის შემდეგ. ერთმანეთს ჰგლეჯდნენ ხელიდან.

— მართლა, ქე დოუმგვანებია, ხედავ!?

— ხუდოჟნიკია ჩვენი კურკა...

— რა ყოფილა ეს კუზიანი ღვთის გლახა, ხედავ?! — მხატვარი იღიმებოდა:

— ხომ წამიყვან ახლა ქუთაისში?

მურზამ თვალები გადაუბრიალა:

— ვაი, შენ მომიკვდი, კურკა, ნანდამაინც ამიზა წაგიყვანო? ქუთაისში წასვლა, იიძია, მანათ ნახევარი ღირს და ამაში თუ გინდა შაურს მოგცემ.

დალორებულ მხატვარს გულს შემოეყარა, მაგრამ მაინც ჩერჩეტივით იღიმებოდა, ყველას თვალში აცქერდებოდა, ფინია ძალღივით შველას გამოითხოვდა. ნაცნობი და ამხანაგები უსაყვედურებდნენ მურზას:

— წეიყვანე, შე მართლა ხედავო, არ გცხვენია?

— რეის მრცხვენია? ჭკუაზე თხელად ხომ არ ხარ შენ? — ამ დროს მურზას უკანიდამ მიეპარა პავლია, შებრუნდა და საჯდომი საჯდომს ისე მძლავრად დაატაკა, რომ უკანასკნელი სიტყვები მურზას პირში ჩაუწყდა...

— წეიყვანე, შე მურა, ხვადაგო, აპა რას ატყუებდი ჩვენ კურკას?

მურზა გასწორდა და მრისხანედ გადაჰხედა პავლიას:

— შენ ვერ წეიყვან, შე უპატრონო? დაგხატავს შენაც და წეიყვანე! კურკა, დახატე ერთი ამის სახე... რა სიფათია, ხედავ?

ამ დროს მიხაკიამ კურკა დაატაკა პავლიას, პავლიამ მურზას, მურზამ მოიქნია და ბუკუიას ესროლა, ბუკუიამ სელოლას, და გააბურთავეს. საცოდავ მხატვარს სუსტი ნეკნები შეუნგრიეს. ჭუდი წყალში გადაუვარდა, ქალაღები, ფანქარი და საშალი გაიბნა, კურკას სუნთქვა უწყდებოდა, გული მისდიოდა, მეეტლეები კი ისევ აბურთავენ...

ღონემიხდილი კურკა საცოდავათ ატუზულიყო სვეტთან და სტიროდა.

ისმოდა მეეტლეების ხარხარი და მურზას ყაყანი: „კურკა, კურკა!!“.

ყაფანისაკენ მიდიოდენ ურმები, ლეჩხუმელები ცხენზე აკიდულ ძარებით.



## ქ ი ლ ა ბ ი

### 1

ერთად შემოეფინა მთის კალთებს ნისლი და ცხვრის ფარა. ჩანალრანტმა ღელემ ჩაითვალა ნისლი. ღელემ ლაწვი გადაიღაძრა.

ამოზიდულა მთა ქარებულა. ქარი, რომ ქარვისებურ ქერს ააშრილებს მისი კალთისას.

მწუხრისას მთის გაღმა-გამოღმა ფერდიდან დაიძრა ორი ადამიანი. შემოჰყვნენ ქარებულაო, შენს კალთებს დალეულ ნისლივით. ამობობოქარდა ქარი და მოგანან-ქერა ქერის მარცვალი. ქვეყანას გადმოადგა ცის რისხვა. ნიაღვარებმა მკერდი წაგილეკეს.

ორი ადამიანი მაინც მიდიოდა ზევით. ორი ადამიანი მაინც მიეხეტებოდა ხატის ნიშისკენ.

და ოდეს მამალმა ქვეყანას ახარა ხომლის დახრა, ოდეს ცას გადაეცალა მწუხრი ადამიანები მივიდნენ სალოცველ ადგილას. მზის სხივთან გავარჩიეთ ორი ხანჯალი, ანა-ჯახეი ერთურთისათვის. ორი საგვერდელი მახვილი აგე-ლებული გულმკერდისაკენ.

ნეტა რად აგეწურა გული ქარებულაო?! ნეტა რა იგრძენ?!  
ნეტა რად აგეწურა გული ქარებულაო?! ნეტა რა იგრძენ?!

### 2

ჰხედავ: გადმოეჭდო ფიჭვის შტო შენს ბეჭებსა?

ჰხედავ: ორი მაჯა, ხანჯალ აზიდული, გაექანა ერთ-ურთისაკენ.

— რად ამოგიწვდია ხანჯალი? — ჰკითხა პირველმა.

— შენ მოსაკლავად.

გაუწონეს მახვილი. სისხლმა დაისისინა გველივით და სისხლმა იფეთქა. პირველი დაეშო მიწისკენ.

მაშინ ჩავარდა მათ შუა მანდილოსანის მანდილი. ხანჯლები დასცვივდა ადამიანებს. მანდილოსანი დაეკონა მომაკვდავს. მანდილოსანმა თუნგი მიუდგა ღვარად წასულ სისხლსა. მომაკვდავი მანდილოსანის კალთას მიენდო.

— მანანო! — შესძახე. მანდილოსანმა ჩამოგაშალა შავი თმა და ციურ მანანად დაგაცრემლა ცელქი თვალები.

— მანანო, სისხლი იქცევა. სისხლს მოვლა უნდა. ჩემი პირმშო გაჰბანე შიგა. ეგებ აილესოს სისხლის საძიებლად.

მაშ რალამ შეგაჩერა?! რალამ დაგლალა?!

ჰხედავ?! დაჩოქილა მკვლელი მომაკვდავთან.

ნეტა რად მოჰკლა? ნეტა ვინ იყვნენ. ადამიანები? ვინ იყვნენ:...

### 3

ვიდრე ხანდოდან დაიძრებოდა გამახარაი. ვიდრე მისი სისხლი შეჰღებავდა ქარებულაის ღელეს, — ესტუმრა ხევის ბერ ვაიდევასა.

— გამახარავ! შემოწრეებულია კაცი ბედის მწერალისაგან. ვერსად გაუხვალ. ჰაი, ჰაი, რომ ვერსად გაუხვალ...

— მემრე?..

— ოცდაოთხი ჟამის შემდეგ გაემართები ფუცის ანგელოზის ნიშისაკენ — ნიშნად შენი გვარის ნიშნიანობისა...

— მემრე, ვაიდევო?!

— დაიმწუხრება ქარებულაი; მიუხვალ შეწირულად.

— ნიშთან რალა მელის?..

— თვითონა ნახავ. — გითხრა ვაიდევამა და სამარადისოდ დაიდუმა ბაგენი. დიახ სამარადისოდ.

და ოცდა ოთხი ჟამის შემდეგ ბნელ ღამეს დაბნელებული და დაღლილი, დაბნელებული და ჯან დანატანჯი ანაბიჯე ჯეჯილები ქარებულაის ფერდისა. ხანჯალი გითბობდა მკერდს. ნიშს მიაშურე. თან გამოგყვა მანანაი: მეუღლე. ვაჟის მშობელი, მანდილოსანი.

და ვიდრე წამოვიდოდა მკვლელი. ბნელ ღამეს ნახა სიზმარი:

მოდის შენ ქოხთან, მკვლელო, შავი ადამიანი. ეძგერე გრძნეულსა და მოგაძახა:

— საბრალო კაცო! გულს გადაგევლება სისხლი შენის გვარიდან. შემოგაკვდება ადამიანი შენის ჯანიან ჯილაგიდან. —

— რითლა ვუწამლო საიდუმლო ადამიანო? მითხარ, რითლა ავიცდინო? — შეჰლაღადე.

— მოჰკალი პირველი შემხვედრი, ეგებ ავცდეს! და შემოგეცალა თვალთაგან შავი ადამიანი. ატყობ: აგიტყდა ტანის ტეხვა. ატყობ: გელურსება ნისლი ნავსი დღესავით და ვითა ცოფიანი ლომი, გავარდი გარედ ხანჯალ აწვდილი. დაეცი ფუცის ანგელოზის ნიშთან და შეჰფიცე:

— გადავარჩენ სისხლს ჩემის ჯილაგისას.

ავაცდენ... ავაცდენ...

და მოჰკალი პირველი შემხვედრი. ფიქრობ: მგონი გადარჩა გვარი.

და ერთად შემოეფინება შენს ფერდას ცხვარი და ნისლი, მთაო ქარებულაო! ეხლა აქროლდა ქარი და ქარებულაის ქერები შეიღებნენ გამახარაის სისხლით.

ნამუდარევ სიტყვასავით დაატყო მკვლელმა ბაგენი გამახარაის გამხმარ ხელს. მანანამ მოიხვია მანდილი. მანანამ ცრემლდანაწვეთები ღაწვნი ჩაათარა ფერდასა.

— ვინ ხარ? — ჰკითხე მკვლელო!

გამახარამ წამოიწია. გამახარაი ჩაგაბჟირდა.

— ჩემი ჯილაგისა ეტყობი. ბეჩავო!

— მაშ, რათა გაქვს მუქი მარჯვენა თვალი მაშ, რად მახმება მარჯვენა. მითხარი ვინა ხარ, ადამიანო? — იტყოდა მკვლელი.

— ხანდოველი. გამახარაი. — იტყოდა მომაკვდავი. მკვლელი დააცხრა მიწას.

— შენ რაღათა გაქვს მუქი თვალი, მკვლელი? საჯი-  
ლაგო ნიშანი ჩემი გვარისა. მკვლელი სდუმდა.

ოდეს ხომღმა ხელი ახარა შვიდი შუბის წვერისკენ  
მაშინ დაესვენა მკვლელის მკლავებს გამახარაი. სული  
განუტევა.

სოფელმა წაასვენა მიცვალებული და ჩაიტანეს თუნ-  
გი სისხლით. წინ მოაგებეს ბუთხუზა პირმშო — ვაჟი  
კვიცი ჯილაგიდან.

და გადაიღელე მკერდი, მკვლელი!

ალბად თავის მოკვლა გსურს. მაგრამ:

— სისხლი შვილმა უნდა აიღოს — წაიზუზუნე შენ  
და უგეშოდ დაეკარგე იმ მხარესა.

## 6

და ოცდა ოთხი წლის შემდეგ მთებიდან გადმოვიდა  
დამდნარი ადამიანი. თან მოიყოლა სუსხი და ყინვა. დღეო-  
ბაში იცანი, ადამიანო, ერთი ჭაბუკი. გაიხმე ცალკე და:

— ნუთუ არ გინდა მამის სისხლი აიღო, ნუთუ არ  
ეძებ გამახარაის მკვლელს? — ჰკითხე ჭაბუკს.

— დროს ველოდი. ვინ მაჩვენებდა. ეხლა სად არის?  
სოფლად არავინა სცნობს. დედა ყოველთვის ჩასძახოდა:  
სისხლი ეძიეო: მაშინ ჩასჭიდე ხელი ჭაბუკსა.

— მომყე, ძვირფასო ბაღლო! მომყე — გიჩვენო გა-  
მახარაის მკვლელი.

— მაჩვენებ?!...

— სისხლი აიღე.

ჭაბუკმა მამის სისხლით ალესა ხანჯალი.

და კვლავ შეუდგა ქარებულაოს ორი ადამიანი. აიფი-  
ნეს ქერით დანათესი ფერდა. ბნელა.

ჭაბუკმა იძრო ხანჯალი და გაათრეული გულს  
უფართხალებდა. გული მამის სისხლის ასაღებად გამზა-  
დებული.

იძიებს. სისხლს იძიებს.

— სისხლი მწყურია. — ჰკიოდა ჭაბუკი.

— ნუთუ დედამ არ ჩაგაწოვა მკვლელის სახელი? —  
ჰკითხე ადამიანო.

— სისხლის ძიებას მავალეზდა.

— სახელი მკვლელისა? — გაუმეორე.

— არავინ იცოდა.

გადაიღეღე გულმკერდი, ადამიანო, და მიუშვირე ჭა-  
ბუკსა.

— მოჰკალი მკვლელი მამაშენისა. აიღე, ბალო სისხ-  
ლი. შენ წინ მკვლელის მკერდია!..

ჭაბუკი აიღესა. ჭაბუკი აქშინდა. რალად გააგდე ხე-  
ლიდან ხანჯალი? რა დაგემართა?

— მომკალ, ბალო! იძიე სისხლი.

— ვერა...

— აინაზლაურე მამა. — უთხარი ადამიანო და მუხლით  
დაეცი. გულს უნდა სიკვდილი, შენს გამხმარს და სასი-  
კვდილე გულს, მკვლელო.

— ვინა ხარ? — წამოსცდა ბალოსა.

— მკვლელი უპასუხე.

— გვარი მითხარი, შენი ჯილაგი.

— სადა მაქვს ჯილაგი. გამახარაის სისხლს თან გა-  
ვაყოლე.

— მარჯვენა თვალი მათვიქრებს შენი, ადამიანო!

— ჩემი მკერდი გაშრა სასისხლეთ.

— შენი მკერდი დაკოდილია ძველად. ჯილაგი  
მითხარ.

— ხანდოველი ვარ.

— ხანდოველი? აეტუხე ხატის კედელს. ჭაბუკო.  
გაშრი.

— უნდა იცოცხლო.

— მომკალი, რადგან სისხლი მამძიმებს გვარიდან.

— რალად დავიმძიმო ჩემი სულიცა.

— არ ეძებ. მამის სისხლს?

— მამას მივაგენი. — უპასუხე ყრმაო და გადაეხვიე  
მამისმკვლელს. ვითა შენი ჯილაგისას, ვითა ძმასა.

მკვლელი შეეფარა ქარებულის ქარისაგან ანაქრელბ  
ჭვავის ჭალებს.

ჭაბუკი დაიხარა ხანდოსაკენ.

8

დაღვარე გამახარაის სისხლი ფუცის ანგელოზის ტრა-  
პეზთან.

— მიიღე სისხლი ჩემ ჯილაგიდან. მას უნდა დაფა-  
სება, უკეთ დააფასებ. მას უნდა მოვლა, უკეთ შეინახავ.  
დაეშვი, ჭაბუკო, გამახარაის საფლავთან და ჩასძახე:

— შემინდე ცოდვა ტკბილო, საფლავო! რადგან არ  
ავიღე მკვლელის სისხლი, ხომ ჩემ ჯილაგს დაეწურებოდა  
სისხლი, ხომ დამაწვებოდა ლოდათ გვარის ცოდვები?

დადუმდი. და ხელათვე შემოეფინება შენს ფერდას  
ცხვარი და ნისლი, მთაო ქარებულაო!

ქარი რომ ააქოთებს ქვეყანასა და ჩამოჩულყმდება, —  
მოვა ფუცის ანგელოზის ნიშთან ორი ადამიანი. ფიცის  
ფარად და ერთუროს გადაეხვევიან, ვითა ძმანი, ვითა  
ერთი ჯილაგისანი.

3 7 0 8 0 5

## სიცხის საზომით.

წინ, მაგიდაზე მღვრიე წამალი.  
მხოლოდ გრიპია დღეს მეთაური.  
არ გამაჩნია ზღვის ნატამალი  
და მაინც მესმის მისი ხმაური.  
გუშინ გამიტყდა მცირე ნიჟარა —  
პატარა სარკე ოკეანესი.  
მარა ოცნებამ თუ დამიჯერა,  
ვიქნები მეფე და პირანეზი.  
იქ, სადაც თვლემენ ზღვის ბანანები,  
ნიავე სევდას არ მაკარებდა.  
ო, სიჭაბუკე, დამენანები  
ალექსანდროვის ბალის კარებთან!  
ვიყავი მოგვი და იაზონი...  
რა ჩავიდინე ისეთი ცოდვა,  
რომ გართხული ვარ სიცხის საზომით  
და ამირანის მაწვალებს ბოდვა?  
ტალღებს ამზადებს შესახვედარად  
ზღვა უხუცესი, ლოდინით სავსე.  
მე კი აქ ვწევარ წითელ ცხედარად,  
ყინულის ბუშტით გაპარსულ თავზე!  
ზღვა ჩემთვის მართავს დიდ დღესასწაულს,  
რა ვქნა რომ სენით ვარ შეპყრობლი!  
ბლომად დაფანტავს თავის სამკაულს  
ნიბელუნგების განძთა მფლობელი  
მუდამ გონია დახუჭულ თვალებს,  
რომ სულ ახლოა ზღვა შორეული.  
ყინულის ბუშტი თავზე კანკალებს,  
როგორც მედუზა ქაფმორეული.

მარტი. 1927.



გიორგი ლეონიძე.

## ღამე ივერიისა.

დარიალიდან გადავარდნილი,  
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო;  
ისევ აყვავდა გული ვარდივით,  
მინდა მწუხარე ლექსი დავწერო.

დახანძრებული წევს ივერია,  
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს  
მეტივეები სადღაც მღერიან,  
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე.

სთვლემენ ბელლებში ლურჯი ყანები,  
ელვარებს ხვათი როგორც ლამპარი,  
— ხალაგდნენ ყველა ჩინგისხანები,  
სთქვი, მეწისქვილევ, ერთი ზღაპარი!

— სთქვი, ნალვლიანი. რამე ქართლივით  
ან აზნაურის ქალზე ვიმღეროთ.  
დარიალიდან გადავარდნილი  
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო!..

ბ ა რ ა თ ი.

შენი წერილი მივიღე გუშინ —  
ჩვენებურ ბიჭს რომ გამოატანე.  
მანდ თურმე კიდევ თეთრად ჰთოვს ნუში  
და პირის ფერად ელავს ატამი.  
ნეტავ მამყოფა ეხლა იებთან,  
ნეტავ ამივსო უბე ჯეჯილით!  
დედი, ზამთარში გულს ასიებდა:  
ჯარა, ზღაპრები და საჩეჩელი.  
დაგტოვეთ, თუმცა რა გამოვიდა,  
ნალველმა უფრო ხელი დამრია.  
მორჩა, სოფელში ველარ მოვიტან —  
მკერდს ბაღდადიანს და წელს ჭამრიანს.  
გინდა მაქციო უზრუნველ ბაღდათ  
და მწერ, რომ მირთავ ფარჩის ახალოხს  
ნეტავ, რად მინდა, ცხოვრების ტალღამ,  
ვინ იცის, რომელ კლდეს შემახალოს.  
მტანჯავს ცხოვრების უკან ჩანჩალი  
და მძიმე ჯვარი ზურგზე მკიდია.  
ჩემი ნიშნობის ქამარ-ხანჯალიც  
ცოლს მეპურისთვის მიუყიდია.  
შენ პოეტობა ალბად გგონია  
ყველა სიდიდის გადამეტება.  
ლექსებს ვწერ ისე, სხვა რა ღონეა.  
გულში რომ გრძნობა აღარ მეტევა...  
დედი, ასეა ჩემი ავ-კარგი,  
ოხვრით ავავსე გრძელი წერილი.  
ახალგაზრდული გული დავკარგე,

მზით ანთებული და დაფერილი.  
მანდ ეხლა მწყობრად ისმის მაყრული.  
ძღვენს ამზადებენ ნათლი-დედები  
და გოგოები თმა-გადაკრული  
ლობესთან სხედან როგორც მტრედები.  
მინდა მანდ ვიყო, წუთით, დროებით,  
ცის ქვეშ, — გულ-ღია... მეფე... უფალი...  
მხრებზე მეხუროს თეთრი რტოებით  
ნუში, ტყემალი და ალუბალი.  
მინდა უმიზნოდ... მინდა ხან ისე...  
მარტო ვმღეროდე ბებერ იფანთან,  
სადაც ბავშვობა და სიხალისე  
ვერცხლის წყალივით ჩამოიფანტა.  
მაგრამ არც მინდა. სოფელში მგოსანს  
ილა მოსაშვილს ვინ მოიგონებს?...  
რო წამოვედი ვიყავი ქოსა.  
და ძლივს ვარჩევდი წიგნში სტრიქონებს...  
დღეს კი სხვა ცეცხლი მინთია გულში,  
ველარ მიცნობენ ტოლი ბიჭები.  
ეხლა ისინი ტრაქტორის ხნულში.  
როგორც დევები მიაბიჯებენ.  
დედი, ასეა ჩემი ავ-კარგი, —  
ვიცი, სიმშვიდეს მაინც არ ელი..  
რა ვქნა, სოფელი თითქოს დავკარგე  
და შენც დაგტოვე გაუხარელი.

927 წ.

კოლაუ ნადირაძე.

## ჯერ მზე არ არის ამოსული.

ჯერ მზე არ არის ამოსული, მაგრამ ზეცაში  
თანდათან სწყდება და ნელდება ვარსკვლავთ კაშკაში.

ჯერ კიდევ მთვარე არ გამქრალა, ჯერ კიდევ მნათობს,  
და მთის მწვერვალებს სათნოებით მალლიდან ათოვს.

ჯერ მზე არ არის ამოსული, მაგრამ ზეცაში  
ღვთაებრივ ხელმა გადაღვარა ოქროს ზედაში.

ჯერ კიდევ ხევში სიბნელეა, მაგრამ ცისკარი.  
მოდის ღიმილით, რომ გააღოს სიცოცხლის კარი.

მალე სიღრმეში დედამიწის დაიძვრის გული,  
და მთელ სამყაროს გადალეკავს ზღვა სიხარულის!

25-V-27 .წ ტფილისი.

ალექსანდრ პუშკინ.

ნ ა წ უ ხ ვ ე ტ ი.

საქართველოს მთებს დაჰფენია სიბნელე ღამის.  
ქვევით ხმაურობს არაგვი ქშენით.  
ვარ ნალვლიანი მაგრამ, ნაზი, მოწყენის ნამი  
არი ნათელი და სავსე შენით.  
სავსეა შენით, მხოლოდ შენით! სიჩუმე დადგა.  
და არაფერი მილონებს დარდებს.  
და ისევ იწვის ჩემი გული და უყვარს რადგან  
არ შეუძლია რომ არ უყვარდეს.

თარგ. კაოლო იაშვილის.

## კ ა ხ ე თ ი.

### 3.

ასე გვეძახის ალაზნის ველი;  
— მოდით სტუმრები ხართ სასურველი.  
მოდით და ნახეთ კახური ღვინო  
მოდით, ბიჭებო, და მოვილხინოთ.

ნეტა სხვა ხალხიც წამოგეყვანა.  
გელით პოეტებს: სუფრა გაშლილი  
შილდაში მღერის დედას ლევანა  
და ართანაში ყარალაშვილი.

სოფლიდან სოფლად მეზად გადადის  
„მრავალ-ჟამიერ“ ჩვენი თამადის.  
თითქოს წინანდალს სეტყვას ურტყამდეს  
რა მკერდი იტევს სიმღერას ამდენს.

ბაიათებით სუფრა იხრჩობა  
გვიჩვენე, სიძევ დღესაც ბიჭობა.  
ასწიე ყანწი და არ გეძნელოს  
ტკბილი კახეთის სვამ სადღეგრძელოს.....

7.

ვიცი ესროლეთ შვიდთა... მაგრამა  
რომ ააცდინეთ ვიცი ესეცა.  
ერთხელ ესროლა ბერმა პაპამა  
და ჯიხვი კლდეზე ჩამოეკეცა.

შვიდჯერ რომა ვსთქვათ ლექსები ყველამ  
ყველა შვიდივე აცდენილია.  
თავს დაგვიარა ვაჟა-ფშაველამ  
და თავზე გვაწევს ზვავად ილია.

ან ვინ დაითვლის კახელ ვაჟაკებს  
ან შედავება ვინ გაუბედა.  
ასწიეთ, ძმებო, ავსებულ ყანწებს  
და ვუდღეგრძელოთ მშობელი დედა.

ამისთანები რომ სთქვას თამამად  
ანიტომ გვირჩევს სუფრის თამადათ.

22-V-927 წ. ტფილისი.

## გატონი ცილინდროსანი.

ვერის ხიდზე შუალამით  
შლეგი ქარი წივის....  
იქ დამხრჩვალთ თამარქალი  
ზანგის ამბორს ჩივის.  
მაჩაბელი დამნაშავეს  
სუდარაში ელის.  
გაბერილი ვილაც უცხო  
ხრინწიანად მღერის:  
„— ამლამ მთვარე არ ამოვა....  
ბნელა.... ცივა ხევში!  
რად არ მოხვალ? მსხვერპლი მინდა,  
მტკვარს — უსულო ლეში!“  
შავი ფრაკი გადაუცვამს,  
ყინვის თვალებს ინთებს.  
გამხმარ კეფას აკანტურებს,  
ცილინდრს მუხლზე იდებს.  
და არ ვიცი რას მანიშნებს,  
მახეს ხომ არ მიგებს?!  
ხომ არ არის ოქროს მეფე,  
ან მექარხნე ფლიდი?  
ყველაფერს რომ ფულით ზომავს  
და ფულზედვე ჰყიდის?  
ჩემგან იგი რას შეიძენს?  
ან რას მევაჭრება?  
რა თავს იგდებს ბებრუხანა?  
როგორ იღმანჭება?



და თუ იგი ყასაბია,  
რად მონახა ხიდი?  
რად უჭირავს ხელში დანა  
გალესილი, დიდი?  
ვამჩნევ თითქოს სწევს სიგარას,  
ფიცარს აგლეჯს კიბეს,  
რომ დაუცდეს გამვლელს ფეხი,  
თავის მსხვერპლად სთვლიდეს.  
— ჰეი, რატომ არ შაიპყრობთ?  
მუხანათობს კიდევ!  
ავაზაკი შემოგვეჭრა,  
ჰხედავთ ანგრევს კიბეს.  
ის მორიელს ძვლის ფეხს ადგამს,  
ძვლის ხელს კუდში ჰკიდებს.  
ნესტარს იღებს და შხამს აცლის,  
უკლებს, ხან კი ჰმატებს.  
და გადმოჰყრის თვალებიდან  
თეთრად მსუქანს მატლებს.  
ახ! ვინ არის იმ შავს ფრაკში?  
ვერ ვცნობ ცილინდროსანს.  
ხელში ოქროს აჩხრიალებს,  
გრძნეულ სიტყვებს როშავს.  
ვერის ხიდზე, განცდის ღამეს,  
ფრთებს იმტვრევდა ქარი.  
აქ უდროო პაემანზე  
მოველ გულით მკვდარი.  
ამ დროს მძულდა თავი ჩემი,  
მძულდა მეგობარი.  
შინ ტირილი.... გაჭირვება....  
ღალატე და შარი!  
მოაჯირზე დავეყუდე,  
ყურს ვუგდებდი ხმაურს;  
გაჟი მტკვარი მიმართავდა.

გლოვის დღესასწაულს.  
საზარელი რა მეწადა?  
გული რისთვის კრთოდა?  
გაბერილი ჩემს ზურგს უკან,  
ვგრძნობდი, დავლურს ხტოდა.  
ცივი ოფლი გადამესხა.  
მახსოვს, ხელიც ვკარი.  
შევიკვივლე გამოვბრუნდი,  
უკან დამრჩა მტკვარი.  
ვერის ხიდზე, ელექტრონზე  
ფრთებს იმტვრევდა ქარი.  
მე ის უცხო ამედევნა,  
მძიმედ მოაბიჯებს.  
და რომ ერთხელ კიდევ ვნახო,  
შემშლის, გამაგიჟებს.  
ჰეი ვინ ხართ! დამიფარეთ!  
ჩემს გულს შიში ჰმოსავს!  
მეგობრებო! ნუ მოუშვებთ  
ბატონს ცილინდროსანს!  
მსურს გავიქცე, ვერ ვახერხებ....  
შველად ვუხმობ ძმობილს.  
ვერის ხიდზე მოაქროლებს  
ვილაც ავტომობილს.  
და შოფერი კარებს ალებს,  
კიდევ ამიტაცა.  
„— მოდი ჩემთან! მე ვარ მხსნელი!  
გულში ხელი მტაცა“.  
მიჰქრის, მაგრამ საით? საით?  
იქ ხმა აღარ ისმის!  
მან ყრუ ადგილს შეაჩერა,  
უცბად ნილაბს იხსნის.  
და შოფერის ნაცვლად, ვხედავ,  
გვერდით უცხო მიზის.

ყელში ვეცი. შემებრძოლა.  
ვერ მძლევს ხალხის მგოსანს.  
ჩემს მისამართს მეკითხება,  
ელიმება ქოსას!  
მეგობრებო! ნუ მოუშვებთ  
უცნობს ცილინდროსანს.  
სილარიბემ ჩემს ოჯახში  
მკვიდრად ისადგურა;  
ბავშვის დედა წევს ლოგინში,  
ფარატინა ჰხურავს.  
პაწია კი ძუძუს ოთხოვს:  
მკერდი არის მშრალი.  
რა ვქნა? ლუკმა ვინ წამართვა?  
ვის მიუძღვის ბრალი?  
ბავშვი ბოდავს.... სიცხეშია,  
თუ ანთება უვლის?  
„— მამავ! გესმის? ჭიხვინია  
რაშის, ბედაურის!“  
გავხსენ კარი. გავიხედე,  
სდგას კარეტა გარედ.  
ეს მდიდარი ვინ მეწვია?  
გამელიმა მწარედ.  
ნუთუ ვინმეს მოვაგონდი?  
პატივს მცემენ მგოსანს?  
ავკანკალდი... ჩემწინ ვხედავ  
ბატონს ცილიდროსანს.  
და გადმომცა თეთრი კუბო,....  
ვსთქვი თუ: როგორ ჰბედავს?  
კივად მითხრა: „შენს ბავშვს ძღვენი,  
წინ დაუდგი დედას!“  
თავზე კუბო დავამტვრიე,  
მოვიგერე ბრძოლით;  
გამელვიდა, კარგად ვიყავ  
შვილით, ჩემი ცოლით.

## ტყვიისფერ ციდან ნასაკირალი.

ვიყავი ბავში და გული მქონდა  
წყნარი და წმინდა თითქოს - - მტირალი  
მახსოვს ვარდებით ლამაზი ოდა  
და გვიმრიანი ნასაკირალი.  
თავს იწონებდა ზღაპრული ქებით,  
მთვარე დღემოკლე და ერთი ციდა.  
აღმოდებული გურიის მთები,  
ნისლში წვებოდა ტყვიისფერ ციდან. —  
ამბობენ: მაშინ ტყვიები წვიმდა.  
და სადაც ყორნის მძიმე ხროტინით  
მოედო ცეცხლი სოფელს ნატყვიარს  
იქ ბევრის გული მიწვა ლოდევით  
და მდინარესაც სისხლი ატყვია.  
ნიავეს მოჰქონდა ხალისი ციდან,  
ნიავე ქროდა ბაღების გულში.  
ატმის ფოთლები ყვავილებს სცრიდა  
და ირხეოდა ალუჩის ბუში.  
ასე მგონია ეს მოხდა გუშინ.  
ძველი ბრძოლები თავისას ამბობს  
სული იშლება კინო ლენტეხით.  
ნასაკირალის სიხლიან ამბორს  
თან მიყვებოდა გვამების ტივი.  
ამ ამბებიდან ბევრი წელია  
თარიღის გულში დასატირალი.  
ახალ ცხოვრების ისევ მცველია  
აღისფერ სახით ნასაკირალი.

როგორც უდაბნოს უყვარს პალმები,  
მიყვარდა გვიმრა — ვიყავი ბავში.  
გულში მასვია ვით პალოები  
ძმები, რომლებიც დავკარგე მაშინ,  
ეხლა სხვა დროა, თავს მოვესწარი  
და ველარ თბება გული მთვარეთი.  
დრომ თან წაიღო ჩემი სიმწარე  
ხალისობს დილა და ომფარეთი.  
სადაც მიწის გულს ხარბათ გამოხრავს  
რკინა, ფოლადი, ურო და ბურღი.  
ნავთს ამოყვება მიწიდან ოხვრა  
ნავთი გადიტანს მიწების ბურღილს.  
ამოვარდება ცეცხლი და ალი.  
ღამე გაივლის შორეულ მხარეს.  
და მზე ელამი მაზუთით მთვრალი,  
ვერ დაეწევა რკინიან ხარებს,  
და მაშინ ნახე კოხტა გურიავ,  
შენ პოეტებმა თუ როგორ გაქონ.  
ხელს ჩამოგართმევს მხარეს მურიანს  
ელვარე სახით მდიდარი ბაქო.



შეპირებები

ტიციან ტაბიძე.

## ახალი მცხეთა.

1918 წელს ბოლშევიკურ რუსეთში იმოგზავრა ინგლისურ ფანტასტიური რომანების მწერალმა უელსმა. უელსმა დასწერა თავის მოგზაურობის შესახებ წიგნი „რუსეთი ბურანში“, სადაც აწერილია იმ დროინდელი რუსეთი.

იმპერიალისტურ ომით დანგრეული და რევოლუციის განადგურებით ხელმოთაგებული მაშინდელი რუსეთი ფანტასტიურ რომანების ავტორის ფანტაზიასაც აჭარბებდა. ჩუჩები ყუმბარებით გადახრულია, ყოველი სახლი ომის ბანაკათ არის გადაქცეული, ინტელიგენცია საბოტაჟს ეწევა და ცხოვრება დამდგარა.

ამ დროს უელსმა ინახულა კრემლში ლენინი და ამ დარბაზობის შემდეგ მან დახატა ლენინის იშვიათი სურათი.

პატარა ტანის ადამიანი, რომელიც იჯდა არც ისე მაღალ სკამზე, მაგრამ ფეხებს ძირს ვერ უწევდა-ერთიანათ წასული იყო ინტელექტის დაძაბვაში. მას თითქო მხრებზე აწვა დანგრეული რუსეთი და მოთხოვდა გადარჩენას.

ასეთ დროს ლენინი მთელი საათის განმავლობაში ელაპარაკა უელსს რუსეთის ელექტროფიკაციაზე. ლენინში იყო რაღაც დაუმონავებელი აზრი, რომ რუსეთი უნდა იხსნას ელექტროფიკაციამ უელსს კი, როგორც გაუსწორებელ ფილისტერს სასაცილოთ მიაჩნდა ლენინის ოცნება ელექტროფიკაციაზე... უეჭველია მაშინ ევროპაშიც და რუსეთშიც ბევრი იყვნენ ისეთი ფილისტერები, რომელთაც უელსთან ერთად სასაცილოდ ეჩვენებოდათ ინდუსტრიაზე და ელექტროფიკაციაზე ფიქრი, როცა გარშემო

ყველასფერი განადგურებული სჩანდა და ძველი ცხოვრება ძირიან ფესვიანათ მოთხრილიყო.

სულ რამოდენიმე წელი გავიდა ამის შემდეგ და ის რაზეც იმ დროს მარტო ლენინი ოცნებობდა, დღეს დიდი-მელი გლახისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა — დღეს არ უნდა დიდი ფანტაზია და დიდი რწმენა იმის დაჯერებას, რომ ელექტროფიკაცია უკვე მომხდარი ფაქტია.

ამას დღეს ყველა ჩვენგანი გრძნობს. ხდება ხოლმე. ხანდისხან ფანტასტიური რომანების ავტორი ვარდება იდიოტურ მდგომარეობაში, — როცა უნდა განსჭვრიტოს მომავალი, რევოლუციის შემოქმედების დაჯერება და რწმენა. ელექტროფიკაციის რკალმა უწია საქართველოსაც.

იხსნება ზემო-ავჭალის ჰიდრო სადგური.

ეს არის ახალი მცხეთის დღესასწაული. ეს არის ახალი ეპოქა ქართული ერის ისტორიაში.

## 2

საქართველოს ისტორიის პირველი ფუძე იყო მცხეთა. მცხეთაში აღმოცენდა მამასახლისობის პერიოდში ქართული სახელმწიფოებრიობა — აქედან იწყებს მატიანე ფარნაოზის მიერ საქართველოს პროვინციების შეკრებას. აქედან „მიეცა ქართველს წიგნი პირველი“. აქ იყო პირველად გაშენებული კერპების ბომონი და ცეცხლის თაყვანისცემა გაჩაღებული. ამავე ადგილას ებრძოდა ერთი მეორეს წარმართული და ქრისტიანული კულტურა — აქ მოინათლა მირიანისაგან შემდგომში ქრისტიანული კულტურით ქართველი ერი. მაშინაც მტკვარი იყო პირველი ემბაზი ამ ახალი მცხებისა — რომელმაც შემდეგ სისხლით დასცალა საქართველო.

რადგან მან ქრისტიანობა და ეროვნება გახადა ერთმანეთის დამფარავ მცნებათ.

ასე იყო მცხეთა ისტორიულ საქართველოს საძირკვლად, სანამ არ მოიშალა და არ დაიხსნა ყველა სახსრებში ძველი სახელმწიფოებრიობა. სანამ არ ამოშრა სვეტი ცხო-



ველის მირონი, რომელიც გადმოცემით მცხეთაში ამო-  
დიოდა.

და განჰქრა ახლის აღთქმისა ძალით  
ძველი ივერის ძნელი რწმუნება  
ქართველთ მიხედეს ცას სიხარულით  
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება....

„სადღეგრძელო“-დან.

სეთი იყო მცხეთა ისტორიულ წარსულში და შემდეგ  
შეცხრამეტე საუკუნის დასასრულისას უკვე ასე იცვალა  
ფერი:

„აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა  
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,  
სად პირველ ქართლის მორჭმულთა შვილთა,  
ღრმად ხარგეს ძირი თავისუფლების.  
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა  
ქართლის გულიდან აღმოცენილი...  
. . . . .  
. . . . .  
აქ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი  
ხე ცხოვრებისა იგი დამჰკნარა,  
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი,  
აწ სამიკიტნო დაბათ გამხდარა.  
ნგრეულან მისი დიდნი პალატნი,  
დიდი ცხოვრობა მის დაცემულა.  
დღეს ამ ცხოვრების წმინდა ალაგნი  
პირუტყვთა ქელვით შეგინებულა....“

„აჩრდილი“-დან.

ასე იყო მცხეთა მართლა სამიკიტნო დაბათ გადაქცე-  
ული, სანამ ახალმა ცხოვრებამ — არ მიიხმო ის ახალ დიდ  
მისიისთვის.

და აქ ხელმეორეთ ხდება მტკვარი საქართველოს ემ-  
ბაზათ — დღეს მამასახლისები და გვირგვინოსანი მეფე-  
ები — კი არ ჰქმნიან ამ ისტორიას. დღეს თვითონ ხალხს  
აუღია ინიციატივა, თვითონ ხალხის ენერგია და სიცოცხ-  
ლის წყურვილი უხმობს და ჰქმნის ამ ეპოქას. მუშებმა

რომ ოფლი მოიწურეს — ეს მეორე მტკვარია — და ამ მტკვარს მოაქვს ახალი სიცოცხლე და შრომისა და ძმობისა ახალი სახელმწიფოებრივობა.

3.

ამ ოცდა ათი წლის წინად ათი კილომეტრის დაშორებით ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ, რომელსაც უთუოდ ალაპარაკებდა ხალხისადმი დიდი სიყვარული, მოაწყო ერთი თვალსაჩინო დღესასწაული — ამაზე მაშინ მთელი საქართველო ლაპარაკობდა. ეს იყო წინამძღვარიანთ კარში სამეურნეო შკოლის გახსნა. ამ შკოლის გახსნაზე წაკითხულ იქნა მაშინდელ გლეხურ მეურნეობის დეკლარაცია, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ათქმევინეს. „ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ და ყური რომ მათხოვოთ მადლობელი ვიქნებიო, მიმართავდა, მაშინ ილია გლეხებს და შემდეგ იწყება ის სიტყვები, რომელნიც ჩვენმა თაობამ ზეპირად იცოდა: „ღმერთმა, რომ ქვეყანა გააჩინა დედამიწას გული გაუხსნა. აუარებელი უღვეელი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენ სადღეგრძელოთ მოიხმარეო: ჩვენში და თქვენში ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხობისა. აქ, ამ პატარა ქვეყანაში დაიბერტყაო, და ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა“-ო და სხვა ასეთი... შემდეგ აქ არის აპოლოგია ცოდნისა, რომელიც ეხმარება ადამიანს გამოიყენოს ამ ქვეყნის სიმდიდრე.

თითქო რამოდენიმე წელიწადია ამის შემდეგ და საქართველოს ისტორიამ ასეთი დიდი გადატეხა განიცადა. დღეს ვინ დაითვლის რამდენია საქართველოში ასეთი სამეურნეო შკოლები, რომელზედაც მაშინ წინამძღვარიან კარში ასეთი პათოსით ლაპარაკობდენ. დღეს საქართველო მოფენილია ასეთი შკოლებით და ეს შკოლები, რომელიც „მომნანიებელ აზნაურ“-ებს კი არ გაუხსნიათ არამედ თვითონ ხალხმა გახსნა და თვითონ დაეპატრონა თა-

ვის ბედს... დღეს მცხეთაში დადგმულია ისეთი ელექტროს  
გარდაქმნა-რომელზედაც ის თაობა ალბათ ვერც კი იო-  
ცნებებდა და რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ყველასთვის და-  
უჯერებელი ამბავი იყო.

მართლაც ეს სასწაული არ იქნებოდა, თუ თვითონ  
ხალხს არ გამოედვა თავი და დაუზოგავად შრომით არ  
მიეყვანა ბოლომდე ეს გიგანტიური აღმშენებლობა...

დღეს ხალხს არ სჭირია იმის ქადაგება, რომ ქრისტე-  
დმერთმა ქვეყანაში კალთა სიუხვისა დაიბერტყაო დღეს  
ინჟინერ-გეოლოგების კომისიები, რომელთაც თვითონ  
ხალხი ამუშავეს დადიან საქართველოში, რომ შეისწავ-  
ლონ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, დღეს ყველა რაიონებში იხ-  
სენება ქარხნები და ათასობით მუშები ღვრიან ოფლს,  
რომ აუშენოს ბაზისი თავის საკუთარ სახელმწიფოს.

არც ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი არის უჩვეულო  
ჩვენი ხალხისათვის. ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის და  
რომის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ქართველებმა  
პირველად ისწავლეს ფოლადის გადადნობა. საქვეყნოთ,  
ცნობილია ბერძნების შექმნილი მითი არგონატელთა მო-  
გზაურობისა კოლხიდაში ოქროს ვერძის მოსატაცებლად.

ეხლა ჩვენ ვიცით, რომ ეს მითი ძალიან სარწმუნო ამ-  
ბავია.

იმპერიალისტური არგონატელები ოქროს ტრირემიან  
არგოს მაგიერ ზე-დრედნოუტებს აშენებენ ახალი ლაშ-  
ქრობისათვის და წაქეზებულნი არიან არა ოქროს ვერძის  
ყურ მოკრულ ამბავით, არამედ უფრო საგრძნობელ მად-  
ნების ეშხითაც — მაგრამ ხალხი, რომელიც თვითონ დაე-  
უფლა თავის სიმდიდრეს, ისე იოლად სხვას არ დაუთ-  
მობს. და ეს ყველამ იცის დღეს, როცა იხსნება ახალი  
მცხეთა, როცა საფუძველი ეყრება ერის ახალ ეკონომიურ  
აღორძინებას....

#### 4.

ახალი მცხეთა დღეს გამხდარა პროექტების სიმღერის  
საგნათ. წინათ სანამ არ იყო დასანახი გათანგული მტკვა-

რის ელექტრონათ დაღვრა, თითქო ყალბიც იყო ეს სიმ-  
ღერა. დღეს კი უახლოვდება სინამდვილეს.

ძნელი წარმოსადგენია იყოს საქართველოში ისეთი  
შურით დაბრმავებული ადამიანი, რომ დღეს არ გაუხარ-  
დეს ამ ხალხის ბედნიერება.

ის ადამიანი, რომელიც ვერ იგრძნობს ამ დღეს ახალი  
ცხოვრების მაჯის ცემას და არ დაიღვრება სინარჯის  
გრძნობით, ის ადამიანი ცოცხლად მკვდარია და დამპალ-  
ზედმეტ ხორცათ აწევს საქართველოს. ამერიკასა და ევ-  
როპაში დღეს იმდენ ელექტრო სადგურს აშენებენ, რომ  
თუ პოეტებმა ამის შესახებ ლექსები სწერეს, ეს ლექსები  
მართლაც მტკვარსაც გადააშრობენ.

მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ამერიკაში ამას აკე-  
თებს კაპიტალისტური მოლოხი. ახალი მცხეთა კი თვი-  
თონ ხალხის აშენებულია, საკუთარი ოფლითა და მუშუ-  
რი გროშებით. და ამიტომ სინარჯიც სხვანაირია.

„ხმალისა და გუთანის“ საქართველო-უბრალო მოდ-  
გმათა ცვლის კანონით — გადადის ახალ განვითარების  
ფაზაში.

თვითონ იმ მწერალმა, რომელმაც მოიგონა ეს ფორ-  
მულა — მეორე ნახევარს მეტი როლი არგუნა.

წინათ მართლა ხმალი იცავდა ქართველ სახელმწიფო-  
ებრივობას, მაგრამ ეს რაინდული დრო დიდი ხანია გადა-  
გვარდა, — უკვე წარსულ საუკუნეში წარმოაყენეს ლო-  
ზუნგი — ხმალის შეცვლისა პატიოსანი შრომით „ვითარ-  
ცა შრომა პატიოსანია, ნამუსიანია და ასეთივე თავის გა-  
მოსაჩენი, როგორც წინათ ხმალისა და თოფის ომი იყო“-ო.

— „ვაჟკაც გულადზე მშრომელი **სამი გაფრენით**  
მეტიაო, იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედ გამოჭ-  
რილი“-ო...

გლეხი იტყოდა და მუშამ ამას დღეს მისცა დაკანო-  
ნება: ეს არის ახალი მცხეთის აშენება. ეს არის თვითონ  
შრომის განთავისუფლება. ახალი მცხეთა — არის ნიშანი  
„ამ გულადობაზე სამი გაფრენით მეტი შრომის“ ახალი  
დასაწყისის. და როგორც წინათ ძველ მცხეთაში ისმოდა  
ჯერ კერპთთაყვანისმცემელთა და მის ქურუმთა ლაღადი

და შემდეგ ქრისტიანული ხორალები, დღესაც უნდა ის-  
მოდეს ახალი გამარჯვების სიმღერა შრომისა და ძმობის  
კავშირისთვის, საბჭოთა რესპუბლიკების შედუღებისთვის  
და სახალხო სახელმწიფოს განმტკიცებისთვის.

ინტერნაციონალის სიმღერით და მშრომელი ხალხის  
უმაგალითო ენტუზიაზმით აშენდა ახალი მცხეთა, და ეს  
ისეთი საფუძველია, რომ მას მართლა ვერ დასძლევენ  
„ბჭენი ჯოჯოხეთისანი“....

ქართულმა მწერლობამ შრომის დიდებას, რომელიც  
გულადობაზე სამი გაფრენით მეტია — უნდა მიუმართოს  
კიდევ ერთი გადაფრენა შთაგონებისა და სიყვარულისა.

მაშინ აასრულებს მწერლობა თავის მოვალეობას ხალ-  
ხის წინაშე და მხოლოდ მაშინ ექნება მას შედუღებული  
კავშირი ახალ ეპოქასთან.....

## ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786 — 1846 წ.)

(მონოგრაფია)

\*

\* \*

შვილი გარსევანისა, ელჩად რომ იყო ერეკლესგან რუსთ ხელმწიფესთან. პეტერბურღს დაიბადა. ეკატერინე დიდმა მოხათლა. ოთხი წელიწადი დაჰყო საუკეთესო პანსიონში. თორმეტი წლისა ჩამოვიდა საქართველოში. 1804 წ. მონაწილეობა მიიღო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში. დააპატიმრეს. ტამბოვში გაგზავნეს სამი წლით.

იმავე წელიწადს მიიღეს პაუთა კორპუსში, საიდანაცოფიცრად გამოვიდა. დანიშნულ იქმნა მთავარმართებლის იარალად საქართველოში. მონაწილეობა მიიღო 1812 წლის ომებში და პოლკოვნიკობა უბოძეს. შემდეგ ლენერლობაც დაიმსახურა.

დანიშნულ იქმნა მთავარმართებლის საგანგებო მოხელედ. განაწესეს განმგებლად რუსეთის კუთვნილ სომხეთისა. არ მიიღო მონაწილეობა 1832 წლის აჯანყებაში: არ კი გასცა ეს საიდუმლო. ურჩევდა, თავი დაენებებინათ წინააღმდეგობისათვის: საქართველოს ძალა არ შესწევსო განდევნოს რუსნი; არც უფლება აქვსო ამისი. ისევ დააპატიმრეს და ტამბოვში გაგზავნეს: იმაზედ თუ უწყობოდნენ, მთხრობლად არ გამოხვედიო. ნიკოლოზ პირველმა იმავე წელს დააბრუნა საქართველოში. მთავარმართებელთან მიდიოდა სადარბაზოდ, გაქანებული ეტლიდან გადმოვარდა და გარდიცვალა. შუა მთაში ასაფლავია.

\*

\* \*

განცხრომის შვილია ალექსანდრე. მისი მამა ფრიად მდიდარი მემამულე, იმპერატორისაგან მიჩნეული და მე-

ფურად დაჯილდოვებული რუსეთის წინაშე დიდ სამსახურისთვის. ალექსანდრეს დედას სურათზედ სადედოფლო ჯილა ადგას თავს. პირად თითონაც შესამჩნევ ჯილდოს იღებდა წარჩინებული მოხელე. გამოცდილი არა აქვს ნივთიერ საშუალებათა სიმცირე.

მგრძნობიარე კაცია ალექსანდრე. ფიქრიც იცის. მასში იბრძვიან: მამისაგან ნაანდერძევი დადებითი შეხედულობა ქართველთა ცხოვრების ახალ სადინელის შესახებ და საქართველოს სულისაგან ზიზღით უარყოფა მონობისა ამ ახალ სავალზედ. პირველ ხანში თავის სიცოცხლისა უარყოფს მონობას და მის წინააღმდეგ მებრძოლად გამოდის ცხოვრებაში. შემდეგ ნელნელა ემორჩილება გარემოებებს, მიიღებს ახალ მიმართულებას და წარმატებით იღწვის ამ სადინელზედ.

მისი პოეზია სიამოვნების სამღერლად არის მოწყობილი, კეთილყოფის უფრო აღსაყვავებლად. მისი ლექსების უმრავლესობა განცხრომაში მყოფ ადამიანის მოღიმარე აღმოსტეგებია. არის კაეშნის ლანდებიც. მგოსნის პირად ქუფრ განცდებში იწყებიან იგინი.

უმთავრესი საგნები ალექსანდრეს მგოსნობისა: ქალი და სიყვარული; ღვინო და ქეიფი; სევდის ნაჟური ძნელ განცდების გამო; საზოგადო ამოსკვნები სამოქალაქო.

\*  
\* \*

მიმართვა.

მუზნო, ჩემ კერძ მომართვით მოდით ებნის მომართვით: გრაციის აღსამკობლად ლექსნი თხზულნი მომართვით!

მოდით. მომმართეთ, მჭევრნო ლექსნო სტიხთ შემკურველნო! აჰა თქვენ სტვირთეთ, ქალალდი ველობს; განიფინენით მასზედ მდებლოებრ.....

რაინდი მოტრფიალე.

ჰხამს ტრფიალსა საყვარელი სულად ედგეს, მით სცოცხლობდეს; მოშორებას ვერა სთმობდეს, დაწვსა მის-

თვის დაიღებდეს; გულს სურვილი ეგზნებოდეს, ჭირსა  
ყოველ მითა სძლევდეს; ზოგჯერ ზრახვით განცხრებო-  
დეს, ზოგჯერ ტრფობით მიახლებდეს....  
ძალა სიყვარულისა.

სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს, რომელ არ ჰმო-  
ნებდეს?! ვინ არს, რომელ გულსა ტახტად, ოხვრის ხარ-  
კად არა გცემდეს?! სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი  
გრძნობს. არსებს რაცა. შენ გული გყავს ქვეშევრდომად;  
გრძნობანი სულ შენკენ რბიან. ცუდად წარუდგეს გო-  
ნება მუნ თვისთა ბრძნულთა თათბირთა, სადაცა გული  
მმართველობს: თვით იპყრობს მისთა ადგილთა.

ძნელი არის სიყვარული, დამწველია; მიჯნურისა.  
მით უფრო იგი არს ტკბილი! ეგზომ სწყურით მისი სახე.  
რაზომაცა ივნებიან; ყოველნი მისგან კოდინი იმასვე  
ემსჭვალებიან. ის არის ვნების მიზეზი; ლხინიც ხომ მის-  
გან გვეძლევა.

უწყალო სიყვარულო, რად მომკალ ესე ძნელად,  
რისთვისა მყავ მმღერალი საუკუნოდ მკვნესელად? სევ-  
და მლამის მორევად, დამნთქას ეშხის მორევად. ნეტა მას,  
ვისცა ძალუძს სიყვარულის მორევად! ეჰ ამაოა მასთან  
ბრძოლა; ჰმონებდეს ყველა!

\*

\* \*

საყვარლის სახე.

ტანად სარო ხარ ალვად ნაბარდი, სინაზით მრხევი.  
ლელწმად ახატოს, ვინც დახატოს ეგ შენი ტანი. მკლავნი  
წვლილნი სუნნელ ყრილნი. ვიშ მშვენთა ხელთა! როს  
საროს რხევა წარმომიდგების, ცნობა მეღვეის, ოხვრა  
ხშირდების. ალვასა წვლილსა ორშტოვანსა გული ემონ-  
ვის: ექადის ხვევნას. საროს ტანისთვის დამეკარგოს სა-  
სუფეველი!

მიკვირს თმის სიგრძე, სიბნელე და ლამაზწნულობა.  
ვის ძალუძს ჭება მიჯნური მბმელთა მისთა დალაღთა,  
თმახშირთა, გრძელთა, დაუთვალავთა?! თმაკოწოლსა გვე-  
ლებრ გრაგვნით შეუეშხავს მიჯნურთა წყლულნი.



მჭვინვარე ყელს რიდე ვლებულს ზილფნი ჰშვენთან.  
ბროლის გულ-მკერდი განათებული. ბროლის ფიცარსა  
ნათელს სცემს მრჩობლი. მორთვესა ორსა მუნ ბუდებულ-  
სა უგვანნ ნისკარტნი ლალის ბრწყენასა. ხსოვნაც მახე-  
ლებს იმ ბროლის ფიცრის. მის უბის ვარსკვლავთ შორით  
ვეკონვი!

ტუჩ-ბადე ჩვილნი. ლალთ მოუზღუდავთ მარგა-  
ლიტთ კბილნი. მიმზიდვმა ღიმმა ლალთ განლებით მარ-  
გალიტი მწყობრი აჩინა.

უფსკრულნი თვალნი. ჩემნი თვალნი აუბიათ იმ მელ-  
ნის ტბათა! ნატრულობენ, იტყვიან ქალნი: ნეტავ გვქონ-  
დესო ჩვენც მისნი თვალნი.

წარბნი მოხრილნი. ჰშვენთან მშვილდნი ჩემად სა-  
წყლელად და ჰინდთა ჯარნი განსაისრელად!

პირსა ბადრსა შუქმფენარსა ბნელ უყვიეს მათენი  
დღისა. ჰფერობენ ლაწვთა ვარდნი გაშლილნი. მის ლაწვთ  
არეში ლალი ბროლსა შეჰვევია შეთხზულად. ვიშ მშვენ-  
თა ხალთა!

ჰშვენის მის ტანსა ირისებრი მოკაზმულობა.

\*

\* \*

შესტრფის სატურფალს.

არვის ჰმართებს ამ ვარდისა მიხვედრა: მე მხოლოსა  
აედმა იგი მახვედრა! ვნახე ვარდი, სწითლდა და ვსთქვი:  
ეჰა რად?! მითხრეს: ფერი მორცხვობისა დაედვა! ვეტ-  
ყოდი ლამაზს:

ვიდრე ჩემად მქონდა გული, მეც ვიყავი მოქადული:  
ჭირი ვერად შემიპყრობდა, აშიკთ მტანჯვი სიყვარული.  
როს ვნახიდი ფერმიხდილი მშვენებისა მონად ქმნილი,  
ვსთქვი: თუ კაცსა ვითა ჰშვენის გული ესრედ უძლურ-  
ლბილი?! მაგრამ ჩემის სულის ძალა ერთმა წამმა სრულად  
სცვალა: გნახე და მყის შენმა სახემ შემიპყრა და შეცა-  
მცვალა. მომისიე სევდის გუნდი, შემომარტყი ბნელი ბუნ-  
დი; ჯაჭვი დამსდევ მონობისა! ხილვამ შენმან ანაზდად  
ესე წამართვა გული.....

სიგრილესა შემითარე დაგული! შემისყალე: შენ მიერ  
ვარ თრობითა. ვაი მე თუ არ მისმინო ლმობითა! სურვით  
შემშლიან თვალნი, ვსჭვრეტ ოდეს მაგ ტან ალვას. ველარ  
დაპფარეს თავი განდიდებულთა ალთა. გულს სწყურის  
შენი ხლება. შენგან გონება ბდნება!

აჯა ვამრავლე შენდა: გუოს შენი ტროფობა მეშენდა.  
მიხსენ სიკვდილით: სიტყვითა ტკბილით. აჰა ძღვნად გუ-  
ლი შენგან წყლული. დაკლული! ნუ მომკლავ მწარედ  
შენგან შორყოფით. დლითიდლე ჭმუნვა მემატება, რაზომ-  
ცა გშორავ. სძგერს გლახ გული მლოდნე შენი.

გზის გუშაგად მდგომარესა ხან აჩრდილნი მაცთუ-  
ნებეს, ხან ფოთოლნი შერხეულნი შრიალითა მცემენ  
ზრუნვას. ზოგჯერ ღამის სიწყვდიადე მომაჩვენებს გიშრის  
თმასა, ზოგჯერ ცისა გაელგება ბროლის ფიცრის შუქთა  
ფენას. თვით ნიავთა ნელი ქროლვაც წარმომიდგენს სუნთ-  
ქვას ტკბილსა.....

წალკოტის კარსა ძნელ სავალსა ცუდ მქონდა რე-  
კა; ღამე მითენდა, გამიდღევდა. არ გამომხედე.....

შენთან არს გული, მნათობო, ვიყო სად გინა. გინა  
ვის ვჭვრეტდი, შენ მიდგ თვალწინა. გული შენ სანთლად  
გიმსხვრპლე, მაშინ ჰქრეს, როცა მთლად სდნება.

ჰოი გაბადრულო მთვარე! ბნელსა ვზი მომეხმარე:  
მნათობლად განმიარე, მეც განმინათლე არე. იწყე ნამ-  
დვილი განსჯა. ოხვრით მისმინე აჯა, მაკმარე სევდით  
ტანჯვა; ბაგენი დამიტკბარე!

აჰა ესე ვარდ-ზამბახნი შენთა ელფერთ მომპარველ-  
ნი! წალკოტს ვნახე. მშვენებითა სრულ აოვესოთ ხევნარ  
ველნი. მყის შევიპყარ და მოვსთველი; მოგართვ შენნი  
გამძარცველნი.

\*

\* \*

კარნი განხმულნი.

ბროლის ხელთ ქნევა, ზილფთა რხევა, წამყოფა  
თვალთა! ღიმილმან ლალთა განღებით მარგალიტთ მწყობ-  
რი აჩინა: ბაგე ზრახვისა დამწყობი გრძნობას ემილა,  
აჩინა; სინაზემ კრძალვა ნარევმა ნაზად სპეკალი განფინა!

ბნელის ღამის განმინათლდა მე არე: ხილვით ვიპოვე კეთილდღეობა მყარე. აღარა ვარ მწარის ჭმუნვით და თმენით! განვაგდეცა ყოველი ფიქრი მწარე. აწ მელნის ტბათ ღელვა გულსა მიშმაგავს, ისართ სროლა გულსა დაგვით მიდაგავს, დახწეულსა მძლე სიკვდილისა სენით სიხარულის ცრემლი დაწვთა მირეგვავს!

მოვედ ამ არეთ შესამკობლად, ნიავო მქროლევ კეთილმყოფელად! მზე მოიწვიე დამათბობელად, თოვლთა. ყინულთა დასადნობელად, ჰაერთა ცივთა განსაძობელად, მდელოთა ყოველთ მოსახმობელად. პირველ იასა ექმნას მშობელად. სიყვარულისა აღმაგზნობელად.

განმელო კარი გაზაფხულისა, დამიდგა ჟამი სიხარულისა!

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა, იგემეთ სიტკბო სიყვარულისა. იხილავთ ვარდსა სახე მტკბარითა ნუკი შეკრთებით მისის ნარითა. მიეახლენით!

\*

\* \*

ედემი ხშული.

შივედ წალკოტს სანუგეშოდ, ვნახე სატროფო ფერმიხდილი. ვუძღვენ საუნჯე ურიცხვი. მაგრამ..... დამაგდო მტირალი. კაეშანი გარს მომერტყა, დამიმძიმდა გონებანი. უსასტიკესად დამსაჯა: არ მიიღო მონებანი. დამსვა ბნელს შიგან სამყოფსა.

ვარდო ფურჩქენილო ამაყ და ზვაეო, ეს რა მიქენი, შეუბრალებო, გულქვაო?! ეკლიანობ ასე რად ჩემის გულის სასერად? მე მოგმართე შენ მკურნალად დანაგულს, შენ წამლის წილ მყის მომიპყარ დანა გულს. მე მოგანდე გული ჩემი მჭკნობარე, მას არ ჰრიდე და ეც ცეცხლი მგზნობარე.....

ბაგეო ვარდო, ჟამნი რბიან, შენცა მელტვი. როს მომიხვალ, როს დამატკობ? მიჰხედე მზეს, მარად დილითა ცრემლს თუთ უშრობს მდელოს სხივით. დღეი ჩემი როსდა გათენდეს? რაზომც შენ მელტვი, მე უფრო გეტრფი. ვამე შორსა მყოფსა შენსა!

როს გაძხვრდი გავსილ მთვარეს, არა ვგრძნობდი  
ქმუნვას მწაოეს. ოდეს გშორავ ულმო მიზეზს ჩემისა ვა-  
ლალების, სოფელი მჩანს თვით სამარედ, სადგურად ოდენ  
მკვდრების. მშვენიერთა ხელმწიფავ, მკლავს სიშორე შე-  
ნია. ჰკვნესის გული საკლავად. შენ მოგშორდი, მკურნა-  
ლო, ვით ღა შექმნეს შვებანი?!

როს გიყვარდი, მეც სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვი-  
რად შენთან. შენით, შენგან გალალებულსა. მაშინ არსნი  
ისწრაფიდნენ ჩემის გულის თნებასა; ცის მნათობი სხვა  
თაბით მცემდა შარვანდედსა. მაშინ შენდა სამკობლად  
ხეცით მუზნი შთამბერავდნენ მე ყურსა; ლექსნი თხზულ-  
ნი მოერთმოდნენ გონებასა შენთვის მოცალებულსა. შენ  
გამშორდი, ყველა წახდა: ლხინი, შვება სიამე. ნანვა ღა  
მშთომია მე.....

მრისხანეო, წარბ შეხრილო, წარბთ ტევრებით თვალთ  
მაჩრდილო, ვარდო შლილო, არა მზრალო, გევედრები.  
შემიბრალო! როს შენ ვერ გხედავ, როს არ მესმის ხმა  
შენი ტკბილი, დღე იგი ჩემთა დღეთ რიკხვიდან არს აღ-  
მოშლილი!

ვარდის გაყრილსა, სულმიხდილსა, ძოწთ ველარ  
მჭვრეტსა, თვალნაშრეტსა ცრემლთ ღვარებით მტრფობსა  
ბუღბუღსა... დაჰფარავს ბნელი!

მომკლა ძებნამა. სად ღა არს პოვნა!?

\*

\* \*

ისევ და ისევ ღვინითა!

და როს გაძნელდეს დაკარგული სიყვარულის პოვნა,  
ჭირთმაქარვებელს მიჰმართე ღვინოს, რადგან:

რაც სენი უკურნალ იყოს, ღვინოა მისი წამალი. ჰოი  
საყვარლისა ვერ მნახო, როდემდის იგლოვო, ახო?! აბა  
შენც ჩვენთან ხალლიე, თუ შენც კი არ შემოსდახო! რაგინდ  
ზამთარი ჰყინავდეს, ყორანიც რომ ვერ ფრინავდეს, ვერ  
შეგვაშინებს სიცივე. თუ თავში ღვინო ბრწყინავდეს. ვაჟ-  
კაცნო, მოდით დავლიოთ, სჯობს რომე ღვინო დავსძ-  
ლიოთ: ომამდის სისხლად იქცევა, მერმე ბრძოლაში დავს-

თხილთ. დავესხნეთ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ მცნებასა: ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს, ლოთი კი გამარჯვებასა. ლოთებო, ნეტავი ჩვენა, ჰარიალალი! დღეს მოგვეცა შვება, ლხენა, თარიალალი!

შენ ნარგიზი ახალი ხარ, თავსა შენსა სტროფობ და ჰყვარობ. ლოთო, წყალში ჭვრეტის ნაცვლად წითელ ღვინოს სარკედ ჰხმარობ. სახე შენი მას ღვინოში სჩანს ვით ვარდი; ზედა ჰხარობ, მერმე ეშხით აღნატაცი თავსაც შთანთქმად აღარ ზარობ!

ისევ და ისევ ღვინ...

\*

\* \*

დარდის ლანდები.

წარვიდნენ, გაქრნენ ნაქებნი დრონი. მოვშორდი მოყვასს. ძალს ცხოვრებისას. ბედისაგან ესრეთ დასჯილი იმედოვნებას ვუწოდებ ფარად; იგიცა მელტვის. ბედს ვჩივი ჩემსას კეთილთაგან იათარქმნილი.

ჰე ამ სახლსა, სადგურსა ბნელსა! არ გებრალეებით მას შინა მყოფნი?! თუ გაქვთ პატიმართ სიბრალული, მპოვეთ აქა მე. გახსოვდესთ მწარედ მომჩივარი. საწუთროს რებით.

ბედმა რისხვით შურდულივით გამტყორცნა. კვენის გული: არს შენალონე ცრემლით მგონე თქვენთანა შვების თქვენნი ვერმჭვრეტნი დასაშრეტნი ბინდობენ თვალნი. უწყალო სენმან გვყვა ჭირთა მთმენად. სუსტგვყვა ვათაგან მთიებთაგან დაშორებულნი. ეჰა მმნათობთა თბილისს მყოფთა გული ღმებთან; უშლელნი ვარდნი სავანთ მტოვნი უდროდ ზრებთან. გვეკვეთა ხასო. შთომილ ვართ კრულანი. —

მას ვმზერ პატიმრად, ვის ჰმონებს გული... წყეულ არს ის დრო, როს დავკარგეთ ჩვენი სამკვიდრო!..

ლიზლნი. ავნი, ეშმაკთ სადგურნი. მათზედ სიკეთე ვითა შლილი დაიცარების. მუხთლად გვაწვიეს, დაგვახვიეს თავს ბნელნი შურნი. დაკარგეს ყოვლნი ჭირნახულნი. ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბნონი...

✓  
-აჲ 'აჲაინაჲაჲ აჲაინჲე ინჲაჲ 'ზიდჲეიჲა აჲსჲ 'აჲნ  
სულსა სიცოცხლის ნიაჲი კვლავ დამქროლე და დამაშჲ-  
რალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე. გვედრი, ნულარ  
მშორდები გამიგრძე სიხარული, რომე ხსოვნითა ოდენ  
დავიტკბო წყლული გული...

ვაჲ სოფელს აჲას და მისთა მდგმურთა, ბოროტებასა.  
სიცრუვის ჭურთა, კეთილმოყვარობის დათრგუნვის მსუ-  
რთა! სარგებლობის საპოვნელად არღვევენ სჯულსა, არ  
ჲზოგავენ მზგავსთა თვისთა საკლავად; მძლავრდებიან  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით. დავალს ძა-  
ლა ნაქცევთა ზედან, სიმართლის ყვაჲილს ფეხით ჲლახავს  
გზადაგზა. ხელმწიფენიჲ განდიდებისა სურვით მდაბალთ  
ჲსჩაგვრენ, მტაცებლობენ და ხვეჭენ. მაგრამ... რომელნიჲ  
ამწარებთ აწ ცხოვრებას, არ მარადის იშვებდეთ მდაბალთ  
ჩაგვრით: მოელოდეთ მათთან თანასწორებას!

მოსპობენ ჟამნი მათ ძლიერებას!

აჲა ნაქცენი, შენობათა საგლოვნი ნაშთნი, სად ჲყვა-  
ვებულან დიდებულნი ჲალაქნი ვრცელნი და სად დღეს  
ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა. ესე კამარა ძლივსა-  
ცნობი ყოფილა ტაძრად. ეს გროვა ჲვათა სახეშლილი,  
ეს ვრცელი ვაკე ჲვაყრილთ ბნელად... აჲაცა მჯდარა ერთ-  
გზის ძალა ტახტსა აჲაყად, წყალობით და რისხვის ფრჲვე-  
ვით მართველი ერთა. აჲაც აღრღნიათ შურსა, მტრობას  
გულეზი ხარბად; ტრფიალნი აჲაც შემსჲგალვიან კვლავ  
ერთმანეთსა. გარნა აწ რალა? უწყალო დროს მოუსჲპია  
მათი მშვენება! აჲა ჲალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო  
და ჩვენისაც მომავალის ნამდვილი ხატი. მხოლოდ აწ-  
მყოზედ რად დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო?!

\*

\* \*

ესე დალაგდა მგონისავე თქმით შინაარსი მისის ლე-  
ქსების.

მისი მიმართვა, სად ჲვედრის ჲეარსთ, მიართვან ლე-  
ქსნი, სად ჲხატავს რაინდს მოტრფიალეს, ან აზროვნებს  
სიყვარულის ძლიერებაზედ, გვაგრძნობინებს რუსთველის

სხივებს. ძნელი არის, ქართველმა მელექსემ შემოქმედების  
უამს შორეულად მაინც არ იხილოს შოთას აჩრდილი.

ლექსების უმრავლესობა არის: არშიყოზა პირდაპირი.  
ალერსი, ხოტბა; ლამაზთაგან მონატანნი ტკბილნი ლელვა-  
ნი; მათთავე მხრივ მონაბერი კაეშანი გულის დამსერი;  
კეთილცხოვრება, ქეიფ-ზეიმი, ღვინო ღვარებად, ეს ნა-  
წილი მგოსნის ლექსებისა ფუფუნებაში მყოფ ადამიანის  
სიმღერაა ნეტარების უფრო მეტად აღსაყვავებლად.

ბედნიერი! ერთსულოვნად ეხმარებოდნენ მას ამ სი-  
ლალეში სიმღერის ნიჭი, სიცოცხლით სავსე აგებულობა,  
დამარაგებული დოვლათი უთვალავი, წარმატებით სვლა  
ცხოვრების გზაზედ, განაზებულ რჩეულთა წრე იმას გარ-  
შამო. ვერცხლით მოჭედიან სავალი თვისსა და კეთილცხოვ-  
რების შორის, თავისუფლად მიდმოდიან ერთმანეთში თი-  
თონ მგოსანი და მოღიმარე სიამენი ამა სოფლისა.

დიდებულია! რაინდული არშიყოზა, ლამაზი შეფრფი-  
ნვა, სიხარულის ღიმით მიღება თვითარსებობის ფერად  
არდაგად მოიგრაგნება ჩვენის პოეზიის კამარაზედ. მეტად  
კშვენის ეს ყვავილოვანი სავალი ეშხით სავსე ქართველთ  
ბუნებას! უამისოდ ჩაქრებოდა ერთი ფერადი ქართველთ  
ცაზედ გადმოვლებულ ხელოვნების ცისარტყელაში.

მაგრამ ამ არშიყოზას ვერ ასცილებია ალექსანდრეს  
სიყვარული, შმაგ მიჯნურობამდინ ვერ აწეულა იგი, იმ  
საბედისწერო ტრფობამდისინ, რომელი ავსებს მოტრფია-  
ლის მთლად პიროვნებას, იპყრობს მას უხსნელად, შემს-  
კვალავს იმ ერთს სამარადოდ მისგან არჩეულს და დაჰბუ-  
გავს ლამაზი დაწვით. მგოსნის ამ ლექსებში ახატულია მა-  
ლალფრთიანი სიყვარული სიამისა თუ კაეშნის გამომღე-  
ბი. დღეს აღიმებს იგი ადამიანს, ხვალ ალონებს, სამუდა-  
მოდ კი ვერც აწამებს, ვერც აღიტაცებს. სხვა ახალი ყუა-  
ვილი დაავიწყებს მას იმ ამო ტრფობას, გადაუყრის მას  
დარდს; თუ არა და გამდნარ ლალით სავსე თასში ჩადნება  
ჯავრი. პოეტისათვის განსაზოგადობა, საკაცობრიო სა-  
ხის მიცემა. მოგვცა მან ხატი სანიმუშო დალუპულის სი-  
ყვარულისა.

არა, ბესიკის მოწაფე არ არის აქ ალექსანდრე, თუმცა  
მასავით სასიმღერო ჰანგი გამოაქვს, საგალობლებს აწყოფს

სატრფიალო სიმშვენიერეზედ. ალექსანდრე ამ ლექსებში  
ეთვისება უფრო ქეშიშ დარდიმანდს: მის სიმღერების ნა-  
ლეწები ჰმოწმობენ ამას. განვითარდება ეს თქმა, როცა  
შეკრებენ დავიწყებულ პოეტის ლექსებს.

\*

\* \*

დარდი დაჰბურავს ალექსანდრეს გულს, ქუფრ ბურუ-  
სად შემოაწვება, როდესაც წარვლენ კეთილხი დრონი და  
საკანში ზის ცრემლით მგონე გარდასრულ შვეების. მეტად  
სწყინს ეს ბედისგან რჩეულს: ეს რა მომივიდა, განა ამის-  
თანა დამდაბლებას მოველოდდიო. ევედრება თანამოინა-  
ხეთ: თუ გაქვთ პატიმართ სიბრალული, ძპოვეთ აქა მე.

თანდათან მუქდება მისი ჯავრი, სევდად გადადის და  
სწყევს იმა წუთს, როს დაჰკარგა თვისი სამშობლო. ზიზ-  
ლით იხსენებს ლიზლს და უნდო ბნელს, ვის მიენდო ბედი  
ქართველთა. ევედრება მეხსიერბას, გაახსენოს წარსულნი  
დრონი თავისუფლების, აუხატოს გარდასრულის სურათე-  
ბი გონების თვალწინ, რომ გულს ეფონოს.

მაგრამ დარდი სევდათ ქმნილი მაინც ვერ იძენს სა-  
მოქმედოდ საჭირო ძალას, დრტვინვაში და აისახება.

ჰსურს იმედი აშველოს ფარად მასზედ მისულ  
ბნელს, იგიც უმტყუნებს. ვერსად ჰპოვებდა მგოსანი ნუ-  
გეშს: მის პიროვნებაში ბოროტთან საბრძოლველი ძალა  
უკვე ამოშრეტილი იყო; მის გარშამო მყოფნი გვამნი  
მასვე ჰგვანდნენ განაზებულნი; ვერ ჰხედავდა იმ ერთად-  
ერთ საიმედო ბუმბერაზს,, რომელი იმდროს იღვიძებდა,  
თვითეული რომლის შეშმუშვნა ძრწოლასა ჰგვრიდა ბნე-  
ლეთის ძალას: სრულებითაც ვერა გრძნობდა მგოსანი  
ხალხსა.

არა, არა ჰგავს ალექსანდრე ბარათაშვილსა, რომ-  
ლის მძლე ნიჭმა არ მიიღო ძნელი მონობა, გადალახა ბე-  
დის სამზღვარი და წაესწრაფა უვალ გზებით იმ ნათელი-  
საკენ, შორს ტატნობზედ რომ მოჩანდა, მოციიაგობდა.  
მის აღტაცებამ გასწირა ყველა, სიყვარულიც კი, რომ გაე-  
კაფა გზა დახშული კეთილისაკენ.



ეჭ, მიჰმართოს მომჩივარმა დიდს ხელმწიფესვე, დაიჭიროს მისივე კალთა და გულის სევდა იმით იქარვოს, რომ მჩაგვრელ ძალას მოეღება ოდესმე ბოლო, მის ანაგებს შეჰმუსრავს ჟამი; მის წარწყმედას მომავალნი მოესწრებიან.

აქვს მგოსანს თარგმანები რუსულიდან თუ ფრანგულიდან, აქვს ლექსები: „სამეფო სასახლისადმი“, „სით მოხვალ?“ მის კრებულში სატირაც არის: უჯავრდება უსახოს, სახიერი ცოლი რად გყავსო. კარგია: ამრავლებს ყველა ეს ქართულ სიტყვას; „მემოქმედება მაინც არ არის.

ენა მდიდარი, მოქნილი ლბილად. ორიოდ რუსიციზმი თუ სასიმღერო ლექსის გამო ჩაძეწკილი სიტყვა ანგარიშში მოსატანი არ არის.

ლექსებს უძღვის მღერის ჰანგების მაჩვენებელი სახელები: „მუხამბაზი“, „ლაჯარამ“, „ბაიათი“, „თეჯლისი“, „გაფა“, „მუსტაზადი“, „დუგაის მუშა“, „საჰარის ხმა“...

კარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს მისი, ბესიკისაც, გამოცემა საგალობელ ნიშნებით.

ეს მგოსანი იმითაც არის ღვაწლმოსილი, რომ მან ერთადერთმა გააბა პოეზიის სიმი წინანდელ დროდან მეცხრამეტე საუკუნეში.

1926 წელს  
მარიამობისთვის 20-ს.

მ ა ნ ა ნ ა

1.

ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც მეცნიერი ისტორიკოსი, ლაკონურად და ეპიური სიმშვიდით აღწერავს ქართველი ქალების ღირსებებს. ამ ღირსებათა ჩამოთვლის დროს, გარეგნულ სიმშვენიერესთან ერთად დავიწყებული არ არის „ცოდნა — ხელოვნების მოყვარულობა“, რომელიც ახასიათებდა ვახუშტის დროინდელ ქართველ ქალებს. თავი რომ დავანებოთ მეცნიერული ეთიკით ნაკარნახევ მიუდგომლობას, ვახუშტის თხრობაში შესამჩნევი თავშეკავება აიხსნება უფრო თანამემამულის მორცხვობით და თავდაბლობით. განსაკუთრებულ ინტერესს ამ მხრივ იწვევს მე17-18 საუკ. ევროპიელი მოგზაურებისა და მისიონერების წიგნები და მოხსენებები საქართველოს შესახებ. ადგილები, რომლებიც ამ მოხსენებებში შეეხებიან ქართველ ქალებს, წარმოადგენენ ალტაცებულ პანეგირიკს და უჩვეულო ხოტბას „მშვენიერთა სავანესი“. არქანჯელო ლამბერტი, პიეტრო დელლა ვალე, შარდენი. იოსებ დელაპორტი, ქრისტეფორე კასტელი. — ყველანი სოლიდარული არიან იმის მტკიცებაში, რომ „ქართველ ქალების უმეტესი ნაწილისათვის ბუნებას მიუნიჭებია ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება“, მაგრამ ამასთანავე დასძენენ, რომ სხვა სიკეთესთან ერთად ქართველი ქალები არიან „მახვილის გონებისა, ზრდილნი და თავაზიანნი“. არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც მე17 ს. ნახევარში ოცი წელიწადი იცხოვრა საქართველოში, გვიამბობს, რომ ხშირი ომიანობისა და სხვა სოც.-ეკონომიურ ფაქტორთა წყალობით „ქართული წერა-კითხვა სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ

იგი. ისე, რომ, თუ ვისმე სურს კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად“. ჩვენთვის ეს სტრიქონები საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც ამჟამად გვაინტერესებს ყურადღება მივაპყრათ ქართველი ქალების აქტიურ მონაწილეობას მე-18 საუკ. ქართული კულტურისა და კერძოთ ლიტერატურის განვითარებაში. თითქოს ლამბერტის სიტყვების ილიუსტრაციას წარმოადგენენ თეათინელი პატრი ქრისტეფორე კასტელის შესანიშნავი პორტრეტები ქართველი ქალებისა. ამ დახელოვნებულმა მხატვარმა-მისიონერმა ჩვენს ქვეყანაში იცხოვრა მრავალი წლების განმავლობაში და დასტოვა ვრცელი ალბომი ქართული პეიზაჟების, ტაძრების, ტიპების და ინდივიდუალური პორტრეტების. მეტად საინტერესოა მათ შორის ორი ქალის პორტრეტი: **ფომინისია ბერიძისა და როდია მიქელაძის**. პირველი, კასტელის სიტყვით, იყო „პოეტი მეტად ნიჭიერი და დიდათ საქებელი სხვადასხვა სათნოებისათვის“, ხოლო მეორე „მხატვარი, მომღერალი, უმაღლესად ნიჭიერი და კეთილი ზნეობით შემკული“. ძველ ქართულ მანუსკრიპტებში შენახულია მრავალი ათეული სახელი ქალების, რომლებიც ითვლებოდნენ ლიტერატურის მეგობრებათ, იყვნენ უანგარო მეცენატები, დაულალავი და დახელოვნებული კალიგრაფი-გადამწერლები და ხშირად დიდი ლიტერატურული ერუდიციით აღჭურვილი ბიბლიოფილები. დაბოლოს ჩვენამდე შენახულა თხზულებები პოეტი ქალებისა, რომლებიც თავისი ნიჭით და შემოქმედებით იდგნენ თავისი დროის მხატვრული კულტურისა და გემოვნების სიმაღლეზე. ასეთები იყვნენ მაგალითად მე-18 საუკ.: ენკრატისი მაკრინა, მათა გაბაონი, მანანა, სალომე, ირაკლის ქალები მარია, ქეთევან თეკლე და სხვები, რომელთა შესახებ ლაპარაკი კიდევ გვექნება. ეს ქალი პოეტები თავისი შემოქმედების ექსპრესიით და პოეტური დიაპაზონით, რასაკვირველია, ვერ შეეცილებიან დაფნებზე ისეთ ოსტატებს ქართული ვერსიფიკაციისა, როგორც იყვნენ ბესიკი ან დავით გურამიშვილი; მაგრამ მათი შემოქმედება, როგორც ლიტერატურული ფაქტი, ნიშანდობლივია და ფრიად საგულისხმო მაჩვენებე-

ლი მე-18 ს. საქართველოს კულტურული ატმოსფერის. იმდენი იყო ამ საუკუნეში წამოდგომის სურვილი და მანამდის ფარული პოტენციების გამომჟღავნება, რომ შემოქმედების ფართე შარა გზაზე აქტუალურად გამოდიან სხვებთან ერთად ქალებიც. როდესაც შედარებაზე მიდგება საქმე, უნდა იქნეს აღნიშნული ის გარემოება, რომ ეს შემოქმედი ქალები თვისი კულტურული დატვირთვით და ერუდიციით არ ჩამოუვარდებოდენ არც ბესიკს და არც მისი პლეიადის მგოსნებს. ქეთევან ბატონიშვილის ერთი ლექსიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ეს ქალი იცნობდა როგორც კლასიკურ მწერლებს (ჰომიროსი, ვირგილიუსი), ისე თანამედროვე ევროპიულ ლიტერატურულ იდეებს („ანუ ვოლტერს და რუსოსა ათი ქება გფერებოდა, ცხოველთ წიგნში დაეწერე, უკვდავება გქონებოდა“).

ქვემოთ ჩვენ გვინდა ვისაუბროთ მანანას შესახებ. ეს მცირე ეტიუდი პირველი ცდა იქნება ამ თავისებური პოეტი ქალის შემოქმედების გამოსამზეურებლად.

## 2.

ვინ იყო მანანა, რომელი წრიდან გამოვიდა, ან რა თარიღებით გაიზომება მისი ცხოვრების მანძილი, — ამ კითხვებზე ჩვენ ჯერჯერობით საშვალეა არა გვაქვს გადაჭრილი პასუხი გავსცეთ. ვიცით, რომ მანანა თანამედროვეა ირაკლი მეფის. მანანას სიტყვით, მისი შაირების წერის დროს ირაკლი „ქარ-დაღისტანს ებრძვის ხმლით“. დავით რექტორმა ბევრ დავიწყებულ სახელებთან ერთად ქართულ ლიტერატურას შეუნახა მანანას სახელი და ორი მისი საკმაოდ მოზრდილი პოეტური ნაწარმოები: „შაირნი“ და „მანანასაგან ციების ბაასი“ (წ. კ. № 1511, გვ. 979-996.). უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა თავისი თემის ხელუხლებლობით და ორიგინალობით. ციებასთან დიალოგის დამახინჯებული ნაწყვეტები გვხვდება აგრეთვე ხელნაწერებში წ. კ. №951-სა წ.კ. №1107 და წ.კ. 3723. მანანას მიეწერება კიდევ ორი ვარიანტი პატარა ლექსისა სანადირო ჩიტის მარჯანის შესახებ („ესეც რაღაც ღარიბად თქმული“ წ. კ. №951 ა და 1512), სახუმარო გა-

შაირება მესტვირე კოტაშვილთან (წ. კ. № 3723) და „მანანას კიბიდან ჩამოვარდნის ამბავი“ (წ. კ. № 1107.).

მანანა აღარ მოსჩანს მის თანამედროვე მგოსანთა შორის. მისი ხმა მეტად სუსტია და ნაზი. მაგრამ ბანალობის და მიმბაძველობის უიმედო ზღვიდან მას ნაპირზე მოაგდებს ტალღა, როგორც მოულოდნელ და ბრჭყვიალა ნიჟარას. ამ ნიჟარაში რამდენიმე მეტად ლამაზი მარგალიტია... მანანა დახელოვნებული ოსტატია შაირის. უეცარი გამჭედი რითმის. მანანა ხანდახან გვაკვირვებს თავისი ენაწყლიანობით. მაგრამ რაც არის მთავარი მის ბუნებაში, რაც ხალასია და მიმზიდველი მის შემოქმედებაში, — ეს არის იუმორი, დაუშრეტელი ღიმილი, ღვთაებრივი გაშლა ბაგეების. არის მოძენები, როდესაც მანანა მალღდება გარემყარზე და მაშინ იგი დასცინის ყველაფერს, საკუთარი თავის გამოუკლებლათ. თითქოს არის რაღაც ყმაწვილური უღარდებლობა და ხალისი ამ სიცილში. მაგრამ ხშირია ხარვეზებიც სერიოზობის და მაშინ მანანას უღარდებლობაში ისმის უნუგეშო სასოწარკვეთა. მანანას იუმორი მძაფრდება ხშირად უნუგეშო სკეპტიციზმით.

მანანასაგან ჩვენ ცოტა დაგვრჩა და ეს ცოტა დაწერილია მის ხნიერობაში. თავის „შაირებში“ არა ერთხელ იმეორებს მანანა: „დაცემული ვარ ცოდვისგან, ყოველ ჟამ სიკვდილს მოველი“. მანანას ახალგაზრდობაშიდაც უნდა ეწერა ლექსები. შეიძლება ამას გულისხმობდეს ერთი ადგილი, სადაც მანანა სინანულით ამბობს, რომ ჩემი წარსული ცხოვრების განმავლობაში „კარგათ გავეწყე სიცრუეს, ცუდის შაირის ჩმახვასაო“. მანანას ადრინდელ პოეტურ შემოქმედებას ჩვენამდე არ მოუღწევია. შეიძლება იგი ვერ გაგვაკვირვებდა თავისი წმინდა ფორმალური მიღწევებით, მაგრამ მანანას აქვს ხშირად ორიგინალური და მოულოდნელი მიდგომა საგნისადმი და ეს უფრო რელიეფურად გამოვლენდებოდა ახალგაზრდა ტემპერამენტის გამბედავ თქმაში... მანანა სწერს თექვსმეტმარცვლოვანი რუსთველური შაირით. ეს წყობა უფრო უხდება მის მსუბუქ და მოკამკამე ტონს.

მანანას „შაირნი“, რომელიც საკმაოდ მოზრდილ პოეტურ ნაწარმოებს წარმოადგენს (68 ხანა), გამსჭვალულია ქრისტიანულ-რელიგიური სულით. იგი აღსავსეა მონანიებული ადამიანის ქვითინით და რელიგიური გრძნობით. ასეთი შემოქმედება უცხო არ იყო მე-18 საუკუნის ქართული პოეზიისათვის. აღორძინების ხანის ქართული ლირიკა საერთოდ ატარებს ნიშანს რელიგიურად განწყობილი სულისა.

დავით გურამიშვილის ლირიკაში ასეთი ქრისტიანულ-მისტიური სულისკვეთება მოცემულია უაღრესი რეპრესიით. ამ მოხუცი იანიჩარის იმპოზანტურ მოთქმაში ისმის თანდროულ საქართველოს განწირული ღალადისი. გურამიშვილმა ქრისტიანული პოეზია მიიყვანა იმ მწვერვალეზამდე, როდესაც სარწმუნოებრივი ექსტაზის და შთაგონების მხატვრული განსახიერება გადადის ესტეტიურ შედეგებში. გურამიშვილს აქვს სხვათა შორის ერთი ლექსი: „თავისის ცოდვების მოგონება და სასინანულო სიტყვები“, რომელშიდაც პოეტი სჩივის თავის ცოდვილობაზე, კეთილი საქმის უქონლობით დამძიმებულ სულზე და მომავალი სამსჯავროს მოლოდინზე. ანალოგიურია თავისი თემით მანანას „შაირნი“. ამ ნაწარმოებში მანანა მოსთქვამს, რომ იგი ცოდვილი დედაკაცია და ეშინია სამოთხის კარები დახურული არ იქნეს მისთვის. მანანას არსება მოუცავს სინანულს:

„მე სული დავისნეულე, დავბნელდი მწარის სენითო,  
არას დროს კარგი არა ვთქვი, მუდამ ღმერთს ვსცოდენითო“.

მანანა მარტოობას გრძნობს გურამიშვილივით. მას არა ჰყავს შვილები, არც ვინმე ახლობელი. ერთ ადგილას იგი ამბობს, რომ სულის ამოსვლის დროს „არავინა მყავს პატრონი გულზე მომისვას ხელია“, და იქვე დასძენს „მაშინ რას გამომადგება თუ უნდა მყვანდეს შვილები“. მეორე ადგილას იგი ემუდარება წმინდა ნინოს, შე-

მავედრე ღმერთთან „ჩემებრივ საწყალი, მე ვარ ოხერი მკვდარია, არც ვინ მყავს ჭირისუფალი, არცა ვინ მოტირალია“. ციებასთან დიალოგში ციება ემუქრება მანანას:

„საწყალო, რის იმედი გაქვს, ვინა გყავს მოტირალია, ვინ გიზის ჭირისუფალი, რომ ყაროს ცხელი ცრემლია“.

ჩვენც გვებრალება მანანა. იგი ეხლა დაუჩაგრავს წელთა მოზიდულობას, მისი გული მწუხარია და სევდით მოცული. მაგრამ, როგორც ზამთრის ღრუბლებიდან მზის იშვიათი გამოშუქება, მის სულს ახარებს დროგამოშვებით მოგონებები საკუთარი ახალგაზრდობის და ქალწულობის. ეს დღეებია სიყვარულის, მოლოდინის, ვარდების. როგორც ყვითელი ქირმანშალი მტრედისფერ ცაზე, ისე ფრიალებს მის სულში ოცნება გადასულ ცხოვრების წუთებზე. მაგრამ საკმარისია ოდნავი მოგონება წარსულისა, რომ მანანას ტუჩებში ჩაწვება ეშმაკური ღიმილი და იბადება ირონია მსუბუქი და ხან მწვავე, როგორც ადუღებულ ტყვიის წვეთი. მანანა თვით აღიარებს, რომ მან „ახარა წუთისოფელი“. ბევრი იგემა „სოფლის სიამოვნება“, რომ „სულ ხორცი ანებიერა და წუთისსოფლისა საუნჯეს და ცოდვას დაემონა“. მანანა მიუბრუნდება თავისთავს და უკითხავს საინტერესო ჭკუის გაკვეთილს:

„ნიჯობდა დღეს აქამდინა მე ჭკუა მომეხმარაო, ამ სოფლის სიამოვნება სულ ცუდათ ჩამიარაო. დასჯილო სულო, რა გიყო, სიკვდილი მომეპარაო, ამ სოფლის სიამოვნება სულ ცოდვათ ჩამიარაო. დახე ჩემს სარწმუნოებას — ჯოხით უშენდი გლახასა, სულ მუდამ საღმრთოს კაცისას ვლაპარაკობდი ზრახვასა, სნეული მძულდა მდებარე, არ ვკადრულობდი ნახვასა, კარგათ გავეწყვე სიცრუვეს, ცუდის შაირის ჩმახვასა. წუთისსოფლისა საუნჯეს და ცოდვას დავემონეო საღმრთოს წერილის ბრძანება ერთი არ გავიგონეო, სულ ხორცი ვანებიერე, სული არ მოვიგონეო“...

უცნაური ქალია მანანა. „შაირნი“ — ეს ნამდვილი არებულია წუთიერ განწყობილებების. აქ ყველაფერია: სა-

სოებით აღსავსე მიმართვა ღმრთისა, ქრისტესა და ყველა წმინდანებისადმი, უიმედობით გამსჭვალული მონოლოგი თავის უპატრონობაზე, ხან კიდევ თხრობა ევანგელიურ სიუჟეტებისა; მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია მანანას დიალოგი სულთან. აქ მოსჩანს მთელი ბუნება ჟინიანი ქალისა. მანანა ხან მადლიერია თავისი სულის, მაშინ იგი კმაყოფილია და თვითნიერი, ალერსის და მოფერების ხასიათზეა და მიმართავს სულს:

„შენ ჩემი შეტკობილი ხარ, გონიერი და ჭკვიანი, უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ, ნუ გინდა ჩემი ზიანი“, მაგრამ ხშირად მანანა უმადურია თავისი სულის და გაბუტებული გაბმით მოსთქვამს საყვედურებს: „რაც რომ აქამდე მაამე, ეხლა სულ დამამწარეო“...

მანანას არ დავიწყებია თავის შაირებში თანდროულობის გმირიც მოეხსენებია. იქ, სადაც თავდება წმინდა გიორგის ქება, მანანა იწყებს მეფე ერეკლეს ხოტბას. უკანასკნელი შეიცავს სამ ხანას, მაგრამ ხოტბა ადგილ-ადგილ გადადის ყოველგვარი ზომიერების საზღვრებს. შეიძლება ეს არის დაბალი პირფერობა, იქნება აქაც ჩვენ საქმე გვაქვს შეგნებულ ბოროტ ირონიასთან, ან კიდევ, პირიქით, არც ერთია, არც მეორე და მანანა გამოსთქვამს თავის გულუბრყვილო დაჯერებას მაშინ, როდესაც მრისხანე საჭურისის აჩრდილი ჯერ კიდევ არ მოვლინებია ნარიყალის ციხეს. მაინც ამ პანეგირიკში მანანა ასწრებს დახატოს მკვეთრი კონტურებით ასპინძის გმირის პოლიტიკური და სამხედრო ზვიადება, გადატეხილი თანამედროვის შეგნებაში:

„ჩვენი ხელმწიფე ერეკლე ღვთისგან არის დიდებული, მათ ზევით მათი მებრძოლე მათგან არის შერისხული, ცას ქვეშე კიდის კიდემდე მტერი ჰყავს დამონებული, სხვა არა თქმულა ხელმწიფე მისებრი გამარჯვებული. ქრისტიანობის გულისთვის საომრად დაიარება, ღვთის ძლიერება თან დასდევს ყოველთვის მას ეხმარება, აღუსრულოდება წადილი, კიდევ შეშვენის ბრძანება, ორგული უარყოფელი, ღმერთმანი, დაემალება.



უძლიერესი მეფეა, შემკული ყოვლის ფერითო,  
წმინდა ევსტათი შემწეთ ჰყავს, ჭარ-დალისტანს ებრძვის  
ხმლითო,

სადაც რომ მტერი გაუჩნდა, მან დაიმორჩილა ღმრთითო  
უფალმან განაძლიეროს ძის ძითა და ასულითო“.

მანანა თითქოს თვითონვე გრძნობს უხერხულობას და  
უადგილობას ამ ხოტბისა. მართლაც, არავითარი ლოგიუ-  
რი კავშირი და შინაგანი თანმიმდევრობის წესი არ უკარ-  
ნახებდა მანანას, რომ თავის მონანიებულ სულის პოემა-  
ში ჩაეკვანდა ირაკლის სახელი. მაგრამ მანანა ენამრავალია  
დ ენაწყლიანი. ამას თვითონაც გრძნობს და მკაცრ შენიშვ-  
ნას აძლევს საკუთარ თავს:

„არ დააგდო მანანამა თვისი ბრიყვული გვარია,  
ცხებულის ხელმწიფის ქება ამ წიგნში როგორ გარია,  
რა ხელი ჰქონდა ბატონთან, სული აქვს საწუხარია“...

მაგრამ მანანამ ამ ხოტბით უნებურად მცირე შუქი  
მიანათა თავის დაკარგულ ბიოგრაფიას. შაირები დაწერი-  
ლია 1795 წლამდე — ტფილისის ტრაგედიამდე. მანანა  
თანამედროვეა და მოწამე ირაკლის ძლიერების. მონაწი-  
ლეა საქართველოს უკანასკნელი და მეტად მცირე ხნის  
ოპტიმიზმის. მანანა ამ დროს ხანშესულია და სულისთვის  
ზრუნავს. უნდა ვიფიქროთ, რომ მანანა დაბადებულია  
მე-18 ს. პირველ ნახევარში.

#### 4.

„მანანასაგან ციების ბაასი“ წამროადგენს სახუმარო  
დიאלოგს, სადაც განსაკუთრებული სიცხადით მჟღავნ-  
დება მანანას ნიჭი მოსწრებული სიტყვა-პასუხის. მანანა-  
ზედ ამის შემდეგ ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ იგი  
იყო „ხუმარ-სიტყვაობასა შინა მარჯვე და პასუხისა  
უცხოდ მიმგები“. როგორც „შაირნი“, ეს დიალოგიც და-  
წერილია თექვსმეტმარცვლოვანი რუსთველური მეტრით  
და შეიცავს შვიდ სიტყვა-პასუხს.

დიאלოგიური ფორმა ლექსითხზულებისა, რომელსაც  
ჩვენში ეწოდება „გაბაასება“ ან „შედარება“, როგორც

ლიტერატურული ჟანრი ქართულ პოეზიაში შემოიტანა თეიმურაზ პირველმა. მაგრამ ეს არ იყო ამ ოსტატის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი. თეიმურაზმა იგი გადმოიღო სპარსული პოეზიიდან („ვარდ-ბულბულიანი“, „შამი-ფარვანიანი“). თეიმურაზის შემდეგ დიალოგიური ფორმით ისარგებლეს არჩილ მეფემ („გაბაასება კაცისა და სოფლისა“), თეიმურაზ მეორემ („სარკე თქმულთა“), დავით გურამიშვილმა (დიალოგები „სიკვდილისა და კაცის“, „კაცის და საწუთროსი“) და სხვებმა. ქართულ პოეზიაში დიალოგს მძაფრი ხასიათი მისცა დავით გურამიშვილმა. მის დიალოგებში ადგილი აქვს მსუბუქ იუმორს, რომელიც ხშირად იცვლება მკვეთრ ირონიად და გადადის სარკასტიულ ხითხითში. ჭეშმარიტად შემადრწუნებელი ფემილიარობით და ცინიზმით ესაუბრება გურამიშვილი სიკვდილს („კაცის და სიკვდილის“ დიალოგში). თითქოს ამ პოეტის რელიგიურ საბურველში იმალებოდეს დემონური სული წინააღმდეგობის და გაღიზიანებისა („თუ შენ გვთიბ, შენ გვჭამ, — შენს ნაჭამს ვინ გიხვეტს, გიწმენდს, გიგავსო, — თუ არვინ გიხვეტს, უთუოდ ნებვით ნიფხავი შიგ ავსო“).

შოპენგაუერის დაპირდაპირებით ირონია არის ხუმრობა სერიოზულ ფორმით მოცემული, ხოლო იუმორი წარმოადგენს სახუმარო ფორმაში დამალულ ღრმა და სერიოზულ განწყობილებას საგნებისადმი. ამდენადვე იუმორში შეთავსებულია როგორც კომიკური, ისე ტრაგიული ელემენტები. მანანა შეიძლება არც კი იცნობდა გურამიშვილის დიალოგებს, მაგრამ მან მაინც მონახა საკუთარი ტონი. საგულისხმოა და ნიშანდობლივი მანანას „ციებასთან ბაასი“. აქ მანანას იუმორი განიცდის ნიუანსებს კომიკური და ტრაგიული გრძნობისას. ზოგიერთი გარემოება ჩვენ გვაფიქრებს, რომ ამ ნაწარმოებში შემოქმედური ნათელხედვით ნაგრძნობია მთელი ტრაგიზმი მე-18 საუკ. მაძიებელი ქართული სულისა, რომელიც ცდილობდა თავი დაეღწია ათასწლოვანი ტრადიციით განმტკიცებული, მაგრამ ეხლა უკვე არაფრის მომცემი, საზიანო და შემხუთავი კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის ორ-

ბიტებიდან. სკეპსისი, როგორც ყვითელი ციება, შეპარულია ქართულ შეგნებაში ამ დროს. დიდი ხნის დაწყებული მწუხრი ძველი ღმერთების იწვევს უიმედობას, შიშს გაურკვეველი მომავლის წინაშე, მაგრამ აქვე იწყება ნებისყოფის გამძაფრება და ბუნდოვანი მოლოდინი უცნობ ნაპირების შეხებისა და ჯერ განუცდელ აღსარებათა ზიარების. ამდენად მანანას ციებასთან გაბაასება ნიშანდობლივია და მეტად საინტერესო, როგორც ეპოქის დოკუმენტი მე-18 ს. ქართულ ლიტერატურაში: იგი ერთგვარ სიმბოლიურ ტრაქტოვკას წარმოადგენს მხატვრულ ასპექტში გადატეხილი ქართული აზროვნებისას.

## **ციების და მანანას გაბაასება**

### **ციებამ უთხრა:**

გაგშორებივარ მანანავ, როგორც რომ გაღმა დიციია, რაც შენ მლანძღე და მაგინე სულ თავში ლოდი მიციია, შენს ახლოს აღარ გავივლი, აღთქმა დავდე და ფიციია, შენ ხომ არ მიმიპატიუებ, შენი ამბავი ვიციია.

### **მანანამ უთხრა:**

ცეცხლი მოგედვა ციებავ, რა მე შენ შემეყარეო, შვიდი თვე მაცივ-მაცხელე, ჩემი დღე დამამწარეო, პატარა სული მოვიდგი რა შენ მე გამეყარეო, ვინც რომ შენ მოგიპატიუოს, ვაგლახი დავაყარეო.

### **ციებამ უთხრა:**

საწყალო, რის იმედი გაქვს, ვინა გყავს მოტირალია, ვინ გიზის ჭირისუფალი, რომ ყაროს ცხარი ცრემლია, შეგიკრავ ხელსა და ფეხსა, როგორც დამრჩვალი მგელია, საფლაგად მოგათრევინებ, ჰყარდე ვით მკვდარი გველია.

### მანანამ უთხრა:

რა დაგემართა ციებავ? რა ჩემზედ მოიცალა,  
ამიტომ, ვეჭვობ, მიბრეყვე, რომ აღარა ვარ ქალია,  
გაგაგდებ ჩემის გვამიდან შემწედ მყავს ღვთისა ძალია,  
ასე მიჩნს შენი ლაყაფი, ვით ჰყეფდეს ძალლი ხალია.

### ცივებამ უთხრა:

ამისგან უფრო მანანავ, მოდი, ნუ გამამწარებო,  
დაგწვავ, დაგდაგავ სიცხითა, სიცოცხლეს დაგამწარებო,  
საკვდავად გარდაგასვენებ, მღვდლებს შენზედ გავახა-  
რებო.

### მანანამ უთხრა:

ცივებ-ცხელებავ, ჩემზედა რაზე აიღე შურია,  
ნეტაი შემატყობინა, თათარი ხარ თუ ურია,  
მე ასე შემყვარებიხარ, როგორც რომ ძალლი მურია,  
თუ მომკლავ, არას ვინაღვლი, რა დამრჩეს სანანურია.

### ცივებამ უთხრა:

სამიდღეშიოდ დაჰკარგე მანანავ ჩემი თავია,  
ღირსად სამართლად მოგაგე, რაც დღე გიჩვენე შავია,  
რით უნდა გაქო მე შენა, სიტყვა გამოგდის ავია,  
თვალტანად არას ვარგიხარ, ხარ ცუდი სანახავია.

### მანანამ უთხრა:

თვალით ნუ დამენახვები შენ ქვეყანის სასაცილო,  
დამცლელი ღონისაგანა, საძაგო იუდის შვილო,  
შენსა წამყვანსა სიკვდილსა თავს დაუდე შავი ტილო,  
მე შენ როგორ მეხუმრები შენ მყრალო და გაღლეტილო.

### კვალად მანანამ უთხრა:

თქვენი მტერი და ორგული ცივებამ დააღონაო,  
მე ამას ვერ გადურჩები, თუ კიდევ მამიგონაო,

დამადნო სანთელივითა, გამხადა დრამის წონაო  
ამ წყეულს რასა შევჰყვარდი, ჩემში რა მოიწონაო.

**ცივებამ უთხრა:**

თუ მოგიბრუნდი, მანანავ, ჩაგაკმენდინებ ხმასაო,  
სულ დაგავიწყებ ყველასა მაგ შაირების თქმასაო,  
ასე გაგიხდი საქმესა სიკვდილს აძლევდე თავსაო,  
სულ ოხრად დაგანარჩუნებ შენს ჯარასა და ტარსაო.

**მანანამ უთხრა:**

რადას მაწყალებ შიშითა, თვალებიც გამოგხეთქია,  
ამის უარესს რას მიზამ, — კბილი კბილს დამიხეთქია,  
კურნება ჩემი ვის ძალუძს თვალები დამიფეთია,  
მე შენ ველარას დამაკლებ, თუ ჩემი შემწე ღმერთია.

**ცივებამ უთხრა:**

რა დაგემართა მანანავ, მე მოგეკიდე მშვიდათა,  
ხანდახან გაგაცივებდი, ხან გამყოფებდი თბილათა,  
პირს ძლიერ გაგიმწარებდი, წყალს არ გასმევდი ტკბი-  
ლათა,  
კიდევაც არ დაგივიწყებ, ხანდახან გნახავ ხილათა.

**მანანამ უთხრა:**

მე რათ მინდა შენი ნახვა ყოველნი შენგან ჩივიან,  
ვისაც რომ ტანში შეუხვალ, კანკალებენ და კივიან.  
აკანკალებენ კბილებსა, წელი უწყალოდ სტკივიან,  
რაკი სიცხეში ჩააგდებ, მდულარე ცრემლი სცვივიან.

**ცივებამ უთხრა:**

მანანავ, გულის საკლავი სიტყვა გაქვს მეტად მწარეა,  
ახლა რომ მე შენ წაგჰყურტო, ჩემიმც ნულარა ბრალია,  
ცოტა გაქვს თუ რამ ქონება ველარც სულ მოიხმარია,  
სულდარი თავით დაიდევ, შენ ხარ ოხერი მკვდარია.

საქონლსა და სავაჭრო  
საზღვაო

## საღისუხიო საკითხები

### მემარცხენეობა ქართულ ლიტერატურაში.

საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ საქართველოში შეიქმნა ახალი ყოფა. სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვდა არსებულ ღირებულებათა გადაფასებას. ახალი ყოფის მიხედვით უნდა შექმნილიყო სამყაროს ახალი გაგება. ამ გაგების გადმოსაცემად — ახალი განცდანი და განწყობილებანი.

ამ ნიადაგზე შეიქმნა ახალი ლიტერატურული ორგანიზაცია „ქართული ფუტურიზმის“ სახელით. მიზანი იყო: ტრადიციული და ტრაფარეტული გემოვნების დაშლა, ნაცვლად-კი, ახალი გემოვნებისა და ახალი ფაქტების შექმნა. ეს საქმე მოითხოვდა დიდ ბრძოლას, გულწრფელობას და პიროვნულ კულტუროსნობას.

მაგრამ სამიოდე წლის შემდეგ ამ ნიადაგზე მივიღეთ მხოლოდ კარიერისტი ბუნტარების ახალგაზდობა და არა ნამდვილი მემარცხენე შემომქმედნი.

ეს ვიგრძენი ჟურნალ „მემარცხენეობის“ გამოსვლით. ჩემთვის, როგორც ქართული ფუტურიზმის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორისათვის, ძნელია ამ ჟურნალის მასალების გარშემო ლაპარაკი, მაგრამ საჭიროა დროზე შეჩერდეს ის ხალხი, ვინაც დაჰკარგა ყოველივე ტაქტი, ქართული ლიტერატურისა და აზროვნების პატივისცემა:

ჟურნალ „მემარცხენეობის“ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „ჩვენ ვიბრძვით გემოვნების დიქტატურისათვის, რადგან ჩვენ ვართ დასრულებული და უკანასკნელი მიღწევა ქართული ხელოვნების“-ო.

ამ განცხადების დავიწყება ისევე შეიძლებოდა, როგორც ერთ დროს გამოქვეყნებულ „კრონოსის სარკის“ დე-

კლარაციისა, მაგრამ ქართული ლიტერატურის დღევანდელი პირობები და ერის სოციალური მდგომარეობა, მოითხოვს გადამჭრელ პასუხს: აქვს რაიმე რეალური ღირებულება ასეთ განცხადებას თუ არა? პასუხისათვის დაუახლოვდეთ ჟურნალის შინაარსს და მის „მემარცხენეობას“.

ხელოვნებაში მემარცხენეობა მარტო თქმათ დარჩება თუ მხატვრული ფაქტი არ გვაძლევს: 1) ენის რევოლუციას; 2) სიტყვის ქმედითობას, აზრისა და ხმის მიხედვით. 3) შინაარსს; 4) სიახლეს და ბოლოს: 5) ენის ცოდნას. გარდა ამისა, ვერც ერთი ქართველი ლიტერატორი, მით უმეტეს მემარცხენე, ერთ სტრიქონსაც ვერ გაშლის, თუ გარკვეული არ აქვს ხელოვნების დამოკიდებულება პოლიტიკასთან. ამ მდგომარეობას, ყველაზე მწვავედ, ქართველი ხელოვანი გრძნობს.

დაუბრუნდეთ ჟურნალის მასალებს და გავეცნოთ „დამთავრებულ და უკანასკნელ მიღწევებს ქართულ ხელოვნებაში“.

ჟურნალი იხსნება მეთაურით, რომელსაც დეკლარაციის ხასიათი აქვს. მეტად ბუნდოვან შინაარსიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დეკლარაციას უმთავრესად პოლიტიკური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

აღბათ ამიტომ სურთ: „გააერთიანონ მხოლოდ ის მუშაკები, რომელნიც ნამდვილ მემარცხენე პრინციპებით ასრულებენ სოციალურ დაკვეთას, რასაც მათ საბჭოთა საქართველო უყენებს“. ამავე დროს ისინი ებრძვიან ინდუსტრიალიზმის იდეის აგიტაციას: „აქვე ჩამოყალიბდა ჩვენი ინდუსტრიალიზმის გაბანალება და რელიგიურ ფატათის“ კარგათ შესრულება. საბჭოთა საქართველო ეხლა იწყებს წარმოების განვითარებას. ამ საქმისათვის გაწეულ აგიტაციის წინააღმდეგობა „დათვურ სამსახურს“ ნიშნავს.

სხვადასხვა რუსულ ჟურნალებიდან ცუდათ გადმოქართულებული წინადადებებით, შეკოწიწებულია მემარცხენეობის გაგება. მაგრამ თავისებური ლოგიკით: „მემარცხენეობის“ მიზანს შეადგენს ჩამოყალიბდეს ნამდვილი მემარცხენე ხელოვნება“. განა შეიძლება, რომ მემარცხე-



ნეობას ასეთი მიზანი არა ჰქონდეს? საინტერესოა დეკლარაციის ავტორებს როგორ აქვთ წარმოდგენილი „ნამდვილი მემარცხენეობა“. აი როგორ: „ეხლა მთლიან მემარცხენე ფრონტში შედიან: ფუტურისტები, კონსტრუქტივისტები, მემარცხენე პოეტები, ბელეტრისტები, მხატვრები, კინო რეჟისორები, კლუბის მუშაკები და ახალგაზრდა (მოხუცებმა რა დააშავეს? ბ. გ.) თეორეტიკოსები“. დარწმუნებული ვარ, — მკითხველის სურვილი იქნება გაიგოს: ვილას ებრძვიან ამ დეკლარაციის დამწერელნი. ვინლა დარჩა? შეიძლება დეკლარაციის ავტორებიდან ასეთი პასუხი მივიღოთ: „დაგვავიწყდა ყველა „ები“ს წინ მიგვეწერა „მემარცხენე“. მაგრამ თუნდაც რომ მიაწერონ საქმეს მაინც არ შევლის; და საქმე კი იმაშია, რომ, ვისაც მემარცხენე ხელოვნების ოდნავი გაგება აქვს, იცის ის პრინციპიალური და ყოვლად შეუთავსებელი განსხვავება, რომელიც ჩამოთვლილ დარგებში არსებობს. როგორ შეიძლება ა. განის კონსტრუქტივიზმი მოთავსდეს თუნდ ჩიჩერინ-ზელინსკის, ან როდჩენკოს კონსტრუქტივიზმთან? თუმცა ყველანი კონსტრუქტივისტები და მემარცხენეები არიან. აგრეთვე მემარცხენენი არიან რევოლუციონურ კოლექტივებში შემავალი პოეტები და მემარცხენენი არიან „Лев“-ის პოეტებიც. რომ არ შეიძლება მათი ერთად მოთავსება? ასევე ითქმის მხატვრებზე და კინო რეჟისორებზე. კლუბის მუშაკების და ახალგაზრდა თეორეტიკოსების მემარცხენეობა, ისეთივე გაუგებრობაა, როგორც ამ დეკლარაციის მემარცხენეობა. ამასთანავე განა არ შეიძლება ფუტურისტი, იმავე დროს იყოს მხატვარი, პოეტი, კინო რეჟისორი? ფუტურიზმი ხომ დინამიკას ნიშნავს და როგორ შეიძლება მისი მოქცევა სტატიურ ფორმაში? ეს აშკარა გაუგებრობაა როგორც ფუტურიზმის, აგრეთვე მემარცხენეობის პრინციპებისა.

მაგრამ — „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდება“. ამას უფრო ნათლად დავინახავთ „პრაქტიკის გარჩევის დროს. მემარცხენეობის ნაცვლად შეგვრჩება სიმბოლიზმი და ყანწელების სურროგატი. ამიტომ არ მიკვირს მემარცხენეობის ასეთი „მისტიფიკაცია“.

რაც ვსთქვი, ეს არის დეკლარაციის შინაარსის მთავარი ღერძი, თუ, რასაკვირველია, გამოვაკლებთ ქართველი მწერლებისადმი მიმართულ უშნო ლანძღვას, ის „ახალი“ რომელიც ამ დეკლარაციაში არის გამოთქმული, დღეს ყველა „კომსომოლისტმა“ იცის. იცის რომ: „აღმშენებლობითი ყოფა დღეს, თავის ნაწილად აცხადებს ხელოვნებას და მას ორგანიზატორის მოვალეობას აკისრებს“. (როგორც აქ, ისე ყველგან დაცულია დეკლარაციის მართლ წერა. ბ. დ.).

დეკლარაციაზე ხელის მომწერნი, შეიძლება, მემარცხენეობის გაგებაში შესცდნენ, მაგრამ შეიძლება რომ ეს შეცდომა კარგი ქართული ენით გამოთქმულია. ენის ცოდნა ხომ განსაკუთრებით სავალდებულოა მისთვის, ვინც იბრძვის „გემოვნების დიქტატურისათვის“. ვნახოთ ამ დეკლარაციის ქართულიც. მხოლოდ ამონაწერებს მოვიყვან. მჯერა, მკითხველისათვის, უკომენტარიოთაც ნათელი იქნება „ქართული ენის უკანასკნელი მიღწევა“.

„ჩვენი ლექსალობის სტრუქტურას „სპეც“ სიმბოლიზტიციც დაესესხენ“.

„...დაასვა თავისი გაცვეთილი ესტეტიზმის დალი“.

„აქედან გამომდინარეობს ყოფის მასალებრივობისა და ცხოვრების შეგნების პრინციპი“.

„ეს კადრი იბრძოლებს... ფსევდო მემარცხენეობის მოსპობისათვის, ცხოვრების აღმშენებლობითი პრინციპების განმტკიცებისა და თანამედროვე ადამიანის გაგების ჩამოყალიბებისათვის“.

„ჩვენ ვიბრძოლებთ ლიტერატურის მეშხანური მიმღეობის წინააღმდეგ, კონსტრუქტივიზმისა და სიმბოლიზმის შედეგების სურვილების მოსასპობათ ყოფის სტატიკისა და მისი გადაღების წყურვილების ჩასაკლავად“.

„ჩვენი მიზანია თანამედროვე ყოფის დგამის გრძნობა და აქედან მშენებლობითი წარმოება მომავალ ცხოვრებისა“.

„საბჭოთა საქართველოს მასალებრივი სპეციფიკა“.

ესაა „გემოვნების დიქტატორთა“ დარბაისული და „ტკბილსასმენი“ ენა!

\*

\* \*

გარდა დეკლარაციისა, მემარცხენეობის შინაარსს არ-  
კვევს ბ. ჟღენტის წერილიც; ვინაიდან დეკლარაციის მი-  
ხედვით შეუძლებელია გავიგოთ, თუ რა არის მემარცხე-  
ნეობა, — იქნებ ჟღენტის წერილმა დაფაროს ეს ნაკლი.  
ვნახოთ.

წერილის სათაურია: „მემარცხენეობის საზღვრები“  
უნდა ვიფიქროთ, რომ ბ. ჟღენტი, შეიარაღებული მემარ-  
ცხენე ხელოვნების თანამედროვე მიღწევებით, მემარცხე-  
ნეობის ციხეს, შიგნიდან იცავს.. მაგრამ ასეთი გაგება  
შემცდარი გამოდის: ბ. ჟღენტი „წარსულის ესთეტიური  
ტრადიციებით“ მისდგომია მემარცხენეობის სიმაგრეს და  
„მტურმ“-ით უნდა აიღოს. იბრძვის ვექილურ ლოდიკითა  
და მამაშვილური თეორიით. „კიდევ სჭრის და კიდევ კე-  
რავს“. შეკერილია ხუთი გვერდი აბდა-უბდა. წერილის ში-  
ნაარსზე არ ვილაპარაკებ, რადგან არავითარი შინაარსი,  
გარდა გაუგებრობისა აქ არ არის. ჟღენტი ამბობს:

მატერიალურ კულტურის ანალოგია არ გამოდგება  
სულიერი კულტურის, იდეოლოგიისა და კერძოთ ხელოვ-  
ნების მიმართ და იმავე დროს: „მემარცხენე ფრონტი  
ხელოვნებას აცხადებს სავსებით უტილიტარულ, პრაქტი-  
კული მნიშვნელობის კატეგორიით“. ამას ჰქვია: „ღმერთ-  
საც და ეშმაკსაც“. ასეთი წინააღმდეგობებით არის აჭრე-  
ლებული მემარცხენეობის უბრალო გაგება.

საინტერესოა ჟღენტის სოციალური მიდგომა ხელოვ-  
ნებასთან: „ორი კულტურა (კაპიტალისტური და კომუნის-  
ტური) ერთსა და იმავე ნივთობრივ ბაზისზე შენდება. ეს  
ორი კულტურა ურბანული, ინდუსტრიული ხასიათი-  
საა, ამიტომ მათი მასალობრივი ინვენტარიც პრინციპია-  
ლურად ერთგვარია. ახალი კულტურა გულისხმობს მხო-  
ლოდ გადალაგებას“. ცხადია, პოლიტიკური ეკონომიის  
პირველი ფურცელიც არ წაუკითხავს ამის დამწერს.

ჩვენთვის ბ. ჟღენტის მემარცხენე პრაქტიკა უფროა სა-  
ინტერესო. თვით ჟღენტის თქმით: „ხელოვნების გამარ-

თლება შემოქმედებითი პრაქტიკაში მდგომარეობს“. ვნახოთ როგორია ჟღენტის მემარცხენე „შემოქმედებითი პრაქტიკა“.

როგორც სჩანს, ჟღენტს ლექსების წერა მიუტოვებია და ეს წერილი არის მისი პრაქტიკა. გავიხსენოთ ზემოთ გამოთქმული მემარცხენეობის დამახასიათებელი თვისებები როგორც ენის, ისე სიტყვის რევოლუციისა და ასე მიუდგეთ ამ პრაქტიკას. გავეცნოთ „ესთეტიურ ტრადიციებიდან განთავისუფლებულ“ ჟღენტს.

„კოლლიზიები“, „სფეროში“. „რესტავრაცია — აიტენდენცია“. „მონოპოლიურ პრეტენზიის ტონი“. „ტრანსფარეტისა და რუტინის აგრესიული“. „დემარკაციით“ „ქერვატერი“. „პოსტულაცია“. „ფორმაციისათვის“. „პოლსაზრისით“ (ნუთუ არსებობს კულტურული რეგრესი? ბ. გ.) „ინტენსიური“. „ტრანსფორმაციისათვის“. „იდეალისტურ“. „დუალისტური“. „პოეტიკისათვის“. „ბაზისზე“. „თემატიკა“. „იმპულსი“. „იმანენტური“. „ფორმებში მოქცევაში“. (სადაური ქართულია? ბ. გ.) „პრიორიტეტს“. „იმანენტური ტრანსფორმაცია ფორმალური რევოლუციით“. „არგუმენტაცია ფორმალურ რევოლუციისა“. „ენტუზია“. „იზოლიაცია“. (ეტყობა იურისტია! ბ. გ.) „პროგრესიულ სოციალურ იდეათა საწყისი პოეტ ჰეზიოდეს სიმღერებიდან მოდის“. (იქნებ ადამიდან მოდის? ბ. გ.) „ინდეფერენტიზმს“. „სოციალური ყოფის ფორმაციაში“. „მეტაფიზიკურ ესთეტიკაში“. „ილლიუზიას“. „თვითმყობადი მხატვრული ფაქტების პროდუქციით“. „ნივთობრივ სამყაროში“ (სად არის უნივთო სამყარო? ბ. გ.). „პერცეპციით“. „თვალსაზრისებს“ (ქართული არ არის ბ. გ.). „კულტურული კოლლიზიები“. „უნივერსალური მასშტაბით“. „შემოქმედებითი პრაქტიკაში“ (თუ პრაქტიკაა, შემოქმედებაც იქნება. ბ. გ.). „თავისებური, სპეციფიური“. „კოლლიზიის რეზონანსს“. „კულტურული პროგრესი აუდიტორიის“ (სად გაგონილა უკულტურო პროგრესი? ბ. გ.). „კონსერვატიულ ტრადიციებს“. „ახალი იდეოლოგიის, ახალი ფსიხიკის, ახალი საზოგადოებრი-

ვობის ფორმაციისა“. „გაბანალებისა და ვულგარიზაციის“.

ესაა ჟღენტის „სიტყვის რევოლიუცია“. სადღა უნდა წავიდეს მემარცხენეობის გაბანალება, ამას იქით?

ასე სწოის ბ. ჟღენტი „„მთელი თაობის, მთელი კულტურის საკითხს“ მე მგონია ასეთ „მემარცხენეს“ იქ უნდა ჰქონდეს ნორალური უფლება ილაპარაკოს „ცხოვრების მშენებლობასა და ორ განიზაციაზე. ეს მემარცხენეობა „საბჭოთა საქართველოს სოციალური დაკვეთაა?“ თუ „ხელოვნება ცხოვრების ორგანიზაციული ელემენტია“, — ჟღენტის ხელოვნება ამ საქმეს ვერ მიეკარება.

\*

\* \*

მე მგონია, რომ მემარცხენეობა იგივეა, რაც ფუტურისმი. ფუტურისმი ნიშნავს რევოლიუციას ხელოვნებაში. მემარცხენეობას მუდამ ორი მომენტი ახასიათებს: ამბოხება და შემოქმედება. ამბოხება იწყება მაშინ, როდესაც ხელოვნების რომელიმე დარგი ველარ აკმაყოფილებს განვითარებულ გემოვნების მქონე ხელოვანს. ასეთი ხელოვანი იწყებს შემოქმედების ძველი გაგების დაშლას. ეს პროცესი მასიურად ხდება განსაზღვრულ პერიოდში, ინდივიდუალურად-კი, — ყოველთვის.. როდესაც მასიურდება დაშლა, — ზოგიერთი ხელოვანის გემოვნება მას არ უერთდება. აქედან იწყება „მემარჯვენეობა“. ვინც ინტელექტუალურად განიცდის ამბოხებას, თავის თავად ხდება „მემარცხენე“ ამბოხების პერიოდი ხელოვნებაში, არის პერიოდი ანალიზის. ეს არის ხელოვნების გაგება და არა შემოქმედება. მემარცხენე შემოქმედება ნიშნავს საგნებისა და განწყობილებების დალაგებას ისე, როგორც ამას მოითხოვს ხასიათი ამბოხება განცდილ ხელოვნებისა. ამ დროს მოქმედობს გემოვნებით გამართული ნიჭი, და არა ფიქრი მემარცხენეობაზე ან მემარჯვენეობაზე. თუ ხელოვანს არ უგრძნია უვარგისობა გაბატონებული გემოვნების და ამბოხებით არ შეუქმნია სრულიად ახალი გემოვნებით გამართული გაგება, — ის მემარცხენეთ ვერ გამოდგება. და თუ მემარცხენეობას დაიწყებს, — მისი შემოქმედება იქ-

ნება ტენდენციური. მისგან დალაგებული განწყობილებები და საგნები-კი — მემარცხენე გემოვნებას მოკლებული (როგორც მაგ., ჟღენტის ლექსიკონი).

მიბაძვით გადმოღებული ამბოხება, უაზროა, უსიცოცხლოა და გაუგებარი. ყოველ მემამბოხეს ეს უნდა ახსოვდეს. საკუთარ მდგომარეობის გარეშე დაწყებული მემარცხენეობა ხელოვნებაში უფრო გაუმართლებელია, ვიდრე პასეისტების თავგანწირვა და მემარჯვენეთა „ჩამორჩენილობა“. საკუთარ მდგომარეობის გარეშე დაწყებული მემარცხენეობა, მუდამ პროვინციალიზმში გადადის.

ამ სიმართლის გრძნობა ყველაზე დიდი ტკივილია ნამდვილ მემარცხენე ხელოვანისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოწვეულია საკუთარი (ეროვნული) ლიტერატურის უცოდინარობით.

ქართული ხელოვნების მემარცხენეობა, უმეტეს შემთხვევაში, გათახსირებაა ყოველგვარი მემარცხენეობის. სიცხალისათვის განვაგრძოთ ჟურნ. „მემარცხენეობა“-ს გაცნობა.

ქართულმა შემოქმედებამ იცის ორნაირი განწყობილება: ერთი იქმნება სოციალური ემოციებით, მეორე — ლირიკით. პირველ შემთხვევაში, შემოქმედების შინაარსია ისტორიული პატრიოტიზმი, რომანტიული იდეალიზმი და დემოკრატიული მოტივი. მეორე შემთხვევაში, — ჭარბობს ნილილისტური სენტიმენტალიზმი. წმინდა ლირიკა იშვიათია, რადგან, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მძლეთ მოქმედობს პოეტზე. ამიტომ, ქართული ლირიკა, უმთავრესად, პატრიოტიზმში ან ეტნოგრაფიაში იხრჩობა. ამით აიხსნება ქართული პოეზიის ერთფეროვანებაც. ასეთი განწყობილებით დალაგებული საგნები, მისტიურ სახეს იღებს, საგანი ჰკარგავს რეალურ თვითღირებულებას და გადადის ასტრალურ ყოფაში. ასტრალური საგნობრიობით მოცემული სახეები, მუდამ ბუნდოვანია და სუბიექტიური. ასეთ შემთხვევაში საგნის სახე იკარგება ან სიმბოლიზმით ან ალევორიით.

ქართველი ხელოვანი, მხოლოდ მაშინ იქნება მემარცხენე, თუ შესძლებს ამ განწყობილებების გარდაქმნას,

თუ შემოქმედებას გაანთავისუფლებს ისტორიული და ეტნოგრაფიული პატრიოტიზმიდან, თუ შექმნის ახალ ეროვნულ განწყობილებებს და საგნებს აითვისებს როგორც თვითმყოფ ღირებულებებს და არა როგორც სიმბოლოს, ან ალეგორიას. ეს იქნება იდეოლოგიური მხარე მემარცხენეობის.

ახალი იდეოლოგიის გაშლისათვის საჭიროა თქმის ახალი ტექნიკა. ტექნიკა გულისხმობს ენის რევოლუციას და სიტყვის შექმნას, ხმოვანების (ბგერის) და აზრის მიხედვით. ეს არის მემარცხენეობის „სიმძიმე“. ამ ლაბორატორულ შრომისათვის საჭიროა არა მარტო „ზეშთაგონება“, არამედ დიდი ერუდიცია და მხატვრული კულტურა. მემარცხენეობაში ვერ გამოდგება საშუალო კულტურის შემოქმედი. ნათქვამს უნდა დაუმატოთ კიდევ, ერთი მთავარი თვისება მემარცხენეობისა: კონკრეტობა. ვინც ამას ვერ შესძლებს — მემარცხენე ვერ იქნება.

ვნახოთ, როგორი სიახლე შეაქვთ ჟურ. „მემარცხენეობი“-ს ავტორებს და რამდენად მემარცხენეა მათი თქმის ტექნიკა. წერილები ვნახეთ. გადავიდეთ ლექსებზე.

ჟურნალი იხსნება ალხაზიშვილის ლექსით: „ბანზაი-შანზაი“. იწყება ასე: „მძიმედ გადმოეფარა შუადღე ქალაქს“. ამის შემდეგ მკითხველის წარმოდგენას ეფარება ასეთი სტრიქონები:

„ზანტი ნირვანა ოპიოფაგები.

მომაკვდინებელი ჰაშიშით თრობა.

იბრძვის ჩინეთის მშრომელი მკლავი.

ჩაქუჩი. ნამგალი. მაგარი მუშტი.

გასწორდი წელში. ასწიე ხელი.

ათასწლოვანი თვლენა მოიხსენ.

არ სჩანს არც ერთი ოდნავ გამართული სტრიქონი. ავტორი იბრძვის „გემოვნების დიქტატურისათვის“, მაგრამ წინდაწინ დავარწმუნებთ სრულის იმედით — დამარცხდება. ა. ამ, ვითომდა, ლექსში არამც თუ პოეტი — პოეტის ლანდიც არა სჩანს. მემარცხენეობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ბ. აბულაძე სანდომიან პოეტად მოსჩანს ჟურნალში. მისი ლექსი: „ტფილისის მზეზე“ უფრო იდეოლოგიურ

მემარცხენეობის შესახებაა ნათქვამი. აბულაძე სწუხს, რომ —

„ყველა პოეტი ისტორიზმის დარჩენილ ნაგავს მოათრევს მუზის ჯაგლაგ ცხენით და სახედრებით“.

ნაგავი შემოუთრევია ნ. ბარათაშვილს. აბულაძეს გული მოსვლია და სწერს:

„ოითქოს მახეზრებს ბარათაშვილი და უზრდელობით გულ მოსული, მე ვიგინები“

საგნებს ალაგებს სიმბოლიური ხედვით და ლექსიკონიც სიმბოლიური აქვს:

„თორმეტმა გულმა გადიარა ცაზე ცეცხლივით, თორმეტჯერ მტკვარი ახმაურდა ახალ ლანდებით. ჩვენ ვართ მტრედები, ვერიდებით მარტო ხეტიალს“.

...„ვფრინავთ ჰაერში მეგობრებო როგორც ბურუსი“.

იქვეა აბულაძის მეორე ლექსი „ბუტაფორია“.

დ. გაჩეჩილაძის მემარცხენე გამოცემაში გამოშვებულნიშნავს გემოვნების სრულ დაკარგვას. ამას თავიდანვე გვიმტკიცებს მისი ლექსი „ზელიმ ხანი“:

„როცა მყინვარზე ღრუბელი კრიახებს,

როცა ვარსკვლავები ყურავენ ცაშივე,

სივრციდან ამოქრის ორბი გამჭრიახი

და ცაზე ფართხალით მიცურავს გაშლილი“.

როგორ მოახერხა ღრუბელმა აკრიახება? რამ ააკრიახა, ან რაა ეს „ყურავენ“? ეს ლექსი მართლაც რომ ფართხალით გაშლილი ცურვანა.

ფრინველი მაშინ ფართხალობს, როცა თავს მოსჭრიან. ეს პოზა ამ ჟურნალისათვის შესაფერი „მემარცხენეობა“ არის.

ეტყობა, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას მემარცხენეობა და უნიჭობა ერთი და იგივე გონია.

მხოლოდ ნ. შენგელაია მოსჩანს თავისუფალი, ისტორიზმისა და ყოველგვარ მანიაკობიდან. გრძნობს სიტყვის ფიზიოლოგიას. თუ ზოგიერთ პრიმიტიულ რითმებს გამოვაკლებთ, — მისი მოკლე და მოკვეთილი ლექსები, ქმნიან საღ განწყობილებას. ლექსები ბევრს კარგავენ ეტნოგრაფიით. მემარცხენე გაგება, შენგელაიას ლექსებში, ტყუი-



ლად არ უნდა ვეძებოდ. გამართული სტრიქონები-კი, მხოლოდ ავტორის კულტურულ გემოვნებას ამტკიცებს. სალად არის ნათქვამი:

„მინდორს წვიმა მოსდევს შავად  
ქორი წარბი დარბის ქარზე.  
მზე გაცივდა მთაზე ავად  
და ახველებს ჯიხვის რქაზე  
მზე შინა და მზე გარეთა (ხალხურა ლექსის სტრიქონებია. ბ. გ.).

კლდე გარს შემოსული,  
მთამ იმატა, მზე გარეტდა  
და ამოხდა სული“.

ნ. ჩაჩავა მემარცხენეობისათვის თავ დადებული იყო. უფრო ახლო იდგა თანამედროვეობასთან, მაგრამ ლექსს ცუდი ქართულითა სწერს. გაუმართლებელია ხალხურის იმიტაცია. ხალხი არას დროს არ ამბობს ასეთ „ჭლექიან“ სიტყვებს:

„გულს ჯაჭრი სადმე გადაღრღნის,  
გულს, გაზრდილს მიდორ ველათა“.

ხალხურ შემოქმედებაზე დაყრდნობა იყო ჩემი ლოზუნგი. უფრონალ  $H_2SO_4$ -ში გადაჭრით განვაცხადე: „ხალხურა თქმა არის საწყისი ჩვენი სიტყვის“. ამას ვამბობდი იმ აზრით, რომ ყოველგვარი შემოქმედება, უნდა იყოს ნათელი და გასაგება (დამახასიათებელი თვისება ხალხური შემოქმედებისა) ამით ძილწეული იქნებოდა ორი მიზანი: ქართულ შემოქმედებიდან განიდევნებოდა მისტიციზმი და განახლებული შემოქმედება დაუახლოვდებოდა ნამდვილ ქართულ კლასიციზმს, (ნაწილობრივ მე-18-ტე და 19-ტე საუკუნების გამოკლებით). ეს აზრი ისე იქმნა გაგებული პრაქტიკაში, თითქოს პროვინციალიზმების შემოტანა ნიშნავდეს ხალხურ საწყისს.

ნ. ჩაჩავას მეორე ლექსი: „ლაპარაკი მოფერთან პოეტების გასაგონად“, უფრო მეტი კურიოზია. სჯობდა, რომ არავის გასაგონად არ დაწერილიყო ეს ლექსი:

„გააკეთებდა (ავტომობილს) საცოდავი ჯემს  
ან და მისი ძმა“.

ჩაჩავას აზრით ეს ნიშნავს „ყოფასთან მისვლას“. ჩაჩავას ლექსი გვათქმევინებს, რომ ასეთი პროექტის მემარცხენეობის ნიჭი გამართულია კუზიანივით.

ს. ჩიქოვანი საერთოდ წერს წერილებს და ამ ჟურნალში მოთავსებული წერილები, უშუალოდ უკავშირდება სხვაგან დაბეჭდილ მასალებს. ეხლა საინტერესოა ჩიქოვანის ლექსების განხილვა და ამ ლექსების მემარცხენეობის გამორკვევა.

პირველი ლექსია: „პოემიდან: ჩემი დანაშაული“ წვიმების ქვეშ“.

შინაარსი: პროექტი ვილაც უხილავთან მოგზაურობს. მოუსწროთ წვიმამ და ძალიან დასველდნენ. გაშრობის იმედიც-კი დაჰკარგეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უხილავი, ქალიშვილია. ამას ვიგებთ ორმოცდა მეთორმეტე სტრიქონზე.

ამ მდგომარეობაში დაუსაღამოვდათ. ლექსიც თავდება. მკითხველი სრულ გაუგებრობაშია. განწყობილება რჩება, ბოდვის.

ვნახოთ ამ სენტიმენტალურ და სიმბოლისტურ შინაარსს როგორი წინადადებებით შლის. იქნებ ენის რევოლიუციით მაინც იძლევა მემარცხენეობას:

„ახლა ვიგონებ გამოვლილ თვეებს მთა წმინდის გაღმა“ (უნდა ვიფიქროთ, რომ ამბავი ჩულურეთში ხდება. ბ. გ.). „აგალობდნენ მთიდან მთები წვიმის ჰანგებით“.

„ჩვენ ვდგევართ შორს“.

„წვიმა ჩამოდის, აკვნესებს სიმებს, დანესტილ სიმებს, წვიმა წუხილს შლის ამ მწუხრს აკვნესებს

„მთა წმინდის წუხილს ეს წვეთები ესხურებიან“

„შორს მოტეხილი ხე — ბავშვივით ჰყვირის“ (ჩულურეთში? ბ. გ.).

„მუხლებში შიში: — ჰკრთი და კანკალებ“.

„წვიმის თმებიდან ჩვენ გავიგონებთ დანესტილ ტირილს“.

„ვხედავდი დღეს შენ ქუსლებთან სულს რომ ჰლაფავდა“

„სოველი ვრჩებით მსოფლიოში მხოლოდ მე და შენ“.

68 სტრიქონიან ლექსში, „წვიმა“ „წვეთები“ და „წუხილი“ განმეორებულია 28-ჯერ. ეხლა, განსაკუთრებით, ვნახოთ ამ ლექსის ლექსიკონი:

„ტრფობით“. „სიბრალოდით“. „შრიალით ამონაკვნეს“. „აგალობდენ“. „წვიმის ჰანგებით“. „წვიმის სიმებს“. „აკვნესებს სიმებს“. „დანესტილ სიმებს“. „მწუხრს აკვნესებს“. „შრიოჰ(?) წვიმას შლის“. „გვისველებს სულს“. „ჩამოდის სულში დანესტებული“. „სხეული გითრთის“. „წვეთთა სიმები დანესტავენ ღრუბლების ნაღველს“. „მთა წმინდის წუხილს“. „ჩემი ნუხილი“. „წვიმის სევდებს“. „წვიმის პლაში“. „დანესტილ ტირილს“. „ქარბუქები დაკონკილები“. „წვეთთა შრიალი შტოთა კალმებზე“. „ჩემო კარგო“. „წვეთთა დარდით“. „ტანჯვა“. „მტანჯველ მოხვიებს“ (?) „სინდისის დავრჩი ამარა“. „ვდიოდით“. „და მთიდან მთები შავდებიან აკვნესებული“.

ესაა ჩიქოვანის პოეტური მემარცხენეობა.

მეორე ლექსში იგივე ავტორი თავის პოლიტიკურს იდეოლოგიას ამჟღავნებს. ჩიქოვანის პოეტური მემარცხენეობა ვნახეთ. გავეცნოთ მის პოლიტიკურ იდეოლოგიის მემარცხენეობასაც. ლექსი: „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“.

ბევრჯელ წავიკითხე ხსენებული ლექსი და ვერ გავიგე. მიზეზი, ლექსის უაზრობაა, თუ ცუდი ქართული, არ ვიცი. ერთი ცხადია: ლექსს პოლიტიკური იდეოლოგიის ხასიათი აქვს. ჩიქოვანი შესჩივის ბარათაშვილს:

„მე შენ გასრულე, მაგრამ ჩემს შემდეგ ვინ შეასრულებს  
ჩემს თქმულებებს,  
ვინ მეტყვის მე, მადლობა შენ, წინაპარო, რომ ადრე  
მოხველ!“

ასე უმადური როგორ იქნება საქართველო? მით უმეტეს, თუ ჩიქოვანი მართალია, დაამტკიცეს, რომ „ბარათაშვილის სისხლი ჩემს ძარღვებში რომ სდგას, შთამომავლობას მე დაუმტკიცებ“. რა სჯობია ამას თუ კი ეს ასე იქნება.

„საქართველო ფეხზე ადგომით ჩემში შენ წყლულებს მოგესალმება“. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს წყლულები არის მთაწმინდის წყლულები:

მემარცხენეობაც აქეთ უნდა მოემართებოდეს და არა იმ უიმედობისაკენ, რომელსაც ამ ლექსში ვკითხულობთ: „გამოსავალი ხალხში არ არის“.

თუ ხალხში არ არის გამოსავალი ნუთუ ამ სქოლასტიური ქართულით დაწერილ ლექსში უნდა ნახოს ის ავტორმა?

მესამე ლექსი: „ქარბორია“ (?), უფრო ლექსიკონებიდან ამოკრეფილ სიტყვების კატალოგს წარმოადგენს. ოცდაჩვიდმეტ სტრიქონიან ლექსში ყველაზე „გასაგები“ სტრიქონია:

„ფაფარი, ფუნჯირი ფარდული, ორველი ცხენების“.

ვისთვის, ან რისთვის არის საჭირო, რუსული ფუტურისმის პირველი პერიოდის (კამენსკი) გამეორება?

ქართულ ლიტერატურას, უფრო დამუშავებული, მეტიც, წმინდა ფუტურისტული მიღწევებიც აქვს. ეს მიღწევები „მემარცხენეობის“ გარეთ არის და ბევრად უფრო ადრე (მე-18-ტე საუკ.) ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილი) სიმალღემდე, ჯერ ჯერობით, ვერც ერთი მემარცხენე ქართველი მწერალი ვერ მისულა.

მთავარია ნიჭი და აი ეს ნიჭი:

„ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!  
ზილფო კავებო მომკლავებო, ვერ საკარებო!  
წარბ წამწამ თვალნო მისათვალნო, შემაზარებო?  
პირო მთვარეო, მომიგონე, გზისა დარებო!“.

კიდევ:

„მე შენი მგონე, ჭირს შემკონე, დამწვი მალ ალო,  
ზილფო ნაშალო, შემაშალო, კვლელო და ლალო,  
მთიებო პირო, მიჯნურთ ჭირო, ბროლო და ლალო,  
კეკლუცო, ნაზო, შენ ლამაზო, ბროლ ფიქალო!“

„...მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა;  
ახდამანტილებრ მიმიზიდავ, ვჰგავ ნამჭირვებსა“.

ვიკითხოთ: ბესიკი უფრო თანამედროვე პოეტად მოსჩანს, თუ თანამედროვე „მემარცხენეობა“?

ეხლა ვნახოთ პროზის მემარცხენეობა.

\*

\* \*

აკაკი ბელიაშვილს ჯერ არ გამოუქვეყნებია არც ერთი დამთავრებული ნაშრომი. ამიტომ, ძნელია მისი პროზის მემარცხენეობაზე ლაპარაკი. ერთი ცხადია: იცის თემის მიგნება და აქვს მემარცხენეობის ყნოსვა.

ს. დოლიძე დებიუტანტია. სწერს კინო სცენარისტის სტილით. მისი ქართული გაუმართავია. აქვს მიხვედრები და ორიგინალურად მოკვეთილი გამოთქმები.

ს. კასრაძე მემარცხენეთ არ გამოდგება გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით, თუმცა სიახლის გრძნობა აქვს. ეს სიახლე სიმბოლისტური თვისებისაა. ჟურნალში დაბეჭდილი მასალა პატალოგიურია. პატალოგია მემარცხენეობას არ ნიშნავს.

დემნა შენგელაია მოწადინებულია იყოს მემარცხენე. მაგრამ ამისათვის არა აქვს არც ინტუიცია და არც ნებისყოფა. როცა სცდილობს პრაქტიკით დაამტკიცოს თავისი მემარცხენეობა, — სიტყვა უკანკალებს და აზრი ღალატობს. მისი მემარცხენეობა პროვინციალიზმში გადადის.

დემნა შენგელაია პრეტენზიას აცხადებს მემარცხენე პროზის მწერალის სახელზე. ვნახოთ მისი პრაქტიკა. ჟურნალში დაბეჭდილია „მუხა“ (ნაწყვეტი რომანიდან). შენგელაია ასწერს 1921 წლის თებერვლის უკანასკნელ დღეებს. ძალიან უტიფრად იგონებს ტფილისის დატოვებას მენშევიკების მიერ და ერთ ერთ სურათს ასე იძლევა:

„ვინტოვკის კონდახი სახელოთი გაუწმენდიათ (გვარდიელებს. ბ. გ.), ზედ ტილები დაუსვამთ და ისინი გარბიან თოფის კონდახზე, ჯარის-კაცები ხანდახან მიმართულებას უსწორებენ, ჰყვირიან, აქეზებენ უცნაურ ბედაურებს და ასე არის გამართული საოცარი დოღი, რომელსაც მხოლოდ ჯარის-კაცი თუ მოიგონებს თავის გაძალღებულ სიცოცხლეში. მხედრები იცინიან და თან დედასა და ჯილაგს აგინებენ ამ ქერა ქალბატონებს და სანაძლეოდ თითო აბ სახარინს იგებენ.

ყველაზე მეტს ზემდეგი ატილა ბლავის, როყიანობს, მერე აიყვანს თავის გამარჯვებულ ფალავანს და ისევ ილლიაში ისვამს“.

შენგელაიას რომ დაუჯეროთ, ეს არის მემარცხენეობა.. მე რომ მკითხოთ — ეს არის შენგელაიას მემარცხენეობის შესაფერისი ნატურალიზმი, იმ დამატებით, რომ აქ ნატურალიზმის ტენდენციურობა უსინდისობამდე მიდის.

ნატურალიზმის შემდეგ შენგელაია გადადის „ტიპის“ შექმნაზე (რეალისტური მეთოდი), რამდენიმე გვერდის შემდეგ იძლევა რეალისტურად ხორც სხმულ იდეის აღწერას (სიმბოლისტური მეთოდი).

ამ რიგად, დემნა შენგელაია, ერთსა და იმავე ნაწარმოებში ურევს სამ მეთოდს: ნატურალისტურს, რეალისტურს და სიმბოლისტურს. ეს დაუშვებელია მემარცხენეობაში და იმავე დროს არაფრით არ განსხვავდება ყველა მემარჯვენე (თანამედროვე) პროზის მწერლებიდან.

მხოლოდ ნიჭს შეუძლია გამოცალკეება „ერთ ტაფიდან“. ასეთი ნიჭი, შენგელაიას პროზაში არა სჩანს და ჩემი გაგებით, ზოგიერთი თანამედროვე მემარჯვენე მწერალი ბევრად უფრო ახალი და მემარცხენეა, ვიდრე შენგელაია.

\*

\* \*

ასეთია პრაქტიკა „მემარცხენეობისა“ ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ნამდვილ მემარცხენეობასთან.

წერილი არ იქნება საკითხის ამომწურავი, თუ ნათქვამს არ დაუმატებთ ქართველ „მემარცხენეთა“ გაგებას მხატვრობის დარგში.

ჟურნალში მოთავსებული ი. გამრეკელის პრაქტიკა არ არის გამომხატველი მისი მხატვრული გემოვნებისა, რადგან, საერთოდ, დეკორაცია არაა მხატვრობა. მჯერა, რომ გამრეკელის მხატვრული ალლო ჟურნალში დაბეჭდილ თეატრალურ მაკეტებზე მალლა დგას და მისი მონაწილეობა ამ ჟურნალში შემთხვევითია. თეორიული გაგება ალ-

ხაზიშვილის წერილით ცხადდება: „მემარცხენე მხატვრობის პერსპექტივები“.

მხატვრობა არის ხელოვნება თვალის (ხედვის) და ემყარება ფერს. მხატვრის შეფასება შეუძლებელია ისე, თუ არ იცი როგორ ხმარობს ფერებს. ახლაზიშვილის წერილი-კი სულ თბილისის გარეთ დადის, განსაკუთრებით ჩერდება ფრანგ მხატვრებზე. თითქმის ყველა დასახელებულ მხატვარის და მიმართულებების შემოქმედებას თბილისი არ უნახავს. ახლაზიშვილი კი, თბილისს არ გასცილება, ამიტომ არის მისი წერილი „დაწიგნული“, მშრალი და უგულო. საკუთარ გაგებას არ იძლევა. სხვისი გაგების გადმოცემაში სტყუის და ყველა მოსაზრებები პასუხისმგებლობის გარეშე სდგას.

რაც უნახავს, იქაც უპასუხისმგებლობას იჩენს. მაგალითად, ახლაზიშვილი გამრეკელის შესახებ ამბობს: „რეჟისორ მარჯანიშვილთან ერთად, მან (გამრეკელმა) შექმნა თანამედროვე ქართული თეატრი“-ო და რედაქცია ამაში ეთანხმება. ეს არის დიდი თავხედური თქმა. ქართული თეატრი ამ აღმოჩენაზე „ცოტა“ უფრო ადრე არსებობდა და პერსონალ უფრო დიდხანს იარსებებს, ვიდრე ამ ჟურნალის „უკაცრავათ“ მემარცხენეები!

არ შევეხები ჟურნალში მოთავსებულ ბიბლიოგრაფიებს და რეცენზიებს, რადგან „მიუდგომელი — შეფასების“ მემარცხენეობა, მხოლოდ საზიზღარ ღვარძლიანობისა და ერთმანეთის უაზრო ქებას არ სცილდება.

ჩემი აზრით, ამისი მთავარი მიზეზი არის: ქართული ენის და ძველი ლიტერატურის უცოდინარობა. აგრეთვე, გაბედული და კეთილშობილური გზით დაობებულ ტრადიციის მოსაზრების უარყოფა.

ნამდვილი მემარცხენეობა, ქართულ ლიტერატურაში, ჯერ არ არსებობს. ამ საქმისათვის საჭიროა, თავდადებული, კულტურულად გამართული და ქართული სიცოცხლით ანთებული შემომქმედი.

ამრიგათ, ის ჯგუფი, რომელმაც სცადა მემარცხენეობის გეზით სვლა, — შემოქმედებაში დამარცხდა, მან ვერ შესძლო ვერც ახალი იდეოლოგიის შემოტანა ქართულ ლიტერატურაში და ვერც ენის რევოლუცია.

# დოკუმენტები



## ჩ ე მ ი ხ ხ მ ვ რ მ ბ ე

ვასრულებ თქვენს სურვილს და გაწვდით მოკლე ცნობებს ჩემი ცხოვრების შესახებ.

მე დავიბადე ქ. ტფილისში 1849 წელს და ათი წლის ხანამდე მე ცოტა რამ ღა დამრჩა მეხსიერებაში. 8 წლისამ შევისწავლე ჩემს დედა-ენაზე წერა-კითხვა დიდედისაგან და შემდეგ მიმცეს ერთ დედაკაცთან სასწავლებლად — მაშინ არ არსებობდა ეხლანდელის მსგავსი დაწყებითი სასწავლებლები და კერძო პირებს, ვინც იცოდა წერა-კითხვა ყველას უფლება ჰქონდა აეყვანა მოწაფეები. მასწავლიდა კითხვას, წერას და სხვადასხვა ლოცვებს. ხანდისხან საღამოობით შეგვეკრებოდა და გვიხატავდა საშინელ სურათებს ჯოჯოხეთისას ისე ცხადად, თითქოს თითონ ყოფილიყო იქ. ცოდვილები იხარშებოდნენ კუპრში. ადულებულ გოგირდში, შემდეგ დამდნარ სპილენძში და თუმცა იტანჯებოდნენ, მაგრამ არა კვდებოდნენ. ჩვენ ისე გვეშინოდა, რომ ტირილი მოგვდიოდა, მაგრამ თავს ვიკავებდით როგორც შეგვეძლო, რადგანაც გვეშინოდა გრძელი ჯოხისა, რომელიც მასწავლებელს ეჭირა და თავში ჩაგვიფახუნებდა ხოლმე. ესე გავატარე ორი წელიწადი. ამგვარად როცა შევისწავლე დედა ენაზე წერა-კითხვა და საჭირო ლოცვები, მაშინ გამგზავნეს ნავთლულში დეიდაჩემთან, სადაც მას სახლ-კარი, ბაღი და წისქვილი ჰქონდა. მან მოიწვია ერთი რუსის ოფიცერი, რომელსაც ჩემთვის უნდა ესწავლებინა რუსული ენა. რამდენიმე თვის განმავლობაში როგორც იყო შევისწავლე რუსული წერა და კითხვა, მაგრამ რუსულისა თითქმის ერთი სიტყვაც არ მესმოდა. 10 წლისა მიმცეს გიმნაზიაში,

სადაც მოსამზადებელ კლასში მიმიღეს. ვსწავლობდით დილის 8 საათიდან შუადღის 12 საათამდე. იქა ჰქონდათ ერთად ერთი სახელმძღვანელო, რომელსაც უწოდებდნენ „Друг детей“. მასწავლებელი თითონაც არ იყო დიდად განვითარებული და რუსულ ენაშიაც ძალიან სუსტი იყო, რაც მე მხოლოდ შემდეგ შევატყე, როცა გავათავე სასწავლებელი. ჩვენი სწავლა მდგომარეობდა „Друг детей“-ს კითხვაში. თუმცა ამ წიგნს ასეთი სახელი ერქვა, მაგრამ იგი არ იყო მეგობარი. იქა გვხვდებოდა ისეთი გამოთქმები, როგორც „РУКИ ДЛЯ — И ДЛЯ — И; НОГИ ДЛЯ — И ДЛЯ“ — ვკითხულობდით, ვსწავლობდით და არ გვესმოდა რასა ნიშნავდა არც თვით სიტყვები და არც დაწერილის მნიშვნელობა. ვსწავლობდით აგრეთვე რუსულ ლექსებს, მაგრამ ამათი გაგება ჩვენთვის უფრო რწელი იყო. გვასწავლიდნენ „Стрекоза и муравей“-ს მაგრამ მათ გაგებაზე ძნელი კიდევ მათი ზეპირად დახსოვნება იყო. ამის გარდა ამ „Стрекоза и муравей“-ს ჰქონდა ჩემთვის ტრალიკული მნიშვნელობა: ჩვენს კლასში ვიყავით ორნი, რომლებსთვისაც ძნელი იყო გამოთქმა ასო „რ“-ესი. ამიტომ მასწავლებელი, რომ შევეჩვივნეთ ამ ხმის გამოთქმას, დახატავდა ცარციით იატაკზე ორ კვადრატს. ჩვენ უნდა ჩავმდგარიყავით შიგ და გვაიძულებდა წაგვეკითხა ლექსი „Стрекоза и муравей“, რომელშიაც თითქმის ყოველი სიტყვა შეიცავდა ასო „რ“-ს. ძნელი იყო ჩემთვის ასო „რ“-ის გამოთქმა, მაგრამ ჩემს ამხანაგისთვის ეს უფრო ძნელი იყო, იგი „რ“-ს მაგივრად გამოსთქვამდა „ლ“-ს. რასაკვირველია, ჩვენ ამით ჩვენი ამხანაგების მასხარად ასაგდებ საგნად ვხდებოდით და დაგვცინოდნენ კიდევ, მაგრამ ჩვენი ცრემლების მიუხედავად მასწავლებელი მაინც შეუბრალებელი რჩებოდა. რუსულ წერა-კითხვის გარდა გვასწავლიდნენ არითმეტიკას. რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა ზეპირად შეგვესწავლა გამრავლების ტაბულა და გვევარჯიშნა აგრეთვე მიმატება-გამოკლება-გამრავლება-გაყოფაში. მასწავლებელი არითმეტიკაშიაც პოულობდა გასართობ მასალას; ჰკითხავდა რომელიმე შეგირდს: два მუტრუკი და

три (აქ იტყოდა ვისიმე გვარებს) რამდენი მუტრუკი იქნებაო? მოწაფე უპასუხებდა: ხუთი მუტრუკიო. ამგვარი პასუხი შეგირდებს შორის, რასაკვირველია, იწვევდა სიცილს; მაგრამ დასახელებულ მოწაფეებს ცრემლებით ეკსებოდათ თვალები. მაგრამ არითმეტიკის მასწავლებლის გართობას ხშირად უფრო ველური ხასიათი ჰქონდა, ასე მაგ. ამოიღებდა ჯიბის დანას და წვეტით კისერში სჩხვლევდა შეგირდებს. ვინც უძლებდა ამ ოპერაციას ის ყოჩაღად ითვლებოდა, ხოლო ვინც ვერა, იგი მშიშარის სახელს დაიმსახურებდა ხოლმე. ყველაზე დიდ გმირებად ჩემი სამი ლეკი ამხანაგი ითვლებოდა. ამის გარდა მასწავლებელს ჩვეულებად ჰქონდა: სახაზავით შეგირდებისათვის იდაყვებზე ეცემა და თან დაემღერა: „УЧИТЬ НАДА, УЧИТЬ НАДА“. საზოგადოდ ძალიან გავრცელებული იყო გიმნაზიაში ცემა-ტყეპა: ერთხელ მეორე კლასში მასწავლებელი მეკითხებოდა. თუ როგორ ამზადებენ ფარაონების მუმიას, მე მოვუყევი, რომ როცა ადამიანი მოკვდება, მას გაუჭრიან მუცელს, ამოუღებენ ნაწლავებს... და ამაზე შევჩერდი. კიდევ რასაო, მეკითხებოდა რუსი მასწავლებელი, მე რუსულად არ ვიცოდი შიგნეულობის სახელები და ვერას ვუპასუხებდი. ამის გამო მასწავლებელმა ისე მძლავრად გამარტყა მუშტი სახეში, რომ სისხლი თქრიანლით წამსკდა ცხვირიდან. მე დასისხლიანებული როგორც იყო მივედი სახლში და განვუცხადე მშობლებს, რომ სწავლას თავს ვანებებ; მაგრამ როგორც იყო დამაწყენარეს და დავიწყე გიმნაზიაში სიარული დასიებული ცხვირით.

გიმნაზიაში ჩემს დროს მიღებული იყო უმცროს შეგირდებისთვის აგრეთვე ფიზიკური დასჯა: „როზგი“ (წკეპლა). მესამე კლასის შეგირდებმა გავუგზავნეთ დეპუტაცია ინსპექტორს თხოვნით, რომ ჩვენ როგორც უკვე უფროსი შეგირდები განთავისუფლებული ვყოფილიყავით ამგვარ სასჯელისაგან. ინსპექტორმა უპასუხა დეპუტაციას: „если вас не сечь, то кого-же укажите сечь“. დეპუტაციამ ვერაფერი უპასუხა, დაბრუნდა და შეგვატყობინა მოლაპარაკების შედეგი.

უხეში მოპყრობა და დროს გატარება მარტო გიმნაზიის კედლებში არა სწარმოებდა.

გაზაფხულობით, გამოცდების წინ, უქმობდენ პირველ მაისობას. ეს უქმეები ყოველთვის თავდებოდა კრივით სემინარიელების, გიმნაზიელების და კომერციული სკოლის (რომელსაც უწოდებდენ აგრეთვე კამეჩების სკოლას, არ ვიცი იმიტომ რომ აქ იყვნენ თავმოყრილი უკვე მოსული ახალგაზრდა ყმაწვილები, თუ სიტყვის თანხმობის გამო: „кошерч (есский) — კამეჩი“). შეგირდების შორის მონაწილეობას იღებდნენ უფროსი შეგირდები. კრივი ჩვეულებრივ თავდებოდა იმით, რომ ყოველმხრივ იყვნენ ხოლმე დასახიჩრებულნი. ამ კრივში ყოველთვის იმარჯვებდნენ სემინარიელები, რადგანაც ისინი უფრო მონადირეები იყვნენ.

ამ დროს, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, ტფილისში ეტყობა პირველად დაიწყეს ლაპარაკი თვალსაჩინო მეთოდით სწავლებაზე. ჩვენ მასწავლებელსაც შეეეტყო, რომ არსებობს ამნაირი მეთოდი და იმანაც იხმარა იგი: დაავალა ყველა მოწაფეს ცალცალკე, რომ ვაშლი გაეჭრა 2, 3, 4, 5... 24 ნაწილამდე. ვისაც 2 ან 4 ნაწილად გაყოფა შეხვდა იმან კიდევ მოახერხა ეს დავალება, მაგრამ ვისაც 7-ზე გაყოფა და უფრო რთული ამოცანა შეხვდათ იმათ რასაკვირველია ძალიან გაუჭირდათ და ბევრმა ვერა მოახერხა-რა. ამ ვაშლების დაჭრილს ნაკუწებს დაურიგებდა შეგირდებს და ეკითხებოდა: ვინ რამდენი ან რა ნაწილი შესჭამაო — ეს იყო ამოცანა.

ესე მომზადებული, გამოცდების შემდეგ გადავდიოდით შემდეგ კლასში.

პირველ კლასში ყველაზე სასიამოვნო ჩემთვის ის იყო, რომ ყოველ საათის შემდეგ გვეცვლებოდა მასწავლებელი; მაგრამ აქაც საშინლად ნაკლებად ვსწავლობდით: ორი წლის განმავლობაში ჩვენ რუსული ენის მასწავლებელი თითქმის არა გვყავდა. მე მახსოვს I კლასში იყო ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ნიკიტინი ჭლექით ავადმყოფობის გამო ჩრდილო-რუსეთიდან ტფილისში გადმოგზავნილი თავის ჯანმრთელობის აღსადგენად, რომელიც ორი თვე გვასწავლიდა და შემდეგ გარდაიცვალა. მის ნაცვლად დაგვინიშნეს გას...ნრ, რომელიც იყო მდა-

ბალი მასწავლებელი სუფთა წერისა. — მასწავლებლები გაიყოფებოდნენ დაბალ და მაღალ რიგებისად; პირველები უფრო ნაკლებ პენსიას იღებდნენ. ეს მასწავლებელი უკვე პენსიას იმსახურებდა და ამიტომ დირექტორმა გადარიცხა იგი მაღალ მასწავლებელთა რიგში, — ამბობდენ რომ დირექტორი კაცთმოყვარეობით და სათნოებით არა ხელმძღვანელობდა ამ გადარიცხვის დროსაო. საზოგადოდ რუსულ ენას ჩვენთან არა ჰქონდა ბედი. თუ რამდენად იყვნენ ჩვენი რუსული ენის მასწავლებელნი მომზადებულნი ამასა მოწმობს შემდეგი ამბავი: მეორე კლასში რომ ვიყავი გვყავდა აგრეთვე ერთი დროებითი მასწავლებელი პაპ...ი. მოწაფეს დაეწერა კარნახის დროს სიტყვა „ВОЗМОЖНЫЙ“. ერთმა შეგირდმა უთხრა მასწავლებელს, რომ ამ სიტყვაში შეცდომა არისო, რადგანაც სიტყვა „ВОЗЬМЕМ“ — იწერება რბილი ნიშნითაო. მასწავლებელი დაეთანხმა და მის შემდეგ ამ სიტყვის დაწერა ყველასთვის სავალდებულო იყო რბილი „Ь“ ნიშნით. მესამე კლასში რუსულ ენას გვასწავლიდა ვასჩენკო, რომელიც საშინლად გვაწვალებდა და მოითხოვდა ჩვენგან, რომ ისე გამოგვეთქვა რუსული სიტყვები. როგორც თვით იგი გამოსთქვამდა გაჭიანურებით, და რომელიც ვერ მიბაძავდა მას, იგი ლანძღავდა: „АХ ТЫ ОСКА ДУХАНЩИК, ТЕБЕ ЗДЕСЬ МЕСТА НЕТЬ, СТУПАЙ ДЖОНДЖОЛИ ПРОДАВАТЬ“. ამ სიტყვით შეურაცხყოფისთვის მოწაფეებს ისე ეჯავრებოდათ ეს მასწავლებელი, რომ ერთხელ ერთმა მოწაფემ, ლეკმა. ცოტა გახდა არა სცემა კლასში. მოწაფეები მის გაკვეთილისთვის იპარავდნენ შეშას, მოჰქონდათ კლასში, ანთებდნენ ბუხარს, ბუხარს უდროვოდ ხურავდნენ და აჩენდნენ უგარს. მართალია თვით მოწაფეებშიაც რამდენიმე ავად ხდებოდა, მაგრამ მიზანსაც აღწევდნენ: ერთი დღით მაინც მასწავლებელსაც იშორებდნენ სასწავლებლიდან, რადგანაც მასაც ასტკივდებოდა ხოლმე თავი. რუსულის გარდა გვასწავლიდნენ ადგილობრივს ენებს: ქართულს, თათრულს და სომხურს: ქართული ენის მასწავლებელი იყო ერთი მოხუცებული კაცი ყორღანოვი, ლაზარევის ინსტიტუტის პირველ გამოშვების ერთ-ერთი მო-

წაფეთაგანი. თუმცა ქართული ენა სავალდებულოდ ითვლებოდა ყველა ეროვნებისათვის, მაგრამ ამ ენის შესწავლა შეუძლებელი იყო, რადგანაც მასწავლებელი მონუცებულობის გამო ხშირად არ დაიარებოდა კლასში და, როცა მოვიდოდა, მაშინაც მხოლოდ ან ძველ რვეულებს სინჯავდა, ან და ეცნობოდა შეგირდების გვარებს.

ამ პირობებში, რასაკვირველია, ქართული ენის შესწავლა შეუძლებელი იყო, რადგანაც მასწავლებელს გაკვეთილის ასახსნელად დრო აღარა რჩებოდა. ამის გამო ჩვენ არა თუ ახალს არაფერსა ვსწავლობდით. არამედ ისიც გვავიწყდებოდა რაც ვიცოდით. ამას უნდა დავუმატოთ, რომ იმ დროს თითქმის არ არსებობდა ლიტერატურა ქართულს ენაზე იმის გარდა, რომელიც იბეჭდებოდა რუსეთში — პეტერბურგში ან საზღვარ-გარედ და რაც მიუწვდომელი იყო შეგირდებისთვის. ისე რომ საქართველოს დედა-ქალაქში ახალგაზრდობას არა თუ არა ჰქონდა საშუალება დახელოვნებულიყო, არამედ სულ მთლად ავიწყდებოდა ენა. უფრო უარეს მდგომარეობაში იყო სომხური და თათრული ენები.

როცა ჩვენ მე-II კლასში ვიყავით გეოგრაფიას გვასწავლიდა ნიკ. ბესარიონის ძე ლოლობერიძე, რომელმაც შეიტანა სინათლის სხივი გიმნაზიის ცხოვრებაში და უფრო ჰუმანური მოპყრობა შეგირდებთან. თავის მეცადინეობის დროს მან გვიჩვენა პირველად გლობუსი და ალტაცებაში მოგვიყვანა იმ გარემოებამ, როცა გვაჩვენა გლობუსზე საქართველო დედა-ქალაქ ტფილისის წარწერით. მანვე გვაჩვენა აგრეთვე მოდელი დედამიწის მზის გარშემო ბრუნვისა და აგვიხსნა როგორც დღე და ღამის, აგრეთვე წლის დროთა წარმოშობა. ამან ძალიან დიდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე. მე იმ დღეს რომ მივედი სახლში, მაშინვე ვუამბე დედაჩემს და აუხსენი როგორც მე გავიგე. მე მეგონა იმათაც მოვიყვანდი ალტაცებაში, მაგრამ ამის მაგივრად დიდი საყვედური გავიგე: „საძაგელო, რას ყბედობ, არავის უთხრა, თორემ მოგხვდებოდა“. თუ ჩემმა მშობლებმა არ იცოდნენ ეს სამყაროს კანონები საპატიებელია; მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენის შესახებ ზოგ ჩვენ

მასწავლებლებთანაც არა ჰქონდათ წარმოდგენა. ერთმა სომხის მოწაფემ დასწერა თხზულება ამ მოვლენის შესახებ და მისცა მასწავლებელს. მასწავლებელმა დაუბრუნა ეს თხზულება ამ სიტყვებით: შე უვარგისო, დედა-მიწა რომ მართლა ესე ტრიანგლებდეს ტფილისი ერევანში წავიდოდა და ერევანი ტფილისში მოვიდოდაო. „Если-бы земля так вертелась (ხელებს იქნევდა იქით-აქეთ), то Тифлис пошел-бы на Эреван, Эреван — на Тифлис“.

თათრული ენის მასწავლებელი მოლა რახიმ უფრო მეტად იყო უმეცარი: მას არ შეეძლო საათით ესარგებლნა და შეეტყო დრო. ამიტომ მისი გაკვეთილები დანიშნული იყო ზარბაზნის გასროლის დროს შემდეგ შუადღისას. ქვაშვეთის ეკლესიის გვერდით სადაც ეხლა ალექსანდრეს ბაღი იმყოფება. ზემოდ იყო სასათლაო და ქვევით კი ნაგვის საყრელი ადგილი. ზემო ადგილს შუადღისას ისროდნენ ხოლმე ზარბაზანს. ეს მოლა რახიმი ამ დროისთვის ამ ადგილებში დადიოდა და როცა ზარბაზანს გაისროდნენ, გამოეშურებოდა ხოლმე გიმნაზიაში გაკვეთილის მისაცემად. ერთხელ კვირა დღეს 11 საათზე დანიშნული იყო წლიური აქტი. მოლა რახიმმა, რასაკვირველია, დაიგვიანა, რადგანაც ამ ზარბაზანს უცდიდა. როცა ზარბაზანი გაისროლეს შემოვიდა გიმნაზიაში აქტი უკვე გათავებული იყო, მოლამ მიმართა ერთ მასწავლებელს: „ЧТО МОЙ СЫН НАГРАД УЖЕ ПОЛУЧИЛ?“ მას უპასუხეს: „да ему дали глобус“. მოლა რახიმს ძალიან ეწყინა; არ იცოდა სიტყვა გლობუსი, ეგონა მეხუმრებიანო, და უპასუხა: „ТЫ САМ ГЛУПОСТЬ“-ი. ამგვარ მასწავლებელთა ხელში იყო კოპერნიკის კანონების სწავლება.

თათრული სავალდებულო არ იყო ქართველებისათვის, მაგრამ ჩვენ მაინც გვავალებდნენ ამ გაკვეთილებზე სიარულს. რამდენიმე თვის განმავლობაში სამი ასოს მეტი ვერ შევისწავლე. ალიქა, ბეი, სეი; როცა ამის მეტს ვერ ვუპასუხებდი მეტყობდა „ზახრუმალაო“ და საზოგადოდ, თუ ბავშვები ცელქობას დაიწყებდნენ, წაიძრობდა ხოლმე ქოშს და ესროდა მოწაფეებს თავში.

რა გასაკვირველია, რომ ამ პირობებში აღზრდილი მოწაფეები განუვითარებელი და ცრუმორწმუნენი იყვნენ. მე მახსოვს ერთი შემდეგი ეპიზოდი. ეს იყო გაზაფხულზე გამოცდების დროს, როდესაც მეორე კლასიდან მესამეში უნდა გადავსულიყავით. ერთი ჩემ ამხანაგთაგანი ჩაიჭრა გამოცდებზე და მიიღო ნიშანი 1 (ერთი). გამოვიდა კლასიდან ტირილით და იძახოდა: ღმერთმა დამსაჯა, ჩავიჭე-რიო. როდესაც ამხანაგებმა ვკითხეთ, თუ რისთვის უნდა დაესაჯა ღმერთსა, მან გვიამბო: გამოცდებზე მოვდიოდი, მინდოდა გზაზე ხატისთვის ეკლესიაში სანთელი დამენთო, მაგრამ ფული არა მქონდა. შეველ საყდარში, მნათეს ორი სანთელი მოვპარე და ისინი დავანთე, ეხლა ღმერთმა დამსაჯაო.

წინათ მოვიხსენიე, რომ რუსული ენის მასწავლებელი თითქმის არ გვყავდა. მესამიდან რომ მე-IV კლასში გადავდიოდით, მე-IV კლასის მასწავლებელმა გამოცდების დროს ჩასჭრა თითქმის მთელი კლასი; მაგრამ პედაგოგიური საბჭო არ დასთანხმდა მასწავლებელს და შეგირდები მაინც გადაიყვანეს მეოთხე კლასში. ვინაიდან ჩვენ არავითარი წარმოდგენა არა გვქონდა რუსულ გრამატიკაზე და არც სწორედა ვსწერდით. ამიტომ მასწავლებლისგან ყოველთვის გვესმოდა საყვედური, როცა ჩვენს დაწერილს რვეულებს დაგვიბრუნებდა ხოლმე: „ადამიანის ძალა არა კმარა რომ ეს შეცდომები გავასწოროვო“. ამგვარი გაბუტული მდგომარეობა მასწავლებელს და შეგირდების შორის გაგრძელდა რამდენიმე თვე. ერთხელ შემოვიდა კლასში მასწავლებელი დანიშნულ დროზე, შემოიტანა რვეულები, დასდო მაგიდაზე და მიმართა მოწაფე მატინოვს: თქვენ ყველანი უმეცარად სწერთ, არავინ თქვენგანმა არ იცის სასვენ ნიშნების ხმარება მაგრამ შენ, მატინოვ, გადააჭარბე ყოველივე მოლოდინს; თქვენ თვით სიტყვებში, სიტყვებს შუა გაქვთ მძიმეები. წერტილ-მძიმეები, წერტილები, რითი ხელმძღვანელობდით როცა ამგვარად სწერდი ნიშნებსაო. მატინოვმა უპასუხა: რადგანაც თქვენ თხოულობთ, რომ ჩვენ სწორედ თავთავის ადგილას ვწეროთ ნიშნები და ჩვენ კი გრამატიკა არ გვი-



სწავლია და არ ვიცით სასვენი ნიშნების წერის წესები, ამიტომ მე ვთხოვე ჩემს ამხანაგს აეკრა ხელსახოცით ჩემთვის თვალები დავზომე დაწერილი გოჯებით: ერთ გოჯს მოუწერე მძიმე, ორ გოჯს — წერტილ-მძიმე, სამს გოჯს — წერტილი. თუ ყურადღებას მიაქცევთ ამ ნიშნების განაწილებას, თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს წესი სისწორით არის დაცული.

მესამე კლასში რომ ვიყავი გიმნაზიის ცხოვრება თითქმის სრულებით გამოიცვალა. დიდი გავლენა იქონია ბესარიონ ლევანის ძე ლოლობერიძემ — ბიძაშვილმა ნიკოლოზისამ. ეს ორივე ლოლობერიძენი ახალი კურსდამთავრებულნი იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში ერთი მათემატიკური და მეორე ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე. მეტადრე დიდი ენერჯისა იყო ბესარიონი (მათემატიკი). ბესარიონის ამხანაგებისგან გამიგონია, რომ იმასა სტოვებდნენ უნივერსიტეტში პროფესორად მოსამზადებლად, მაგრამ იმან უარი ჰყო იმ მოსაზრებით, რომ რუსეთში იმგვარი პირები როგორც ის მოიპოვება ბევრი, საქართველოში კი ხალხისთვის შემოძლია მეტი სარგებლობით ვიმუშაო. მართლაც მან გაამართლა ეს სიტყვები. ტფილისში ის დანიშნული იყო როგორც მათემატიკის მასწავლებელი და თავის ბიძაშვილთან ერთად ნიკოლოზთან შეუდგა ნამდვილ სწავლის გავრცელებას. გიმნაზიის ბიბლიოთეკა მოიყვანეს მოძრაობაში და მოწაფეები უფროს კლასებისა (ჩვენ არ ვიცოდით: საკმაოდ რუსული ენა) სარგებლობდნენ წიგნებით. თუ რაიმე საჭირო წიგნი არ მოიპოვებოდა ბიბლიოთეკაში, ლოლობერიძე თავისი ფულით ყიდულობდა ხოლმე ამ წიგნებს და ურიგებდა მოწაფეებს.

შესწყდა ერთბაშად ფიზიკური დასჯა. თითონ შევირდებმაც ცოტცოტად დაივიწყეს ძველებური უხეში ხუმრობა.

ბესარიონ ლოლობერიძე იყო, როგორც მოგახსენეთ მათემატიკოსი, მაგრამ რადგანაც დიდი მოთხოვნილება იყო ბუნების მეტყველების მასწავლებლისა, ამიტომ იმანაც შეისწავლა ზოგიერთი ბუნებისმეტყველების საგნები

და გვასწავლიდა ზოოლოგიას, ადამიანის ფიზიოლოგიას და ანატომიას, რასაკვირველია ელემენტარულ კურსით. მოწაფეები იმდენად იყვნენ ამ დარგებში მომზადებულნი, რომ ზოგიერთა ჩვენთაგანი, რომელთაც არ მოესმინათ უნივერსიტეტში ეს ლექციები, შეეძლოთ გიმნაზიის მომზადებით ჩაებარებინათ ეს საგნები.

უფროს კლასებში იმდენად შევისწავლეთ რუსული ენა. რომ შეგვეძლო წაგვეკითხა პერიოდული ლიტერატურა. მაშინ ახალგაზრდობაზე ჰქონდა გავლენა რუს მწერალს პისარევს, რომელიც თავის თხზულებებში ეხებოდა არა მხოლოდ ისტორიის, არამედ ბიოლოგიურ საკითხებსაც. მე მახსოვს ერთი მისი წერილი შესახებ „*génération spontanée*“. მაშინ ატყდა პუშეს და პასტერის შუა პოლემიკა. პუშე ამტკიცებდა, რომ ბუნებაში არსებობდა ეს მოვლენა, მხოლოდ პასტერმა თავისი გენიალურ ცდებით დაამტკიცა რომ პუშე სცდებოდა. რასაკვირველია მაშინდელ ახალგაზრდობას უფრო მოსწონდა „თავისით ჩასახვის“ მოვლენები და მაშასადამე პუშე და პისარევიცა.

უფროს კლასებში ვცდილობდით, რომ შევესულიყავით უნივერსიტეტში ასე თუ ისე უკეთ მომზადებულნი. მაგრამ ჩვენი სურვილისათვის ძნელი იყო მიგვეღწია, რადგანაც მასწავლებელთა შორის, ღოღობერიძეს და პოლონელ ზაგურსკის გარდა თითქმის არავინ იყო, რომ შესძლებოდა შესაფერი ხელმძღვანელობის გაწევა. ზოგ ჩვენთაგანს ძალიან უნდოდა ფიზიკის შესწავლა, მაგრამ სამწუხაროდ ხელმძღვანელი არ გვყავდა. თუმცა ფიზიკის მასწავლებელი ნიჭიერი კაცი იყო და შეეძლო შესაფერი ცოდნის მოცემა, მაგრამ იგი იმდენად ზარმაცი იყო, რომ არ იწუხებდა თავს დაეყენებინა და ეჩვენებინა რაიმე ცდები. როცა ჩვენ მივმართეთ მას, რომ გაღვანიზმისა არაფერი გაგვეგება და აგვიხსენით რამეო, იმან გვიპასუხა: „*захотели вы еще китайскую грамоту понять*“, გაღვანიზმი, ელექტრობა და მაგნეტიზმთან ერთად იქნება მოთავსებული ორ ბილეთში და ჩაჭრილები ნაკლები იქნებითო.

ჩვენ გიმნაზიას როგორღაც ბედი არა სწყალობდა: კარგი მასწავლებლები დიდხანს არა რჩებოდნენ სასწავლებელში. მე რომ მე-7 კლასში ვიყავი, დირექტორად იყო დანიშნული ჟელიხოვსკი; მას გაეთავებინა მოსკოვის უნივერსიტეტი და დანიშნული იყო ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლად. მაგრამ ის იყო ნამდვილი კარიერისტი: არ იყო კმაყოფილი მასწავლებლის თანამდებობით და უნდოდა რაც შეიძლება მოკლე ხანში მიეღწია თავის მიზნისთვის. ადმინისტრატიულ თანამდებობისთვის. მის კარიერას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მან ცოლად შეირთო ახალგაზრდა ქვრივი გენერალ იახონტოვისა, და ცნობილ სპირიტ — ბლავაცკისა, და ძლიერ ადვილად და ადრე მისცეს მას ტფილისში გიმნაზიის დირექტორის თანამდებობა.

როცა ჟელიხოვსკი დანიშნეს გიმნაზიაში მან წაგვიკითხა თავისი გეგმა რომლიდანაც სჩანდა, რომ მასა სურს მოახდინოს გიმნაზიაში რეფორმა. ამ დროს რუსულ ენის მასწავლებლად გიმნაზიაში იყო უკრაინელი ლავრენკო, რომელიც გადმოყვანილი იყო კიევის მაზრიდან, რადგანაც მას აბრალებდნენ უკრაინულ მოძრაობაში მონაწილეობას. მე ნამდვილად არ ვიცი, ის მგონი კიევის უნივერსიტეტში დოცენტად იყო. ლავრენკო იყო მშვენივრად განვითარებული, მცოდნე და ჭკვიანი მასწავლებელი, კარგად გაცნობილი როგორც თავის დარგში ლიტერატურას, აგრეთვე ზოგიერთ ბიოლოგიურ მეცნიერების დარგებს. ხასიათად იგი იყო წყნარი, დინჯი და მოწაფეებს ეპყრობოდა მეტად ლმობიერად. მოწაფეებმაც იგი ძალიან შეიყვარეს და მასაც დიდი გავლენა ჰქონდა მოწაფეებზე. ერთხელ ლავრენკოს გაკვეთილის დროს, კლასში შემოვიდა დირექტორი ჟელიხოვსკი. მოწაფე კითხულობდა დერჟავინის ერთ-ერთ ოდას და განმარტავდა სიტყვების მნიშვნელობას. მასწავლებელმა მოუწონა პასუხი მოწაფეს, მაგრამ ამ დროს ჩაერია დირექტორი და უხეშად შენიშნა, რომ ეს ახსნა არ არის მართალი. მაშინ ლავრენკომ უთხრა: „თუ ჩემი სწავლება არ გაკმაყოფილებთ, შეგიძლიანთ გაკვეთილების შემდეგ მომცეთ შენიშვნა და არა კლასში, რად-

განაც ეს უკარგავს მასწავლებელს ავტორიტეტს მოწაფე-ების თვალშიო“, დასტოვა ჟურნალი და გავიდა კლასიდან. დირექტორი მიჰყვა მას უკან და უყვიროდა: ნუ გავიწყდებათ, თქვენ ამერიკაში არ იმყოფებით, თქვენ პასუხს აგებთ ამ თქვენ მოქმედებისთვისაო. მასწავლებელი ლავრენკო იმ დღესვე იყო დათხოვნილი გიმნაზიიდან. ეს ამბავი რომ გავრცელდა, მთელი გიმნაზია მესამე კლასებიდან მოყოლებული საშინლად იყო აღელვებული, რადგანაც ლავრენკო ყველას საყვარელ მასწავლებლად ითვლებოდა. მეორე დღეს ჟელიხოვსკი შემოვიდა მეშვიდე კლასში და გამოუცხადა მოწაფეებს, რომ ვინაიდან მასწავლებელი არ არის, დროებით მე გავწევ მაგიერობასო. თქვენ არა გაქვთ ზოგადი განათლება, უნდა შეისწავლოთ ლიტერატურაო და დღეს დავიწყებთ შილერის „ყაჩაღების“ გარჩევას და შემდეგ შეიძლება სცენაზედაც დავდგათო. ამ დროს შემოეხვივნენ მოწაფეები და შეურაცხყოფა მიაყენეს. ამის შემდეგ ჟელიხოვსკი დირექტორობისაგან გაანთავისუფლეს და მისცეს უმაღლესი თანამდებობა ოლქის მზრუნველის თანაშემწისა.

კაცმა, რომელსაც უნდოდა მოკლე ხანში ადმინისტრატორული კარიერა შეექმნა, ამის მაგივრად დალუბა თავისი თავი. როცა მე უკანასკნელ კლასში ვიყავი, ჟელიხოვსკიმ გამომრიცხა სასწავლებლიდან უმიზეზოდ; ერთხელ რადგანაც გაკვეთილები არა გვქონდა ვაპირებდი სახლში წასვლას. იმ დროს, როცა კლასის კარი გავაღე გასასვლელად, დირექტორმა მკითხა სად მიდიხარო. მე როცა უთხარი, რომ გაკვეთილები არა მაქვს და სახლში ვაპირებ ამიტომ წასვლას მეთქი; იგი გამიჯავრდა და მითხრა: თქვენ წახვალთ სახლში, მაგრამ გიმნაზიაში აღარ მოხვალთ, რადგანაც გამორიცხული იქნებითო. გიმნაზიის საბჭომ მიაქცია ყურადღება ამ უსამართლობას და გადასწყვიტა ჩემი დატოვება.

მე უკვე გათავებული მქონდა გიმნაზია, მეორე კურსის სტუდენტად ვითვლებოდი, როდესაც დროებით ჩამოვედი რუსეთიდან ტფილისში. ერთხელ ვიჯექი ალექსანდრეს ბაღში, ეხლანდელ დიდების ტაძრის ცოტა ქვევით.

მოვიდა ჩემთან ერთი დაგლეჯილი, გორკის ტიპის პიროვნება, მომიჯდა გვერდით და მითხრა: „забудем старое, нет-ли у Вас рублика голубчик?“ მე გადავეცი რაც ფული მქონდა და ცრემლები მომივიდა თვალებში. ეს იყო დირექტორი ჟელიხოვსკი. არ მეგონა თუ. კაცი ასე დაბლა დაეცემოდა ასეთ მოკლე დროს განმავლობაში.

არა ყველა მასწავლებელსა ჰქონდა უარყოფითი თვისებები. ჰუმანურად ექცეოდნენ მოწაფეებს როგორც ნიკოლოზ და ბესარიონ ლოლობერიძეები, აგრეთვე პოლონელი ზაგურსკი, ლავრენკო, ნადეჟდინი და კიდევ ერთი მასწავლებელი. იმათ შეგვასწავლეს წიგნის კითხვა და მიგვაჩვიეს თვითგანვითარებას. მაშინ არ არსებობდა პერიოდული ლიტერატურა, გარდა „ცისკარისა“. ამ პატარა ჟურნალს ძალიან ცოტა ხელის მომწერი ჰყავდა, რომელსაც თვით რედაქტორი კერესელიძე ავრცელებდა და იძენდა ხელის მომწრლებს.

მე თვალწინ მიდგა Redingote-ში გამოწყობილი გამხდარი, შავი თვალწარბა, მაღალი ტანის ადამიანი მოყვითალო ფერის სახით, რომელზედაც გაჭირვებას თავისი კვალი დაეჩნია. მისი ჟურნალი ერთად ერთი ორგანო იყო, სადაც ქართული ლიტერატურა თავშესაფარსა ჰპოვებდა. აქ ათავსებდნენ თავიანთ პირველ დაწერილს ლექსებს ჩვენი გამოჩენილი მწერლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები. ამ საქმისთვის თავდადებულ ადამიანის სამსახური არ შეიძლება საკმაოდ დაფასდეს, არ შეიძლება აღუნიშვნელად, უყურადღებოდ იქნას მიტოვებული, მისი უანგარო ღვაწლი სამშობლო ლიტერატურისათვის. ის არაფრად იმჩნევდა იმ დამკვირებას, რომელიც მას წილად ხვდებოდა მაშინდელ წარჩინებულ ქართველ პირთაგან, რომლებსაც ის თხოვნით მიმართავდა ხოლმე ჟურნალის გამოეწერათ. იმ დროს ისევე როგორც ქართული ლიტერატურა, არ იყო გავრცელებული და განვითარებული ქართული ბეჭდვითი საქმეც. არსებობდა მხოლოდ ერთად ერთი სამხედრო სტამბა, რომელსაც ჰქონდა ქართული ასოები. როდესაც ახალგაზდათა ჯგუფმა მოისურვა ახა-

ლი ყოველკვირეული გაზეთის „დროების“ გამოცემა, მაშინ ამ ახალ ლიტერატორთა წრემ შეიძინა სტამბა და შესცვალა აგრეთვე შრიფტი. ამ სტამბაში გარდა „დროებისა“ იბეჭდებოდა სხვა და სხვა პატარა წიგნაკები და აგრეთვე განცხადებანი. თუ რაოდენად სუსტი იყო მაშინდელ ფართო საზოგადოების წარმოდგენა სტამბის შესახებ, ამის და სახასიათებლად არ შემიძლია არ მოვიგონო ერთი პატარა კომიკური ეპიზოდი, რომლის მოწამეც მე ვიყავი.

ერთხელ შემთხვევით სტამბაში შევიარე და იქ უნებურად გავხდი მოწამე შემდეგი სცენისა: ვილაც იმერეთიდან ჩამოსული ვაჭარი, რომელსაც უნდოდა გაელო გასტრონომიული მალაზია, სთხოვა სტამბის გამგეს, რომ დაებეჭდათ მისი განცხადება. მათ შორის სწარმოებდა შემდეგი ბაასი: „დამიბეჭდე ეს განცხადება. განცხადების ზემოთ დამიხატეთ გოლოვინის პროსპექტი. პროსპექტზე ჩემი მალაზია, მალაზიის წინ იდგეს ჩემი ნოქარი, რომელიც სთხოვდეს მოსეირნე ხალხს: შემობრძანდით მალაზიაში. მეორე ნოქარი ახვევდეს და აძლევდეს მყიდველს ბოთლს შამპანიურით და ეუბნებოდეს: მიირთვი შენი ჭირიმეო“. სტამბის გამგემ აუხსნა, რომ ეს დაწესებულება სტამბა არის და სტამბას არ შეუძლია შეასრულოს ამ გვარი მოთხოვნილებაო. — „მაშ იქნებ თქვენ გაქვთ სხვა რაიმე სურათი?“ — „ჩვენა გვაქვს ერთი სურათი ანგელოზისა, რომელსაც ხელში ყურძნის მტევანი უჭირავს“-ო, უპასუხა გამგემ.

— „მაშ კარგი, გამოართვი ხელიდან ყურძნის მტევანი და ამის მაგივრად ხელში მიეცი რიუმკა და მუშტარს ეუბნებოდეს: მიირთვი შენი ჭირიმეო“.

გამგემ უარი უთხრა და ურჩია: მიმართე ლიტოგრაფიას, იქნება იქ შეგისრულონ შენი თხოვნაო.

ამ მოკლე ხანში ისე გამოიცვალა პირობები, რომ არა თუ ის პირები, რომლებიც გასტრონომიულ მალაზიების გაღებას აპირებენ, არამედ ყველა სოფლელმა თუ არა, ქალაქის ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებლებმა მაინც უკვე იციან თუ რას ემსახურება და აკეთებს სტამბა.

ბეჭვდის საქმემ საქართველოში მოკლე ხანში სასწაულები მოახდინა. სხვა და სხვა გამოცემანი და წიგნების რიცხვი ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ისეთს კონტრასტს წარმოადგენენ წინანდელთან შედარებით, რომ ჩვენ საზოგადოებრივ არც ერთ სხვა დარგში არ მომხდარა ასეთი წინმსვლელობა. ბეჭვდითი საქმემ შექმნა აუდიტორიები, რომლებშიაც თავმოყრილია ასიათასობით მსმენელები, გამოიწვია აზროვნების საჭიროება და გონებრივი ცხვრება და დღეს უკვე ვერავითარ ძალით ვალარ შეიძლება დავაბრუნოთ ის მიძინებული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა ჩვენი საზოგადოება ამ მოკლე ხნის წინათ.

დროების რედაქტორი იყო სერგეი მესხი, რომელმაც გაათავა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. მისი სპეციალობა იყო ზოოლოგია (თევზები) მაგრამ მას დრო არა ჰქონდა მისცემოდა თავის სპეციალობას, ისე იყო დატვირთული გაზეთით. გაზეთის მთელი შრომა მას აწვა კისერზე. ის იყო არა მარტო რედაქტორი, არამედ მისი ვალდებულობა იყო შეეცნო ნომერი სხვა და სხვა წერილებით, გაეწია კორექტორობა, გამოეშვა ნომერი. ამის გარდა ის იძულებული იყო დაემზადებინა ბანდეროლები, დაეწერა მისამართები, დაეკრა მარკა და წაელო ფოსტაში. მას არა ჰყავდა დამხმარე რადგანაც მისი ხელის მომწერთა რიცხვი არ აღემატებოდა 120 და ამით ვერავის ვერ დაიჭირავებდა. მას უნდა ემზადებინა მასალა ერთ ნუმერ ნახევრისათვის, რადგანაც ცენზორი ძლიერ სასტიკად ექცეოდა ნაწერებს და ბევრსა შლიდა. ცენზორი ისე სასტიკად ექცეოდა წერილებს, რომ მაგალითად სიტყვა „მტერი“-ს წერა მის უნებართვოდ არ შეიძლებოდა. წერილში სადაც ის ამ სიტყვას მონახავდა წაშლიდა და მის ნაცვლად „ლექსა“ სწერდა. ამ პირობებში გაზეთების და ჟურნალების გამოცემა თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენ, ქართველებს ნაკლებ გვქონდა საშუალება გათვითცნობიერებისათვის, ვიდრე რუსებს, რადგანაც ჩვენ რუსული არ ვიცოდით ისე ღრმად, რომ წაგვეკითხა თავისუფლად პუშკინი ტურგენევი, გონჩაროვი, ტოლტოი და სხვა რუსი კლასიკები.

ეს იყო დრო, როცა ყველამ იგრძნო, რომ არსებულ პირობებში დარჩენა აღარ შეიძლებოდა. რუსეთი იყო დამარცხებული ყირიმის ომში და რძ წლებში ყველა გრძნობდა, რომ უნდა გამოიცვალოს ხალხთა ცხოვრების მიმართულება. ამ გვარ მიმართულებით იყვნენ ჩვენი მაშინდელი რუსეთში მოსწავლე ახალგაზდობა გატაცებულნი და სამშობლოში დაბრუნებისას ისინი სციდილობდნენ გაეცრცელებინათ ეს ახალი აზროვნება და მიმართულება ჩვენშიც. ასეთები იყვნენ ახლად ჩამოსულნი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ლობჯინაძე, ნ. ნიკოლაძე და სხვანი, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ მაშინდელ საზოგადოებაზე. მეტადრე მათ მიერ დაარსებულ ორგანოთი: „მოამბე“-თი.

ამ დიდების გავლენის ქვეშ ჩვენ ახალგაზდა მოსწავლენიც ვოცნებობდით მოგვემზადებინა ჩვენი თავი მომავალ საზოგადო მოღვაწეობისათვის.

ამ გვარად მომზადებულნი საგნებში ნაკლებად, მაინც დიდი გეგმებით ვაპირებდით უნივერსიტეტში შესვლას.

სანამ ჩემი გიმნაზიის ცხოვრების აღწერას დავათავებდე, მე მინდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი და ზოგიერთა ჩემი ამხანაგებთაგანი, რომლებმაც ჩემ დროს გაათავეს გიმნაზია და შემდეგში თვალსაჩინო ადგილები ეკავათ საზოგადო ცხოვრებაში: ცაგარელი. პროფ. ლამბაროვი, ტფილისის ქალაქის თავი იზმაილოვი, ფინანსთა მინისტრი ვიტტე, ექიმ ლუნკევიჩი, პროფ. გისტოლოგი ლავდოვსკი. გეოლოგი პროფ. სიმონოვიჩი და ალ. ყაზბეგი.

გიმნაზიის მეორე თუ მესამე კლასში ვიქნებოდით როცა ტფილისში მოხდა აჯანყება, ერთგვარი *prorevolutia*. მიზეზი, როგორც ამბობდნენ მაშინ და შემდეგშიაც მდგომარეობდა შემდეგში: ტფილისის ძველ მოქალაქე-პატრიციებს ეჭირათ ერთგვარი ძალა-უფლება ხელში. მთავრობა მათშორის ირჩევდა ერთ-ერთ მოქალაქეს ქალაქის თავად. გარკვეული რამ კანონები არჩევნების შესახებ არ არსებობდა. იმ დროს ქალაქის თავად იყო დანიშნული ერთი სპარსეთიდან ჩამოსული სომეხი, ვინმე შერმაზანოვი, მოხერხებული ადამიანი, რომელმაც მოიგო მთავრობის გუ-



ლი. რასაკვირველია ეს არ იამათ ძველ მოქალაქეებს და უკმაყოფილონი დარჩნენ ამ დანიშვნით. უკმაყოფილო მოქალაქენი ავრცელებდნენ ქალაქში ხმებს, ვითომც მთავრობასა სურდა გადასახადების გაწერა ფანჯრებზე, აივნებზე, წყალზე, ეზოზე და სხვ. ვითომც ეს კანონი უკვე მიღებული ყოფილიყო და ქალაქის თავსაც და ამქრების უსტაბაშებსაც თავისი თანხმობა განეცხადებინათ. ერთს კვირა დღეს შეიკრიფა ხალხი ქალაქის თვითმართველობის შენობის წინა მდებარე ერევნის მოედანზე და მოითხოვდნენ ქალაქის თავს და ამქრების უსტაბაშებს, რომ მათ აეხსნათ. თუ რა საბუთით დასთანხმდნენ ისინი ამ გადასახადებს. პოლიციის უფროსი გამოვიდა შეგროვილ ხალხთან და განუცხადა მათ, რომ აღნიშნული პირნი იქ არ იმყოფებოდნენ და სთხოვდა დაშლილიყვნენ. ხალხი არა წყნარდებოდა. ამ დროს ეტლით მოვიდა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც მაშინ მეფის ნაცვლის მოადგილედ იყო და ხალხმა მას მიმართა თავისი ჩივილით; ორბელიანი არწმუნებდა ხალხს, რომ გავრცელებულ ხმებს არავითარი საბუთი არა ჰქონდა და მოითხოვდა ხალხისაგან სახლში წასვლას. ხალხი არ ემორჩილებოდა. მაშინ ორბელიანმა დაუწყაო მათ ლანძღვა. ხალხმა უკმაყოფილება განუცხადა და უსაყვედურა: შენც გვიღალატეო. ორბელიანი იძულებული იყო მოებრუნებინა ეტლი და წასულიყო სახლში. ამ დროს ვიღამაც დაინახა ერთი უსტამბაშთაგანი და ხალხი დაედევნა მას დასაჭერად. მაგრამ ის გაუსხლტა ხელიდან, შევარდა ბაზრის ერთ-ერთ ეზოში და იქიდან ჩახტა იმ არხში, რომელსაც მიაქვს სახლების უსუფთაობა მტკვარში. რადგანაც არავისა ჰქონდა სურვილი მიჰყოლოდა მას იმ სიბინძურეში. ამგვარად გადირჩინა მან თავი. ეს იყო სადილის შემდეგი დრო. ხალხი ჩვეულებრივად ცოტა შეხურებული იყო.

ძველად ტფილისში, სადილის შემდეგ, ჩვეულებრივ მართავდნენ ხოლმე კრივს. ეხლა მართალია ისე ხშირად აღარ იცოდნენ კრივი, მაგრამ კვირაობით მაინც იყო ხოლმე ეს დროს გატარება. ამ დღეს ხალხი იმის ნაცვალად რომ ეხლანდელ არსენალის გორაკზე მოგროვილიყვნენ,

შეიკრიფნენ ერევნის მოედანზე. ხალხი თანდათან მატულობდა და უფრო ენერგიულად თხოულობდა, რომ შეეშვათ ისინი პოლიციის სადგომში, რადგანაც ჰგულობდნენ, რომ იქ იმალებოდნენ როგორც ქალაქის თავი, აგრეთვე უსტაბაშები. რადგანაც პოლიციის უფროსი უარს ეუბნებოდა შეშვებაზე, ხალხმა ძალა იხმარა და მივარდა კარებს შესანგრევად. ამ დროს ერთმა დაიყვირა: რათ ვანგრევთ ამ ქალაქის სახლს, მივიდეთ და დავანგრიოთ ქალაქის თავის საკუთარი სახლიო. ხალხი გაექანა ქალაქის თავის სახლისაკენ, რომელიც მდებარეობდა ლერმონტოვის ქუჩაზე № 6. ბენიამინის ქუჩის კუთხეში — დღეს ეს სახლი უცვლელი დგას. საბედნიეროთ შიგ არავინ იყო. — სახლს დაუწყეს ხგრევა. გამოჰქონდათ იქიდან ძვირფასი ხალიჩები, სჭრიდნენ ხანჯლით და ჰყრიდნენ ქუჩაში, გამოჰქონდათ ქილით ძურაბები და ანარცხებდნენ ქუჩაში. ბროლის ჭურჭლეულობა სულ შთლად დალეწეს ქვებზე. გადმოაგდეს და დალეწეს აგრეთვე როიალი. წიგნებს ხევდნენ და ფურცლებს აბნევდნენ ქუჩებში ამ სიტყვებით: ეტყობა ამ წიგნებიდან ამოუკითხნია, თუ ხალხი როგორ უნდა დატანჯოს.

ქალაქის თავი, რომ ვერ იპოვნა ხალხმა თავის სახლში, გაეძარტნენ გუბერნატორის სახლისაკენ. როცა იქაც ვერავინ ნახეს, ხალხი წავიდა ხარჯთ-ამკრეფთან. გზაზე ხალხი უფრო მეტად აღელდა, რადგანაც იმ ადგილს, სადაც შემდეგში ვორონცოვის ძეგლი იდგა. მეფის ნაცვლის მცველ ყაზახთაგანმა დამბაჩის სროლა დაიწყო და მოჰკლა ერთი გერმანელი პროვიზორი აფთიაქში და დასჭრა რამდენიმე პირი. ხალხმა რომ სისხლი დაინახა, უფრო მეტად გაბრაზდა და როცა მიაღწია იმ სახლს სადაც ხარჯთ ამკრეფი სცხოვრობდა ეხლანდელ კომერციულ სასწავლებლის ახლო, შევარდნენ სახლში, დაიწყეს ყველაფრის ხგრევა და თვით ხარჯთ ამკრეფი გადმოაგდეს მეორე სართულიდან მიწაზე. ის ცოცხალი გადარჩა, მაგრამ თავი მოიმკვდარუნა და ხალხმა თავი მიანება. ამ დროს იმასთან მივიდა ვილაც, ყოფილი და შემდეგ გამოგდებული იუნკერი, რომელმაც დაუნახა მას თითზე ოქროს ბეჭედი დიდი

ძვირფასი ქვებით და მოუნდომა თითიდან წაძრობა. ხარჯთამკრეფმა უნებურად ხელი მოკუმშა. იუნკერმა დაიწყო ყვირილი: „ცოცხალია, ცოცხალიაო“; ამ ძახილზე ერთმა ხალხთაგანმა წამოავლო დიდს ქვას ხელი, დასთხლიშა თავში და გაუჭყლიტა თავი. ბინდისას ხალხი თანდათან დაწყნარდა და წავიდ-წამოვიდა სახლებში.

ამ დროს ტფილისში ჯარი სრულებით არ იყო მეორე დღეს გამოიწერეს საბანაკო ადგილებიდან ჯარი. და დაიწყო ქალაქის განთავისუფლება მცხოვრებთაგან. ვისაც გარე უბნებიდან შემოსვლა უნდოდა ტფილისის გულში, მათ არ უშვებდნენ, ხოლო ვინც ტფილისის გულიდან გარე უბნებში მიდიოდა, მათ წინააღმდეგობას არ უწყევდნენ. ამ გვარად ქალაქის გარედ დარჩენილი ხალხი შეიკრიბა იმ სასაფლაოზე, რომელიც ეხლა არსენალის გორაკზედ იმყოფება და აქ გაატარა სამი დღე. აქ იყო წარმოთქმული სხვა და სხვა სიტყვები.

არ ვიცი რათა, ხოლო მეც მაინტერესებდა ეს მდგომარეობა და ერთ ჩემ ამხანაგთან ერთად მოვახერხე გასვლა იმ გორაკზე. მაგონდება ერთი ახალგაზდა მოქალაქე ხელოსნის სიტყვა, რომელიც ამბობდა, რომ ჩვენ არ უნდა დავთანხმდეთ იმ დიდ გადასახადების მოთხვნილებებზეო. აი როგორც ჩვენა ვდგევართ აქ სასაფლაოზე და უგზავნით საყვედურს ჩვენ მამა პაპას, რომ ისინი დასთანხმდნენ რუსის ჯარის აქ შემოყვანას და ამ გვარად ჩვენს დაჩაგვრას, ისე ჩვენი შვილები საყვედურს გვეტყვიან ჩვენ ამავე სასაფლაოზე, თუ ჩვენ დავსთანხმდებით მთავრობის მოთხოვნილებებზეო.

მოხუცები ამბობდნენ სულ საწინააღმდეგო შინაარსის სიტყვებს: რუსთა მეფე ძლიერია, ჩვენ მათ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გავუწევთ, სჯობია დავუთმოთ და შევრიგდეთო. ხალხმა დაჰყო იქ სამი დღე. სიმშობილი მათ არ აწუხებდა. რადგან იმ უბნის სახლის დედაკაცები აცხობდნენ პურს და ურიგებდნენ ხალხს მუქთად. მოხდა მცირე შეტაკება ხალხსა და ჯარის შორის. ჯარი იდგა მეტეხის ციხის კალთებზე და ხალხი გადმოსცქეროდა მალლობიდან. ამ შეტაკების დროს იყო მოკლული და დაჭრი-

ლი რამდენიმე ათეული კაცი. სამი დღის განმავლობაში დუქნები მთელს ქალაქში დაკეტილი იყო, ისე რომ ქალაქში არც პურის და არც სხვა რისამე ყიდვა არ შეიძლებოდა. სამი დღის შემდეგ ნიკო ჭავჭავაძემ, რომელიც დროებით გუბერნატორის მოვალეობას ასრულებდა, დაიწყო მოლაპარაკება ხალხთან. ხალხი დასთანხმდა დუქნების გაღებას იმ პირობით, რომ არავინ იქნებოდა შეპყრობილი. მიცემული სიტყვა არ იყო მთლად შესრულებული, რამდენიმე პირი მაინც დაიჭირეს და გადაასახლეს რუსეთში თუ ციმბირში.

როგორც გავიგე შემდეგში ალექსანდრე II-ს ტფილისში ჩამოსვლის დროს, როცა მეფეს ამქრები წარუდგნენ, მათ დაიწყეს ბაირალების ძირს დაშვება. იმპერატორის კითხვაზე თუ რის ნიშანი უნდა ყოფილიყო, მისთვის უპასუხნიათ, რომ ეს ხალხის რამე თხოვნასა ნიშნავსო. როცა მეფე გამოსულა მათთან თხოვნის მოსასმენად, ამქარს უთხოვნია, რომ განთავისუფლებულნი ყოფილიყვნენ ის პირები, რომელნიც დაისაჯნენ აჯანყების დროს, გარდა იმ იუნკერისა, რომელმაც მოაკვლევინა ხარჯთამკრეფი. ასე გათავდა ტფილისის *prorevolutia*.

ყაზბეგის შესახებ მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს იგი ერთი-ორი სიტყვით მოვიხსენიო.

ალ. ყაზბეგი გიმნაზიაში ყოფნის დორს საშინელი ზარმაცი იყო და დედ-მამისაგან განებივრებული იგი არაფერს აკეთებდა. მიაღწია მეოთხე კლასამდე და გაემგზავრა მოსკოვში. ერთხელ როცა მოსკოვიდან ჩამოვიდა ის ვნახე სერგეი მესხთან. მოეტანა სქელი რვეული — თავისი ნაწარმოები, ესაუბრებოდა თავის ნაწერების შინაარსის შესახებ, კამათობდა შემდეგ დაუტოვა მესხს. როცა ის წავიდა მე მივმართე სერგეი მესხს: „საქმე არა გაქვს მეთქი, რომ დაჰპირდი ამის გადახედვას და წაკითხვას? რა შეუძლია მაგას დასწეროს, რომ ყურადღების ღირსი იყვეს.“ სერგიმ მითხრა, რომ მე ვცდებოდი, რომ ყაზბეგის ნაწერებს უეჭველად აქვს მნიშვნელობაო. ეს ლაპარაკი სერგი მესხთან მომაგონდა ერთს მგზავრობაში: მოვდიოდი გემით ოდესიდან ბათუმში. ღრმა შემოდგომა

იყო. მგზავრები ძლიერ ნაკლებად იყვნენ. ფეოდოსიიდან რომ გამოვემგზავრეთ, გემზე დარჩა ხუთიოდე კაცი, მათგან ერთი ოჯახი შესდგებოდა სამი კაცისაგან. ერთი ახალგაზდა ქალი ფრანგის აქცენტით ლაპარაკობდა რუსულად. როცა მივუახლოვდით სოხუმს ამ ახალგაზდა ქალმა მითხრა: „აი აქედან უნდა სჩანდეს იალბუზი, უდიდესი მთა კავკასიის მთების შორის. მეორე უდიდესი მთა არის ყაზბეგი (მყინვარი). ამ მთის სახელი აქვს ერთს ქართველ გამოჩენილს მწერალსაო.

მე მომაგონდა მაშინ სერგი მესხის სიტყვები და როცა ჩამოველი ტფილისში, შევიძინე მისი ელგუჯა და სიამოვნებით წავიკითხე იგი მთის ბუნების, იქაურ ცხოვრების და ზნე ჩვეულების აღწერა მე შემიძლია შევადარო გამოჩენილი შვეიცარიელ სეგანტენის ნახატებს, როდესაც ის გამოსახავს ენგანდინის მწყემსების ცხოვრებას, სადაც დიდებული ბუნება შეერთებულია მწყემსების მარტივ ცხოვრებასთან.

იმ დროს, როცა მე გიმნაზიაში ვსწავლობდი იქვე იყვნენ სამნი ძმანი ვიტტე. სამნივე საშინელი ცელქნი. მათ მუშტებისა და სხვა ცელქობისაგან არავინ იყო უზრუნველყოფილნი. ისინი იყვნენ ერთ გამოჩენილ მოხელის სახელმწიფო მამულების რწმუნებულის შვილები, ამიტომ ყოველთვის მათ ბევრი ეპატიებოდათ. მხოლოდ ერთად ერთი მასწავლებელი, რომელიც მათ ისევე ეპყრობოდა, როგორც სხვა დანარჩენებს, ეს იყო ბესარიონ ლოღობერიძე.

ამ ძმებმა ტფილისის გიმნაზიაში კურსი არ გაათავეს და უკანასკნელი გამოცდები ერთი წლის შემდეგ ჩააბარეს კიშენიოვში და შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში უმცროსმა გამოიჩინა მათემატიკის ნიჭი და ამისთვის წინადადება მისცეს მას დარჩენლიყო საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ მან უარი სთქვა, შევიდა რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზების გამგეობაში და მოკლე ხნის შემდეგ დაინიშნა ამ უწყების გამგედ. შემდეგ იყო იგი გზათა მინისტრად და ფინანსთა მინისტრად.

როგორც სტუდენტობის აგრეთვე თავის სამსახურის დაწყების პირველ დროს მას ეჭირა თავი მეტად ამაყად და მეტად უსიამოვნო პიროვნებას წარმოადგენდა. მე მახსოვს, როცა ის რკინის გზის გამგედ იყო, იმასთან მსახურობდა ორი ამხანაგი მასთანვე კურს დამთავრებულნი. ის ყოველნაირად სცდილობდა მათ მოშორებას, და მიუხედავად იმისა, რომ ორივენი მეტად კეთილსინდისიერი მოხელენი იყვნენ, იძულებულნი გახდნენ გაშორებოდნენ მის უდიერ დამოკიდებულებას. მეც მქონდა პირადად მასთან შეტაკება. ეს იყო მაშინ, როცა მე საზღვარგარეთიდან ჩამოვედი და დავიწყე უნივერსიტეტში მუშაობა ასისტენტად. ის შემხვდა თეატრში და მკითხა: რა არის ახალი უნივერსიტეტშიო. მე ვუპასუხე, რომ არაფერი ვიცი-მეთქი. მე არ ვიცოდი, რომ მას საპასუხისმგებლო ადგილი ეჭირა, იყო გამგე რკინის გზისა და ვკითხე ჩემის მხრივ, თუ რა იყო მიზეზი იმ უწყესობისა, რომლის მიზეზითაც დალუბა ამოდენა ხალხი. საქმე ის არის რომ იმ დროს იმ ადგილებში ჩაინგრა ხიდი, დაიმსხვრა მატარებელი და დაილუბა მრავალი ხალხი. მე არ ვიცოდი, რომ ეს მისთვის სატკივარი ადგილი იყო. ჩემი შეკითხვა მას ძალიან ეწყინა და მკაცრად მიპასუხა, რომ თქვენ არ იცით თქვენი აზრების გამოხატვაო: უწყესობა კი არა ეს უბედურობა იყო. თქვენ რომ ქუჩაზე მიდიოდეთ, ამ დროს გადმოინგრეს კედელი და ქვეშ მოგიყოლიოთ ეს უბედურობა იქნება და არა უწყესობაო. რადგან მეც არა მქონდა სურვილი დამეთმო, ვუპასუხე, რომ ეს შემთხვევა უწყესობა იქნება სახლის ამშენებლისათვის, ხოლო უბედურობა ჩემთვის. ამაზე ის ძალიან გამიწყრა და მითხრა: თქვენთან არა ღირს ლაპარაკიო. მეც გაჯავრებით ვუპასუხე: დიდი სიხარულით შევწყვიტავ თქვეთან ნაცნობობას-მეთქი. შემდეგ როგორც ჭკვიანმა კაცმა გამოიცვალა ხასიათი: თავაზიანად ეპყრობოდა არა მხოლოდ უცხოებს, არამედ თავის ამხანაგებსაც.

ერთხელ მომიხდა შეხვედრა მასთან, როცა ის ოდესაში იყო და მოისურვა იმ აუდიტორიის ნახვა, რომელშიაც ის ქიმიას ისმენდა. მე მაშინ პროფესორად ვიყავი.

ვიტემ დაიმსახურა რუსეთში დიდი სახელმწიფო მოღვაწის სახელი. ალექსანდრე III-ის დროს ის თითქმის დამოუკიდებლად განგებდა მთელს რუსეთს. მის დროს რუსეთის ფინანსები დიდის ნდობით სარგებლობდა ევროპიელთაგან. მის დროს იყო აშენებული ციმბირის დიდი რკნის გზა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან თავის სავაჭრო დამოკიდებულებით არა მხოლოდ რუსეთისათვის, არამედ მთელი ევროპისთვისაც.

მეტადრე დიდად ჰქონდა მას განთქმული სახელი საზღვარგარედ. როცა ის იქ ჩავიდოდა, ყველა სახელმწიფოს მოღვაწენი საჭიროდ სთვლიდნენ ენახათ ის და ესაუბრათ მასთან რუსეთის საქმეებზე; გაზეთებიც ყოველთვის აღნიშნავდნენ მის მოგზაურობას. მე მახსოვს, როცა მგზავრობის დროს ლეიპციგში ვიმყოფებოდი ერთს იქაურ დიდს გაზეთში „Leipziger Zeitung“-ში ეწერა დაახლოვებით: ჩვენთვის დიდათ ბედნიერად ჩავსთვლიდით, გერმანიის რომ ამ გვარი ფინანსთა მინისტრი ჰყოლოდა, როგორც ვიტტე არისო. ამ მინისტრს საშინლად ეზიზღებოდა ნიკოლოზ II, მისი სიცრუისა და შურიანობის გამო; ნიკოლოზ II-საც, როგორც ამბობენ, არ უყვარდა ვიტტე, მის დამოუკიდებელ ხასიათისათვის.

გიმნაზიის გათავების შემდეგ ვაპირებდი მოსკოვის ან პეტერბურგის უნივერსიტეტში წასვლას. მაგრამ რადგანაც მე ფილტვებით სუსტი ვიყავი, ამიტომ ეჭიმებმა ამიკრძალეს ამ ქალაქებში გამგზავრება და მირჩიეს ოდესაში წასვლა. ეს იყო ახლად გახსნილი უნივერსიტეტი, ან თუ უკეთ რომ ვსთქვათ, ეს იყო რიშელიეს ლიცეი გადაკეთებული უნივერსიტეტად. აქ შეკრებილნი იყვნენ ახალგაზდა პროფესორები და აგრეთვე ზოგიერთა მათგანი, რომელთაც დასტოვეს პეტერბურგის უნივერსიტეტი 1863 წელს სტუდენტების აჯანყების შემდეგ. მათ შორის იყო გამოჩენილი პოლონელი პროფესორი ცენკოვსკი და ქიმიკოსი სოკოლოვი. ზოოლოგიას კითხულობდა ახალგაზდა, თითქმის ყმაწვილი 24 წლის გამოჩენილი მეჩნიკოვი.

აქ ნებას ვაძლევ ჩემს თავს გავაცნო მკითხველი მექნიკოვის პიროვნებას.

მექნიკოვები იყვნენ ოთხი ძმანი, ოთხივე გამოჩენილნი. უფროსი ძმა იყო იურისტი, ერთდროს კიევის პალატის თავმჯდომარე, და როდესაც ლორისმელიქოვი დაინიშნა მეფის ნაცვლად, მას სურვილი ჰქონდა, რომ ეს მექნიკოვი ყოფილიყო მინისტრად; მაგრამ დადგა პირველი მარტი, როცა მოჰკლეს ალექსანდრე II-რე და ამან შესცვალა ლორისმელიქოვის გადაწყვეტილება. ეს მექნიკოვი — უფროსი ძმა, — იყო აღწერის საგანი ტოლსტოისა „Смерть Ильича“ რომელთანაც დამეგობრებული იყო იგი.

მეორე ძმა ლევან ილიას ძე იყო სტუდენტი აღმოსავლეთის ფაკულტეტისა. 60-იან წლების დასაწყისში გზავნიდნენ ეგვიპტეში მისიას, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მექნიკოვმა. მისია გაემგზავრა გემით; როცა გემი მივიდა რუმინეთის ქალაქს გალაცს და პატარა ხნით გაჩერდა აქ, მექნიკოვი ჩამოვიდა გემიდან და გაიცნო ემიგრანტი კელსიევი, რომელიც სცდილობდა წარმოეშვა რუსეთში რევოლუცია სექტანტების მოძრაობის საშუალებით. მექნიკოვი აქ ჩამორჩა მისიას; მაგრამ აქ დიდი ხანი არ დაჰყო და გაემგზავრა ვენეციაში, რომელიც მაშინ ეკუთვნოდა ავსტრიას. ეს იყო დრო გარიბალდისა და ვენეციაში დიდი მოძრაობა იყო ავსტრიისაგან განთავისუფლებისათვის. მექნიკოვმა, რასაკვირველია, ალტაცებით მიიღო მონაწილეობა ამ განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. ავსტრიის ჯაშუშებმა მას ყურადღება მიაქციეს და უნდობათ მისი დატუსაღება, მაგრამ ის დროზე გაეპარა მათ მილანში და ჩაეწერა გარიბალდის რაზმებში. მას მისცეს არტილერიის კაპიტნის თანამდებობა და დაჭრილიც იყო ერთერთ ბრძოლის დროს. გარიბალდის ბანაკიდან ის წერილებსაც სწერდა გამოჩენილ რუსულ ჟურნალ „Современник“-ში Leon Blandi-ს ფსევდონიმით. როცა გარიბალდის ომი გათავდა, მექნიკოვი ჟენევაში დასახლდა და სცხოვრობდა იქ თავისი მწერლობით და მიცემულ გაკვეთილებით. 1865 წელს ატყდა რევოლუცია ისპანიაში. მექნიკოვს წინადადება მისცეს რუსულ და ჟენევის გაზე-



თებმა წასულიყო ისპანიაში და ეგზავნა იქიდან კორეს-პონდენციები. მან ისე სწრაფად შეისწავლა ისპანური ენა, რომ ერთი თვის შემდეგ უკვე თავისუფლად გზავნიდა მადრიდიდან წერილებს. როცა იქ მოთავდა რევოლუცია, მეხნიკოვი დაბრუნდა ჟენევაში. აქ განაგრძობდა იგი ცხოვრებას ძველებურად.

ამ დროს დაიწყო მოძრაობა იაპონიაში, ევროპის კულტურის შესწავლისათვის. ახალგაზდა იაპონელები მიემგზავრებოდნენ ევროპაში და სწავლობდნენ სხვა და სხვა როგორც უმაღლეს, აგრეთვე საშუალო სასწავლებლებში და სთხოვეს პროფ. კარლ ფოხტს დაესახელებინა მათთვის მასწავლებელი.

კარლფოხტმა ურჩია მათ მეხნიკოვი. რადგანაც იაპონელებს სურდათ პრაქტიკულ მოსაზრებით ერთი მასწავლებელი ჰყოლოდათ, როგორც ენის ისე საგნების შესასწავლად, ამიტომ მეხნიკოვი იძულებული იყო შეესწავლა უმაღლესი მათემატიკა. ვინაიდან მეხნიკოვი დახელოვნებული იყო თითქმის ყველა ევროპულ ენებში, ამიტომ იგი მიიწვიეს იაპონელებმა საზოგადოდ ევროპულ ლიტერატურის პროფესორად. მეხნიკოვი გაემგზავრა იაპონიაში; მაგრამ იგი იქ მხოლოდ რამოდენიმე წელიწადი დარჩა და შემდეგ ისევ დაბრუნდა ევროპაში.

როცა იაპონიიდან ჩამოვიდა ჟენევაში, ის იყო გათავდა ბრძოლა პარიზის კომუნისტების და საფრანგეთის მთავრობის შორის. მრავალი ემიგრანტი გადმოსახლდა ჟენევაში. მათ შორის იყო მხატვარი კურბე და გამოჩენილი გეოგრაფი ელიზე-რეკლიუ. რომელიც იმ დროს შეუდგა რუსეთის გეოგრაფიის წერას. მან მიმართა მეხნიკოვს თხოვნით, რომ მას მიეღო მონაწილეობა და ეჩვენებინა პიროვნება, რომელიც აგრეთვე დახმარებას გაუწევდა ამ საქმეში.

მეხნიკოვმა დაუსახელა ანარხისტი კრაპოტკინი და თითონაც მიიღო ამ შრომაში მონაწილეობა. ამ საგანმა — გეოგრაფიამ ისე გაიტაცა მეხნიკოვი, რომ იგი შეუდგა ამ მეცნიერების დარგის დაწვრილებით შესწავლას და დაწერა კიდევ მშვენიერი თხზულება: „ცივილიზაციის გავრცელე-

ბა მდინარეების მიყოლით“, რისთვისაც ლოზანის უნივერსიტეტმა მიუსაჯა დოქტორის ხარისხი honoris causa და მიიწვია მეჩნიკოვი ზოგადი გეოგრაფიის პროფესორად. ამ ხარისხში იგი გარდაიცვალა ლოზანაში. ამას უნდა დავუმატო. რომ ეს ლევან ილიას ძე მეჩნიკოვი მშვენიერი მხატვარი იყო და თანამშრომლობდა ჟენევაში ემიგრანტების რუსულ ჟურნალებში.

მესამე ძმა იყო გამოჩენილი ადვოკატი ოდესაში, ნიჭიერი, მაგრამ საშინელი ზარმაცი და ამიტომ არაფერი შრომები არ დასტოვა.

მეოთხე ძმა იყო გამოჩენილი ზოოლოგი ილია მეჩნიკოვი. ეს პიროვნება იმდენად საინტერესოა, რომ ერთი ორი სიტყვა მსურს დავუმატო მის ბიოგრაფიას, რომელიც უკვე საკმაოდ დაწვრილებით მოიპოვება სხვა და სხვა ჟურნალებში.

ილია მეჩნიკოვმა უკვე 24 წლისამ ჩააბარა გამოცდები და დაიცვა მაგისტრის დისერტაცია. ამის შემდეგ იგი მოწვეული იყო ოდესაში ზოოლოგიის დოცენტად. 23 წლისამ დაიცვა დოქტორის ხარისხის დისერტაცია და ამორჩეული იყო როგორც ორდინატორი პროფესორი. თუმცა ის მიწვეული იყო პეტერბურგში იმან აირჩია ოდესა, რადგანაც ეს ქალაქი ზღვის პირას იყო და ადვილად შეეძლო მასალის შოვნა. როგორც თავისაში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა მეცნიერებების დარგებშიც მეჩნიკოვი ნამდვილი ცოცხალი ბიბლიოგრაფი იყო. საუბრის დროს მსმენელს აკვირვებდა მისი მრავალფეროვანი ცოდნა და ადვილად გამორკვევის უნარი ყოველნაირ საკითხებში. ერთხელ ჩემს დასწრებისას მას გადასცეს ახალი წიგნი. გადახედა ამ წიგნს, წაიკითხა რამდენიმე გვერდი თავში, შუაში და ბოლოში და წარმოსთქვა თავისი აზრი, თუ რამდენად საინტერესო იყო ეს ახალი თხზულება. მე გამიკვირდა დავკითხე, თუ როგორ შეეძლო მას ასე უცბათ გაეცნო ამ წიგნის შინაარსი და გაეგო მისი ღირებულობა. მან მიპასუხა, რომ იგი თხუთმეტი წლისა არც კი იყო, როცა დაიარებოდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ზოოლოგიის პროფესორის ნებართვით და ეცნობოდა როგორც მიმდი.

ნარე, აგრეთვე ძველ თხზულებებს იმ დარგში, რომელიც მას უყვარდა ყმაწვილობიდან, ე. ი. ზოოლოგია. თუმცა 90% ჩემი სისხლისა ებრაულრეულია (მეჩნიკოვს დედა ებრაელი ჰყავდა) და როგორც მოგეხსენებათ ებრაელები ფრთხილი ხალხია, — მე მაინც ორჯერ ამომათრიეს წყლიდან და გადამარჩინეს დახრჩობას, როდესაც მე დაურიდებლივ და უშიშრად ჩაველ ღრმა წყალში. მეტად საინტერესო წყლის ცხოველების ფსკერიდან ამოსაყვანად — ამბობდა იგი.

მეჩნიკოვი კითხულობდა თავის ლექციებს ცოცხლად და გატაცებით; მისი ლექციები გადიოდა შეუმჩნეველ სისწრაფით და ყველა მის მსმენელზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. იმისი ცოცხალი გადმოცემა საგნისა აიხსნება აგრეთვე იმითი, რომ არ არის ნაწილი უხერხემლოთა ზოოლოგიაში, რომელთა გამოკვლევაშიაც მას წილი არ ედვას. ამიტომ ყოველივე საკითხს ის თითონ წარმოიდგენდა ცოცხლად და განიგრძობდა.

ის იყო თავისი მიმართულებით აღტაცებული დარვინისტი, როგორც თავის გამოკვლევებში, აგრეთვე ლექციებში. ვისაც სურსს გაიცნოს ეს მეტად საინტერესო პიროვნება, შეუძლია წაიკითხოს A. Besredka-ს მიერ დაწერილი *Histoire d'une idée. L'oeuvre de Metchnikoff*, Paris, 1921.

მეჩნიკოვს ეკუთვნის აგრეთვე მოძღვრება ფაგოციტების შესახებ. მეჩნიკოვმა გამოსთქვა აზრი, რომ სხეულის სისხლის უფერული ბურთულები, ფაგოციტები აწარმოებენ ბრძოლას სხეულში შესულ ბაქტერიებთან, რომ მან სხეულში ნახა ფაგოციტები, რომლის შიგნითაც ბაქტერიები იმყოფებოდნენ. გერმანელმა მეცნიერებმა მეტად მკაცრად გაილაშქრეს მეჩნიკოვის ამ შეხედულების წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, რომ ეს ბაქტერიები ცოცხლები აღარ უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ მეჩნიკოვმა გამოარჩია ამისთანა ფაგოციტები ბაქტერიებით და საშუალება მისცა ამ ბაქტერიებს გამრავლებისა, რითაც დაამტკიცა თავისი შეხედულება, რომ თეთრი ბურთულები მართლა გარს ეკვრიან ბაქტერიებს და ბრძოლას აწარმოებენ მათთან. ეს

გამოკვლევა ჯერ არ იყო გამოქვეყნებული, როცა კავალევსკი, მეჩნიკოვი და მე მივემგზავრებოდით მეჩნიკოვის მამულში, კიევის მაზრაში, გზაზე უამბო კავალევსკის, თავის ამხანაგს და მეგობარს, გამოჩენილს ზოოლოგს, ეს უკანასკნელი თავისი გამოკვლევა. როცა მივედით იმის ბინაზე, კავალევსკიმ სთხოვა ეჩვენებინა შემოხსენებული მიკროსკოპიული პრეპარატები. მეჩნიკოვმა უთხრა, ჯერ პირი დაიბანეთ, ყავა დალიეთ. მგზავრობისაგან დაღლილები ხართ, მოისვენეთ და შემდეგ ნახეთო. თქვენ კონკურენციას ვერ გაუწევთ ჩემს ძმასაო თქვენს სპეციალობაში. — (იმისი მესამე ძმა იყო შესანიშნავი იურისტი და ადვოკატი და ამასთანავე შესანიშნავად იცოდა ქალაქის თამაში). თქვენ არ შეგიძლიანთ არც გემზე და არც რკინის გზაზე ვარჯიშით იმეცადინოთ მიკროსკოპიულ გამოკვლევებით, ჩემს ძმას კი თავის სპეციალობით შეუძლია იმეცადინოს როგორც გემზე, აგრეთვე რკინის გზაზედაც. ის ყველგან ადვილად პოულობს პარტნიორებს ქალაქის სათამაშოთო.

ილია მეჩნიკოვის სიტყვით მისი ძმა იურისტი 10 წლიდანვე მიეჩვია ქალაქის თამაშს და ისე დახელოვნდა, რომ როდესაც მათ სახლში შეიკრიფებოდნენ ხოლმე სტუმრები. უთუოდ იწვევდნენ ამ პატარა ბავშს რჩევის მისაცემად ქალაქის თამაშობის დროს. მეჩნიკოვს სწყინდა რომ მას უცქეროდნენ როგორც ბავშს და მის ძმას კი როგორც დიდს და თანასწორს. მასაც უნდოდა შეესწავლა ქალაქის თამაშობა, რომ დასტოლებოდა ძმას, მაგრამ ამ თამაშობის დროს ძმასთან ერთხელ წაგების გამო ისეთი ისტერიკა მოუვიდა, რომ სამუდამოდ აუკრძალეს მას ქალაქის თამაშობა. მე, იძახოდა მეჩნიკოვი, სამაგიეროდ მქონდა სხვა მისწრაფება. ჩემი უფროსი ძმები იყვნენ ხუმარები. როცა მოდიოდნენ უნივერსიტეტიდან ისინი ბაძავდნენ და ადგენდნენ სხვადასხვა პროფესორებს. მე შევისწავლე სხვადასხვა გარეგანი დადებითი თვისებები პროფესორობისა და ვკითხულობდი ლექციებს. მსმენელად მყავდა მხოლოდ ერთი ძმა (ადვოკატი), რომელიც დასთანხმდა ჩემს ლექციების მოსმენას, თუ მას დაუთმობდი

სადილის შემდეგ ჩემს ტკბილ ულუფას. ერთხელ ჩემმა ძმამ ტკბილი კი შესჭამა, მაგრამ ლექცია აღარ მომიხმინა, რამაც ბევრი ცხარე ცრემლი დამაღვრევინა.

საზოგადოებაში ის იყო მეტად გონება და ენა მახვილი მოსაუბრე როგორც სამეცნიერო, აგრეთვე საზოგადო საკითხებზე. თუმცა მეჩნიკოვს უყვარდა ხუმრობით დაცინვა, მაგრამ ამავე დროს იგი იყო ძლიერ გულკეთილი კაცი. თუ ვინმე მიმართავდა მას რაიმე თხოვნით, იგი არ დაზოგავდა არც დროს და არც საშუალებას, რომ აღესრულებინა დაპირებული სიტყვა.

მეტადრე დიდად სარგებლობდნენ პარიზში მისი თანამემამულნი მისი პოპულიარობით მეცნიერთა შორის, თუ ვინმე ავად იყო ის მიმართავდა მეჩნიკოვს და იგი დაარბევებდა, თუ რომელ სპეციალისტთან უნდა წასულიყო ან მისცემდა ამავე დროს სარეკომენდაციო წერილს. თუ ვისმეს სურდა ლაბორატორიაში მუშაობა რაიმე სამეცნიერო დარგში, მეჩნიკოვი აძლევდა აგრეთვე წერილს იმ პროფესორთან, რომელთანაც ახალგაზდა მეცნიერებს შეეძლოთ სასურველი მეცნიერება შეეთვისებინათ. ხშირად მეჩნიკოვი პირადადაც კი მიდიოდა სათხოვნელად. თუმცა ამით ის ბევრს დროს ჰკარგავდა და თავის ინტერესებს სწირავდა სხვებს, რომ დახმარება აღმოეჩინა, მათთვის.

იშვიათად მოიპოვებოდა ადამიანი, რომელიც სავსებით იყოს გართობილი გონებრივ მუშაობაში და ამავე დროს ჰქონდეს რბილი, თითქმის ქალური გრძნობიარე ბუნება, როგორც ილია მეჩნიკოვს.

მეჩნიკოვმა ძლიერ ადრე დაიწყო თავისი სამეცნიერო გამოკვლევები. „მე ახალგაზდა ვიყავი, ასე 18-19 წლისა, მაგრამ უფრო ემაწვილად გამოვიყურებოდრი“, გვიამბო მან ერთხელ „ამიტომ ყურადღებას მაქცევდნენ, რომ ასეთი პატარა მეცნიერებას მივღევდი“.

მეჩნიკოვს ჰქონდა მრავალი გამოკვლევები ზოოლოგიაში. აგრეთვე ზოგად პათოლოგიაში (ფაგოციტოლოგია), რომელიც იყო დაარსებული მეჩნიკოვის მიერ და ჰქონდა მოხვეჭილი დიდი სახელი ნატურალისტისა. ზოოლოგიის და პათოლოგიის გარდა მას ეკუთვნის ორი წიგნი ფილო-

სოფიურ შინაარსით; ერთი არის: „პესიმისტის ფილოსოფია“ და მეორე: „ოპტიმისტური შეხედულება ცხოვრებაზე“. წიგნები შეიცავენ მდიდარ დაგროვილ მასალას და ამით გვაგონებენ ინგლისურს ავტორებს. ერთ-ერთ წიგნში მას გატარებული აქვს ის აზრი, რომ ადამიანს ადრე ესპობა სიცოცხლე უდროოდ დაწყებულ სკლეროზის გამო. ადამიანის ცხოვრება შეიძლება იმაზედ უფრო მეტად გახანგრძლივდეს, ვიდრე დღეს ჰპოვებს საზღვარს, თუ მოისპობა ინტოქსიკაციის მიზეზები იმ საწამლავეების შემწეობით, რომელიც გროვდება სქელ ნაწლავებში. სიკვდილი ადამიანმა თითონ უნდა მოისურვოს. იგი არ უნდა იყოს ისეთი საშიშარი, როგორც ეს დღეს არის.

მან თავისი შრომებით ბევრი დასამტკიცებელი მასალა მოიყვანა ამ მოძღვრების ჰიპოთეზისა.

საზოგადოდ ილია მეჩნიკოვი იყო ცოცხალი ადამიანი. საზოგადოებაში, სადაც კი უნდა ყოფილიყო, ყოველთვის ყველგან სიცოცხლე შეჰქონდა, ყოველთვის ახალ საკითხს დაჰბადებდა ხოლმე სხვა და სხვა მეცნიერების დარგში და მსმენელს ჩაიყოლებდა გატაცებულ სჯა-ბაასში.

მეჩნიკოვისაგან და მის ამხანაგის ბარონ სტიუარტ და აგრეთვე ლოტარ მაიერისაგან გამიგონია შემდეგი ეპიზოდი გისენის ყრილობაზე: კარლ ფოხტი გისენის უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი იყო 1848 წელს ფრანგფურტის სეიმში დეპუტატად. კარლ ფოხტმა ფრანკფურტში დიდი გავლენა იქონია სეიმის წევრებზე და იყო არჩეული როგორც იმპერიის კანცლერი (Reichskanzler). როცა სეიმი იყო დაშლილი. ამ სეიმის ზოგიერთი წევრი იძულებული იყო თავი შეეფარებინა სხვა ქვეყნებისათვის. კარლ ფოხტი წავიდა შვეიცარიაში — ჟენევაში.

როცა 1868 წელს გისენში დანიშნული იყო ბუნებისმეტყველების ყრილობა უნივერსიტეტის გამგეობამ მიმართა გისენის მთავრობას, რომ ნება დაერთო კარლ ფოხტისათვის დასწრობოდა ყრილობას. მას ნება მისცეს და კარლ ფოხტიც ჩამოვიდა გისენში.

ყრილობის წესრიგის მიხედვით პირველ დღეს უნდა წაკითხულიყო წინანდელ ყრილობის ოქმები. როცა ოქ-

მეტი იკითხებოდა და ჯერ კიდევ არ იყო გათავებული წამოდგა კარლ ფოხტი და მოითხოვა სიტყვა; თავმჯდომარემ უთხრა: „მე ამის უფლება არა მაქვს, თქვენ მოგცემთ სიტყვას. მხოლოდ ოქმების წაკითხვის გათავებისას“.

ამ დროს, მიაშობდა ლოტარ მაიერი, ჩვენ ახალგაზდობა მოუთმენლად ველოდით კარლ ფოხტის სიტყვას. რომელსაც ჩვენ ვიცნობდით როგორც პოლიტიკურ საზოგადო მოღვაწეს და აგრეთვე როგორც ზოოლოგიურ წერილების ავტორს და ამიტომ მოუთმენლად მოვითხოვდით: „მიეცეს სიტყვა ფოხტს“, „ფოხტს მიეცეს სიტყვა“. წამოდგა ფოხტი და სთქვა: „მე წინადადებას გაძლევთ, დასწვათ ეს ოქმები. ჩვენ შევეყრილვართ აქ ახალ სამეცნიერო გამოკვლევების მოსასმენად და არა ოქმების საკითხავად“. ამის შემდეგ შესწყდა ოქმების კითხვა და დაიწყო მოხსენებები.

ძველი რევოლუციონერი ერთგული დარჩა რევოლუციონურ აქტისა.

მეორე საინტერესო ამბავი ამ ყრილობის შესახებ მე გამიგონია მეჩნიკოვის მეორე ამხანაგისაგან ბარონ სტიუარტისაგან, რომელიც იყო ოდესაში ზოოლოგიის დოცენტად.

ამ ყრილობას დაესწრო ბიუხნერი, რომელიც ცნობილი იყო თავისი თხზულებით: **Kraft und Stoff**, ამავე ყრილობაზე აგრეთვე იყო თავის დროის გამოჩენილი გერმანელი ფიზიოლოგი მოლეშტი. ემიგრანტი ფლორენციაში. ვინაიდან გისენის დიდი ჰერცოგის საზაფხულო სასახლე არ იტევდა ყრილობის ყველა წევრებს, ამიტომ ყრილობის წევრები გაიყვნენ ორ ნაწილად: ერთი საუზმის გათავების შემდეგ მიდიოდნენ სასახლის დასათვალიერებლად; მეორენი კი, რომელთაც უკვე დაეთვალიერებინათ სასახლე, მიდიოდნენ საუზმზედ. ამ უკანასკნელთა შორის იყო ფიზიოლოგი მოლეშტი, ხოლო პირველში ბიუხნერი, ავტორი „**Kraft und Stoff**“ როცა ესენი ერთმანეთს შეხვდნენ, მოლეშტმა უთხრა ბიუხნერს: **Jch habe genug Kraft. abes es fehlt an Stoff**“. (მე მაქვს საკმაო ძალა, მაგრამ

მაკლია ნივთიერება). ამ ხუმრობამ ორ მეცნიერთა შორის დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე და გისენის ყრილობის წევრებს დიდხანს ახსოვდათ ეს ეპიზოდი.

იმ დროს რომლის შესახებაც მე მოგითხრობთ, ოდეს-საში იყო გამოჩენილი ფიზიოლოგი პროფესორი სეჩინოვი. მისი ლექციები იყო ინტერესით სავსე. ის კითხულობდა დინჯად და მიღებული ჰქონდა ორიგინალური სისტემა. ის ჯერ აღწერდა ფიზიოლოგიურ მოვლენას დაწვრილებით, შემდეგ მოუთხრობდა თუ როგორ უნდა იყოს გადაწყვეტილი მეცნიერულად ესა თუ ის მოვლენა და გვიამბობდა გამოკვლევის მიხედვით აღმოჩენილის შედეგებს. მსმენელები უსმენდნენ დიდის ინტერესით და მოუთმენლად უცდიდნენ გამოკვლევით მიღებულ შედეგების გაგებას. ნათელი და მკაფიო ენა ბევრად ხელს უწყობდა საგნის შეთვისებას. საინტერესოა მისი მოთხრობა, თუ როგორ შეიქმნა იგი მეცნიერად. ის სწავლობდა სამხედრო სკოლაში (კორპუსში). იმასთან ერთად სწავლობდა დირექტორის ორი შვილი. რადგანაც ამის გამო ისინი უპირატესობით სარგებლობდნენ, სეჩინოვს გული მოსდიოდა, არაფერში მათ არ უთმობდა და მათ წინააღმდეგ მოქმედობდა „როცა კურსი გავათავეო“ მოგვითხრობდა ის, „დირექტორმა მომიწვია, რომ შეეტყო ჩემი სურვილი (ეს იყო ჩვეულება, შეეტყოთ უშუალოთ შეგირდებისაგან, თუ როგორ აპირებდენ ისინი შემდეგში თავის ცხოვრების გაგრძელებას), თუ როგორ მინდოდა გამეგრძელებინა შემდეგში ჩემი სამსახური. დირექტორის შეკითხვაზე მე ვუპასუხე, რომ მსურდა გამეგრძელებინა სწავლა საინჟინერო აკადემიაში დირექტორმა მიპასუხა, რომ ეს ჩემი სურვილი არ იქნება განხორციელებულიო, და შემეკითხა თუ კიდევ სხვა რაიმე სურვილი მქონდა. მე ვუპასუხე, რომ მაშინ ვისურვებდი გადაყვანას კავკასიის არმიაში. კავკასიის არმია მიზიდავდა მე ორის მხრივ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ვიყავით ალტაცებულნი იმ რაინდულ ბრძოლებით, რომლებიც იყო აღწერილი ლერმონტოვის თხზულებებში.



ამ ჩემ სურვილის გამოთქმის შემდეგ დირექტორმა მითხრა: „მე მინდოდა თქვენი სურვილი შემეტყო, რომ ამაზედაც უარი მეთქვაო“. — ეს იყო შურის ძიება. თქვენ იქნებით დანიშნული, განაგრძო იმან, კიევის გარნიზონში (მაშინდელ დროს ეს ნიშნავდა დასჯას).

„ამით გადაწყდა ჩემი ბედი, ამბობდა სეჩინოვი. ვინაიდან გარნიზონის სამსახური არ მოითხოვდა ბევრს დროსა, ამიტომ მე შეუდექი მომზადებას სხვა და სხვა საგნებში უნივერსიტეტში შესასვლელად“. ამ დროს, ყირიმის ომის შემდეგ, მრავალი სამხედრო პირი სტოვებდა სამხედრო სამსახურს და შედიოდა უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად. სეჩინოვმა რამდენიმე წელის სამსახურის შემდეგ დასტოვა სამხედრო ასპარეზი და შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, გაათავა კურსი გამოჩენილ ბოტკინთან ერთად. ამის შემდეგ იგი გაგზავნეს სახელმწიფო ხარჯით საზღვარ გარეთ საპროფესორო თანამდებობაზე მოსამზადებლად. იმან დაიწყო იქ შრომა რეფლექტებზე და აგრეთვე ლუდვიგის ლაბორატორიაში სისხლის გაზეზის შესახებ, რომელი საკითხიც უფრო დაწვრილებით მან მაშინ შეისწავლა, როცა ის ოდესაში და მოსკოვში პროფესორობდა. საზღვარ გარეთ ყოფნის დროს მან უკვე დაიმსახურა სახელი, როგორც მეცნიერმა და იყო მიწვეული პეტერბურგში სამხედრო მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში, როგორც ადიუნკტ-პროფესორი. სეჩინოვი ამბობდა, რომ პირველი ვიზიტი გავუკეთე იმ დირექტორს, რომელსაც თავის შურისძიებით უნდოდა დაეშალნა ჩემთვის მიმელწია გულის წადილისათვის, და დავუტოვე სადარბაზო ბარათი წარწერით: სეჩინოვი, ადიუნკ-პროფესორი მედიკო-ქირურგიულ აკადემიისა — ეს იყო ჩემი პასუხი მის შურის ძიებაზე.

სეჩინოვმა დაიმსახურა, როგორც მეცნიერმა დიდი სახელი, მეტადრე რუსეთში. ამიტომ მრავალ ახალგაზდა ყმაწვილებს სურდათ მასთან მუშაობა. დავასახელებ მათ შორის პროფესორ პაშუტინს, რომელიც ზოგად პათოლოგიის პროფესორად იყო ყაზანში, სპირო — პროფ. ფიზიო-

ლგისა ოდესის უნივერსიტეტში სეჩინოვის ადგილზე, და ჩვენი მამულიშვილი ივანე თარხანმოურავი, რომელიც შემდეგში იყო პროფესორად პეტერბურგში მედიკო-ქირურგიულ აკადემიაში. გარეგნული შეხედულება სეჩინოვს თუმცა სამხედრო გაწვრთნილობისა ჰქონდა, მაგრამ მას მეტად კეთილი გული და მგრძობიარე ხასიათი ჰქონდა. მე აქამდის დიდი სიამოვნებით ვიგონებ იმ საღამოებს, რომლებსაც ვატარებდით ჩვენ სეჩინოვის მასპინძლობით: აქ იყვნენ შეკრებილნი ახალგაზდა პროფესორები და უმაღლეს კურსის ზოგიერთი სტუდენტები.

ქიმიას კითხულობდა პროფ. ნ. ნ. სოკოლოვი და დოცენტი ვერიგო. სოკოლოვი ეკუთვნოდა მეცნიერების იმ ჯგუფს, რომელმაც გისენში ლიბიხის მიერ დაარსებულ ლაბორატორიაში მიიღო ქიმიური განათლება. იმავე ლაბორატორიაში იმ დროს მუშაობდნენ პირნი, რომლებმაც შემდეგში დიდი მეცნიერების სახელი მოიპოვეს: კეკულე, ჰოფმანი, შტრეკერი და სხვანი. ეს ლაბორატორია იყო პროტოტიპი დღევანდელ ლაბორატორიებისა. იქ სწავლობდნენ არა თუ მხოლოდ გამოსაკვლევ მეთოდებსა, არამედ ამუშავებდნენ სამეცნიერო საკითხებსაც. სოკოლოვი ლიბიხის ლაბორატორიიდან გადასახლდა პარიზში და მუშაობდა ჟერარის ლაბორატორიაში. როცა სოკოლოვი დაბრუნდა პეტერბურგში. ის ასწავლიდა სხვა და სხვა სასწავლებლებში და სხვათა შორის უნივერსიტეტშიაც. იმან დაარსა ენგელჰარდთან ერთად სახალხო ქიმიური ლაბორატორია, სადაც ყველას შეეძლო ემუშავა, მხოლოდ იმ პირობით, რომ არ დაეშალათ ერთი მეორისათვის. ამ ლაბორატორიაში მუშაობდნენ მრავალი ისეთი პირნი, რომლებმაც შემდეგში დაიჭირეს რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტებში პროფესორობის ადგილები. ასეთები იყვნენ: ალექსეევი — კიევში, ვერიგო — ოდესაში და მენ-შუტკინი — პეტერბურგში.

1850 — 60 წლებში ქიმიკოსები იმ აზრისანი იყვნენ, რომ წყალბადს, რომელიც შედის სხვა და სხვა ორგანიულ ნივთიერებაში ჩვეულებრივ ორგვარი ხასიათი აქვს.

მეტალური და მეტალიფტიკური. ქიმიკოსების შორის წარმოიშვა კამათი, თუ როგორ უნდა იყოს განხილული გლიკოლის მჟავა. ეს მჟავა მიღებული იყო საფრანგეთის ქიმიკოსის ვიურცის მიერ, რომელიც უყურებდა ამ მჟავას, როგორც ორ ფუძიან მჟავას. გერმანეთის ქიმიკოსები კი სინჯავდნენ მას, როგორც ერთფუძიან მჟავას. ეს საკითხი სოკოლოვმა ისე გადაწყვიტა გლიცერინის მჟავის შესწავლის დროს, რომ მეტალურ და მეტალიპტურ წყალბადის გარდა არსებობს აგრეთვე საშუალო თვისების წყალბადი; ეხლანდელის ენით მაგალითად, გლიკოლის მჟავაში ეს ის წყალბადი იქნება, რომელიც ეკუთვნის სპირტის ნაშთს; მაშასადამე მეტალური წყალბადი იქნება კარბოქსილის წყალბადი, მეტალიპტური მეტილენისა და ეს მესამე ალკოჰოლის ჰიდროქსილისა.

სოკოლოვი იყო წინააღმდეგი სტრუქტურულ ქიმიისა და მისდევდა უნიტარულ ქიმიის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც შეერთებანი შეიძლება დავყოთ ჯგუფებად, რადგან ყოველი ნაერთი წარმოადგენს ერთ მთლიანს სხეულს.

ის შეუდგა რძის მჟავის შესწავლას. თეორია მოითხოვდა ორ მჟავას, სოკოლოვმა მიიღო მესამე. ერთი იყო ლიბიხის მიერ მოპოვებული ხორცის მჟავა, მეორე იყო რძიდან წარმოშობილი რძის მჟავა, მესამე კი მოპოვებული იყო სოკოლოვის მიერ.

სოკოლოვის გამოკვლევამ გამოიწვია გარკვევა უკვე ცნობილ რძის მჟავების შესახებ და აღმოჩნდა, რომ ხორცის რძის მჟავა და რძის ჩვეულებრივი რძის მჟავა წარმოადგენენ ერთსა და იმავე სტრუქტურულ შენობის სხეულებს; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხორცის რძის მჟავა ხრის პოლარიზულ სხივს მარჯვნივ; მეორე კი არა ხრის პოლარიზულ სხივს, რადგან იგი წარმოადგენს რაცემულ ფორმას მარჯვნივ დამხრელ ხორცის რძის და უცნობ მარ-

ცხნივ დამხრელ რძის მჟავისას. სოკოლოვის რძის მჟავა კი წარმოადგენს სხვა სტრუქტურის ეტილენის შენების რძის მჟავას.

სოკოლოვი იყო არა ვიწრო სპეციალისტი, არამედ ყოველ მხრივ განვითარებული ადამიანი, საფუძვლიანათ გაცნობილი ოგიუსტ კონტის ფილოსოფიას და მისი მიმდევარნი, პოზიტივისტი. ავადმყოფობა ხელს უშლიდა მას, რომ იგი საზოგადოებრივობას მიჰყოლოდა და ამის გამო საზოგადოება არ აფასებდა მას.

მეორე ქიმიკოსი ჩემ დროს იყო დოცენტი ვერიგო. საინტერესოა მისი მოპყრობა იმ დროსთან შედარებით, რომელიც მოსდევდა ყირიმის ომს.

ყირიმის ომის დროს, როგორც მოხსენებული იყო, ახალგაზდა სამხედრო პირნი სტოვებდნენ სამხედრო სამსახურს და შედიოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. ამის გამო სამხედრო უწყებას აღარ ჰქონდა საშუალება მოემზადებინა სხვა და სხვა დარგებში განათლებული სპეციალისტები. ამიტომ სამხედრო უწყება ყოველნაირ საშუალებას ხმარობდა, რომ მიეწვია ახალგაზდა პირები მოსამზადებლად სხვა და სხვა სამხედრო დარგებში. ამ მიზნით იყვნენ მიწვეულნი ვერიგო და ორი სხვა პირი, რომლებიც პირდაპირ იყვნენ მიღებულნი საარტილერიო აკადემიაში. ვერიგომ დიდიხანი ვერ გასძლო აკადემიაში, გამოვიდა სამსახურიდან და იყო გაგზავნილი საზღვარ გარეთ განათლების სამინისტროსაგან. აქ ის მუშაობდა შტრეკერის ლაბორატორიაში ტიუბინგენში და შემდეგ ვისლიცენუსთან ციურიხში. შტრეკერის ლაბორატორიაში, ვერიგო შეუდგა მუშაობას აზობენძოლის ნაწარმოებებზე.

ციურიხიდან ის მიწვეული იყო ოდესაში. მისი ლექციებით თავის მწყობრად მოწყობილ კლასებს და ცოცხალ გადმოცემის უნარით იზიდავდა მსმენელებს, ხოლო მისმა გულითაღმა დამოკიდებულებამ სტუდენტებთან და ყურადღებით მოპყრობამ ლაბორატორიაში მომუშავეებთან გაამრავლა მის მოწაფეთა რიცხვი, რომელთა წრიდანაც შემდეგში გამოვიდნენ პროფესორები; პეტრიაშვილი,

ვერნერი, ოკულიჩი, ზელინსკი და ზოგი სხვ.

აზობენძოლის ნაერთებთა და გლიცერინის მჟავის შესახებ გამოკვლევის გარდა მას ეკუთვნის ზედმიწევნითი გამოკვლევა ლიმონის წყლების და სამკურნალო ტალახისა. ეს გამოკვლევები შეიძლება გამოკვლევების ნიმუშებად ჩაითვალოს.

მეჩნიკოვის გარდა ზოოლოგიას კითხულობდა გამოჩენილი რუსის მკვლევარი კოვალევსკი.

კოვალევსკი ეკუთვნოდა მეცნიერულ ოჯახს. მისი ძმა იყო გამოჩენილი პალეონტოლოგი და რძალი მისი გამოჩენილი მათემატიკოსი. მამა მათი იყო გენერალი და ამიტომ შვილები სწავლობდნენ სკოლებში პრივილეგიურ პიროვნებათათვის. ძმა მისი იყო ლიცეისტი (ალექსანდრეს სახელობისაში) და შემდეგ გადავიდა უნივერსიტეტში, სადაც მან შეისწავლა პალეონტოლოგია. თითონ კი შეისწავლა ზოოლოგია და შეიქმნა გამოჩენილ ადამიანად.

მე სპეციალისტი არა ვარ, რომ საკმარად შევაფასო მისი შრომები. დასახასიათებლად შემიძლია მოვიყვანო შემდეგი საუბარი ჰალეს პროფესორთა წრეებში. ერთმა პროფესორმა მკითხა, თუ ვინ არის ოდესაში ზოოლოგიის პროფესორიო. მე ვუპასუხე: „კოვალევსკი, იქნებ გაგონილი გქონდეთ მისი გვარი“. მოსაუბრემ ძალიან იწყინა და მითხრა: „კოვალევსკის გვარის არ ცოდნა ნიშნავს ზოოლოგიის არ ცოდნასაო“.

კოვალევსკი იყო თითქმის ყველა ქვეყნების სამეცნიერო აკადემიების საპატიო წევრი: პეტერბურგისა, ბერლინისა, მიუნხენისა, პარიზისა, ლონდონისა.

პირველი მისი შრომა, რომელმაც მას სახელი მოუხვეჭა იყო „ასციდია“ (ascidia). ეს ცხოველი წინად აღწერილი იყო როგორც მატლი; გამოირკვა, რომ იგი ახალგაზდობის პერიოდში წარმოადგენს ხერხემლიანს არსებას, ხოლო როგორც კი დაიწყებს პარაზიტულ ცხოვრებას, იგი გადაიქცევა მატლად. კოვალევსკის გამოკვლევამ პირველად გვიჩვენა ეს გარდამავალი საფეხური ხერხემლიანსა და უხერხემლოს შორის. თითონ კოვალევსკის დაწყებითი სპეციალისტობა იყო ქიმიკოსობა. მან Coriis-სთან ერ-

თად დაამუშავა მეთოდი ჰალოგენების განსაზღვრისა ორგანიულ ქიმიაში. კოვალევსკი იყო მეტად ჰუმანური პიროვნებათაგანი. ჩვეულებრივ სადაც უნდა ყოფილიყო, ყველა დარგის პირთათვის ჰქონდა მას სასაუბრო მასალა და მისაცემი კითხვები. ლექციის წინა დღით მისი ნახვა ყოვლად შეუძლებელი იყო: თუმცა არ იყო დარგი ზოოლოგიაში, რომელიც მისთვის უცნობი ყოფილიყო, მაგრამ ის იმდენად კეთილსინდისიერად ეპყრობოდა თავის საქმეს, რომ აუცილებელ მოვალეობად სთვლიდა მომზადებულიყო და გადეთვალთვინებინა ახალი ლიტერატურა.

ბოტანიკას ჩემს დროს კითხულობდა გამოეჩინილი პროფ. ცენკოვსკი. ის იყო პოლონელი. როგორც ლაპარაკში ისევე მოპყრობაში მას ეტყობოდა, რომ ის ეკუთვნოდა უმაღლეს კულტურის ხალხს. ის იყო უწინ პროფესორად პეტერბურგის უნივერსიტეტში. გამოვიდა სამსახურიდან და როგორც კი ოდესის უნივერსიტეტი გაიხსნა, ის მაშინვე იყო მიწვეული. იმას ჰქონდა უკვე სახელი გამოჩენილ მეცნიერისა, მუშაობდა პროტოზებზე (protozoa) დაბალ ორგანიზაციებში და განსაკუთრებით myxomycetes, radiolaria და nostocaceae. მის შრომებს აქამდის არ დაუკარგავთ ინტერესი. მისი ლექციები იყო მარტივი, ერთს სიტყვას მეტს არ იხმარდა; მაგრამ მისი წინადადება ისე ნათელი და მკაფიო იყო, რომ მეტს განმარტებას არა საჭიროებდა. პრაქტიკულ ვარჯიშობაში იყო დინჯი და მომთმენო. უმეტეს ჩვენთაგანს თავის დღეში არ გვენახა მიკროსკოპი და არ ჩაგვეხედა შიგ. ამისთვის მეტად ძნელი იყო მისთვის შეესწავლებინა სტუდენტთათვის მიკროსკოპის მოპყრობა. პრაქტიკულ ვარჯიშობის დროს ყველა ჩვენთაგანს ჰკითხავდა, თუ რასა ხედავდა ის მიკროსკოპში. ყველა ჩვენგანი უპასუხებდა. რომ ბუშტუსაო, ეს იყო ჰაერის ბუშტი. შემდეგ ის კვლავ მომთმენით გვეკითხებოდა: ამის გარდა კიდევ რასა ხედავთო, და ნელნელა და წყნარად მიაღწევდა თავის მიზანს: ჩვენ უკვე ვხედავდით იმ ობიექტებს, რომლის შესწავლაც საჭირო იყო ჩვენთვის.

ოდესაში დიდი ხანი არ დარჩა. ზოგიერთმა კონსერ-  
ვატორმა პროფესორებმა აღძრეს ნაციონალური საკითხი  
წინააღმდეგ ვერიგოსი, რომელიც პოლონელი იყო. რადგან  
ხაც ვერიგო გააშავეს ექსტროორდინარ პროფესორად არ-  
ჩევის დროს, მხოლოდ მისთვის, რომ იგი პოლონელი იყო,  
ტენკოვსკიმ აღარ მოისურვა ოდესის უნივერსიტეტში  
დარჩენა და მიატოვა პროფესურა. ამის შემდეგ ტენკოვ-  
სკი სცხოვრობდა დიდს გაჭირვებაში, რადგანაც პოლონე-  
ლისათვის მაშინდელ პირობებში მეტად ძნელ საქმეს წარ-  
მოადგენდა სამსახურის შოვნა სახელმწიფო თუ კერძო  
საქმეზე. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ამოიჩიეს ხარკო-  
ვის უნივერსიტეტში და აგრეთვე ერობამ მიანდო მას გა-  
მოეკვლია საკითხი ციმბირის ჭირისა, რომელიც სწყვე-  
ტავდა სამხრეთ რუსეთში საქონელს. იმან ლაბორატორიის  
საშუალებით გამოიკვლია, რომ ამ შხამის მოდუნება შეიძ-  
ლება „სუსლიკ“-ების საშუალებით და ამ გვარად მოდუ-  
ნებული იგი შეიძლება იხმარებოდეს ცხოველების ასაცრე-  
ლად, რომლითაც საქონელი იმუნი ხდება. ამ აღმოჩენას  
მეტადრე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცხვარეებისათ-  
ვის. ამ გვარი პიროვნება, რომელიც ფიქრობდა ყოველ-  
თვის მხოლოდ სხვის ბედნიერებაზე თითონ თავის ცხოვ-  
რებაში დიდი უბედური კაცი იყო. ერთადერთმა ვაჟი-  
შვილმა თავი მოიკლა, ქალიშვილმა თავისი სიცოცხლე  
დალია ფსიხიატრიულ განყოფილებაში.

ბედმა ყოველნაირი საშუალებით დასაჯა ეს პატიოსა-  
ნი კაცი. რომელიც ყოველთვის ზრუნავდა სხვებზე.

როცა მესამე კურსზე ვიყავი, ჩამოვიდა მოსკოვიდან  
ფიზიკის მაგისტრი უმოვი, რომელიც იყო ამორჩეული  
დოცენტად. ეს იყო მაღალი, ახოვანი ტანის პიროვნება,  
დიდი თავით, რომელიც შემკობილი ჰქონდა ქერა ხუ-  
ჭუჭი თმებით და კეთილ და ჭკვიან თვალებით, სიარული  
იცოდა დარბაისლური, ისე რომ მთელი მისი აგებულება  
და მოძრაობა ახდენდა შთაბეჭდილებას თავისი დიადი  
ზევესური შეხედულებით. ის კითხულობდა თეორიულ  
ფიზიკას, მეტად სერიოზულ კურსს. ამ კურსის შეთვისე-  
ბის სიძნელის მიუხედავად, მას ყოველთვის მრავალი მსმე-

ნე ლიპყავდა აუდიტორიაში და გატაცებით უსმენდნენ კიდევ. მისი კურსი თეორიულ ფიზიკისა დიდ პოპულარობით სარგებლობდა რუსეთის უნივერსიტეტების სტუდენტთა შორის.

იგი გამოჩენილი იყო თავისი ფილოსოფიურ სიტყვებით, რომლებსაც იგი ხშირად წარმოსთქვამდა ხოლმე ბუნებმეტყველების ყრილობებზე. — სხვათა შორის იგი იკვლევდა ხსნარების დიფუზიას მის მიერ გამომუშავებულ განსაკუთრებულ მეთოდებით.

როგორც სტუდენტთა შორის, აგრეთვე საზოგადოებაში იგი ცნობილი იყო როგორც მეტად თავშეკავებული ადამიანი, ამავე დროს კეთილი და სათნოიანი.

ოდესის უნივერსიტეტი მარტო თავის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტით არ იყო განთქმული. იგივე თიქმის ფილოლოგიურ ფაკულტეტზედაც. იმ დროს, რომელსაც შეეხება ჩემი მოხსენება, იქ იყვნენ შესანიშნავი პროფესორები, როგორც კონდაკოვი, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრების გამოკვლევა. თიქმის მისი ნახევარი შრომები შეეხება საქართველოს სიძველეთა შესწავლას. იმავე ფაკულტეტზე იყვნენ გამოჩენილი ძმები არხეოლოგი და მათემატიკოსი ბრუნნი, რომლებსაც ცოლებად ჰყავდათ ორი ღვიძლი და გრაფ ლანჟერონისა, ოდესის დამფუძნებელთაგანისა. ერთი ძმა იყო მათემატიკოსი, მეორე ფილიპე არხეოლოგი. მისი გამოკვლევები შეეხება უმთავრესად საბერძნეთის დროის სიძველეთა ნაშთებს შავი ზღვის ნაპირებზე. მისი შრომები იმდენად დიდ მნიშვნელოვანნი იყვნენ, რომ ინგლისურმა თარგმანმა ორი გამოცემა იხილა. ფილიპ ბრუნი სტუდენტებს ძალიან უყვარდათ მის ბავშურ გულუბრყვილობისათვის. თუმცა მის მეცნიერებას ძალიან აფასებდნენ, მაგრამ ლექციებზე ცოტანი ესწრებოდნენ, რადგან მოსაწყენად მიაჩნდათ. ერთხელ გამოცდებზე სტუდენტმა თიქმის არაფერი იცოდა და ბრუნმა საყვედურით უთხრა, რომ თქვენ თავის დღეში ლექციებზე არ დაიარებოდით და ამიტომ არაფერი იცითო — „я то посещал ваши лекции, господин профессор, но за толпой меня не замечали“. პრო-



ფესორმა გერმანულ გამოთქმით უთხრა: „Да толпа два“ და ორი თითი აჩვენა.

ამავე დროს იქ იყვნენ ახალგაზრდა დოცენტი უსპენსკი, რომელიც შემდეგში იყო დანიშნული სტამბოლში არხეოლოგიურ ინსტიტუტის დირექტორად, კირპიჩნიკოვი, რომელიც კითხულობდა ზოგად ლიტერატურას, და იყო ცნობილი როგორც რუსეთში აგრეთვე საზღვარ-გარეთ, როგორც საუკეთესო მცოდნე ზოგად ლიტერატურისა. მის რედაქტორობით გამოდიოდა ზოგადი ლიტერატურა კორშის გამომცემლობით. მისი ლექციები იზიდავდა მსმენელებს თავისი ნათელი გადმოცემით და მდიდარ შინაარსით; და ბრიკნერი, რომელიც კითხულობდა ზოგად ისტორიას— მას ეკუთვნის ეკატერინე მე-II ხანის გამოკვლევა.

იურიდიულ ფაკულტეტს ჰყავდა აგრეთვე რამდენიმე გამოჩენილი წევრი. აქ ითვლებოდა პროფ. ლეონტოვიჩი, მისი შრომები სხვათა შორის შეეხება ჩვენი მთიულების ადათებს. ამ ფაკულტეტზე იყო რუსეთში გამოჩენილი რომანისტი დიუვერნუა. ის თავისი მოძრავი ხასიათით, ფიზიონომიით და თავისი გარეშე შეხედულობით გვაგონებდა Henri IV. მისი ლექციები ყოველთვის სავსე იყო სტუდენტებით, იურისტებით და სხვებით. მისი ლექცია იზიდავდა მსმენელს როგორც თავისი შინაარსით, აგრეთვე ცოცხალი ენით.

საინტერესოა ამ გვარეულობის ისტორია: ჰუგენოტების დროს. მისი წინაპრები გადმოსახლდნენ გერმანეთში. ერთი ტომი გერმანეთიდან გადასულა ოსტეზეეს პროვინციებში და იქიდან კი რუსეთში. ოდესის პროფესორი თუ თავის ხასიათით გვაგონებდა ფრანგს, მისი ძმა, რომელიც იყო პროფესორად მოსკოვში თავისი წყნარი ხასიათით და შეხედულობით, როგორც მე გამიგია, იყო ნამდვილი გერმანელი. იურიდიულ ფაკულტეტზევე იყო ცივილისტი ციტოვიჩი, ძლიერ ნიჭიერი მეცნიერი, მაგრამ საშინელი შფოთი ხასიათის კაცი. მინდა მოვიგონო აგრეთვე პროფ. პოსტნიკოვი, რომელიც კითხულობდა პოლიტიკურ ეკონომიას და თავისი ბრწყინვალე ლექციებით იზიდავდა მრავალ მსმენელებს. ზოგმა მის მოწაფეთაგანმა შემდეგში

მოიხვეჭეს ცნობილი სახელები, როგორც საზოგადო მო-  
ღვაწეებმა. მაგალითად: მანუილოვი — მოსკოვში, გუსა-  
კოვი — პეტერბურგის პოლიტექნიკუმში, ლევიცკი — ხარ-  
კოვის უნივერსიტეტში და სხვ.

განვლო 50 წელზე მეტმა იმ დროიდან, როცა პირვე-  
ლად ვიგრძენი ჩემი მასწავლებლების გავლენა. განვლილ  
ნახევარ საუკუნის მიუხედავად მე მათ ჩემ თვალწინ  
ცოცხლად ვხედავ და განვიგრძობ მათ მიერ ჩემზე მო-  
ხდენილ კეთილ გავლენას. ისინი გვინერგავდნენ ჩვენ ჰუ-  
მანიტარულ იდეებს, სიმართლის, მეცნიერებისა და ჭეშმა-  
რიტებისადმი სიყვარულს, და მე უნებურად მეზადება სურ-  
ვილი, კვლავ წარმოიშვებოდნენ მათგარი პიროვნებანი  
აღნიშნულ დროთა აღსადგენად, როცა ალტრუისტიული  
იდეები უყუჩებენ ადამიანის ეგოისტურ გრძნობებს.

თუმცა უნივერსიტეტში იყო მრავალი გამოჩენილი  
მეცნიერი, მაგრამ უმთავრესმა ნაწილმა არც კი იცოდა  
ქალაქში უნივერსიტეტის არსებობის შესახებ. ზოგიერთს  
ახსოვდა ისევ ძველი ლიცეი. გასაკვირალი არაფერია, რად-  
განაც უმთავრესი ნაწილი ხალხისა შესდგებოდა უცხოელ  
ვაჭრებისაგან, რომელთა ინტერესი უფრო სხვადასხვა სა-  
ვაჭრო საქმეებს შეადგენდა. იმ დროს, რომელზედაც მე  
ვლაპარაკობ, ოდესა ნახევრად იტალიურ ქალაქს წარმოა-  
დგენდა. აქ იყო მშვენიერი იტალიური ოპერა, ქუჩაში  
ისმოდა იტალიური ლაპარაკი, ხშირად ნახავდით იტალიურ  
წარწერებს ქუჩებზე და მალაზიებზე: *Cantina con divensi  
ivni Strada, Ctradela* და სხ

ჩემს დროსვე ქალაქმა მოკლე დროს განმავლობაში  
შეიცვალა თავისი ფიზიონომია: იტალიელი თანდათან  
გაქრნენ და ჩემს წამოსვლის დროს 1917 წელს ერთი-ორი  
ოჯახი-ღა დარჩა. მათი ადგილი დაიჭირეს ბერძნებმა და  
ებრაელებმა, უკანასკნელთა რიცხვი შეადგენს უკვე  
მცხოვრებთა მეტ ნაწილს.

როგორც უნივერსიტეტს ქალაქზე არავითარი გავლენა  
არა ჰქონდა, არა ჰქონდა გავლენა აგრეთვე მოქალაქეებ-  
საც სტუდენტებზე. უკანასკნელი იყვნენ უფრო თავიანთ  
უნივერსიტეტის პროფესორების გავლენის ქვეშ. 1860

წლებში ახალგაზრდობას ყველგან იტაცებდა საზოგადო-  
ებრივი ასპარეზი. ზოგმა აირჩია სამეცნიერო დარგები და  
შემდეგში დაიჭირეს კათედრები სხვადასხვა უნივერსიტე-  
ტებში, ასე მაგ. პეტრიაშვილმა ქიმიის კათედრა — ოდე-  
საში, ბოტანიკმა დოცენტმა კოშჩუგმა — აგრეთვე ოდე-  
საში, ვერნერმა ქიმიკოსმა — ტომსკში, დოცენტმა აფანა-  
სიევმა ისტორიკოსმა — ოდესაში, რიპიახოვმა და ბუჩინ-  
სკიმ ზოოლოგიისა — ოდესაში, იურისტმა ბერშაკიმ —  
პეტერბურგში. მეც ვიყავი მიწვეული ქიმიის კათედრაზე  
მოსკოვში და პეტერბურგის პოლიტექნიკუმში, მაგრამ,  
ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ დავტოვე  
ოდესა.

სხვებმა აირჩიეს მასწავლებლობის ასპარეზი, რომელთა  
შორის გამოჩენილნი იყვნენ კარვაცკი და პოლონელი მი-  
ლიატიცკი და მრავალი, რომლებიც მუშაობდნენ ერობებ-  
ში: ხერსონისა, ბესარაბიისა, ეკატერინოსლავისა და სხვ.  
გუბერნიებში.

მე უნივერსიტეტში სტუდენტთა შორის მყავდა სამი  
მეგობარი: პეტრიაშვილი, ლორთქიფანიძე და გრებნიცკი.

პეტრიაშვილი იყო მეოთხე კურსზე, როცა მე უნივერ-  
სიტეტში შევედი. ის ეწეოდა სტუდენტობის ხელმძღვა-  
ნელობას. ჩვენ ახალგაზრდა სტუდენტობამ, რომლებიც ჩა-  
ვედით ოდესაში, არ ვიცოდით ცხოვრება, რადგანაც სახ-  
ლის გარედ არ გვეცხოვრა და არ ვიცოდით, თუ როგორ  
მოვწყობილიყავით უცხო მხარეში. ამის გარდა, რადგანაც  
ლექციების მოსმენა გვეძნელებოდა — გიმნაზიის და უნი-  
ვერსიტეტის სწავლების სისტემა მეტად განსხვავდებოდნენ  
ერთმანეთისაგან, — ამიტომ ძნელი იყო ჩვენთვის მივყო-  
ლოდით პროფესორების ლექციებს. პეტრიაშვილი ამ  
მხრივ დიდს დახმარებას გვიწევდა, ის ინახულებდა ხოლმე  
ყოველ ახალ ჩამოსულს, ეცნობოდა, თუ როგორ მოეწყო,  
იშოვა თუ არა სახელმძღვანელოები, არიგებდა თუ რო-  
გორ უნდა შესდგომოდა სწავლას — მოკლედ აყენებდა  
სტუდენტობას გზაზე. პეტრიაშვილი იყო ძლიერ წყნარი,  
დინჯი და მეტად კეთილი პიროვნება. ჩვენში მას მოპო-  
ვებული ჰქონდა ლიტერატორის სახელი: მშვენივრად იცო-

და დედა ენა, ბეჭდავდა მოთხრობებს „დროება“-ში. სხვა-  
თა შორის მას ეკუთვნის „დროება“-ში დაბეჭდილი „გლე-  
ხის ნაამბობი“, რომლის ნახევარიც ამოშლილი იყო ცენ-  
ზორის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მან დაჰყო რუსეთში  
45 წელი მას სრულებით არ დავიწყებია ქართული ენა.  
მის კალამს ეკუთვნის „ღვინის დაყენება“, შესანიშნავი სა-  
ხელმძღვანელო ქართულს ენაზე, შედგენილი ფრანგულ  
წიგნების მიხედვით, რომლის მსგავსი არ არსებობს დღემ-  
დე რუსულს ლიტერატურაში. მანვე დასწერა „რძე და მისი  
სხვადასხვაგვარი გამოყენება“.

მისი სამეცნიერო გამოკვლევები ეხებიან საკითხებს,  
რომლებსაც ჰქონდათ დიდი თეორიული მნიშვნელობა. მან  
დაამტკიცა მეზოქსალის სიმაჟვის გამოკვლევებით შემცდა-  
რი შეხედულობა იმის შესახებ, რომ ერთს ნახშირბადზე  
შეუძლებელია არსებობდეს ორი ჰიდროქსილის ჯგუფი.  
ამის გარდა მას ეკუთვნის შრომები ფიზიკურ ქიმიის დარგ-  
ში, რეაქციების სტატიკის შესახებ. მისი გამოკვლევით ქი-  
მიურ რეაქციის დროს ერთი მეტალის ჟანგი ან ჰიდრატი  
მით უფრო ადვილად გამოდევნის მეორე მეტალს მის მა-  
რილიდან, რაც უფრო პატარაა პირველი მეტალის ატო-  
მიური წონა მეორესთან შედარებით. — შემდეგში პეტრია-  
შვილი იყო ოდესაში ტექნიკურ ქიმიის პროფესორად.

მეორე ჩემი ამხანაგი იყო ლორთქიფანიძე — იურისტი.  
ეს იყო პეტრიაშვილის სრული წინააღმდეგობა: ცოცხალი,  
ლაპარაკის მოყვარული, ხუმარა და მხიარული. მის სახეზე  
ადამიანი სევდა+მწუხარებას ვერა ნახავდა. თუმცა ამიერ  
და იმიერ საქართველოს მხოლოდ ლიხის მთა ჰყოფს,  
მაგრამ ჩვენ ისე არ ვიცნობდით იმერლებს, რომ მისი ნა-  
ამბობის მიხედვით იმერეთის ზნე-ჩვეულებათა შესახებ,  
ჩვენ სულ სხვა უცხო დაშორებულ ხალხად გვეჩვენებოდა:  
იქაური ტირილი და ყვავილით ავადმყოფობის დროს სი-  
მღერა და სხვა ჩვენთვის სულ ახალი ამბები იყო. — გასა-  
კვირალია, რომ სიცილიაში (იტალიაში) ისეთივე ჩვეუ-  
ლება არის ტირილისა, როგორც იმერეთში — მე გამიგია,  
რომ ლორთქიფანიძე მონაწილეობას იღებდა ხოლმე მო-

ყვარულთა თეატრში იმერლის როლებში და ბევრს ტფილისის მოხუცს ახსოვს მისი სცენის ტალანტი.

მესამე ამხანაგი იყო გრებნიცკი. ის თუმცა ბელოროსი იყო, მაგრამ მისმა მამამ მიიღო მონაწილეობა პოლონეთის აჯანყებაში და ამიტომ გაგზავნილი იყო ციმბირში. ჩემი ამხანაგი დარჩა ობლად, რომაელ კათოლიკე მღვდლებმა აიყვანეს ეს ობოლი და გაზარდეს. იმას მღვდლებისაგან "ძეეძლო შეესწავლა ენები და მართლაც მშვენივრად იცოდა ფრანგული, გერმანული და ლათინური. უნივერსიტეტში შევიდა 1860 წელს პეტერბურგში საბუნებისმეტყველო დარგზე და მუშაობდა გისტოლოგ — ოვსიანიკოვთან და პროფესორ მეჩნიკოვთან. 1869 წ. იყო პეტერბურგის სტუდენტების აჯანყება და გრებნიცკი გამორიცხეს უნივერსიტეტიდან. მას შემდეგში ნება მისცეს უნივერსიტეტში შესვლისა, მაგრამ დაუნიშნეს ადგილად ოდესა. აქ მან განაგრძო პეტერბურგში შეწყვეტილი მუშაობა მეჩნიკოვთანვე, რომელიც გადმოვიდა აგრეთვე ოდესაში. კურსის გათავების შემდეგ იგი დატოვებული იყო საპროფესოროდ მოსამზადებლად. საშინლად უყვარდა მოგზაურობა სამეცნიერო მიზნით. მიტიუხა-მაკლაის ცხოვრება და სახელი მას მოსვენებას არ აძლევდა. მას მალე შემთხვევა მიეცა დაეკმაყოფილებინა თავისი სურვილი. ეძებდნენ ირკუტსკის სასწავლებლისათვის ბუნებისმეტყველების მასწავლებელს. ამ დროს მოასწრეს ექსპედიცია მდ. ამურზე. გრებნიცკიმ მიიღო მონაწილეობა და შეაგროვა დიდძალი მასალა, რომელიც იყო გაგზავნილი პეტერბურგის აკადემიაში. რამდენიმე ხნის შემდეგ მას მისცეს წინადადება მიეღო კომანდორის კონსულების გამგებლობა. როცა მას მოუხდებოდა ხოლმე პეტერბურგში ჩამოსვლა. არ დაერიდებოდა მანძილს, გვინახულებდა მე და პეტრიაშვილს ოდესაში და გვიამბობდა ბევრს საინტერესო ამბებს.

ალეუტის და კომანდორის კუნძულების მცხოვრებნი იყვნენ და არიან ალეუტები. რომელ სარწმუნოებისა არიან ისინი, უცნობია. გრებნიცკიმ მიაგმო, რომ ის იქ ერთადერთი ევროპელი იყო. მერე გაგზავნეს მღვდელიც, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა ქრისტეს სარწმუნოება.

გრებნიცკის მისვლამდე იქ არ არსებობდა არც სკოლები და არც სხვა რაიმე დაწესებულება. გრებნიცკიმ დააფუძნა ერთი სკოლა. არ იყო აგრეთვე არავითარი ადმინისტრაცია. გრებნიცკიმ შეადგინა ჯარი 25 კაციდან და მოიწვია უნტერ-ოფიცერი. ჯარის შედგენა საჭირო იყო, რადგანაც ამ კუნძულებს ხშირად ეცემოდენ მეკობრები და ხოცავდნენ „კოტიკ“-ებს, მეურნეობის უმთავრესი დარგი იყო „კოტიკ“-ები და ამიტომ მთავრობის მიერ გრებნიცკის დანიშვნას მიზნადა ჰქონდა წესიერება შეეტანა „კოტიკ“-ების ექსპლოატაციაში. რუსის მთავრობა ხელს უწყობდა ამ კუნძულებზე ნამდვილ კომუნისტურ ცხოვრებას. თითო ტყავისთვის აძლევდნენ სამ მანეთს, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ თუ სახლობა შესდგებოდა ოთხი პირისაგან, თითო მათგანი მიიღებდა სამ-სამ მანეთს იმისდა მიუხედავად იღებდა იგი მონაწილეობას „კოტიკ“-ის დახოცვაში თუ არა. თუ სახლობა ოთხ ადამიანის მეტისგან შესდგებოდა მაშინ ეს ზედმეტი წევრიც მიიღებდა სამ მანეთს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისიც იღებდა „კოტიკ“-ის შოვნაში მონაწილეობას.

გრებნიცკის სიტყვით იქ ორჯერ მოდიოდა ფოსტა. მეკობრები, რომლებიც წინად მოდიოდნენ ჩუმად უცვლიდნენ „კოტიკ“-ებს მოტანილ არაყში. მთავრობამ არყის გავრცელება აკრძალა, რადგანაც მოსახლეობა წყდებოდა. სამაგიეროდ თითონ მთავრობა ურიგებდა მათ არაყს წელიწადში ორჯერ და აგრეთვე შაქარს. როცა გემი მოვიდოდა და დასცლიდნენ არაყს და შაქარს, მცხოვრებნი გაიყოფდნენ ერთმანეთში თანასწორად ისე, რომ ერთი ნაჭერი არავის შეხვდებოდა მეტი. თუ დარჩებოდა იმგვარი ნაჭერი შაქარი, რომლის განაწილებაც აღარ შეიძლებოდა, ამ შემთხვევაში ამ ნაჭერს ერთს ჯერზე აძლევდნენ ერთს ვისმე მოხუცს და მეორე წელიწადს მეორეს. — საზოგადოდ მცხოვრებნი იქ იყვნენ შეძლებული ხალხი. იშვიათი არ იყო, რომ ალუტის ქალებს ეცვათ პარიზის აბრეშუმის ტანსაცმელი, თუმც ამ ტანსაცმელს იცვამდნენ ტიტველ ტანზე. შეხვდებოდა ხოლმე ადამიანი აგრეთვე პარიზის საპონს.

თითონ ალუტები და მათი ენა ენათესავება წითელ-  
კანიან ამერიკელებს. რასაკვირველია, მათ არა აქვთ გვა-  
რერეულობათა სახელი. მაგალითად ცალ-ცალკე ცხოველს  
აქვს სახელი, მათი საზოგადო სახელი კი არ იციან; ასე:  
მტრედი, მერცხალი, ყვავი — ეს სახელები იციან, მაგრამ  
ამათ რომ ყველას საერთო ფრინველის სახელი აქვთ, ეს  
არ იციან. ამიტომ ისინი რუსულ სახელებს ხმარობენ:  
რიბა, ჟივოტნოე და სხვა. ისინი იკვებებიან უმთავრესად  
გარეული ნადირით, ახალგაზრდა „კოტიკ“-ებით, ფრინ-  
ველით და აგრეთვე თევზებით. დახოცილებს ისინი ორმო-  
ში ფლავენ და საჭიროების მიხედვით იღებენ იქიდან თი-  
თონაც სჭამენ და ძაღლებსაც აჭმევენ. იქ თუმცა ზამთარი  
არ არის ძალიან სუსხიანი, მაგრამ ტემპერატურა მაინც  
დაეცემა ხოლმე — 12°-მდე და ზაფხულში-კი არ აიწევა  
+ 12°-C-ზე მეტად. ამიტომ კულტურულ მცენარეების გა-  
ვრცელება იქ შეუძლებელია. კართოფილი, მაგალითად  
იზრდება მხოლოდ კაკლის სიმსხოდ, მეტი არა. ხორბალი  
და სხვა სურსათი მიდიოდა გემით ევროპიდან და ამერი-  
კიდან. ვინაიდან „კოტიკ“-ები უმთავრესი შემოსავლის  
წყაროდ ითვლებოდა, მთავრობა იღებდა ყოველგვარ სა-  
შუალებას, რომ არ დამფრთხალიყვნენ „კოტიკ“-ები; ამი-  
ტომ მეორე კუნძულზე, რომელსაც ჰქვია „სპილენძისა“ —  
და მოიპოვება სპილენძი, აკრძალული იყო ამ მადნის ექს-  
პლოატაცია, რადგან ნაღმების აფეთქებას შეეძლო კოტი-  
კების შეშინება — დაფრთხობა, რაც შესაძლებელია მო-  
ჰყოლოდა კოტიკების მიერ სხვა კუნძულის ამორჩევა.  
გრებნიცკიმ გაატარა 28-30 წელიწადი იქ. ამ ხნის განმავ-  
ლობაში შეკრიბა მშვენიერი კოლექციები როგორც სხვა-  
დასხვა პირუტყვებისა, აგრეთვე ადამიანის ქალებისა. ამ  
კოლექციას ის პირველად გზავნიდა მხოლოდ პეტერბურ-  
გის აკადემიაში. შემდეგ კი აგრეთვე კალიფორნიაში —  
სანფრანცისკო და ნორვეგიაში — ქრისტიანიაში.

ის იწერებოდა, რომ მის მიერ გაგზავნილი კოლექციები  
ნორვეგიაში და კალიფორნიაში ერთი წლის განმავლობაში  
იყო გარჩეული და კატალოგებში შეტანილი; პეტერბურგ-  
ში კი რამდენიმე წლის განმავლობაში გამოგზავნილი ყუ-

თები კვლავ გაუხსნელები ეწყო. უკანასკნელ ხანებში გრებნიცკი გადმოსახლდა პეტერბურგში და იქ გარდაიცვალა 1910-იან წლებში.

მე ამით მოკლედ ვათავებ ჩემ გიმნაზიის და სტუდენტობის დროს ცხოვრების აღწერას. რაც შეეხება ჩემი ცხოვრების იმ დიდ ნაწილს, რომელიც მე გავატარე, როგორც უმაღლეს სასწავლებლის მასწავლებელმა, ამას მოვიხსენიებ შემდეგში, როცა ხელთ ავიღებ თავისუფალ დროს.



## წერილი იტალიიდან ილია მაროჭაძელივთ

ვენეცია. 27-17 ოქტომბერს 1888 წ.

მრავალპატივცემულო ბატონო ილიავ!

ნუ გამკიცხავთ, რომ მე დროებით დავსტოვე ჩვენი სამშობლო და ჩემი მოხუცი დედა, და აქ — იტალიაში წამოვედი. ნურც დამემდურებით, რომ თბილისიდან ამ ოთხს წელში თქვენთვის წერილი არ მომიწერია, თუმცა მე მისი მოვალე ვიყავი, რადგანაც თქვენ, მამისოდენა ამაგი გაქვთ დადებული ჩემს აღზრდაზედა. ყოველთვის გაჭირვებული და დაუმშვიდებელი ცხოვრება მიშლიდა ამ მოვალეობის აღსრულებას: უსიამოვნო ამბავის გარდა ვერას მოგწერდით. მე ამ უამად აქ — ვენეციაში გახლავართ იმიტომ, რომ უბედურმა და უზომო სიყვარულმა ხელოვნებისადმი, ჩემმა მოუთმენლობამ ჩემს იდეალის მიღწევნისათვის და უკანასკნელ უამს შეჭირვებულმა გარემოებამ დამავიწყებინეს შვილისა და მოქალაქის მოვალეობა, და გადმომკარგა აქეთა.

ეხლა გწერთ წერილსა, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგა, იმიტომ, კი არა, რომ სასიამოვნო ამბავი შეგატყობინო, (არა, ჯერ ისე ბედნიერი არა ვარ!) არამედ იმიტომ რომ ჩემმა ახირებულმა ანაბრობამ და მოუფიქრებელ გამბედაობამ შუაწყალში ჩამაგდეს და ვერც ერთ ნაპირას ვეღარ გავსულვარ — მე აქ წყალ-წალღებული ვარ, ვიღუპები, ვიღუპები სამუდამოთ და მინდა ამ წერილით თქვენ, როგორც ჩემს კეთილის-მყოფელსა, ყოველივე გაუწყოთ გულ-ახდილად და დაუფარავათ. თუ მე განკიცხვისა ღირსი ვარ, გამირისხდით, თქვენი რისხვა ჩემთვის მაღლი იქნება: ღირსეულად დავიტანჯები. ეჰ, საქართველოს ბევრი სახელოვანი და ღირსი შვილი ჰყავს, და უმრავლესი უბედური და უხეირო, და მეც ამ უკანასკნელთა რიცხვში ჩამთვალეთ და მომიტევეთ, ბატონო ილია, თუ დღემდის მე იმედი და თქვენი სურვილი არ განვახორციელებ და თუ თქვენი კეთილი სიტყვა უნაყოფო თესლათ რჩება ამ ჩემს ტანჯულ გულში. სულ ჩემი ბრალი არ არის, ჩემ კერძო ცხოვრების გარემოებასაც, უბედურ და მოუსვენარსა, მონაწილეობა აქვს ჩემს დანაშაულში:

ამ სამი წლის წინეთ ნეაპოლიდან რომ დავბრუნდი თბილისს, მე იქ დამხვდა უბედური ძმა, ციხეში შებყრობილი, მისი სახლობა, და მოხუცი დედა, სხვის სახლში შიშველ-მშიერნი თავ-შეფარებულნი.

ყველას ხელი მოვკიდე, უბედურობას არ დაუმონავდი და პირველი ნაბიჯი ცხოვრებაში გაბედვით გადავსდგი, რადგანაც მაშინ მე „ცა ქუდათ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნათ“. საზოგადოებაც დამეხმარა: წვრილმანი შემოკვეთილები და გაკვეთილები გამომიჩნდა. რასაც ვმოულობდი, სამათ ვყოფდი, მე და ჩემები, როგორც ლა-

რიბებს შეკშევნის, დღიურათ გამოვდიოდით. მეორე წელს იანვარში შემხვდა ავადმყოფობა და სიკვდილს ძლივს გადურჩი. ხუთი თვე ვიყავი ლოგინათ, და ზოგიერთა პირთა კაცთ-მოყვარეობამ გვიხსნა ყველანი შიმშილით სიკვდილისაგან. მაისის გასულს ავადმყოფობისაგან მოწყვეტილმა დავიწყე ისევ სამუშაოს ძებნა; ზოგი მე ვიპოვე, ზოგი ვისესხე, და ჩემს უბედურ ძმას საგზაო ფული მივეცი და სამუდამოთ ციმბირში გავისტუმრე, მისი სახლობა და დედა ავიყვანე მცხეთას და იქ დავასახლე, იქ ერთი მტკაველი მიწა და ძველი ქოხი მაქვს და თვიურ საკრძალს არ ვაკლებდი მათ ამ წლის მაისამდის. იმ წელს შემოდგომაზედ თქვენც ჩამობრძანდით თბილსს და მე თქვენ ჩემი გაჭირებული გარემოება დაწვრილებით არ გითხარით: თქვენს შეწუხებას მოვერიდე. მაშინვე მივიღე თ. „კრუუოკის“ თეატრისათვის ფარდის ხატვა; შარშან ამ დროს გავათავე მეორე ფარდა ბანკის თეატრისათვის. დეკორაციის მაგიერ, მეორევე საზოგადოებას უშველებელი სურათები დაუხატე, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ ჩემი შრომა არ დამიჯილდოვეს, როგორც ღირსი ვიყავი და მე ამის გამო დაზარალებული დავრჩი. მას გარდა — შარშან ამ დროს — ჩემი სულის ავადმყოფობა, ე. ი. ჩემის ნაწარმოების უკმაყოფილება გამიძლიერდა და იქამდის მივალწიე, რომ რასაც ვხატავდი და რაც დაწყებული მქონდა ვშლიდი და ვხევდი. ამ უბედური სულის მდგომარეობის გამო მე ცოტაცოტათ შემოკვეთილები შემომაკლდა და იქამდის დავეცი ზნეობით, რომ უსაქმოებას თავი მივეცი. სიღარიბემ მეტად შემაწუხა, გაზაფხული იყო, ზაფხული კარს გვედგა და ამიტომ კერძო გაკვეთილებიც ვერ ვიშოვნე, რომ მით თავი მერჩინა და მენუგეშებინა დედა-მოხუცი. იმ დროს წმ. ნინას ქალების სასწავლებელში ხატვის მასწავლებლის ვაკანსია იყო, მივმართე მთავრობას, მაგრამ უარი მითხრეს, მასწავლებლობის დიპლომის უქონლობის გამო.

ამ წლის მაისში ავედი მცხეთას, დედას გაუზიარე ჩემი შეჭირვებული გარემოება და ზნეობითი ტანჯვა და ვსთხოვე აქ წამოსვლის ნებართვა. საწყალმა მოხუცმა კრემლით დამილოცა გზა და არ გადაეღობა ჩემს განზრახვას. აქ დროებით წამოსვლა იმიტომ განვიზრახე, რომ იმედი მქონდა, რომ თუ ფერადებით არა, მარტო ყარანდაშით შემიძლიან იმოდენა მოვიგო, რომ დედაც ვანუგეშო, და მეც ისევ შევსძლო სწავლა და განვითარება ფერადებით — ხატვაში-მეთქი. ასე ვფიქრობდი ამ ხუთი თვის წინათ, ამის იმედით გავბედე აქ უგროშოთ წამოსვლა. მსურდა ან რომში ან ნეაპოლში და ან მილანში ჩასვლა, რადგანაც ამ ქალაქებში ერთი ორი დასახლებული ამხანაგები მყავს — და სამუშაოს მოვნაც შეიძლება. მაგრამ ჩემს უნებურად აქ კი ამოვყავი თავი, მიზეზი ამისა უფულობა გახლდათ — სად მუქთად ვიმგზავრე, სად მცირე გროშებით და ძლივს, ერთი თვის მგზავრობის შემდეგ მოვალწიე აქამდის — ვენეციამდის, და აქედამ გასვლა კი ველარ მოვახერხე, რადგანაც აქ რო მოველი, ჯიბეში სანტიმი აღარა მქონდა; მოსვლისთანავე ამ უცნობ ქალაქში დავიწყე სამუშაოს ძებნა, ოთხი დღის სიმშვილს გაუძელი. მეხუთე დღეს ძლივს ვიშოვე პატარა სამუშაო და მით მოვისურიელე

და მის შემდეგ წვრიმალს სამუშაოთი — ნახატებით თავს ვირჩენ. ზოგ დეკორაციებს უხატავ, ზოგს წიგნებისათვის სურათებსა. ზოგს მეტად იაფ ფასად პორტრეტებს და მით გამოვდივარ დღიურათ, ხან ლუკმა პური მაკლია, და ხან კრასკები. ამ ოთხს თვეში დედაჩემს მხოლოდ 50 ფრანკის მეტი ვერ მივაშველე. ამ ოთხს თვეში ხან ავადმყოფი, ხან კარგად მყოფი დღეში უკანასკნელი 12-ს საათს ვმუშაობ, მაგრამ იმოტენას ვერ ვიგებ, და ვიცლი რომ სურათი რამ დავხატო და გამოფენაში მონაწილეობა მივიღო, რომ მით დავიწყო ჩემი კარიერა ან საზოგადოებას თავი ვაცნობო და მით შევამცრო ჩემი შეჭირვება. ამის გარდა, რადგანაც ჩემს იმედში მოვსტყუვდი, რადგანაც დედა და ძმის სახლობა ისევ მშიერი დამრჩა და ზნეობითი ტანჯვა ჯოჯოხეთათ გადმექცა, მე ცოტა არ არის რომ ენერგია მეღვევა და აღელებულ მდგომიარობის გამო სიმრთელეც მიზიანდება. აი ამიტომ მოგახსენეთ, რომ წყალ-წაღებულ ვარ და ვიღუპები.

ბატონო ილიავ! ვიცი მეტად შესწუხდებით, მაგრამ მაპატივეთ; თუ სამშობლოს მოღალატეთ არა მცნობთ, ან ავაზაკათა არა მსახავთ მე ამ ჟამს დედი ჩემის წინაშე, და ძმური და მამობრივი სიტყვით, რჩევით დამეხმარეთ.

პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენ სიტყვას-რჩევას არას დროს მომავალ ცხოვრებაში არ გადავალ. თქვენ იმიტომ გაწუხებთ ჩემის თხოვნითა, რომ ვიცი (გამიგონია) რომ თქვენ სიყმაწვილეში ჩემზე მეტი შეჭირვება გამოგივლიათ; და მასწავლეთ საიდუმლო ბედნიერებისა — გულის სიმშვიდისა. ჯერ მე კიდევ ახალგაზრდა ვარ. ჯერ მე კიდევ დიდხანს შემიძლიან სიცოცხლე და მუშაობა, ჯერ კიდევ შემიძლიან ჩემი შეცდომილებათა გასწორება და პატიოსანი, ნაყოფიერი ცხოვრებით, და ოფლით ჩამორეცხა იმ ტალახის ლაქებისა, რომელიც იქნება უნებურად მოვიცხე ჩემს ცხოვრებაში. თუ თქვენ ჩემკენ ზურგი არ მოგიშვერიათ და პფიქრობთ, რომ ჩვენს სამშობლოს, (რომელიც თქვენ აღტაცებით გიყვართ, და მისთვის განწირული ხართ) მე რაითიმე მომავალში შემიძლიან ვემსახურო, გთხოვთ დამეხმაროთ უკანასკნელ ჩემს პაზრის და სურვილის აღსრულებაში; გამოცდილებამ და გაჭირებულ გარემოებამ გამოიწვია ჩემში ეს პაზრი: მინდა დაუყოვნებლივ მანდ მოსკოვში ჩამოსვლა, მანდ სამხატვრო სკოლაა, რომელიც მოწაფეთა მსწავლებლობის ღირსებას აძლევს. ჩამოვალ მანდ, თუ თქვენ გზის-ფულით დამეხმარებით და თქვენის რეკომენდაციით ერა ორ ხატვის გაკვეთილს ვიშოვნო, რომ თავი ვირჩინო, გაზაფხულამდის მოვემზადები (დღე-და-ღამ ვიმუშავებ) ტეორეტიულათ (პრაკტიკულად მხატვრობაში საკმაოდ განვითარებული ვარ), და მაისში მასწავლებლობაზე ეკზემენიას დავიჭერ და დიპლომიით დავბრუნდები საქართველოში, რომელსაც მსურს თავი შევწირო და სადაც მსურს ძვალი და რბილი დავსტოვო. იქნება ეს უკანასკნელი ჩემი თხოვნა უბედურ დედაჩემისთვის ამისრულოთ! ველი პასუხსა და პატივით მოვიკითხავ თქვენს მეუღლესა და შვილს-გიორგის. თქვენი მარად ჟამს მადლობელი და პატივისმცემელი

# ბიბლიოგრაფია

ს. — ნი.

ი. რუბინი. ეკონომიური აზროვნების ისტორია. სახელგამი. თბილისი. 1927 წ.

ეკონომიური აზროვნების ისტორიით არც რუსული ლიტერატურაა მდიდარი. ძველ გამოცემებში საუკეთესოთ უნდა ჩაითვალოს ტუგან-ბარანოვსკის წიგნი: „პოლიტიკური ეკონომიის ისტორია“ ამ წიგნს აქვს სიღრმე და ისე ცოცხლად, ნიჭიერათაა დაწერილი, რომ სიამოვნებით წაიკითხება ახლაც.

მაგრამ სასწავლო წიგნათ ახლანდელ თაობას ის არ გამოადგება. ტუგან-ბარანოვსკი სწერდა თავის წიგნს იმ დროს, როცა მისი ხიდი მარქსიზმისკენ უკვე ჩატეხილი იყო. ჩვენ კი იმ აზრის ვართ, რომ ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევა მეტადრე ეკონომიურ აზროვნების ისტორიაში ვერ აცდება მარქსისტულ მეთოდს.

ამ მეთოდის უარყოფას და სწორეთ ეკონომიურ აზროვნების ისტორიის დარგში შეეცადენ. სხვათა შორის. პროფ. ჟელეზნოვი, და ვინოგრადოვი და არაფერი არ გამოუვიდათ.

მარქსისტულად დაწერილი წიგნები ამ დარგში გამოიკა უკანასკნელ წლებში. მაგრამ არც ის ვარგა, რომ მწერალი, ასე ვთქვათ მიდის მიჰყვება და სწერს მარქსისტულად მარტო იმიტომ, რომ ახლანდელ დროში სხვანაირად არ უნდა იწერებოდეს. ამიტომ ზოგიერთს გამოუდის მარქსისტულად მიმგვანებული ფრაზეოლოგია და მარქსიზმის მეთოდი კი არ აქვს შეთვისებული მთელი თავისი სიღრმით. ერთი ავტორი ამბობს, მაგალითად, — ყოფაცხოვრების და იდეოლოგიის კავშირი (связь между бытом и идеологией) მთელი სოციალური ისტორიის სივრცეზე მიდისო. ამას ქვია ზარის რეკა გესმოდეს და არ იცოდე საიდან. Быт და бытие მარქს არ აურევია ერთმანეთში და არც ისე გაუმარტივებია საკითხი, რომ იდეოლოგიაში მხოლოდ „ყოფაცხოვრების“ გავლენა დაენახა.

ამისთანა ავტორებში გამონაკლისად დგას ი. რუბინი. იმისთვის მარქსიზმი არ არის მოდის ტანსაცმელი. ის მარქსისტია თავისი არსებით და ეს ეტყობა იმის დაწერილს წიგნს, რომელიც ახლა ქართულადაა გადათარგმნილი ის იძლევა ამ წიგნში საუცხოო დალაგებულ და გაშუქებულ მასალას. ბევრი რამე აქვს გამოყენებული ისეთი, რაც აქამდის უცნობი იყო, რა თქმა უნდა არა მარტო ჩვენთვის საქართველოში.

მაგრამ ის სარგებლობს მაინც ძველი და ნაწილობრივ გამოყენებული მასალებით. ამ ბოლო დროს გაცხოველებული მუშაობა დასავლეთ ევროპის ეკონომიურ მეცნიერებაში ძველი მიმართულებების შესასწავლათ, ძველ ეკონომისტებში იყო დიდი დავა, სხვათა შორის, მერკანტილიზმის შესახებ. ჯერ კიდევ არ გათავებულა ეს დავა, რა არის მერკანტილიზმი, რა და რა ნიშნობლივი თვისებებია ამ მიმართულებაში? ეს საკითხი აქამდის არ გამორკვეულა საბოლოოთ. ახლა იძებნება და იცემა ევროპიულ ენებზე თითონ მერკანტილიზმის თეორეტიკოსების ნაშრომები. ქვეყნდება მთლიანათ ის, რაც დღემდე ნაწყვეტ-ნაწყვეტებად იყო ხოლმე გამოქვეყნებული.

დიდი კვლევა-ძიებითი მუშაობაა აგრეთვე ფიზიოკრატიზმის გარშემო. ევროპის ლიტერატურაში გამოქვეყნდა უკანასკნელ წლებში ბევრი რამ. აქამდის უცნობი და ხელ მიუწვდომელი. ასევე უნდა ითქვას კლასიკური სკოლის წარმომადგენლების შესახებაც.

ამხ. რუბინის წიგნში ეს ახალი მასალები არაა გამოქვეყნებული. ის არ იძლევა კრიტიკას ეკონომიურ მიმართულებებზე დაწერილი წიგნებისას და თითონ ამ მიმართულებების ლიტერატურას ეხება გაკვრით, ზოგადათ.

ამიტომ შეცდომა არ იქნება; თუ ვიტყვით რომ ეს წიგნი სჯობია ამ დარგში გამოსულ სხვა წიგნებს, მაგრამ ეს არ არის ისეთი წიგნი რომელზედაც შეიძლება წერტილის დასმა. ეკონომიური აზროვნების კვლევა უთუოდ უნდა გაგრძელდეს და დაიწეროს.

ერთი შენიშვნა კიდევ.

დიდი ღირსებაა ამ წიგნის, რომ აქ ავტორს ნაჩვენები აქვს, რა გავლენას ახდენდა ეკონომიური აზროვნების სვლაზე მშრომელი ხალხის მდგომარეობა და მოძრაობა. მშვენივრადაა, მაგალითად, ნაჩვენები, რომ მერკანტილიზმის დაშლა გამოიწვია მუშა გლეხობის აუტანელმა მდგომარეობამ მერკანტილისტური პოლიტიკის ხანაში. ამ მდგომარეობამ მოაკიდებინა ფეხი იდეოლოგიურ რეაქციას მერკანტილიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ავტორი არ უკვირდება მეორე მხარეს. საქმე იმაშია, რომ მერკანტილისტურ იდეოლოგიას შიგნითვე ახლდა თავისი დაშლის მიზეზები ავტორი ხაზს უსვამს გარეშე ფაქტორების გავლენას და ნაკლებად ჩერდება იმის გამორკვევაზე, რომ თითონ იდეოლოგიურ მომენტებსაც დიდი გავლენა ქონდათ იდეოლოგიის ევოლიუციაზე.

ჩვენმა სახელმწიფო გამომცემლობამ გააკეთა დიდი საქმე ამ წიგნის გამოცემით. საქმე იმაშია, მხოლოდ, რომ ახლანდელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ რუსული ენა არ იცის, რუსულ ენაზე პო-

ლიტიკურ-ეკონომიური ლიტერატურა არ უკითხავს. ეს წიგნი კი ისეთია, როგორც ავტორი შენიშნავს რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში. მოითხოვს წინასწარ მომზადებას ზოგად პოლიტიკურ ეკონომიის საკითხებში. ჩვენ არ გვაქვს სათანადო გამოცემები. სახელმწიფო გამომცემლობა, იმედია, შეეცდება ამ ნაკლის შევსებას. უამისოდ რუბინის წიგნი ძნელი გამოსაყენებელი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ქართული თარგმანი გამოცდილი ხელიდანაა გამოსული. ჩვენ შეგვიძლია ვენდოთ თითოეულ სტრიქონს ამ თარგმანისას. აქ გაყალბებული არაა არც ერთი მეცნიერული ცნება. ზედმიწევნითაა დაცული ტექსტის სისწორე.

მე არ ვეთანხმები მთარგმნელს ზოგიერთი ადგილების გადმოცემაში. არ მომწონს, მაგალითად გამოთქმა: — „მერკანტილისტური პოლიტიკა ხატავდა (ხაზი ჩემია) სამეფო ხელისუფლებასა და მოზარდ სავაჭრო ბურჟუაზიის შორის ასრებულ კავშირს“... „უკიდურეს გაჭირვებაში აგდებდა გლეხობას („Источали крестьянское хозяйство“)... მიწათმოქმედებისაგან მუდმივად ფულის მოთხოვნისა და სამაგიეროთ კი არაფრის მიცემის ჩვეულებას“ На „привычке постоянно требовать денег у земледельца и не давать ничего“)... სმიტი აგრეთვე დიდ ნაბიჯს სდგამს წინ კაპიტალის სწავლაშიაც“... („Смит делает большой шаг вперед и в учении о капитале“)... და სხვა.

თარგმანში ჩვენ ვფიქრობთ სისწორის დაცვა არ წააგებს იმით, რომ მთარგმნელი თავისუფლად გრძნობდეს თავს, და თავის სიტყვას გამონახავდეს ხოლმე დედნის აზრის გადმოსაცემათ.



### მცირე განმარტება.

გადაჭრით ვაცხადებ, რომ გ. ტაბიძისათვის ლექსი არ მიმიძღვნია. მან ჩემს ჩვეულებრივ ლექსს, რომელიც გადავეცი მის მოგზავნილ კაცს საგაზეთო მასალათ, სათაური გამოუცვალა და მოაქცია მისდამი მიძღვნილ ლექსებში. ეს, ჩემის აზრით, დაუშვებელია და გარდა იმისა რომ აშკარად ამჟღავნებს ავტორისადმი უპატივცემლობას, სიყალბის სუნიც უდის, რაც არ შეეფერება მწერალს.

რომ ეს ასეა, ამას ოდნავ დაკვირვებული მკითხველი მაშინვე მიხვდება: ამ ლექსში მოცემულია რევოლიუციის დამახასიათებელი ხაზები და გალაქტიონის პიროვნებასთან არაფერი საერთო არა აქვს.

ვ ა რ ლ ა მ რ უ ხ ა ძ ე.

1927 წ. 23 ივნისი.



### შეცდომის გასწორება:

აღ. პუშკინიდან ნათარგმნ ლექსში: „ნაწყვეტი“ მესამე სტრიქონში დაბეჭდილია: „მოწყენის ნამი“, უნდა იყოს — „მოწყენის წამი“.

„ქართული მწერლობის“ № 3 — 4-ში მოთავსებული ს. წულუკიძის წერილები გადმოცემულია რედაქციაზე ელენე ჭიჭინაძის მიერ.

რედაქცია.



ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლენხან. პრ. № 91.

15/VI-27. შუკ. № 1015/7093. მთავლ. № 1105. ტირ. 1100.

„ქართული მწერლობის“ რედაქცია აცხადებს შუქნალის ხელისმომწერთა და მკითხველთა საშუალებოდ, რომ მატერიალური და ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებანი, რაიცა აქნებდა შუქნალის რეგულიარულად გამოსვლას ამ ორი წლის განმავლობაში, ამ ჟამად სავსებით დაძლეულია და ამიერიდან შუქნალის გამოსვლისა და გავრცელების საქმე დაყენებულია მტკიცე საფუძველზე.

რედაქციამ მოახდინა შუქნალის გამოსვლის და გავრცელების საქმის სრული რეორგანიზაცია.

რედაქციამ ხელშეკრულება დასდო საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობასთან, რომლითაც სავსებით უზრუნველყოფილია შუქნალის თავის დროზე გამოსვლა და მკითხველისადმი მიწოდება.

ყოველგვარი შეკითხვები, ხელის მოწერა, ფული და მასალები ამიერიდან უნდა იგზავნებოდეს სახელმწიფო გამომცემლობაში (შუქნალ „ქართული მწერლობის“ სახელზე). შუქნალის რედაქტორი რედაქციის საქმეებზე ღებულობს ყოველდღე სახელმწიფო გამომცემლობაშივე.

**რედაქტორის ტელეფონები: 6-43, 23-99.**

ხელის მოწერის ფასი (გადაგზავნით და შინ მიტანით)

ერთი წლით . . . . . 6 მან.

6 თვით . . . . . 3 მან.

ხელის მოწერა ა. წ. პირველ იანვრიდან

მ ი ს ა მ ა რ თ ი.

ტფილისი. სახელმწიფო გამომცემლობა. რუსთაველის პროსპ. № 23, „ქართული მწერლობის“ რედაქციას.